Г 749
1976

სკენა

1976 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალეფბეი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების საქმეთა მთავარი სარედაქციო კოლეგია

შინაარსი

პროზა

ვასილ გიკოვი. ფრუზა. მოთხრობა.
თარგმნა მედეა შავლიაშვილმა 5

ცირილ კოსმაჩი. საყვირისა და ლრუბლის გალადა.
რომანი. თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ 25

ისაია გაგელი. მოთხრობები. რუსულიდან თარგმნა
თამაზ კვაჭანტირაძემ 64

ჯეიმზ ჯოისი. ულისე. ინგლისურიდან თარგმნა
ნიკო ყიასაშვილმა 104

აკუტაგავა რიუნოსკე. ამგავი სიკეთის საზღაურისა.
მოთხრობა. თარგმნა ედიშერ გიორგაძემ 129

ალექსეი სერაფიმოვიჩი. სამგლოვიარო მარში.
მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა პაპუნა წერეთელმა 143

ველიმირ ხლებნიკოვი. მონადირე. მოთხრობა.
რუსულიდან თარგმნა მურმან ჯგუბურიამ 148

იური იაკოვლევი. გრალდეგა. მოთხრობა.
რუსულიდან თარგმნა მარინა სოხაძემ 154

ტენესი უილიამსი. ცისფერი გავშვების მდელო.
მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ კობაიძემ 161

ჰუგო რასი. ჩინეგული კონიუნქტურა. მოთხრობა.
თარგმნა დალი კოკაიამ 168

გურაჟი. სანთლის კაცები. მოთხრობა.
თარგმნა ამირან გაბესკირიამ 175

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

(13)

ივლისი
აგვისტო

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

1976

შინაარსი

პოეზია

ბელორუსი პოეტები. ლექსები.
თარგმნა ზურაბ ლორთქიფანიძემ 125

ყაისინ ყულიევი. ლექსები. **თარგმნა**
ომარ დოხნაძემ 141

ჩინგიზ ალიოღლი. ლექსები. **თარგმნა**
ტაგუ მებურიშვილმა 152

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ჰომეროსი. ილიადა. ქება პირველი. ძველბერძნულიდან
თარგმნა რომან მიმინოშვილმა 182

ბიკენტი ვერესაევი. ექიმის ჩანაწერები. **რუსულიდან**
თარგმნა რამაზ კობიძემ 198

ვივეკანანდა. ნაწყვეტები ლექციებიდან.
თარგმნა თამაზ ჩხენკელმა 219

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ვენერა ურუშაძე. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ
ენაზე თარგმნის ზოგიერთი საკითხი 223

იოან გრიგორესკუ. ჭუჭყიანი საქმოთხე.
თარგმნა სოსო პაიჭაძემ 228

ჩვენი ავტორები 239

გარეკანზე: ვრუგელი. „ვენეცია“

მთავარი რედაქტორი: **კონსტანტინე ლორთქიფანიძე.**

სარედაქციო კოლეგია: **მზია ბაქრაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ნანა დარჩია** (პასუხისმგებელი მდივანი), **მაგალი თოდუა, ნოდარ კაკაბაძე, კარლო კალაძე, მიხეილ კვესელავა, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, რომან მიმინოშვილი, ოთარ ნოდია, ნიკო ყიასაშვილი, თამაზ ჩხენკელი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ ბიკოვი — ბელორუსია —

ფრუზა

მოთხრობა

თარგმნა მედეა შავლიაშვილმა

ძალალი კარი იყო, ძველებური, მძიმე. ცოტაზე გამოაღებდი თუ არა, გაბმით ჭრიალებდა ხოლმე. ამ ექვსიოდე წლის წინათ ფრუზა წარამარა ზეთავდა დაჟანგებულ ანჯამებს, მაგრამ ვერაფერს გახდა. და ქალიც ჭრიალის ხმას თანდათანობით ისევე მიეჩვია, როგორც კარის უცნაურად მოღუნულ სახელურს. როგორც იმას, რომ მეკარე იყო და მეტად იოლი მოვალეობა ეკისრა.

დღეში ორჯერ, დილასა და საღამოს, შემოსასვლელში ფეხაჩქარებით ჩაივლიდნენ დაწესებულების თანამშრომლები. ამ დადინჯებულ, ჩაფიქრებულ ადამიანებს ფეხის ხმაზე ან კარის გაღებაზე თვალდახუჭული სცნობდა ფრუზა. დირექტორის, ივან კუზმიჩის გამოჩენას მისი ავტომობილის თუხთუხი აგებინებდა. მანქანა მუდამ მოულოდნელად მოგრიალდებოდა ხოლმე სადარბაზოსთან, მაშინვე აღრჭიალდებოდა მუხრუჭები და ერთი წუთის შემდეგ რაღაც უცნაურად, გაბმით გაიჭრიალებდა კარი. ივან კუზმიჩი მაღალი, ზორბა, პირმოღუშული კაცი იყო. მას ყველა პატივსა სცემდა. ხოლო ფრუზას კიდეც ეშინოდა მისი და ამიტომ მაშინვე „დილა მშვიდობისაო“ — ჩაილაპარაკებდა. ივან კუზმიჩი ქვედა ტუჩს მოკუმავდა და საღამზე მხოლოდ წარბებს აქაჩავდა პასუხად.

ფრუზას დირექტორი მხოლოდ ასეთი ენახა და სხვანაირი ვერც წარმოედგინა. იგი უცხო და გამოუცნობი კაცი იყო ქალისათვის.

ასეთივე უცხო და გამოუცნობი ეჩვენებოდა ამხანაგი პეტრაჩენკოვიც — გალეული და ღვარძლიანი კაცი. ფრუზა ზოგჯერ ფიქრობდა, ამ კაცს საკუთარი კოსტიუმებისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

პალტოების გამოფენის გარდა სხვა არაფერი ადარდებსო. სქელშუშიანი სათვალიდან პეტრაჩენკოვი წარამარა თავის მხრებს, სახელოებსა და მკერდს ათვალიერებდა და არარსებულ მტვერს გაჩხიკული თითებით იშორებდა. თან დიდშუბლა, პატარა თავს აქეთ-იქით აქნევდა; ისე იყო გართული საკუთარი ამბებით, რომ ფრუზასთან მისასალმებლად იშვიათად იცლიდა. დაწესებულებაში ქალები ცოტანი იყვნენ. ამ ქალებში ყველაზე მეტად დირექტორის მოადგილის, საკმაოდ ხანდაზმული დუბჩენკოს ცოლი ნონა გამოირჩეოდა. დილით, როგორც კი კარი ჭრიალს იწყებდა, სადარბაზოს კიბეზე ნონას ქუსლების პაკაპუკი ესმოდა ფრუზას. კარში ისე მოხერხებულად გამოსხლტებოდა ხოლმე, გვგონებოდა, კარი არც კი გამოუღიაო. მუდამ აგვიანდებოდა, მუდამ ჩქარობდა, მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა, მეკარისათვის ტკბილად გაელიმა. ფრუზა აღტაცებულ მზერას გააყოლებდა ხოლმე. ნონა მეტისმეტად მოსწონდა, რადგან ახალგაზრდა. მიმზიდველი და თანაც ესოდენ მიუწვდომელი იყო!

ინჟინერი შავროვი ყველაზე ადრე ცხადდებოდა სამსახურში. მუდამ ერთნაირად უბრალო, მხიარული, ტკბილმოუბარი. შემოსვლისთანავე ფარდაგზე ფეხებს გაიწმენდდა და ფრუზას გაეხუმრებოდა:

— გამარჯობა, ფრუზა, რასა იქმ, როგორ ცხოვრობ?

ქალი თავდაჭერილად გაიღიმებდა. მორცხვად შეათვალიერებდა ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილ, ოდნავ ჩასუქებულ კაცს და მერე თვალებს დახრიდა. ასე ეგონა, ინჟინერი ალბათ რაღაცას მამჩნევსო, და თავს უხერხულად გრძნობდა...

— ნუ დარდობ, ფრუზა! მალე მოგინახავთ საქმროს, გაგათხოვებთ, დაგასახლებთ და იცხოვრებ სიამტკბილობით შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, — ეუბნებოდა შავროვი, როცა კიბეზე არბოდა. ფრუზასაკენ თავმობრუნებულს ჭროღა, ცოცხალი თვალები უელვარებდა.

ფრუზა მუხლებზე კაბის კალთას გაისწორებდა, ამოიოხრებდა და ფანჯარას ველარ აშორებდა მზერას.

მარტოხელა ცხოვრებამ ფრუზა დაკვირვებული გახადა. ხშირად ეგონა, ადამიანები საკუთარი თავისადმი უსამართლონი არიანო, ვერ ხედავენ და ვერ აფასებენ ცხოვრების იმ დიდ სიკეთეს, რასაც აგრე რიგად აფასებდა და ამდენი წლების განმავლობაში აგრე ამაოდ ელოდებოდა თვითონ.

მასთან ერთად მეკარედ მრავალშვილიანი, ბუზღუნა დროზდოვა მუშაობდა. ეს არცთუ ისე ხანში შესული ქალი მუდამ უკმაყოფილო, მუდამ რაღაცით გაღიზიანებული იყო, მთელ ქვეყანას ერთთავად ლანძღავდა და თათხავდა, ყველაზე მეტად კი თავის ქმარს არტემას, საამშენებლო ტრესტის დურგალს. თუმცა არც ბავშვებს ელოლიავებოდა, იმათაც უხეშად ექცეოდა, წარამარა უყვიროდა და წუწუნებდა, ოჯახი სიცოცხლეს მიმოკლებსო. ფრუზა უსიტყვოდ უსმენდა დროზდოვას ჩივილს და არასოდეს თანაუგრძნობდა. ეს ქალი უბრალოდ ბრმა იყო: ოჯახი ჰქონდა, შვილები ჰყავდა, ნეტა სხვა რაღა უნდოდა, რას თხოულობდა? რაც დროზდოვას სიცოცხლეს უმწარებდა, ფრუზას ის დიახაც გააბედნიერებდა. ოღონდაც ქმარი ჰყოლოდა და არამცთუ არ გალანძღავდა, ბევრს რად ეწევიო — მაშინაც არაფერს ეტყოდა, ვთქვათ, სამსახურის შემდეგ ძმაკაცებთან რომ ექეიფა და შინ გვიან დაბრუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულიყო. არც ბავშვებს უსაყვედურებდა, თუ ქუჩაში ბოდიალს მოჰყვებოდნენ და დედას ცივ საუზმეს მოუტანდნენ. იგი ნამდვილად დააფასებდა ამ თავის პატარა ბედნიერებას. მაგრამ წლები გადიოდა და მისთვის ერთი თბილი სიტყვაც არავის ემეტებოდა. ყველა თავისი საქმით, თავისი ოჯახით იყო გართული.

ჰოდა, ფრუზაც ალბათ ასე გალევდა თავის სიცოცხლეს, რომ ის ამბავი არ შემთხვეოდა.

იმ ზამთარს დიდთოვლობა იყო. ფრუზა ჩვეულებისამებრ კარის სიახლოვეს იჯდა, როცა შეამჩნია, რომ კარის ფიცარი გამხმარიყო და ქვევით ლრიჭო გაჩენილიყო. ქალმა საქსოვი გადადო და უკანა კარიდან ეზოში გავიდა. ფარღალალა გარაჟში რამდენიმე მანქანა იდგა. ფრუზამ შიგ შეიხედა, ნაცნობი შოფერი ხომ არ არისო, მაგრამ ასეთი არავინ აღმოჩნდა. დატკეპნილ თოვლზე ყუთები და კასრები ეყარა. გარაჟის სილრმიდან რკინის ჭახუნი ისმოდა. ქალმა გაყინული ხელები დაბამბული ქურქის ჯიბეებში დამალა, გარაჟის კარში შევიდა და მოკრძალებით გაჩერდა. ერთი უცნობი შოფერი რადიატორზე გადაყუდებულიყო და ძრავაში რაღაცას ჩხირკედელაობდა. იგი სამსახურში ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს. ფრუზამ ამ კაცს სთხოვა დახმარება.

შოფერმა რომელიღაცა ქანჩი მოუჭირა, წელში გასწორდა და ქალისაკენ ხანდაზმული, ცუდად გაპარსული და გათხუპნული პირისახე შემოაბრუნა. ჯერ გაოფლიანებული შუბლი გაიწმინდა დაბამბული ქურქის სახელოთი, მერეღა შეეკითხა:

— რა მოხდა, გაფუჭდა და გამკეთებელი არავინაა? თქვენი სამეურნეო უფროსი სად არის?

კაცი, ცოტა არ იყოს, უხეშად ლაპარაკობდა, როგორც იმ ხალხსა სჩვევია, გადაუდებელი საქმე რომა აქვთ მუდამ. და ქალმაც გულში ინანა, რატომ ვთხოვეო. მაგრამ კაცი მაშინვე ჩამოხტა „ზილის" მაღალი ბუფერიდან, კაბინიდან რაღაცა აიღო და შენობისაკენ მტკიცე ნაბიჯით წამოვიდა. ფეხზე ლანჩებგამოკერებული თექის ჩექმები ეცვა.

— აბა, სად არის? მაჩვენე!

ფრუზამ ლრიჭო აჩვენა, შოფერმა ორი თუ სამი ლურსმანი უსიტყვოდ ჩაარჭო და მერე მუშტით შეამოწმა ფიცრის სიმაგრე.

— ესეც ასე, გამთელდა. ახლა აღარ დაგიბერავს.

ქალმა მადლობა გადაუხადა, მერე ისიც შეჩივლა, ფანჯრის ქვეშ ბატარეიდან წვეთავს და იატაკის წარამარა წმენდამ თავი მომაბეზრაო. რამდენჯერ ვთხოვე სამეურნეო უფროსს და ყურსაც არ იბარტყუნებს, ლუდხანაში ათენ-აღამებს, თუ ასი გრამი არაყი არ დაალევინე, ახლოს არ გაგიკარებსო. შოფერი თამბაქოს ახვევდა და დინჯად, ქუშად შეჰყურებდა ფრუზას. რამდენჯერმე რომ გააბოლა, მერე შეჰპირდა:

— კარგი, გავაკეთებ! ახლა არა მცალია, ნასადილევს შემოვივლი, შენც შემახსენე. დეიდაჩემო.

გამომშვიდობებისას ფრუზას თვალი ჩაუკრა და შესასვლელში უჩვეულო სუნი—მაგარი თამბაქოს სურნელება დასტოვა. რატომღაც მაშინვე დანაღვლიანდა ფრუზა, ფანჯარაში გახედვა მოუნდა და იმ კაცის დანახვა, თოვლში აუჩქარებლად რომ მიაბიჯებდა თავისი მანქანისაკენ...

შოფერმა ბატარეიაც შეაკეთა. თუმცა იმ დღეს კი არა, მხოლოდ მეორე დღეს შემოიარა. ფრუზას გვერდით შეჩერდა, თამბაქო გააბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და ერთხანს დაკვირვებით უყურა, რა სწრაფად მოძრაობდა ქალის თითებში წინდის ჩხირები.

— ცუდი ხელთათმანები არ იქნება,—ჩაიცინა კაცმა და ვეებერთელა დახეთქილი ხელისგულები ერთმანეთს გაუხახუნა.

ფრუზა ამ თათმანებს ბაზარზე გასაყიდად ქსოვდა, მაგრამ მოულოდნელად იგრძნო, რომ ამ კაცისაგან რაღაცით დავალებული იყო.

— მართლა მოგწონთ? — შეეკითხა ქალი და გაუბედავად აიხედა მაღლა, — თუ არა გაქვთ, ეგება თქვენთვისაც მომექსოვა?

— არა, გმადლობთ, — უპასუხა მოფერმა. — რისი მაქნისია, ერთ გზობაზეც არ მეყოფა. აი, ტყავისა რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო. თუმცა ისინიც ერთ კვირაზე მეტს არა სძლებს.

კაცი წავიდა. ფრუზას ისევ მოეძალა დარდი. უნდოდა ამ კაცთან კიდევ ემასლაათა, მაგრამ მიხვდა, რომ მას ფრუზასთან მუსაიფი მაინცდამაინც არ ეპიტნავებოდა. ერთი კვირის შემდეგ ფრუზა შებინდებულზე დაბრუნდა შინ. ქალაქგარეთ ცხოვრობდა, შარაგზის პირას, ნახშირის კვამლით შებოლილი ბარაკის განაპირა, პაწაწინა ოთახში. ქალაქის შუაგულიდან, სადაც მისი დაწესებულება იყო, სახლამდე რომ მიელწია, ჯერ სამი სხვადასხვა ავტობუსით უნდა ეჯაყჯაყა, მერე უდაბური ხრამი გაევლო და თითქმის ერთი კილომეტრი ფეხით ტალახი ეზილა. ზამთარში კიდევ რა უშავდა, ბილიკით ხრამში ჩავიდოდა, გაყინულ წყაროზე გადაივლიდა და გზას მოკლედ მოსჭრიდა. ახლაც ხრამიდან ამოვიდა, ბოსტნები გალია. მის წინ გადაჭიმული შარაგზაც უნდა გაევლო, ქალაქის გარეუბნის სახლებს შუაში რომ მოემწყვდიათ.

ცა მოღრუბლული იყო, ერთი ვარსკვლავიც არსად კიაფობდა. მჭრქალ ბინდში ხეები და სახლები ერთნაირად ჩაშავებულიყო. დათოვლილ მინდორზე აქა-იქ შავ ლაქებად ჩანდა გაშიშვლებული მიწა. ფაშარ თოვლს უკვე დნობა შეჰპაროდა. ქალი ფეხაჩქარებით მიდიოდა, ამ ბინდბუნდში სახლის სითბო და მყუდროება თავისკენ იზიდავდა. ქირზის ჩანთით პური, ქაშაყი და ერთი კილო წიწიბურას ბურღული მიჰქონდა, რათა ერთი-ორი დღე იოლად გასულიყო და შეშის ფული გადაენარჩუნებინა.

შარაგზაზე ფარების შუქმა დაებრმავა. გვერდით გრიალით მიჰქროდნენ მანქანები. იმ ადგილას, სადაც სახლისაკენ მიმავალ ბილიკზე გადაუხვევდა ხოლმე, საბარგო მანქანა იდგა. ქალმა ყურადღებაც არ მიაქცია. ან რა ყურადღების მისაქცევი იყო! შარაზე წარამარა ჩერდებოდნენ მანქანები და ცოტა ხნის მერე ისევ თავიანთ გზას აყრიდნენ ბარაქას. ქალი დერეფანში შევიდა. დაბამბული ჯუბის ჯიბეში გასალები მოიხელთა და კარი გააღო. ოთახში ციოდა. უკვე მესამე დღე ილეოდა, ღუმელი არ აენთო. ფრუზამ მიმოიხედა. ვიწრო საწოლზე აფუმფულებული ბალიშები ეწყო, კედელზე იაფფასიანი ხალიჩა იყო გაკრული... მოჩეცხილ და მოკრიალებულ იატაკზე კუთხიდან კუთხემდე ირიბად ეფინა ფეხსაფენი. პაწაწინა მაგიდაზე დაწყობილ ჭურჭელს დოლბანდი ეფარა. მაგრამ ამ პაწაწინა ოთახს თითქოს რაღაცა აკლდა. ყური მიუგდო, მეზობლების ჩამიჩუმი არ ისმოდა. ღუმელი უნდა აენთო, მაგრამ, საბწუხაროდ, შეშა არ ჰქონდა დაბობილი.

კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. ფრუზასთან იშვიათად თუ შემოივლიდა

ვინმე, ამიტომ ყოველი კაკუნი გულს უხეთქავდა ხოლმე. კარი გაიღო და ოთახში ტლანქად შემოაბიჯა გულგადაღეღილმა, კეფაზე ქუდმოგდებულმა კაცმა. ეს ამას წინათ გაცნობილი შოფერი იყო.

კაშკაშა სინათლემ შემოსულს თვალები მოაწკურინა. ეტყობა, მასპინძელი ვერ იცნო. ფეხი მოინაცვლა და მერე თქვა:

— საღამო მშვიდობისა, დიასახლისო! გაჭირვება დამადგა და ხომ არ მიშველიდი? მანქანა გამიფუჭდა, მე მარტო ვერაფერს გავახერხებ.

ფრუზას თავსაფარი უკვე შეეხსნა, მაგრამ ახლა რატომღაც ისევ შეისკვნა. შემოსულს შესცქეროდა და უცნაურმა წინათგრძნობამ გული აუძგერა.

— რა მოუვიდა მანქანას? — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად შეეკითხა ფრუზა.

— ეჰეი,—გაოცდა შოფერი, როცა კარგად დააკვირდა. — ეს თქვენა ხართ? აქა ცხოვრობთ?

— აქა ვცხოვრობ. ეს-ესაა სამუშაოდან მოვედი.

— სინათლე რომ აინთო, აქეთ ვიყურებოდი. ვიფიქრე, მოდი, მივალ და დავაკაკუნებ-მეთქი. — უკვე დარწმუნებული და თითქოს გახარებულიც ლაპარაკობდა შოფერი.

მის მოღრეცილ თექის ჩექმას თოვლი შეადნა. ფეხებზე დაიხედა და ზღურბლს მოშორდა.

— დასწყევლოს ღმერთმა შოფრის ბედი! გუშინ მინსკში ვიყავი, უკან დაბრუნებულმა კი ველარ მივაღწიე ადგილამდე—კონდესატორმა მიღალატა. მარტოდმარტო ვარ. მანქანას უპატრონოდ ვერ დავაგდებ. არადა ვერც დამიქოქავს! რა ვქნა. ალარ ვიცი! ეგება თქვენ მიგეხედაო მანქანისათვის, ხელი არავინ ახლოს. ან იქნებ გარაჟში გაქცეულიყავით... უბედურება თუ გინდა, ესაა...

აღელვებულმა ფრუზამ შოფერი ოთახში შეიპატიჟა, დაბრძანდით, გათბითო. თუმცა მოუბოდიშა, შეშის დაპობა ვერ მოვასწარითო... თვითონ კი ამასობაში ჯუბა შემოიცვა ისევ.

— რა გაეწყობა, რახან საჭიროა, უნდა წავიდე. ხელად მივალ, ავტობუსით. როგორ უნდა ვთქვა, რა ჰქვია მაგ ნაწილს?

— კონდესატორი. იქ დიმიტრუკოვს ან ტერეშჩენკოვსა თხოვთ, უთუოდ მოგცემენ, — თქვა კაცმა.— მე თვითონ წავიდოდი, მაგრამ მანქანა დატვირთულია, რაც უნდა იყოს, შარაგზაა...

კაცმა გასვლა დააპირა. მაგრამ ქალმა შეაჩერა.

— ნუ სწუხართ, აქ დარჩით, ცოტა გათბით. ფანჯრიდან ხელისგულივით მოჩანს იქაურობა.

კაცმა მადლობა გადაუხადა და დარჩა, ფანჯარასთან მდგარ სკამზე მძიმედ დაეშვა. ფრუზა კი შარაგზისაკენ გაიქცა. თან გზადაგზა იკრავდა ჯუბას. უნდა ეჩქარა. ეგებ გარაჟის დაკეტვამდე მიესწრო.

კონდესატორი დიმიტრუკოვს გამოართვა. მაგრამ გარაჟამდე მისვლას კარგა დიდი დრო მოუნდა. ოთახში სინათლე არ ენთო. ნუჟრიანი კუნძები, აგერ ორი წელიწადია ეზოში დასახეთქად რომ ეყარა. კარლია ლუმელში ტკაცან-ტკაცანით იწვოდა და ნაპერწკლებს ისროდა. ლუმელის გვერდით ტაბურეტზე შოფერი ჩამომჯდარიყო. მუხლები განზე გაედგა, თავი ხელებზე ჩამოეყრდნო და ისე ჩასძინებოდა. კარის ჭრიალზე არც შემობრუნებულა, არც თავი აუწევია.

ფრუზამ კონდესატორი მაგიდაზე დადო, ჯუბა გაიხადა, უხმაუროდ გაწმინდა ყინვისაგან ლამაზად მოხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტული მინა და ფანჯარასთან სკამზე ჩამოჯდა, რომ მანქანისათვის აქედან ეთვალთვალა.

ვინ იცის, რამდენი დრო გავიდა. შოფერი კი ისევ ტკბილ ძილში იყო.

ღუმელში შეშა ჩაიწვა და მოელვარე ნაკვერჩხალი დასტოვა. კედელზე, ჭერთან ახლოს ათინათი კრთოდა. წითელი შუქი დაჰფენოდა კაცის გვერდზე გადახრილ თავს, მხარსა და სახელოს. მის უმოძრაო ჩრდილს კი მთელი კედელი დაეფარა.

ქალი ხან შარაგზას გაჰყურებდა, ხან სტუმარს და თანდათანობით მისი არცთუ იოლი ცხოვრებისადმი ჩუმი სიბრალულითა და თანაგრძნობით განიმსჭვალა. რატომღაც სიამოვნებდა, რომ ამ დიდ კაცს მის ოთახში ეძინა. დაე, ეძინოს, ხელს არ შევუშლიო, ალერსიანად გაიფიქრა ფრუზამ და თავისი გაუხარელი ცხოვრება გაიხსენა, შეებრალა საკუთარი თავი და გული ეტკინა. ისევ გაელვიძა ძველი, თითქმის დავიწყებული წყურვილი ადამიანური სითბოსი. თავს ძალა დაატანა, ეს უსიხარულო განცდები რომ დაეთრგუნა, მხოლოდ ოხვრას მოუხშირა, ოღონდ ძალიან წყნარად და ჩუმად, რადგან სტუმრის გაღვიძებას და შეწუხებას მოერიდა.

მაგრამ სტუმარმა მაინც გამოიღვიძა. გონს მოეგო თუ არა, ირგვლივ გაოცებით მიმოიხედა.

— უჰ, შენ უკვე მოხვედი? — კაცი ფეხზე წამოდგა, — რა ჰქენი?

— აი, მოვიტანე, — ფრუზა სკამიდან ადგა და კაცს კონდესატორი გაუწოდა.

ეტყობა, კაცი ჯერაც ძილბურანში იყო, გაიზმორა და ისევ ტაბურეტზე ჩამოჯდა.

— უჰ. რა კარგია, რომ მოგიტანია, დიდი მადლობელი ვარ. რაშია საქმე, არავისი ხმა რომ არ ისმის? განა მარტო ცხოვრობ?

— მარტო, — ამოიოხრა ფრუზამ.

— შენი... შენი ქმარი სადღაა? თუ არცა გყოლია?

— არა მყოლია, — რატომღაც შეშინებულმა უპასუხა ფრუზამ. მერე კაცის პირდაპირ სკამზე ჩამოჯდა. ამ თავშეკავებულმა მამაკაცურმა ცნობისმოყვარეობამ უცებ საოცრად პატარად, უსუსურად და თითქოს დამნაშავედაც კი აგრძნობინა თავი.

შოფერი გაჩუმდა, თავის საფიქრალს მიეცა. ქალი კი ისევ უსიტყვოდ ათვალიერებდა. თუმცა ცეცხლის მოცახცახე შუქზე ძლივსღა არჩევდა მის სახეს.

— ცუდია მარტოობა — თქვა კაცმა ცოტა ხნის შემდეგ. — ძნელია მარტოობა... ეს მე კარგად ვიცი...

კაცი პაპიროსის მოკიდებას შეეცადა. ჩანავლებულ ნაკვერჩხლებთან მიიტანა ქაღალდი. აბრიალებულმა ალმა ერთი წამით გაანათა მისი გაჯაგრული, ულამაზო, მაგრამ კეთილი და მშვიდი პირისახე. ქალი ისევ ფანჯარასთან იჯდა გაყუჩებული.

კაცმა პაპიროსის ნამწვავი ღუმელში შეაგდო. მერე ქალს მიუახლოვდა, გახეშეშებული ხელისგული ძალიან ფრთხილად, თავშეკავებულად შეახო მის მხარს და ჩაილაპარაკა:

— ძნელია მარტოობა, მაგრამ რა გაეწყობა... აბა შენ იცი, დარდმა არ დაგჯაბნოს! ღმადლობთ დახმარებისათვის...

როცა კაცი წავიდა, ფრუზა ფანჯარას მიადგა. შუბლით მიეყრდნო და შეორთქლილი მინიდან კარგა ხანს გასცქეროდა, როგორ ჯახიროობდა იგი ძრავასთან, როგორ აჩხაკუნებდა კაპოტს და როგორ ტკეპნიდა თოვლს მანქანის გარშემო. ქალი აარაფერზე ფიქრობდა. არც

ცრემლებს იწმენდდა, ნელ-ნელა რომ ჩამოსდიოდა ლოყებზე...

იმ საღამოს შემდეგ ფრუზა კიდევ უფრო გულჩახურული გახდა. მორიგეობის დროს ხშირად ოხრავდა. ინჟინერ შავროვის ხუმრობაზე იშვიათადღა იღიმებოდა. ხშირად გადიოდა ეზოშიც. სადაც ხანდახან იმ კაცს ხვდებოდა, თავის მანქანას რომ დასტრიალებდა და ზოგჯერ რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვას მიუგდებდა ქალს. მაგრამ ფრუზა გუმანით ხვდებოდა: ეს კაცი კეთილად ეკიდებოდა, ისე არა, როგორც სხვა ლაზღანდარა შოფრები. ნეტამც შესძლებოდა და ამ კაცისათვის მისი ამბავი გამოეკითხა... ქალი გრძნობდა, რომ არც ის უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც ბედნიერი. რაკი კეთილ კაცად მიაჩნდა, ფრუზასაც უნდოდა რამე კარგი ესურვა მისთვის... მან უკვე იცოდა, რომ გვარად პარხომოვი იყო, ბარანოვიჩიდან, მაგრამ ცოლი ჰყავდა თუ არა, ამაზე არა უწყოდა რა.

ასე მიიწურა ზამთარი და დადგა გაზაფხულის პირველი თვე — მარტი. ქუჩებში თოვლმა დნობა დაიწყო. მისი ნარჩენები მანქანებით ქალაქგარეთ გაიტანეს. დღისით სახურავებიდან ასფალტზე ხმაურით ეცემოდა მძიმე წვეთები. პარკებსა და ქალაქგარეთ მიდამოებში ისევ თოვლი იდო, თუმცა ყოველი მზიანი დღე სულ უფრო და უფრო აშიშვლებდა მიწას, ერთმანეთს უახლოვებდა და აერთებდა ლილოებს. ხის კვირტები თვალსახილველად ივსებოდნენ და იბერებოდნენ.

ქალთა დღე — რვა მარტი ფრუზას დასვენების დღეს დაემთხვა. დაალაგა თუ არა ოთახი, დილიდანვე შეუდგა შალის ძველი საარაფანის გადაკეთებას. კერვა ძალიან ეხალისებოდა. უყვარდა, როცა ჩაიზომებდა. ტანზე მოირგებდა კაბას, მოიაზრებდა იმას, როგორ გაეკეთებინა, რომ იაფი და ლამაზი გამოსულიყო. ახლაც ჩვეულებრივი მცდელობითა და გულისყურით შეუდგა საქმეს, მაგრამ მალე აიყარა სამუშაოზე გული და ფიქრით ისევ პარხომოვს გადასწვდა. რა კაცია, ვინ არის, რად ეჭცევა ასე ყურადღებით, სხვათაგან განსხვავებით? დროგამოშვებით ოხრავდა, საკერავს მუხლებზე დაიდებდა და კარგა ხანს გასცქეროდა შარაგზის მოელვარე ასფალტს, იმ ადგილს, სადაც ზამთარში კაცი მანქანას უკიჩკიტებდა. სულ უფრო უძლიერდებოდა მისი ნახვის სურვილი, მისი მშვიდი და ჭკვიანური საუბრის მოსმენა ეწადა. ცოტა რომ ჩაუფიქრდებოდა, საკუთარ თავს ტუქსავდა: ეგება იმ კაცს ოჯახი აქვს, შვილები ჰყავს, ეგეც არ იყოს, განა ცოტაა ჩემზე ახალგაზრდა, აბა ეს ორმოცი წლის ქალი ვის რად ვუნდივარო? მაგრამ მაინც ფანჯრისაკენ გაურბოდა თვალი, ღელავდა, ბორგავდა, ცდილობდა თავის დაოკებას, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.

მერე ფიქრი დაწესებულების თანამშრომლებზე გადაიტანა. ცოტათი ყოყოჩა, მაგრამ ბუნებით კარგი ხალხი ეხვია გარს. გაიხსენა უბრალო, ხანდახან ენაჭარტალა შოფრები, დამლაგებლები, მეკარეები... ნეტა ამ ბოლო დროს ასე იშვიათად რად იციანის ნინა? ეტყობა, ოჯახში ვერა აქვს სიამტკბილობა... მოაგონდა, დროზდოვამ რომ უამბო, ქმარს წავეჩხუბეო, ისიც გაიხსენა, პეტრაჩენკოვს ზამთარში გრიპი რომ შეხვდა, როგორ განიცდიდა ყველა ავადმყოფს ზრუნვას არ აკლებდნენ.

ფრუზამ საკერავს ძაფი კბილით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაწყვიტა, ფანჯარაში გაიხედა და უცებ ადგილზე გაშეშდა. შარაგზიდან ბარაკისაკენ პარხომოვი მოდიოდა.

ალბათ ქალი ფანჯარაში ადრევე შეამჩნია, რადგან შორიდანვე ულიმოდა და ხელს უქნევდა. იღლიის ქვეშ რაღაც შეხვეულები ამოეჩარა. ახალთახალი შავი კოსტიუმი ნათხოვარივით ულაზათოდ ადგა ტანზე, კეფაზე დაუდევრად მოგდებული ნაცრისფერი ქუდი ლამის იყო გადავარდნოდა თავიდან. ფრუზა ჯერ კარს მიაწყდა, მერე მაგიდას მიუბრუნდა, საკერავის ნაკუწები წამოკრიფა, საწოლზე მიყარა, იქიდანაც აიღო და ღუმელს უკან მიმალა. ისე დაიბნა, აზრი ვეღარ მოიკრიფა. კაცი კი ამასობაში უკვე კარს მოსდგომოდა და უკაკუნებდა. ქალი ხმას არ იღებდა, გონებადაფანტული ჩურჩულებდა მხოლოდ: „ოჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!“ კაცი ფრთხილად, ხანდაყოვნებით აკაკუნებდა და უცდიდა. როდის შეიპატიჟებდნენ. როდის-როდის მოისაზრა ფრუზამ, რომ სტუმარს უნდა შეგებებოდა, და კარისაკენ გაქანდა. შოფერმა ალერსიანად შეხედა. ზღურბლს გადმოაბიჯა. ფეხები საგულდაგულოდ გაიწმინდა და ქუდი მოიხადა.

— შუადღე მშვიდობისა, მასპინძელო! მომილოცავს რვა მარტი, ქალების დღესასწაული! გამახსენდა. მარტო რომ ხარ, და მოსალოცად მოვედი. მეც ხომ შენსავით მარტოხელა ვარ.

ქალმა დასაჯდომად მიიპატიჟა, სკამი ახლოს დაუდგა, დაფაცურდა, თუმცა შიშისაგან ჯერაც გონს ვერ მოსულიყო. სტუმარმა შეხვეულები მაგიდაზე დააწყო, ჯიბიდან ერთი ბოთლი არაყი ამოაძვრინა. თავგზააბნეული ქალი მღელვარებისაგან აცახცახებული თითებით თავსაფრის ბოლოებს სრესავდა.

ეს უჩვეულოდ გამოწყობილი, ყელსახვევიანი, გაპარსული და რატომღაც ძალიან გამხიარულებული კაცი სულაც არ ჰგავდა მუდამ პირმოჭუშულ პარხომოვს.

— ვიფიქრე, ამისთანა დღესასწაულია, ქალი კი მარტოდმარტოა, მოწყენილი, მოდი, შევივლი და დავხედავ, მაინც შორს არა ცხოვრობს-მეთქი.

— ეჰ, ამას თუ შორს არ ეთქმის, მაშ სიშორე რაღაა?—ჩაიცინა ფრუზამ და თავის დიდ, ულამაზო ხელებს ადგილი ვერსად მოუძებნა.

— განა ეს შორია! სამი-ოთხი კილომეტრი რა დიდი მანძილია. ასე ვთქვათ, ავტო-ფოტო-მოტო კაცისათვის. შენ რასა იქმ, როგორა ცხოვრობ?—კაცმა იქაურობა მოათვალიერა. — ეს რა არის, წყალი ჩამოგდის? — მიანიშნა ჭერზე გამოტანებულ სველ ლაქაზე.—როგორმე უნდა მოახერხო. რემონტი გააკეთებინო, თორემ ეს რასა ჰგავს? ქალთა დღესასწაულია და ქალს კი თავზე აწვიმს! ასვლა და დახედვაა საჭირო. ეჰე, იატაკიც შეკეთებას თხოულობს. კარგი იქნებოდა ხელახლა დაგება, თუ კოჭები არ არის ჩამპალი, თორე ასე როგორ იქნება?

კაცმა პაპიროსს მოუკიდა. ასანთი და პრიალა პორტსიგარი კი მაგიდაზე დადო. ბოლი და კარგი თამბაქოს საამო სუნი ოთახში ერთად დატრიალდა. ამ სუნმა ფრუზას როგორღაც გულს დარდი გადაუყარა და ქალმა შვებით ამოისუნთქა. თავს ძალა დაატანა, გონება მოიკრიფა და ჭურჭლის გამოლაგება დაიწყო.

პარხომოვი ხალისიანად ჰყვებოდა შოფრების ცხოვრებაზე, გარაჟის საქმეებსა და წესებზე. ხოლო ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდულად, ხალისიანად და მოხერხებულად საქმიანობდა მაგიდასთან. კიტრი მოიტანა, ძეხვი თხლად დაჭრა, ქაშაყი გაასუფთავა, თეფშები გააწყო, ერთ თეფშს ჭიქა ჩაუდგა. მეორეს — პატარა სირჩა.

პარხომოვმა სირჩა ხელში აიღო, მიატრიალ-მოატრიალა და უკმაყოფილოდ გადასდო გვერდზე.

— რათა ეგეთი პატარა, ცოტა მოზრდილი არა გაქვს?

— არა. — თქვა ფრუზამ.

კაცმა ეჭვიანად შეხედა მასპინძელს. გაიღიმა და ხელი ბოთლისაკენ გაიწოდა.

— რა გაეწყობა, მოდი, აღვნიშნოთ ქალების დღესასწაული! დაჯექ, რაღას ტრიალებ!

ქალი ისე მორჩილად და მორიდებულად ჩამოჯდა სკამზე, თითქოს თვითონ იყო სტუმრად.

დალიეს. კაცმა ნახევარი ჭიქა გამოსცალა, ქალმა — თავისი სირჩა. პარხომოვმა ქაშაყი დააყოლა. ქალმაც აიღო კიტრის პაწაწინა ნაჭერი და ნელა დაიწყო ჭამა. პირველივე სირჩამ ბედნიერი ფიქრების მთელი გუნდი ფუტკარივით აუშალა და სულში სიხარული და სითბო ჩაუღვარა. მაგრამ ქალი თავს იკავებდა და მხოლოდ იღიმებოდა. კაცმა ალერსიანად მიუცურა ძეხვიანი თეფში და ისე შესთავაზა, თითქოს მართლაც ქალი ყოფილიყო სტუმარი.

— ჭამე ძეხვი, გემრიელია, მოსკოვური, რბილი. არც ქონი აქვს ბევრი.

მერე კიდევ დალიეს...

ფრუზა არასოდეს ყოფილა ასე ახალგაზრდული სიხალისით სავსე. პარხომოვი გემრიელად ილუკმებოდა. პირისახე წამოსწითლებოდა, თან უბრალოდ, მეგობრულად ემასლაათებოდა ქალს. ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა გაუთავებლივ, მაგრამ რას, ფრუზას არც კი ესმოდა. მთელ მის არსებას ახალი გრძნობა დაუფლებოდა — ჩუმი ბედნიერება, მახლობელი ადამიანის დამათრობელი სითბოთი გამოწვეული.

როცა ბოლოს და ბოლოს სტუმარი დანაყრდა, თეფშები მაგიდის შუაგულისაკენ მიაცურა და პორტსიგარი გადახსნა. ფრუზა თვალს ვერ აშორებდა კაცის თითქოსდა გაახალგაზრდავებულ პირისახეს. როგორც ყოველთვის, იგი ახლაც დინჯი და აუღელვებელი ჩანდა. ბოლოს კარგა დიდი ნაფაზი დაარტყა, თავისი ტაბურეტი ახლოს მიაცურა ფრუზას სკამთან და თავდაჯერებით, ოღონდ არც უხეშად და არც დამამცირებლად ქალი თავისკენ მიიზიდა.

ქალი ისე დაჰყვა კაცის ნებას, როგორც ძალზე სასურველსა და საწადელს. მთელი ტანით მიეწდო, გახურებული პირისახე მის მკერდში ჩარგო და გაინაბა. კაცი ხორკლიან ხელისგულს უსიტყვოდ უსვამდა მხრებზე. ქალი კი ისე უჩვეულოდ კარგად გრძნობდა თავს, იმ წუთში სიკვდილზეც არ იტყოდა უარს.

ჰაიჰარად პირდაბანილი პარხომოვი დილით უცბად მოემზადა და წავიდა. კარის ზღურბლთან ქალს საწრაფოდ მოეხვია, აკოცა და უთხრა:

— აბა, ნახვამდის. არ მოიწყინო, რა ვუყოთ მერე! შენ მართლა კარგი ქალი ხარ...

ქალმა ოთახი მიალაგა. ლოგინი გაასწორა; ჭურჭელი დარეცხა. მთელი დღე გახარებული იყო იმ ამბით, რაც მოხდა. უხაროდა, რომ ამქვეყნად ასეთი უბრალო და ასეთი შესანიშნავი ადამიანი დადიოდა. სიამოვნებდა ის ფიქრი, რომ არც იგი გასწირა და დაჩაგრა ბედმა, სხვა ქალებივით ისიც მიმზიდველი და სასურველი გახადა კაცებისათვის, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ კაცმა ამდენი სითბო და ალერსი გაიმეტა მისთვის. სადღაც გაქრა ნალველი, ამდენი ხანი გულს რომ უჭამდა, და ისე ეგონა, ძველი, დიდი ხნის წინათ დავიწყებული ახალგაზრდობა დამიბრუნდაო.

ასე გახარებული მივიდა სამსახურში. შესცვალა თუ არა დროზდოვა, მაშინვე იატაკი მოწმინდა, ფანჯრის რაფები დაასუფთავა. როგორც ყოველთვის, ახლაც ჭრიალებდა კარი, ახლაც მედიდურად ჩაუარა გვერდი ივან კუზმიჩმა. ქალმა სალამი მისცა, მაგრამ განა წინანდელივით შეშინებული ხმით, არამედ იმ ადამიანივით, ვინც საკუთარი თავის ფასი და ყადრი იცის. მალე პეტრაჩენკოვმაც გაიარა. კატასავით უხმაუროდ და რბილად მიაბიჯებდა. ალარც ის მოეჩვენა მეკარეს ადრინდებულად მიუწვდომელი, შორეული და გამოუცნობი. ხოლო როცა ნონამ ქუსლების პაკაპუკით ამოირბინა სადარბაზოს კიბე და შემოსასვლელში შემოიჭრა, ფრუზამ თავი ვერ შეიკავა და ქალს სალამზე ტკბილი პასუხი დაუბრუნა:

— მომილოცავს გუშინდელი დღესასწაული, ნონა ვასილევნა.

მთელი დღე ნატრობდა ფრუზა, ნეტა ვინმე გაჩერდეს და გამომელაპარაკოსო. ძალიან უნდოდა თავისი სიხარული ყველასათვის გაეზიარებინა.

იმ დღიდან მოყოლებული პარხომოვი ხშირად დადიოდა ფრუზასთან. როცა სამუშაოზე ხვდებოდა, საქმიანი, მკაცრი და შეფიქრიანებული ჩანდა, სხვებივით თითქოს უხეშიც. ფრუზა ახლოს არასოდეს მიდიოდა, შეხვედრისას შორიდან ესალმებოდა მხოლოდ. ქალის ფიქრით მათ შორის ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა და ამ ამბავს სხვათა თვალთაგან მოფარება და მოფრთხილება სჭირდება. განა იმიტომ, ვინმემ ხელი არ შეუშალოს, უბრალოდ გამოაშკარავება უხერხული იყო. ქალს თითქოს ეშინოდა კიდეც, მაგრამ რად ეშინოდა, არკი იცოდა. გულგადალეული უცდიდა შაბათსა და კვირა დღეს, როცა ორივეს ერთდროულად ჰქონდათ დასვენება. ამ დღისათვის ოთახს განსაკუთრებით დააწკრიალებდა, გვირისტიან ლურჯ კაბას ჩაიცვამდა და ფანჯარასთან მოიკალათებდა. პარხომოვი საღამოხანს მოდიოდა. ხანდახან ხელს ღვინოს გამოაყოლებდა ხოლმე. ქალი ძველებურად ღელავდა. კაცი კი გაშინაურდა, ამ ოთახში თავდაჯერებულად ირჯებოდა. სანამ ფრუზა ვახშამს ამზადებდა, უსაქმოდ რომ არა მჯდარიყო, ხან ნაჯახს წამოავლებდა ხელს კაცი, ხანაც ჩაქუჩსა და ოჯახში ჩალიჩობდა. იატაკის ლრიჭოები ამოავსო, სახურავი შეაკეთა, მიწაყრილთან ძველი სკამი ჩადგა. მეზობლები ჩურჩულებდნენ, შეხვედრისას ეშმაკურად ულიმოდნენ. მაგრამ ქალს არაფრისა რცხვენოდა, მშვიდად, თავშეკავებულად, ქალური სიამაყით აღვსილი დადიოდა. ამაყობდა საკუთარი თავითა და იმ კაცით, გვერდით რომ ედგა.

სიახლოვის წუთებში ორივენი მეტწილად დუმდნენ. პარხომოვი თავისკენ იზიდავდა და ხანგამოშვებით ოხრავდა. ქალი ხვდებოდა, ვებრალებიო. პარხომოვი არასოდეს უამბობდა არც თავის გრძნობებზე და არც თავის ოჯახზე. ფრუზამ უკვე იცოდა, რომ ბარანოვიჩში იმას ოჯახი ჰყავდა. არც თვითონ ეკითხებოდა რამეს, ეშინოდა, არ დაერღვია თავისი მოულოდნელი, ძნელად დასაჯერებელი მერყევი ბედნიერება. ამ ბედნიერებას ქალი მეტისმეტად აფასებდა და უფრთხილდებოდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლონდ გული უგრძნობდა, ხანმოკლე იქნებაო ბედნიერება...

დადგა მზიანი მაისი. ქალაქის თავზე ცა უმეტესად ლურჯად და ულრუბლოდ კიაფობდა. კედლებთან ლურჯი ჩრდილები გაწოლილიყო. ქუჩის კუთხეში უკვე ნაყინი და ტკბილი წყლები იყიდებოდა. პეტრაჩენკოვმა შაშის დაფასავით ჭრელ-ჭრელა, კუბოკრული პიჯაკი ჩაიცვა, თითქოს მხრებში ჩამოსხეპილი. ნონამ წვრილქუსლიანი ქათქათა თეთრი მაშიები ააბაკუნა. დაწესებულების წინკართან ყვავილნარი იყო გაშენებული, სამფერა იები მიწას ჯერ რიგიანად არ ასცილებოდნენ, მაგრამ იქაურობა უკვე აეჭრელებინათ.

ერთ დღეს კარის ჭრიალი რომ მიწყნარდა და თანამშრომლები თავთავიანთ კაბინეტებში მიიმალნენ, ფრუზამ კიბის ქვეშ შენახული სარწყავი გამოიღო, წყლით გაავსო და ყვავილნარის მოსარწყავად გამოვიდა. გრილი შესასვლელის შემდეგ მზე საკმაოდ მცხუხვარედ მოეჩვენა ქალს.

ფრუზა ფრთხილად ადგამდა ფეხებს, რათა იები არ გაექელა, ყვავილებსა რწყავდა და თან იმ არაჩვეულებრივ პარხომოვზე ფიქრობდა. უკვე ერთი კვირა იყო, რაც მივლინებაში იმყოფებოდა და ქალს ამიტომაც არც სამსახურში და არც შინ აღარ მიუხაროდა.

ამ დროს გაიღო კარი და მცონარა და ძილისგუდა დამლაგებელმა ანამ გამოყო თავი.

— დეიდა ფრუზა, პეტრაჩენკოვი გთხოვთ.

ქალს უსიამოვნო წინათგრძნობამ შეუკუმშა გული. სარწყავი ასფალტზე დადო, მკერდზე გულსაბამი გაისწორა და აჩქარებული ნაბიჯით შენობისაკენ წავიდა. მეორე სართულზე კარის წინ ერთი წამით შეყოყმანდა, მერე სახელური თავისკენ გაუბედავად გამოსწია. პეტრაჩენკოვი რაღაცას სწერდა, ახალი მოდის ძვირფასი ავტოკალამი ქაღალდზე ლაღად დასრიალებდა.

— აჰა, ახლავე, — ჩაიბურტყუნა კაცმა.

ფრუზა პეტრაჩენკოვის მაგიდასთან შეჩერდა და მოთმინებით დაუწყო ცდა. თან ცდილობდა გამოეცნო, რისთვის დასჭირდა ამ კაცს მისი გამოძახება.

როცა წერა დააბოლოვა, პეტრაჩენკოვმა ქაღალდების ქექვა დაიწყო და უცებ, თითქოს სხვათა შორის, იკითხა:

— მართალია, თქვენზე რომ ამბობენ... ვითომ იმ შოფერთან... რა ჰქვია... ჰო, პარხომოვთანო... ჰა?

პეტრაჩენკოვის სათვალემ წამიერად გაიელვა. ამ უხეში, ჯიქური კითხვით გაოცებული ფრუზა უსიტყვოდ იდგა და საკუთარ ხელებს დასცქეროდა.

— ჰა? — ისევ შეეკითხა პეტრაჩენკოვი. — ეტყობა, ჭორია, არა?

ქალი არასოდეს ცრუობდა. თუკი დანაშაულსა გრძნობდა, თავს გაიმართლებდა. ჰოდა, თუმცა ეწყინა, ასე მოურიდებლად რომ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ მაინც არ იუარა, მხოლოდ მხრები აიჩეჩა და თქვა:

— მერე რა? ხანდახან მოდის ხოლმე...

პეტრაჩენკოვმა ისე გახედა, თითქოს ფრუზას ზურგს უკან ვილაც დგას და იმას იმოწმებსო, მერე ცალყბად ჩაიცინა:

— მართალი გითხრათ, ამას არ მოველოდი... კლასიკურად პირდაპირი პასუხია... მერე იცით კი, რომ... რომ თქვენი... მე ვიტყოდი, სამარცხვინო საქციელი ჩრდილს აყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებს, ასე ვთქვათ, მთელ დაწესებულებას? იცით კი, რომ იმ თქვენს, რა ჰქვია, პარხომოვს ოჯახი ჰყავს, ვის მიმართაც. ასე ვთქვათ, განსაზღვრული მოვალეობა აკისრია. დიახ! ჰოდა, ახლა თქვენი არაორაზროვანი განცხადების შემდეგ მე, როგორც ადგილკომის თავმჯდომარე, იძულებული ვარ არ ვიკმარო ეს სიტყვები და მივიღო, ასე ვთქვათ, გადამწყვეტი ზომები, იმ გაგებით, რომ...

ფრუზას არაფერი ესმოდა, მაგრამ გულისტკივილით გრძნობდა, რომ საზიზღარი, სამარცხვინო ამბავი მოხდა და რომ ის რაღაცაში დამნაშავე იყო.

უაზრო თვალებით მისჩერებოდა ფრუზა ფანჯრიდან იმ კარს, რომლის იქითაც ჩვეულებრივ პარხომოვის მანქანა იდგა ხოლმე. ახლა კარი დაკეტილი იყო. ქალს ნაღველი შემოაწვა გულზე. — მას მარტოდმარტოს უნდა ეკისრა ეს მძიმე ბრალდება. ფრუზა ქვემოთ ჩავიდა, ფანჯარასთან მივიდა და რაფას დაეყრდნო.

მან გაოცებით გაიფიქრა, რომ აღრე არასოდეს მოსვლია აზრად, თუ ვინმე მის საქციელს სამარცხვინოდ ჩათვლიდა. პეტრაჩენკოვის ნათქვამის შემდეგ ქალისათვის ნათელი გახდა, რომ შოფერთან სიახლოვეს არავინ აპატიებდა, მაგრამ რა დააშავა, ქალმა ვერა და ვერ გაიგო. განა ვინმეს რამეს აიძულებდა? ან რამე ცუდ საქციელზე უბიძგებდა პარხომოვს?

საღამომდე ძლივს მიატანა და, შინისკენ მიმავალმა, გზაში მოიოხა გული ტირილით. გარკვევით კი ბოლომდე ვერ გაერკვა, რა შესცოდა ასეთი.

მეორე დილით გულის კანკალით ელოდა ცხრა საათს, როცა თანამშრომლები მოვიდოდნენ. როგორც ყოველთვის, ამ დღესაც პირველი შავროვი გამოცხადდა. გულმოდგინედ გაიწმინდა ფეხები და ფრუზას მოკლედ მიუგდო:

— სალამი! რასა იქმ?

რაღაც სხვანაირი კილო ჰქონდა შავროვს და ფრუზამაც ყური ცქვიტა. შავროვმა კი, ვინ იცის, ხუმრობით თუ მართლა გააგრძელა:

— გავიგე, შენ უკვე ისა... საქმრო გიშოვია... აქვე, ახლოს, თანაც ცოლშვილიანი! ყოჩაღ, ყოჩაღ!

მან ალბათ იქვე დაივიწყა თავისი ნაოხოუნჯევი, ფრუზამ კი იგრძნო: ცოტაც და გული წაუვიდოდა. აღარავინ შეუმჩნევია, აღარავის მისალმებია, არც ივან კუზმიჩს, არც პეტრაჩენკოვს. გვერდით რომ ჩაუარა და გამოთეთრებული თვალებით ცივად გადმოხედა, არც ნონას, მეტისმეტი თავაზითა და დამცინავი ხმით რომ მიესალმა... ფრუზა შეურაცხყოფილი და გულნატკენი დარჩა ამ ხალხზე, მთელ ქვეყნიერებაზე!

იმავე დღეს საღამოს მივლინებიდან პარხომოვი დაბრუნდა. გაიხედა თუ არა ფრუზამ ფანჯრიდან ეზოში, მაშინვე დაინახა მისი მანქანა, ალაყაფის კარში შესასვლელად შემობრუნებას რომ ცდილობდა. ქალს გული ისევე აუფანცქალდა, როგორც პირველი შეხვედრისას. ერთი პირობა იფიქრა, შეეგებებიო, მაგრამ მერე დაცდა ამჯობინა, ვინემ პარხომოვი მანქანას არ დააბინავებდა.

როგორც კი პარხომოვმა აკუმულატორი მოხსნა და ჩვრით გაპრიალება დაუწყო, ნაბიჯების ხმა შემოესმა და შემობრუნდა. ფრუზამ გაუბედავად გაუღიმა.

— იცი, პეტრაჩენკოვმა გამომიძახა: ლანძღვა დაიწყო... მკითხა, მართლა თუ დადიხარ ჩემთან.

კაცის მტვერდადებულ, დაღლილ პირსახეზე შიშმა და წუხილმა გადაირბინა. ფრუზა მოიბუზა.

Г 4193

— მერე... შენ რა ჰქენი? რა უპასუხე?

— მე რა მეთქმოდა? ვუთხარი, დადის-მეთქი... სულ ეს არის.

— სულელო! — პარხომოვმა ჩვარი გაბრაზებით დაახეთქა ძირს.— განა შეიძლება ეგრე? შენცა ხარ, რალა!..

ქალს უნდოდა ეთქვა, რომ მას სხვაგვარად არ შეეძლო, ვერ მოახერხა, არ გამოუვიდოდა. მაგრამ როცა პარხომოვის გაბოროტებულ სახეს შეხედა, ხმა ალარ ამოიღო, გაჩუმდა. ძლივს მიიტანა წელი შესასვლელში მდგარ თავის სკამამდე. ჩამოჯდა და თავი ველარ შეიკავა, მწარედ აქვითინდა. იქვე გვერდით ხალხი დადიოდა, რაღაცას ლაპარაკობდნენ, რაღაცას ეკითხებოდნენ, მაგრამ ქალს არც ერთხელ არ აუწევია ნამტირალევი. ცრემლისგან დაბრმავებული თვალები...

ამ დღიდან მოყოლებული მძიმე დღეები დაუდგა ფრუზას. პარხომოვი შინ ალარ აკითხავდა, სამუშაოზედაც გაურბოდა, თავს არიდებდა. ქალი ხშირად ხედავდა, შოფრებში რომ იდგა. პაპიროსს ეწეოდა, მასლაათობდა. ფრუზა ძველებურად ილტვოდა მისკენ. არაფერში ადანაშაულებდა. ახლა უკვე ნანობდა, პეტრაჩენკოვს რად გამოვუტყდი, მაგრამ რა ექნა, როცა სიცრუე, ტყუილის თქმა, თავის მოკატუნება არ შეეძლო, არ ეხერხებოდა.

მალე გამოირკვა, რომ დედა უნდა გამხდარიყო. როცა წარმოიდგინა, რა თვალით შეხედავდნენ ამ ამბავს სამსახურის თანამშრომლები ან მეზობლები, შეძრწუნდა. თავზარი დაეცა. საოცრად მოუნდა სადღაც გაქცეულიყო და გადამალულიყო. მაგრამ სულ მალე გაუჩნდა ახალი ფიქრი, ამ ფიქრმა თვითონვე ძალიან გააოცა: მას ეყოლება შვილი, პატარა, საყვარელი არსება, ამქვეყნად ყველაზე ახლობელი და ყველაზე ძვირფასი. უცებ გაიხსენა მეზობლების შვილები, დროზდოვას პატარები და მის გულში საწინააღმდეგო გრძნობები შეეჭიდნენ ერთმანეთს. ფრუზამ იცოდა, რომ ძალიან გაუჭირდებოდა, პეტრაჩენკოვი არ მოეშვებოდა, ბოროტი ენებიც ქვეყანას მოსდებდნენ მის ამბავს. მაგრამ ეს ყოველივე ძალას კარგავდა და ფერმკრთალდებოდა დედობის ბედნიერების წინაშე.

ფრუზა თანდათანობით დამშვიდდა. გამხიარულდა. ახლა უკვე საკუთარ თავს უფრთხილდებოდა, ცდილობდა დროზე ეჭამა, გვიანობამდე არა მჯდარიყო, თავის ისედაც პატარა ჯამაგირიდან მაინც ახერხებდა ცოტა გადაენარჩუნებინა. ფული ხომ საჭირო იქნებოდა. როცა ქვეყანას მისი შვილი მოევლინებოდა... შინ დაბრუნებისას ბაღებთან ან პარკებთან ჩერდებოდა და ეტლებში ჩაძინებულ პაწაწინა ბავშვებს ღიმილით შესცქეროდა...

ასე გადიოდა დღეები. ფრუზა გარეგნულად შეიცვალა და ეს უკვე ხალხმაც შეამჩნია. ერთხელ დროზდოვამ მის საეჭვოდ დამრგვალებულ მუცელს თვალი შეავლო და მერე თავხედურად ჯიქურ შეეკითხა:

— შენ რამ დაგამრგვალა ასე? ბავშვს ხომ არ ელოდები?

ფრუზას შერცხვა, გაწითლდა, ხელი დაიფარა მუცელზე.

— ჰო, ბავშვს ველოდები...

— აგრემც მიწა გაგსკდომიათ შენცა და შენს ბავშვსაც!—განზრახ გაბრაზებით აჯაჯღანდა დროზდოვა.— როგორ მიიყვახე საქმე აქამდე, დროზე ვერ შეატყვე თავს? ადრე უნდა გეზრუნა, ახლაც შეიძლება. თან არც ძვირია... ჯანდაბა და დოზანა შენს თავს!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რათა?... — წყნარად შეესიტყვა ფრუზა, როცა მიხვდა, რას ურჩევდა დროზდოვა,—დაე, გაჩნდეს.

— გაჩნდესო? — გაიკვირვა დროზდოვამ. — აი, სასწაული! გაჩნდესო! ეგ რამ გაფიქრებინა, ქალო? აგრე როგორ შეიძლება? უქმროდ შვილის გაჩენა ვის გაუგია... გაჩნდესო! შენა გგონია, ბავშვი გაჩნდება და მორჩა საქმე? კატორღაში ჩაიგდებ თავს, შენს ცხოვრებაში ვეღარ გაიხარებ, თავბედს დაიწყევლი. ეგ შენ უვიცობით მოგდის, შენთვის პირველია და იმიტომ, მე კი უკვე ექვსი გავაჩინე. მაგათ ჩამიმწარეს სიცოცხლე, ეგენი ჩამიყვანენ მალე სამარეში!

ფრუზას ხმა არ გაუღია, ოღონდ კოფთა და წინიდან დამოკლებული კაბა გაისწორა, დაბლა დაქაჩა. კარგი იყო, უფრო განიერი, თავისუფალი კაბა შეეკერა, მაგრამ ფული ვერ გაიმეტა. ან რაში სჭირია? არც არავისი რცხვენია, არც ვინმეს უმალავს. პატარაზე ფიქრს ისე შეეჩვია და შეეთვისა, კიდევაც ამაყობდა თავისი ორსულობით.

დროზდოვა კი ვერა და ვერ დამშვიდებულიყო. ყოველ დილას ფრუზასთან შეხვედრისას (ალბათ პირს უკანაც) ერთთავად ლანძღავდა და საყვედურობდა, მაგრამ ყველაზე მეტად პარხომოვს თათხავდა.

— ახ, შე უბედურო, შე უსინდისო და ბოროტო, ეს რა ჩაიდინე! — გაჰკიოდა იგი და აინუნშიც არ აგდებდა, რომ ტიხარს გადაღმა ხალხი მიდი-მოდიოდა. — მე შენს ადგილას თვალებს დავთხრიდი, ცხვირს ჩავუჩეჩქვავდი, სამუდამოდ დავახსომებდი თავს მაგ უწმინდურსა და წყეულს. არა, მე არაფრით არ ვაპატიებდი. აქ რას უდგეხარ? — დაუტატანებდა ხოლმე ფრუზას. — წადი დირექტორთან, მიდი ადგილკომში, დაე აიძულონ ეგ ოხერი ცოლად შეგირთოს.

მაგრამ ფრუზა არსადაც არ მიდიოდა. პარხომოვს არავისთან არ უჩიოდა. უჩიოდა კი არა, ამდენ საზრუნავში იმისი არსებობა თითქმის კიდეც დააავიწყდა. კი მიხვდა, რომ შეცდა, მაგრამ განა იმან რამე ცუდი გაუკეთა? იმ კაცთან დაკავშირებული ამბები ტკბილად და სასიამოვნოდ აგონდებოდა. ხოლო თუ პარხომოვი ძველებურად ალარ ეკიდებოდა, თუ მისდამი სულ შეიცვალა, მერე რა... ფრუზა ხომ პატარძლობას არ აპირებდა, ახ თვითონ ის სადაური ნეფე იყო! ფრუზას ფიქრით პარხომოვზე გულისმოსასვლელი და ჯავრის საყოველი არაფერი ჰქონდა. ჰოდა, ცხოვრობდა ძველებურად თავისთვის, წყნარად, ოღონდ ახლა მარტოობისა ალარ ეშინოდა და ის პარხომოვიც დიდად ალარ ესაჭიროებოდა.

მაგრამ ხალხი არ ასვენებდა. ეტყობა, პარხომოვის ცოლმაც ბალაცას მოჰკრა ყური, რადგან სულ მალე გაახსენა თავი. დილას ის-ის იყო მორიგეობას შეუდგა. რომ ჭრიალა კარებში დირექტორს შეეფეთა. ქალი გვერდზე გახტა, სალამი მისცა და შეეცადა მალე გარიდებოდა, მაგრამ დირექტორი მოულოდნელად შეჩერდა.

— ჰო, მართლა, რა მოგიხდათ პარხომოვთან? იმისმა ცოლმა წერილი გამოგზავნა, სასამართლოთი იმუქრება. მე ის გუშინ დავითხოვე სამსახურიდან... საკუთარი სურვილით წავიდა. მაგრამ თქვენ? თქვენ რას ფიქრობთ?

დირექტორს გაჩეჩილი წარბები შეეჭმუხნა და ქალს თვალს არ აშორებდა. ფრუზა გრძნობდა, როგორ უშლიდა ხელები და სად წაელო ისინი. არ იცოდა. მუცელზე დაფე-

ნილ კოფთის ბოლოებს თითებითა სრესდა და ნატრობდა, მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა, ოღონდ ამ მკაცრ თვალებს სადმე დამალვოდა. ხმას ვერ იღებდა, პასუხს არ აძლევდა, მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თავს როგორმე მორეოდა და არ ეღელვა, რადგან მღელვარება პატარას ავნებდა. დირექტორი ერთხანს ასე იდგა, მერე თავი გადააქნია და კიბისაკენ წავიდა.

„ოღონდ არ ავღელდე, ოღონდ თავი შევიკავო როგორმე და არ ავღრიალდე“, ვინ იცის, მერამდენჯერ გაიმეორა ფრუზამ, როცა ფანჯრისაკენ მიდიოდა. მეორე დღეს შინაც იმასვე ეუბნებოდა თავის თავს, როცა მიწაყრილთან შეგროვილი მეზობლების ჭორაობა ესმოდა...

დადგა შემოდგომა... ფრუზას უკვე აღარ შეეძლო გაჭედილი ავტობუსით მგზავრობა, სადაც ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა და ჯიკაობდა. სამსახურშიც და შინაც უმეტესად ფეხით დადიოდა. ისე ეგონა, თითქოს ხალხს რაღაცა აწყენინა, რაღაცა გააკეთა ისეთი, რაც არ უნდა გაეკეთებინა. ნეტამც შესაძლებელი ყოფილიყო სულაც არავის დანახვებოდა თვალით. კიდევ კარგი, შემოდგომა იყო, წვიმა გადაუღებლად ასხამდა. ქალმა თბილი ჯემპრი ჩაიცვა და მუცელიც ისე ძალიან არ ეტყობოდა.

დროზდოვა აღარ ეჩხუბებოდა. მხოლოდ ერთხელ, როცა ფრუზა შეუძლოდ გახდა, გულმოსულმა დაუყვირა, შენს თავს ეგრე უყურადღებოდ ნუ ექცევიო, თვითონ დაჯდა მის ადგილზე და ფრუზა შინ გაგზავნა. არც პარხომოვი დაივიწყა, იმასაც შეუკურთხა და მერე საკუთარ ბედზე აწუწუნდა — არც იმას ჰქონდა ტკბილი ცხოვრება.

რისაც ყველაზე უფრო ეშინოდა ფრუზას, სწორედ ის მოხდა: მშობიაროობა სამსახურში დაეწყო. დილიდანვე ძალიან ციოდა, საშინელი, სუსხიანი ქარი ქროდა. ამისთანა ამინდში ფრუზამ მთელი ქალაქი ფეხით გაიარა. როცა მორიგეობა გადაიბარა და სკამზე დაჯდა, წელი ველარ აიტანა ზევით. სხეული ერთიანად გაუხურდა, ფეხები წაერთვა. ისე გაუჭირდა, სადილობამდე ძლივს მიატანა. მერე კი უკვე შეუძლებელი გახდა მოთმენა.

ანას შეეხვეწა, ჩემ მაგივრად იმორიგეო, და თვითონ ფრთხილი, გაუბედავი ნაბიჯით გაემართა სამშობიაროსკენ. შორს არც იყო წასასვლელი, იქვე ახლოს უნდა მისულიყო...

დილისათვის უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. ისე მოიმშობიარა, დაუყვირია კი არადა. ერთი კვნესა არ ამოხდომია, საშინელი ტკივილი უსიტყვოდ და უდრტვინველად გადაიტანა, ხალხის შეწუხების ერიდებოდა. ექიმმა ქალმა მოთმინება და ვაჟკაცობა შეუქო. ხოლო როცა უთხრეს, ძალიან ჯანმრთელი და კარგი ბიჭი გააჩინეო, ყველაფერი ერთბაშად დაავიწყდა.

როცა პატარა დედას მოაშორეს და მეორე ოთახში გაყვანა დაუპირეს, ისეთი ბოხი ხმით აღრიალდა, იმ წამიდან მოყოლებული დედას სამუდამოდ დაამახსოვრდა ეს მომთხოვნი, მბრძანებლური ხმა. მერე პაწაწინა მოწითალო პირსახე დაინახა, მაგრად დახუჭული თვალები და რძის ხარბად საწუწნად აპრეხილი ზედა ტუჩი. ისე ტკბილადა სწოვდა ხოლმე ძუძუს, ისე აწლაპუნებდა პირს, ლამის დამღნარიყო ფრუზა.

სამშობიაროში თავს ჩინებულად გრძნობდა. ოღონდ თორმეტი საათისათვის, როცა სანიტრებს წინ და უკან სირბილი აუტყდებოდათ, როცა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგინეებს შინიდან გამოგზავნილ საჭმელ-სასმელს ჩამოურიგებდნენ, ფრუზა თავს უხერხულად გრძნობდა. პალატაში სათითაოდ ყველა მაგიდას ნაირ-ნაირი ყვავილები ამშვენებდა ლარნაკით. მხოლოდ მისი ლარნაკი იდგა ცარიელი. ფრუზას ეს ყვავილები სულაც არ ენაღვლებოდა, ეგ იყო, ხალხის თვალები აწუხებდა... ამ თვალებს არაფერი დაემალებოდათ, ისინი ყველაფერს კითხულობდნენ, რაც შენს სულში ხდებოდა. პალატის მეზობლები და ბებიაქალები, ეტყობა, ყველაფერს ხვდებოდნენ, მაგრამ არაფერს ეკითხებოდნენ და ფრუზაც დიდად მადლიერი იყო მათი.

და მაინც ვერა და ვერ დაეძლია გულში შემოპარული შიში. დიდი ხნის წინათ მის მშობლიურ სოფელში მომხდარი ამბავი სულ თვალწინ ედგა. ის იყო ომი დამთავრდა, ჯარისკაცები საკუთარ კერას უბრუნდებოდნენ. ყველა ოჯახი მოუთმენლად ელოდა ჯარმოვლილ ვაჟკაცს. ერთადერთი ქვრივი ელენე იყო, არავის რომ არ უცდიდა. მისი მეუღლე ეფიმი ჯერ კიდევ ათას ცხრაას თექვსმეტ წელში მოკლეს უცხოსა და შორეულ გალიციაში.

როცა ეს საზარელი ამბავი შეიტყო, რამდენიმე დღის განმავლობაში ელენე ისე მოსთქვამდა, მთელ სოფელში ისმოდა. მერე ჩალისფერი ცხენი ორთვალაში შეაბა და მინდორში წავიდა.

ფრუზა მაშინ ერთი ბეწო გოგო იყო, მინდორში მამასთან სადილი დაჰქონდა ხოლმე. ვერაფრით ვერ გარკვეულიყო, ეს ახალგაზრდა ქალი ერთთავად გუთანთან რად იჯდა და რა ატირებდა. მაგრამ მალე გამოუჩნდა მხსნელი ქალს, დამშვიდდა, გამხიარულდა და ერთ მშვენიერ დღეს პატარა გოგო ნიუშკაც გააჩინა. ფრუზას კარგად ახსოვდა, არყის ხის ლატნებისაგან მოწნულ აკვანში როგორ იწვა ეს ერთი ციცქნა არსება და ცივი ხმით გაჰკიოდა. უმამოდ გაჩენილი გოგოს სანახავად სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად ელენეს სახლთან ფრუზაც დარბოდა და ფანჯრიდან იჭყიტებოდა. სოფელში ეს იმდენად უჩვეულო ამბავი იყო, რომ მარტო ქალები და კაცები კი არა, ბავშვებიც კი ნიშნისმოგებითა და გაკილვით ლაპარაკობდნენ. მერე კი ის საშინელი უბედურება დატრიალდა, რომლის გახსენება ახლაც თავზარსა სცემდა ფრუზას. რომელიღაც უქმეზე უგონოდ გამომთვრალმა ელენეს პირქუშმა და უხიაკმა მამამთილმა რძალი ისე უმოწყალოდ სცემა, სასიკვდილოდ მოაქცია. ნახევარი წელიწადი ახველებდა და ნახველს სისხლს აყოლებდა ქალი, ბოლოს ლოგინად ჩავარდა და მოკვდა. მთელ სოფელში ერთი სულიერი არ გამოსარჩლებია, არავის შებრალებია, არავის გაუმართლებია ელენე. დასაფლავებითაც კი სასაფლაოს განაპირას დაასაფლავეს საფლავის ბორცვი მალე დაფარა შამბნარმა, მაგრამ სოფლის დედაკაცები ელენეს სახელით კიდევ დიდხანს აშინებდნენ ბალღებს.

მართალია, ახლა სხვა დრო იყო, მაგრამ ადამიანებს გახა ერთნაირი ბუნება აქვთ. ფრუზას გული უსკდებოდა, ვაითუ დაწესებულებაში ეს სამარცხვინო დედობა არ მაპატიონო... ისევ დაიწყებდა თათხვას პეტრაჩენკოვი, ვინ იცის, ეგება ადგილკომშიაც გამოეძახათ და სასჯელი დაედოთ... ყოველგვარ ღონესა ხმაროობდა, არ ეფიქრა ამ საშინელებაზე. შვილს ეფერებოდა და ელოლიავებოდა, მაგრამ შავ ფიქრებს მაინც ვერ იცილებდა. ის კი სჯეროდა მხოლოდ, რომ შვილის გუ-

ლისათვის ყოველივეს გაუძლებდა და გადაიტანდა.

ძალიან მალე მოძჯობინდა ფრუზა. რამდენიმე დღის შემდეგ ადგომის ნებაც დართეს. საწოლზე ჩამომჯდარი გულგადალეული ელოდებოდა, როდის მოიყვანდნენ ეტლში ერთმანეთის გვერდით ჩაწოლილ, თეთრ სახვევებში გამოკრულ პაწაწებს. კარის ზღურბლიდანვე სცნობდა თავის ბიჭს, სიხარულს ვერ იოკებდა, პირველი ეგებებოდა და მერე უხალისოდ ატანდა უკან. ბებიაქალები ძალიან უქებდნენ შვილს. ექიმმა ქალმა ისიც კი უთხრა, ნამდვილი გოლიათია, ოთხ კილოსა და რვაას გრამს იწონისო. ამის გაგონებაზე დედის გული სიამაყით ივსებოდა.

დადგა სამშობიაროდ სახლის დატოვების დღეც. უკანასკნელ ღამეს განსაკუთრებით შფოთავდა ფრუზა. ახალჩაძინებულმა საშინელი სიზმარი ნახა და გათენებამდე ვერა და ვერ დახუჭა თვალი. პეტრაჩენკოვი, დირექტორი ივან კუზმიჩი და შავროვი ესიზმრა, ვითომც სამივენი სამშობიაროში მოსულიყვნენ და ბავშვის წართმევასა ლამობდნენ. ქალს ახალშობილის მიტაცებას და მითვისებას აბრალებდნენ, გულგახეთქილ დედას კი ვერ დაემტკიცებინა, ჩემი საკუთარი შვილიაო. შიშისაგან გამწარებული ფრუზა სასოწარკვეთილი დარბოდა ხან ოთახებში, ხან ქუჩებში და შვილს მალავდა, მაგრამ მდევარი ფეხდაფეხ მოყვებოდა.

გაიღვიძა თუ არა, ის გაიფიქრა, დილით რაღაცა საშინელება მოხდებაო. დილაბნელზე წამოდგა, თავისი ხაბაკ-ხუბაკი მოაგროვა, სამსახურში დარეკა. ანას, ვინც თურმე ფრუზას მაგივრად მორიგეობდა, სთხოვა, დროზდოვას გადაეცი, ბავშვის თეთრეული მომიტანოსო. ძალიან გაუჭირდა ათ საათამდე მოცდა, როცა ექიმები უნდა მოსულიყვნენ და გაეწერათ.

დრო ნელა მიიზლაზნებოდა. ათიც შესრულდა და თერთმეტიც, დროზდოვა კი არსად ჩანდა. ფრუზას ჩააბარეს დაბადების მოწმობა, ცნობა იმაზეც, ბავშვს ყველაფერი აცრილი აქვსო. დაბადების მოწმობა, როგორც ყველაზე ძვირფასი საბუთი, ქალალდში გაახვია და უბეში ჩაიდო ფრუზამ. დროზდოვას მოლოდინში დერეფანში ბოლთასა სცემდა და ფიქრობდა, ამ ყინვასა და სიცივეში შვილი შინამდე როგორ მიეყვანა. ადრევე უნდა ეზრუნა და ეყიდა თბილი საბანი, მაგრამ ფული ყველაფერს ველარ გააწვდინა. როცა მომვლელმა ქალმა კარი გამოაღო და გამოუძახა, ფრუზა შეკრთა. წინა გასასვლელ ოთახში დროზდოვა დაინახა. თბილ შალში შეფუთულს პლუშის მოკლე პალტო ეცვა, ხელში თეთრი შეკვრა ეჭირა და ელოდებოდა. ფრუზას ოდნავ გაუღიმა და თავისებურად უხეშად, მოურიდებლად დაიწყო:

— აბა, რას შვრები, საცოდავო, გამოდიხარ? გეტირა ყოფის დღე? არ გეუბნებოდი, შავი დღე დაგადგებაა-მეთქი? აბა, სად არის ის შენი სისხლისმწოველი? აი ესენი მოგიგროვეთ... შენთან სახლში არ წავსულვარ, ძალიან შორსაა.

დროზდოვამ ფრუზას ხელში შეაჩეჩა ფუთაში გამოხვეული საბანი, ზეწრები და ლურჯი ბაბთით შეკრული ბავშვის სახვევები. ქალი გაოცდა, ვისიაო ეს ყველაფერი?

— აიღე, აიღე. — წაუმუჯლუგუნა დროზდოვამ. — ყველაფერი შეგიგროვეთ. ნონამ და შავროვმა ორმოცდაათ-ორმოცდაათი მანეთი მომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს. მეც ჩემი რამდენიმე სახვევი წამოგიღე, გამოგადგება.

— გმადლობთ, — ფრუზა ძლივს იმაგრებდა ცრემლებს, მოულოდნელად საოცრად შეებრალა საკუთარი თავი.

— ჰო, წადი, ჩქარა მაჩვენე შენი დოლრიალა ბიჭი, — ისევ გაჰკრა მუჯლუგუნი დროზდოვამ.

ფრუზამ სასწრაფოდ გადაიცვა დაჭმუჭნილი ტანსაცმელი — ტანსაცმელს უკვე გადასჩვევოდა — თან ერთთავად კარისაკენ იყურებოდა, საიდანაც მისი შვილის, მისი იმედისა და ბედნიერების პირველი გზა და სავალი უნდა დაწყებულიყო.

მუდამ ფაცურა და მოუცლელმა ბებიაქალმა ლამაზად გახვეული შეკვრა ფრუზას გადასცა და დაემშვიდობა. ფრუზამ ფრთხილად და ნაზად აიყვანა შვილი ხელში, ზეწარს ყური აუწია და შეიჭყიტა. დროზდოვამაც დახედა ახალშობილს.

— გძინავს? შენ კი რა გითხარი! პირწავარდნილი პარხომოვი ხარ! კარგი, კარგი, რაცა ხარ, ეგა ხარ. გაიზარდე დიდი ბიჭი! მომეცი აქ ბავშვი.

ქალმა უბოდიშოდ ჩამოართვა დედას შვილი, ორივე ხელი მარჯვედ შემოხვია, კარი მხარით გააღო და გავიდა. ფრუზაც გაჰყვა.

სანამ მიყრუებული შესახვევებით მიდიოდნენ, სადაც ხალხი ნაკლებად ირეოდა, ფრუზას ერთხელაც არ გახსენებია თავისი ამასწინდელი შიში და გულისხეთქვა. ახლა თავს მარტო აღარა გრძნობდა, ახლა მასთან ყველაზე ახლობელი, ყველაზე ძვირფასი არსება იყო, მისი სისხლი და ხორცი, მისი სიცოცხლის აზრი და ბედნიერება. აგე ეს ჯაჯღანა დროზდოვაც კი მოლბა და ამდენი მზრუნველობა გამოიჩინა...

დაწინაურებული დროზდოვა განზრახ გაჯავრებული კილოთი ესაუბრებოდა პატარას. ამ ქალის ბუზღუნს კარგა ხანია შეეჩვია ფრუზა და ახლა მოფერებადაც კი ეჩვენებოდა, ნონასა და შავროვსაც ძალიან ემადლიერებოდა. ალბათ მართლაც ახლობელია ამ ხალხისათვის, მზრუნველობა და ყურადღება რომ გამოიჩინეს. როცა დაწესებულებას მიუახლოვდნენ, უცებ დროზდოვამ შესასვლელი კარისკენ გაუხვია

— მიდი, აჩვენე შენი დოლრიალა ბიჭი. დაე ყველამ ნახოს, თორემ გული გააწყალეს, ფრუზა ასეთია. ფრუზა ისეთიაო! მიდი, ჰო, მიდი, აბა შენა ხარ, რას გადექი განზე! — შეუყვირა ქალმა.

ფრუზა შეყოყმანდა. ძალიან ერიდებოდა ბავშვის იქ შეყვანა, მაგრამ დროზდოვასთან განა რას გახდებოდა. თითბრის სახელურს ხელი ჩაავლო და გამოსწია. კარმა ისე მძიმედ დაიჭრიალა, თითქოს ძველ ნაცნობს მიესალმა.

მოსაცდელში სიწყნარე იყო. პირველმა ანამ მოირბინა თავისი ქუსლებმოქცეული თექის ჩექმებით. დროზდოვა ბატარეიასთან მარჯვედ მიჯდა და ბიჭს საბანი შემოაცალა.

— მოდით, ნახეთ, რა ვაქციეთ. ყველას გეგონათ, ფრუზა სხვაზე ნაკლებიაო? ეგეც თქვენი ფრუზა. აი, როგორ იზმორება ეს ღორმუცელა! მარტო მიართვი და აჭამე, სხვა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია! — ლაპარაკობდა დროზდოვა და თან ბიჭს აშიშვლებდა.

მოჰკრეს თუ არა ყური ამ ახალ ამბავს, რომელიღაც დერეფნიდან საჩქაროდ მოვარდა ორი დამლაგებელი. აპაკუნდა წვრილი ქუსლები და კიბის მოაჯირს ნონას ხუჭუჭა თავი გადმოეკიდა.

— რა ამბავია, რას აკეთებთ მანდ? — გადმოიძახა ზემოდან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკუნ-ბაკუნით ჩამოირბინა კიბე. — ვაი, რა პაწაწინაა, რა ბუთხუზაა! მომეცით რა. დამაჭერინეთ! — აყღურტულდა ნონა, სახვევებში გამოკრული პატარა მოუხერხებლად აიყვანა და გულზე მიიკრა.

ფრუზა შეშფოთდა, გული გადაუქანდა, ნონას ბავშვი არ გაუვარდესო, და ორივე ხელი შეაშველა ქვემოდან. ნონა კი მაღლა აბტუნებდა და მერე გულში იკრავდა პატარას. თურმე რამდენი სითბო და სინაზე ჰქონია ამ ახალგაზრდა ქალს. ამ დროს შავროვიც გამოჩნდა და თავისებურად, დაბოხებული ხმით შორიდანვე შემოუძახა:

— გამარჯობა, ფრუზიკო! რასა იქმ, როგორა მყავს შენი თავი? ოჰო, ამას რას ვხედავ — მომილოცავს გამრავლება! უჰ, რა ყოჩაღი ქალი ყოფილხარ! — შავროვი შავი ლაბადის შრიალ-შრიალით მიუახლოვდა ფრუზას. — მომეცით, მეც დამაჭერინეთ ეგ კაცი!

მაგრად გამოკრული ბავშვი ნონას ჩამოართვა, მაღლა აისროლა და მარჯვედ დაიჭირა. ბიჭი უსიამოვნოდ შეიშმუშნა.

— ძალიან კარგი ბიჭია, ძალიან კარგი, — ინჟინერს სიხარულისაგან თვალები უბრწყინავდა. — სახელი რა ჰქვია? — იკითხა შავროვმა, მაგრამ პასუხს აღარ დაუცადა. ზემოთ, კიბის მოედანზე პეტრაჩენკოვი შეამჩნია. ადგილკომს ჩამოსვლა ვერ გადაეწყვიტა, ფეხს ითრევდა.—ჰეი, პეტრაჩენკოვ, მოდი აქ, ნახე, რანაირი კაცი მოევლინა ქვეყანას.

ფრუზა შეკრთა, წუხანდელი სიზმარი გაახსენდა. იფიქრა, პეტრაჩენკოვი საყვედურებს მოჰყვებაო, მაგრამ ადგილკომის თავმჯდომარემ დიდი მზრუნველობით გაისწორა ცისფერი ყელსახვევი ჭრელი პიჯაკის ქვეშ, კიბეზე ფრთხილად ჩამოდგა ფეხი და ქვემოთ ჩამოვიდა. მის ნაადრევად დამჭკნარ სახეს ცნობისმოყვარე თუ დამნაშავე ღიმილი შეადნა.

— აი, შეხედე. — არ ეშვებოდა ინჟინერი. — კაცი, ადამიანი გაჩნდა! ასეა, ძმაო, სიცოცხლე სიცოცხლესა ჰქმნის. მართალი არა ვარ?

ყველა იღიმებოდა. პეტრაჩენკოვი ახლოს მივიდა, დახედა ბიჭს, შავროვი რომ ათამაშებდა. მართალია, ფრუზას ბიჭისთვის ხელი არ მოუვლია, მაგრამ მისმა მოწყალე ყურადღებამ ქალი დაამშვიდა და გული საგულეში ჩაუგდო.

— რა გაეწყობა... ადამიანი გაჩნდა, სინამდვილეს ვერ გაექცევი! ამას დასტურიც არა სჭირდება, — თავისი პრიალა სათვალიდან პეტრაჩენკოვმა იქ მყოფთ გადახედა, ოდნავ გაიღიმა, ფრუზას შემოუბრუნდა და დაუმატა: — იცით რა, სემაშკო, ადგილკომში განცხადება შემოიტანეთ, რომ სამასი მანეთით დაგეხმარონ. რაღაი საჭიროა, რა გაეწყობა... ჰო, კიდევ ის უნდა მეთქვა. დირექტორმა თქვა, სახლში ჩემი „პობედით“ წაიყვანეთო. ისე რომ ფეხით არ წახვიდეთ.

ფრუზამ შავროვს ჩამოართვა და პირველად თავისი ხელით შეახვია ის, ვინც ხალხის ესოდენ სასურველი ყურადღება მოუხვეჭა. ძალიან ღელავდა, მაგრამ უკვე აღარ ცდილობდა თავის დამშვიდებას. დროზდოვა არ ეხმარებოდა, შორიდან უყურებდა დაკვირვებით დედის ჯერ გაუბედავ მოძრაობას, შავროვი გულღიად და კეთილად იღიმებოდა. შეკავებულ სიხარულს გაეშუქებინა ანასი და ორი დანარჩენი დამლაგებლის თვალები.

მხოლოდ ნონა მოღრუბლულიყო რატომღაც, წვრილი წარბები მოეჭმუხნა და საკუთარი ფეხსაცმელების ჭვინტებს დასცქეროდა ჩაციებით.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირილ ჯოსეპაჩი — იუგოსლავია —

საყვირისა და ლრუბლის გალადა

რომანი

თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

I

ნაღვლიან ჰანგს უკრავდა საყვირი და მტრედისფერ ცაზე უდარდელად მიცურავდა თეთრი ლრუბელი.

ცოტა ხნის მერე კი...

ყველაფერი უბრალოდ და კარგად დაიწყო.

ჩემოდანი, ზურგჩანთა და საბეჭდი მანქანა იატაკზე დადეს. მყუდრო, ცოტათი ბნელი ოთახიც კი იყო, ან იქნება ნაშუადღევის მზის მწველი სხივებით გაჩირაღდნებული ქუჩიდან შემოსული კაცის თვალს ეჩვენა ასე.

სახლის პატრონმა, მალალმა, ხმელ-ხმელმა, წელამდე შიშველმა გლეხმა, მოკლე შარვალი რომ ეცვა, ზანტად მოიწმინდა ოფლით დაცვარული შუბლი, ვიწრო ეზოში გამავალ ფანჯრის რაფას მიეყრდნო და გაბანჯგლული ნიკაპი მოიქექა. ეზო თვალისმომჭრელი მზის სხივებით ჩახჩახებდა და ფანჯარასთან მდგარი კაცი ამიტომაც შავად მოჩანდა.

პეტერ მაიცენმა ერთი კი შეავლო მზერა სახლის პატრონს და მაგიდასთან მივიდა. ისე, უნებურად შეავლო და მისმა გაწაფულმა თვალმა წამსვე დაადგინა: „დიდმოწამის ჩაშავებულ გოთურ ქანდაკებას ჰგავს, ოღონდაც გადიდებულს“.

ისიც გაიფიქრა, ეს რა მარჯვე შედარება გამომივიდაო, მაგრამ იმ წუთს არც შედარება ენაღვლებოდა და არც ეს კაცი. თავში ათასნაირი ფიქრი უტრიალებდა, გული კი სიხარულით ჰქონდა სავსე. ხელი წამოავლო დანჯღრეულ მაგიდას და ოლოჩოლრო იატაკზე გააჩოჩა, ეგებ სხვაგან უფრო მყარად დადგესო.

სახლის პატრონმა ისევ მოიქექა ნიკაპი, მერე ჩაახველა და ამოღერღა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰმ, მაშ ასეა საქმე... მაშ წერთ, არა?

— ვწერ! — თავი დაუქნია პეტერ მაიცენმა.

— ჰმ!.. ისე კი შეგხვდავთ კაცი და ან მასწავლებელი ეგონებით, ან ექიმი... ან კიდევ სხვა ვინმე...

— ჰოდა, ხომ ნახეთ, არ ყოფილა ეგრე! აი, სათვალეც არ მიკეთია! — გაიხუმრა პეტერ მაიცენმა. შუახნის კაცი იყო, მაღალი არ ეთქმოდა. დღეს მხიარულ გუნებაზე იყო, ცოცხლად გამოიყურებოდა და თავის ჭრელაჭრელა პერანგს დიახაც იფერებდა. „ბედნიერი ვარ! ბედნიერი! — ისე უჩქროლავდა გული, ცოტა არ იყოს, რცხვენოდა კიდეც. — ბალღივით ვხარობ და პაემანზე პირველად მიმავალი ჭაბუკივით ვღელავ“.

— ჰმ, მაშ ასე, — გააჭიანურა სათქმელი სახლის პატრონმა, — წიგნებს წერთ?

— წიგნებს... „ეს ხომ მართლაც ასეა თითქმის“.

— ასე ვთქვათ, ისტორიებს?

— ისტორიებს... „მუდამ ისეა, თითქოს პირველად ვიწყებ“.

— მერე თვითონ იგონებთ?

— მე თვითონ. „მხოლოდ ქალები არ ჰგვანან ერთმანეთს“, — პეტერ მაიცენმა ჩაიცინა, მაგრამ პირისახეზე თითქოს ჩრდილმა გადაურბინა.

— ჰმ, მაშ ასე. — ნიკაპის ქექვით დაუკრა კვერი სახლის პატრონმა, — ეს, ასე ვთქვათ...

— ჰო, რასაკვირველია! — ხელადვე შეაწყვეტინა სიტყვა პეტერ მაიცენმა.

— იმას გეუბნებოდით, წერთ-მეთქი... მაშ ეგრე, წერთ...

— როგორ? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა, მაგრამ წამსვე იაზრა და მხიარულად გაიღიმა. — რასაკვირველია, რასაკვირველია! ეგრე, ეგრე! — მან ოდნავ შეარხია მხრები და მაღალ შუბლზე ჩამოშლილი ქერა ქოჩორი გადაიყარა. „როგორც კი საბეჭდ მანქანაზე დახრი თავს, სეტყვასავით წამოვა აზრები“. შუბლზე, ლოყებზე და ტუჩების ირგვლივ ღრმა ნაოჭები ასხდა — თითქოს ყოველდღიურ საზრუნავსა თუ გადატანილ გულისტკენას დაესერა ბასრი დანით. მაგრამ ამ წუთას მისი სახე შთაგონებას გაეცისკროვნებინა, გზაშივე რომ დაუფლებოდა.

— ჰმ, მაშ ასე, — განაგრძობდა სახლის პატრონი. — რაც თავში მოგივათ, იმას წერთ?

— რაც თავში მომივა, იმას ვწერ... „ისე ადვილია, მეტი აღარ შეიძლება! ნეტა იცოდე, რა სიამეა!“

— ზოგჯერ კი ყურს მოჰკრავთ რაიმეს და იმაზე წერთ?

— ეგრეც ხდება ხოლმე! — დაეთანხმა პეტერ მაიცენი და კვლავ შეავლო თვალი. „იქნებ რაიმეს დაწერა გინდა შემომთავაზო? მადროვე, ძმაო! ახლა არა მცალია! ძველი გმირები მელოდებიან! აგერ რამდენი წელია ჩემს მოლოდინში არიან! ტემნიკარი მელის, ჩემი მთავარი გმირი!“

— ჰმ, მაშ ასე, — ლუღლუღებდა სახლის პატრონი. — რა არ შეემთხვევა კაცს.

— სწორია, სწორია... რა არ შეემთხვევა...

— ჩვეულებრივ კაცსაც კი!

— სწორედ ჩვეულებრივი ხალხია ხოლმე არაჩვეულებრივი.

— ჰმ, მაშ ასე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხოლო არაჩვეულებრივი ადამიანები უმთავრესად ყოველდ ჩვეულებრივები არიან.

— ხალხი ხალხია.

— იქნებ არც ეგრეა! — შეეკამათა მოულოდნელად პეტერ მაიცენი. გლეხმა ნერწყვი გადაყლაპა.

— ჰმ, მაშ ასე... ზოგჯერ არცაა ეგრე!

— არა, არა! — მხიარულად აქნევდა თავს პეტერ მაიცენი, თითქოს ამ მწარე ჭეშმარიტებამ საოცრად გაახარა.

— რას იზამ კაცი! — მორჩილად ამოიოხრა სახლის პატრონმა. — ასეა და...

— ჰმ, მაშ ასე! — თავისთვისვე მოულოდნელად თქვა პეტერ მაიცენმა და მიმოიხედა. მერე ღონივრად დასწვდა თავის ჩემოდანს, მსუბუქად მოისროლა ლოგინზე და გახსნა. ჩემოდანში ელაგა წიგნები, საწერი ფურცლები და ხელნაწერებით სავსე საქაღალდეები.

— მაშ, ომზე, — განაგრძო კვლავ სახლის პატრონმა, — ომზედაც წერთ?

— ომზედაც.

— ჰმ, რასაკვირველია... ომზე ბევრი რამის დაწერა შეიძლება.

— ბევრის! ბევრის! — თავი დაუქნია პეტერ მაიცენმა, — და არა მარტო შეტევებზე, ბრძოლებზე, გამარჯვებასა და საყვირზე, ომის შემდეგ რომ თავის ტრა-რა-რას აგუგუნებს! — მან ფურცლები მაგიდის კიდეზე დადო, ხელისგულები ტუჩებზე მიიდო, ფეხისწვერებზე შედგა და ქვეყნის სამი კიდით დააყვირა: — ტრა-რა! ტრა-რა-რაااა! ტრა-რა-ტრაااა!

სახლის პატრონმა შიშით თვალები გადმოკარკლა.

— აბა, როგორია? აა, გიკვირთ, საყვირივით რომ დავუკარი, არა! — გაიცინა პეტერ მაიცენმა, — ოჰ, ნუთუ არ გაგიგონიათ, რომ ხელოვანი ბალლივით არის? ცელქი და მიამიტი ბალლი! მთლად ჭკუადამჯდარი არისო, ვერ იტყვი მასზე! მაშ არადა, ჭკუადამჯდარი კაცი თიხის ზელას მოჰყვება, ან საღებავებით თხიპნას, ან კიდევ ნაირ-ნაირ ამბებსა და ლექსებს დაწერს? როგორ გეკადრებათ! ეს ხომ ბალღური გართობაა და სხვა არაფერი. ამიტომაც არის, რომ გონიერი ადამიანები ხელოვან ხალხს არად აგდებენ და ჭკვიანი ქალებიც ტუტუცებად თვლიან მათ.

გლეხმა ჩაახველა.

— ჰმ, მაშ ასე... ქალები ხომ...

— ასეა! ასე! — სიტყვა გააწყვეტინა პეტერ მაიცენმა. მარცხენა ხელით დოინჯი შემოიყარა. მარჯვენა ასწია და საჩვენებელი თითი წინასწარმეტყველივით შემართა, — დიდება კი სიკვდილის შემდეგ მოვა! სახელმწიფო სახსრებით დაკრძალავენ. იმ სახლზე, სადაც დაიბადა, ცხოვრობდა და ქმნიდა — მემორიალურ დაფას გააკრავენ; ასევე მემორიალურ დაფას გააკრავენ იმ სახლზეც, სადაც გარდაიცვალა, ქუჩას მის სახელს დაარქმევენ, საფლავზე ძეგლს დაუდგამენ! მერე ასპარეზზე გამოვა მეცნიერთა მამაცი რაზმი — კუშტად მოკუმავენ პირს, შუბლს შეიჭმუხნიან და უწინარეს ყოვლისა თავიანთ გრძელ ცხვირს ჩაჰყოფენ ყველა ნაწერსა და ნაჯღაბნში, რაც კი დაუწვავი გადარჩებათ შინაურებს. მერე მიჰყვებიან მისი ცხოვრების დახლართულ კვალს, ოფლში ვაიწურებიან და შეუცდომლად გამოარკვევენ, სად დადიოდა, სად ატარებდა დროს, სად სვამდა განსვენებული, რამდენი საყვარელი ჰყავდა, თვალადი თუ ართვალი, აქ რას აკეთებდა და იქ კიდევ რას! ჯარი სად მოუვლია, სამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქო სამსახურში სად უმუშავნია, ფულს რამდენს შოულობდა და რას ახმარდა. მერე რა, რომ რეზინის ხელთათმანები არ ეცმევათ, წმინდა მეცნიერულად მოაფათურებენ ხელებს მის ღვიძლსა, თირკმლებსა თუ საშარდე ბუშტში, გამოიკვლევენ ნაწლავებს, გაუკვეთენ გულს, გაუპობენ თავის ქალას და გაუზომავენ, ტვინს აუწონიან, ნეკნებსა და თმის ღერებს დაუთვლიან მკერდზე! ამას ყველა თავთავისი ხერხით გააკეთებს, აქაოდა, სხვას არა ვგავარო. კაცმა რომ თქვას, რად არ უნდა დაამტკიცოს, შემთხვევა ხელიდან რად უნდა გაუშვას? გულგრილად და საქმიანად მოჰყვებიან იმის მტკიცებას, რომ სასვენ ნიშნებს განსვენებული აზრის მიხედვით სვამდა და საყოველთაოდ მიღებულ წესებს არ დაგიდევდათ; რომ იგი ცოცხალი, ხატოვანი, მსუბუქი ენით წერდა, თუმცა ვერ ვიტყვით, ძალღვიანი ენა ჰქონდაო; რომ იგი იყო კარგი სტილისტი, ის კი არადა, ძალზე კარგი სტილისტიც კი, თუმცა ზოგჯერ ზომიერება ღალატობდა და არტისტიზმი ეუფლებოდა; რომ იგი იყო ოსტატი რეალისტური დიალოგისა, თუმცა წმინდა რეალისტად ვერ ჩაითვლება; რომ მის ნაწარმოებში ბევრი ეპიკური ადგილია, მაგრამ ჭეშმარიტი ეპიკოსი მწერალი ვერასოდეს ვერ გახდა; რომ იგი დარჩა დახავსებულ ლირიკოსად, ვის არსებაშიც ერთობ ჭარბობდა რომანტიკული სული; რომ იმდენად ძლიერი სატირული ენა ჰქონდა, ხშირად იმისთვის გაუკრავს კბილი, რისთვისაც არ უნდა გაეკრა; რომ ფაქიზად ჩამოყალიბებული მისი აზრები, უფრო ხშირად ორიგინალურებიც კი, მით უმეტეს ვერ ჩაითვლება მეტისმეტად ღრმა აზრებად; რომ იგი მოწინავე შეხედულებების კაცი იყო, თუმცა საზოგადოებათმცოდნეობის შესასწავლად არც მაინცდამაინც შეუწუხებია თავი; რომ მისი მხატვრული სახეები ცხოვრებისეულია და ნათელი, გმირები — ხორცშესხმული ადამიანები, თუმცა მონუმენტალურ, გამოქანდაკებულ სახეებს ვერ ქმნიდა; რომ იგი ცოტა არ იყოს დაცინვით, მაღლიდან დაჰყურებდა სამყაროს, თუმცა სინამდვილეში ჰუმანიზმით იყო აღსავსე; რომ ძალიან ცოტა დაწერა, მაგრამ წერდა ნატიფად, საკმაოდ თავისებურად და შთამბეჭდავად, ოღონდაც საბოლოო ჯამში მას მაინც რაღაც აკლდა; რაც... რაც... მოკლედ რომ ვთქვათ, ყველაფრის მიუხედავად, განსვენებული იყო ადამიანი და ხელოვანი და დიახაც გულდასაწყვეტია, რომ ასე უდროოდ ჩავიდა სამარეში... იცით, ყველა ხელოვანზე ასე ამბობენ, უდროოდ მოკვდაო, მაშინაც კი, თუ იგი ას წელსაა გადაცილებული...

გლეხმა გაოცებით აახამხამა წამწამები.

— ჰმ... მაშ ასე... ამბობენ კი, სიკვდილი დროული არავისთვის არ არისო.

— ასე გგონიათ? — შეეპასუხა პეტერ მაიცენი. — მაგრამ ზოგჯერ ხომ ელიან და უხმობენ, ის კი არ მოდის და არა.

გლეხმა პირი დააღო, გაძვალტყავებული თითები ბანჯგვლიან ნიკაპზე შერჩა.

— ასე არ არის? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა.

გლეხი კვლავ დუმდა.

— აბა, აბა! — გამამხნევებლად გაუღიმა პეტერ მაიცენმა. — ყველაფერი გულთან კი არ უნდა მიიტანო კაცმა. მე ხომ გაგაფრთხილეთ, ხელოვანი ადამიანები ჭკუადამჯდარი ხალხი ვერაა-მეთქი? გასაგებია? მაშასადამე, სიკვდილზე ფიქრი არავის არ ეამება. არც მე არ მეხატება გულზე. მეტადრე დღეს. რატომ?.. იმიტომ, რომ ჩემი დრო დადგა... ის ბედნიერი დრო, როცა სამუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოს მივუჯდები, ამიტომ ვარ კარგ ხასიათზე, ცოტათი ახირებულ, მე ვიტყოდი, უჩვეულო, მაგრამ მხიარულ ხასიათზე. ასეთი ბუნება მაქვს. ასეთ დროს ჩემთვის ყოველივე — რაც არსებობს და რაც არ არსებობს — ცოცხალი, მშვენიერი და აზრით სავსეა. რადგან ყოველივე ეს სიცოცხლეა. იგი სიკვდილშიაც კია!..

სახლის პატრონი გაოგნებული შესცქეროდა პეტერ მაიცენს.

— იქნებ თქვენ გეუცნაურათ ამის მოსმენა, მაგრამ ასე კია და! — უთხრა პეტერ მაიცენმა. — ნურა გენაღვლებათ! თუკი თავად არც მაინცდამაინც გამეგება ეს ამბავი. ალბათ ვერც თქვენ გაიგებთ... მაშ-მაშ! — გაიცინა მან და ჩემოდანს მიუბრუნდა.

პეტერ მაიცენმა საქაღალდეები მაგიდაზე დადო და გულმოდგინედ, აუჩქარებლად შეუდგა მათ დაწყობას, თუმცა უკვე გული აღარ უთმენდა იმ ბედნიერი წუთის მოლოდინში, როცა თურქუულ ყავას მოიდუღებდა, მაგიდას მიუჯდებოდა, სიგარას გააბოლებდა და ბოლოს და ბოლოს კვლავ შეხვდებოდა თავის გმირებს. სულწასულმა მოძებნა საქაღალდე — „პ ი რ ვ ე ლ ი დ ა უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი ბ რ ძ ო ლ ა“, ასე ეწერა ზედ— და გახსნა, რათა შავად ნაწერისათვის თვალი გადაევლო.

თვალწინ ტემნიკარი დაუდგა. მისი სახე ახლა უფრო გამოკვეთილი და ნათელი იყო, ვიდრე ოდესმე.

> იგი მჭვარტლისაგან გაშავებულ თაღიან კარში იდგა. კარი ძველი, განმარტოებული სახლის დერეფანში გადიოდა. იდგა ტანმაღალი და მოხდენილი. სწორედ ასეთი შეხვდა ზამთრის იმ დღეს, თავისი აღსასრულის დღეს, როცა უკანასკნელ გზას — თავისი პირველი ბრძოლის გზას დაადგა. იდგა დაბზარულ ქვის ზღურბლზე; ძველი, ძირგამოვარდნილი ჩექმები და ავსტრიელი ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა, გაქუცული ბეწვის ქუდი ეხურა, იღლიაში არყით სავსე მათარა ამოეჩარა, უბეში ნაჯახი ედო, ჯიბეში — მძიმე, დატენილი რევოლვერი.

„რა გულმშვიდი კაცია, — აღფრთოვანებით გაიფიქრა პეტერ მაიცენმა. — რა დიდებული და მშვენიერია! თუმცა კარგად გრძნობს, რომ ხუთი, ექვსი, დიდი-დიდი შვიდი საათის სიცოცხლე დარჩენია, მაგრამ ამაზე არ ფიქრობს, ეჭვი არ ეპარება, რომ სიცოცხლის წუთები დათვლილი აქვს“.

> ტემნიკარმა თავი ასწია. გაფანჩული წარბებიდან ნათელი მზერა დათოვლილ ფერდობს მოავლო, წუთით თვალი ვრანეკის წვეტიან თხემზე შეაჩერა, მერე კი მაღლა, მოლურჯო-ფოლადისფერ ზეცას ააყოლა. იქ, ჰორიზონტთან ზამთრის მზის სხივებში ნელა ირხეოდა მისი ცხოვრების მშვენიერი თეთრი ღრუბელი. ტემნიკარს მოლურჯო-ფოლადისფერ თვალებში ორი ვერცხლისფერი კურცხალი აუბრწყინდა, მაგრამ სახე მშვიდი, მტკიცე, დიდებულიც კი ჰქონდა.
>
> — მივდივარ! — ჩუმად წარმოთქვა მან. უნდოდა ერთხელ კიდევ შეევლო თვალი გრძელი, ჩაბნელებული დერეფნისთვის, სადაც კერიასთან სამი აღელვებული ადამიანი — მისი ცოლი, ქალიშვილი და ვაჟიშვილი იდგნენ, მაგრამ უკან აღარ მოუხედავს. სასწრაფოდ ეზოში ჩავიდა, ნაჯახი გულზე მიიკრა და რევოლვერზე ხელი მოივლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი! იჩქარე, იმ ქაჯებმა არ მიგასწრონ! დრო არ იცდის! — წარმოთქვა პეტერ მაიცენმა.

— დრო არ იცდის! — თქვა ტემნიკარმა და მტკიცედ გააბიჯა ახლად დათოვლილ მიწაზე.

პეტერ მაიცენმა იგრძნო, რომ თვალები დაეწისლა, მაგრამ ამაყად და ნალვლიანად გააყოლა ტემნიკარს მზერა.

*

— დრო არ იცდის! დრო არ იცდის! — ჩაილაპარაკა პეტერ მაიცენმა, საქალალდე გვერდზე გადადო და კვლავ ჩემოდნისკენ დაიხარა.

სახლის პატრონმა იატაკზე ფეხები გააფრატუნა და ჩაახველა.

— ჰმ, მაშ ასე, — კვლავ მოიქექა მან ბანჯგვლიანი ნიკაპი, — ჩქარა კი მიგდით საქმე?

— რა საქმე? — შეკრთა პეტერ მაიცენი, ალარც ახსოვდა, ეს კაცი თუ აქ იყო.

— ჩქარა თუ წერთ-მეთქი?

— ზოგჯერ ჩქარა ვწერ, ზოგჯერ ვერა, — მხრები აიჩეჩა პეტერ მაიცენმა. „აი, ტემნიკარზე კი ხელად დავწერ. იმდენი ხანია მასზე ვფიქრობ, სწორედ დროა ქალალდზე გადავიტანო“.

— ჰმ, მაშ ასე, — დაეთანხმა სახლის პატრონი. — თუმცა თქვენ ხომ მანქანა გაქვთ.

— ამ საქმეს ყველაზე მეტად სიწყნარე შველის! და განმარტოება! — ხაზგასმით თქვა პეტერ მაიცენმა, ჩემოდანთან ჩაცუცქდა და წიგნების ქექვას შეუდგა. „ნეტა ეს საცოდავი გულს არ შემიწუხებდეს. ქალაქიდან იმისთვის წამოვედი, რომ სადმე განვმარტოებულიყავ და მშვიდად მეწერა და არა იმისთვის, რომ მთელი დღე ვინმე თავზე დამრატრატებდეს!.. უნდა ვთქვა, რომ შესაფერისი კუთხე კი ვპოვე. ეს ძველი, თეთრად შეფეთქილი კარმიდამო ძალიან მომწონს — განმარტოებით დგას ხეობის პირას, ზემოდან შავი ფიჭვნარი დაჰყურებს. სახელიც კი მხიბლავს მისი. სწორედ რომ შესაფერი სახელია შავი ხევი ამ ადგილისათვის! თუმცა სევდიანი, რომანტიკული ადგილი კია, მაგრამ ეგ არაფერი! ასეთი მიდამო ხომ ფრთას ასხამს წარმოდგენას, ზოგჯერ ლრუბლებში, ფანტაზიის სამეფოშიც შეგაფრენს. არც ეს არის ცუდი. როგორც ამბობენ, ფანტაზია ხელოვნებას არას ვნებს. ხალხიც უფრო დიდი ინტერესით ეკიდება გამოგონილ გმირებსა და შეთხზულ ისტორიებს, ვიდრე ცხოვრების ბრმა ასლებს... ასე რომ ეს საქმე კარგად მოვაწყვე. ოღონდაც ეს მოხუცი შემხვდა ცოტა არ იყოს მოსაწყენი. თუმცა ვერაფერს ვიტყვი, ამ არემარეს კარგად ერწყმის. რაღაც უცნაურად ჩამოსტირის თავპირი, მისგან რომანტიკული, ის კი არა და, ფანტასტიკური სახეც შეიძლება შექმნა კაცმა. მის სულში ჩახედვაც არ იქნებოდა ურიგო. მაგრამ სადა მცალია... და არც მეხალისება. რაღაც არ მომწონს ეს კაცი. მეზიზღება-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ არ მომწონს კია. ეს არის და ეს. ასეთ კაცს ხელს ვერ ჩამოვართმევდი... განა საოცარი არ არის, რომ ზოგი ადამიანი გარეგნულად არ გეამება ხოლმე? ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაციც სწორედ ასეთია. კარგად ვიცი, ძალიან საინტერესო ვინმეც რომ აღმოჩნდეს, მისი ასახვა გამიჭირდებოდა. მე ყველა ჩემი გმირი უნდა მიყვარდეს, ისინიც კი, ვისაც ვებრძვი და ვინც მძაგს. ეს კაცი კი არ მომწონს. უფრო და უფრო არ მომწონს. იქექება, გაუთავებლივ ლულლულებს: „მაშ ასეო“, სახეც ისე ჩამოსტირის, თითქოს თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული ჰქონდეს... იქნებ ეს საწყალი მართლაც ავადმყოფია, თორემ ასე რამ ჩამოახმო“.

სახლის პატრონმა ჩაახველა.

— ჰმ... მაშ ასე, — მოიქექა მან კვლავ ნიკაპი. — მაშასადამე, სიწყნარე...

— ჰო, სიწყნარე! სიწყნარე! — გააწყვეტინა პეტერ მაიცენმა. „თანაც ერთი საათით კი არა, ანდა ერთი დღით! არც ერთი კვირით! სულ მუდამ სიწყნარეა საჭიროო!“

— ჰმ... რაც შეეხება სიწყნარეს, აქ მართლაც სიწყნარეა... თუ აქ გამოიზამთრებთ, უკეთ გაიგებთ სიწყნარის ფასს! აქ სიმარტოვე თითქოს გიყეფს კაცს!

„ერთი ამას დამიხედეთ, ამ ბედშავ ქექიას!—გაუკვირდა პეტერ მაიცენს.— ასე ხომ ტილჩკამ უთხრა ტემნიკარს, როცა ზამთრის გრძელი ღამე გადაეფარა ტემნიკს“. პეტერ მაიცენმაც ახლა ტემნიკარის სიტყვებით უპასუხა სახლის პატრონს:

— დაე სიმარტოვემ იყეფოს, ხალხი ნუ აყეფდება ოღონდაც!

— ჰმ, მაშ ასე, — ჩამოიფარცხა ნიკაპი სახლის პატრონმა. — მარტობა მუდამ როდია კარგი, მაგრამ ზოგჯერ ხალხიც გიშლის ხელს კაცს.

„რაო? ესეც ხომ ისევ ტემნიკარის სიტყვებია! — შეკრთა პეტერ მაიცენი და გული უცებ უსიამოდ აუჩქროლდა. — საოცარია! ისინი ხომ ასეული კილომეტრის დაშორებით ცხოვრობდნენ და არასოდეს არ უნახავთ ერთმანეთი. რა უნდა ჰქონდეთ საერთო?“

მან მოიხედა და მოხუცი შეათვალიერა. ეზოდან ფანჯარაში შემოჭრილ მზის ჩახჩახა შუქზე მართლაც დიდმოწამის გადიდებული, ძველი გოთური ქანდაკება იხატებოდა. გლეხი საოცრად გამხდარი, ზეზეურად ჩამომხმარი იყო. ჩამოგრძელებული სახე, მაღალი შუბლი, დიდრონი თვალები, ჩაცვენილი ლოყები და გაწინწილებული ცხვირი ჰქონდა, ჭაღარა ულვაშები ლოლუებივით ჩამოჰკიდებოდა, მზემოკიდებულ გახევებულ კანიდან ვიწრო ნეკნები გამოსჩროდა. ეტყობა, მუცელი არასოდეს გამოსძღომია. მუქი ყავისფერი ხავერდის მოკლე, ჭუჭყიანი შარვალი ტომარასავით ეკიდა თითქოს ხიდან გამოჩორკნილ ბარძაყებზე. ფართო შარვლიდან ორი გრძელი, გაჩხიკული ფეხი მოუჩანდა, მაგრამ მუხლები ისეთი მსხვილი და დაკვანძული ჰქონდა, თითქოს მათ გამომჩორკნელ ხუროს ყველაზე უფრო ის ადარდებდა, ჩემმა ნახელავმა სამარადისოდ გასძლოსო.

„არა, ამას არაფერი აქვს საერთო ტემნიკართან. შორიდანაც კი არ მოგაგონებს მას. ტემნიკარი დევგმირი იყო, ეს კი ჭოკივით აყუდებულა. თუმცა ვერაფერი ბედენაა, კაცი ჭოკს შეადარო“.

— ჰმ, მაშ ასე... — თქვა გლეხმა. — კი ნუ დამძრახავთ და, ღირს ვითომ?

„ახლა ხმა როგორი აქვს! უსიამო და ჩახრინწული! თითქოს ყელიდან ხის ღარით კენჭები სცვივა. ტემნიკარი რომ ხმას ამოიღებდა, ირგვლივ გუგუნი ისმოდა. ალსარებას რომ ამბობდა, მთელმა არემარემ იცოდა მისი ცოდვები. „ჩუმად, ჩუმად, ერნეი!“ — აწყნარებდა ხუცესი საალმსარებლოში. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემნიკარი უფრო აუწევდა ხოლმე ხმას: „თუ უფალს სურს უწყოდეს, რა ეკი ვარ, ხალხმა რაღად არ უნდა იცოდეს! მე ხომ მიწაზე ვცხოვრობ და არა ცაში“.

— ჰმ... — იქექებოდა სახლის პატრონი. — ხომ იცით...

— რასაკვირველია, ვიცი!

— ნუ დამძრახავთ... მე ხომ ისე გკითხეთ.

— რა? რა მკითხეთ? არ გამიგია!

— ღირს კი ვითომ წერა?

— არა! — წარბი შეიკრა პეტერ მაიცენმა და კვლავ ჩრდილმა გადაურბინა სახეზე. „ეს ქაჯი მართლაც გულს შემიწუხებს. იგი, რა თქმა უნდა, მხოლოდ ფულზე ფიქრობს, მე კი წყლულზე მაჭერს ფეხს“.

— ჰმ, მაშ ასე... ხალხი ახლა ძალზე ცოტას კითხულობს... აი, ბავშვებია კიდევ... ზამთარში... საქონლის მწყემსვისას რომ...

„სწორედ დროა აქედან გავაბრძანო!“

— ... ჰო, ხალხი ძალიან ცოტას კითხულობს... ომზე კი სულ არა სურთ რაიმეს წაკითხვა... ყველა დაღალა ომმა.

— რასაკვირველია...

— ჰმ, მაშ ასე. თანაც მწარეა მოსაგონებლად... როგორც იტყვიან, ჭრილობა ჯერ არ შეხორცებიათ... თუკი ოდესმე შეუხორცდათ.

— დრო ყველაფრის წამალია! — მტკიცედ უთხრა პეტერ მაიცენმა და წიგნების შეკვრა მაგიდაზე დადო. — ხომ ვერ მიშოვნით კიდევ ერთ მაგიდას?

— მგონი, რომ ვერა, — თავი გააქნია სახლის პატრონმა.

— ოჰ, ნეტა მიშოვიდეთ საიდანმე ძველ მაგიდას. აქაურობა ხომ ნამდვილ ციხე-დარბაზსა ჰგავს.

— აჰ, მაგიდას? — ჩაჰკითხა სახლის პატრონმა. — მაგიდას ვიშოვნით. მაშ ასე. მხოლოდ, იცოდეთ, უარესი არ გამოვიდეს!

— რატომ გამოვა უარესი? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა. თან თვალი არ მოუცილებია გლეხისათვის. „უკვე კარგად ვიცი, რაც იქნება უარესი, რისიც მეშინია და რაც მიღრღნის გულს!.. მაგრამ დაიცა, დაიცა... მგონი, რომ შენც რაღაც გიღრღნის გულს“.

— არა, არაფერი, არაფერი! — აჩქარდა სახლის პატრონი და გაღიმებაც კი სცადა. — ასე იტყვის კაცი, თორე... — გლეხი კვლავ ნიკაპს იქექდა. საოცრად გრძელი თითები ჰქონდა, ძვალტყავა და ისეთი ჩაყავისფერებული, თითქოს ბებერი ხისგან გამოეთალათ.

„არ მომწონს ეს კაცი, რა ვქნა, არ მომწონს! — თავი გაიქნია პეტერ მაიცენმა. — იქნებ მართლაც ბეჩავი და წამებული ვინმეა. მაგრამ მაინც არ მომწონს!..“

— მაშ მომიტანთ მაგიდას?

— ახლავე? — სახლის პატრონი არც ფიქრობდა ადგილიდან დაძვრას.

— ახლავე, ახლავე!.. „საჩქარო რა აქვს! სიკვდილმა რომ მოუკაკუნოს კარზე და უთხრას: „წამო, ჩრნილოგაროო!“, ეს ამასღა ჰკითხავს: „როდის, ახლაო?“

ორივენი ოთახიდან გამოვიდნენ. ბნელი დერეფნის ბოლოში ძველი მაგიდა იდგა. პეტერ მაიცენმა იქვე დაგდებული რაღაც ძონძი აიღო და მაგიდა გადაწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე, ახლა ყველაფერი მოწესრიგდება! — ხაზგასმით თქვა მან.

— მოწესრიგდება კია? — ჰკითხა სახლის პატრონმა.

— რასაკვირველია.

— კარგი კი იქნებოდა... მაგრამ ვაითუ არ მოწესრიგდეს...

— დარდი ნუ გაქვთ! — გააწყვეტინა სიტყვა პეტერ მაიცენმა და მაგიდა მაღლა აიტაცა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. — მიუგო სახლის პატრონმა და ფეხდაფეხ შეჰყვა ოთახში.

პეტერ მაიცენმა მაგიდა დადგა და ხრიგინით გააჩოჩა იატაკზე.

— ჰმ, მაშ ასე, — თქვა სახლის პატრონმა და კვლავ ფანჯრის წირთხლს მიეყრდნო. — დანჯღრეული კია, მაგრამ გამოდგება მაინც.

— რასაკვირველია, გამოდგება!.. „ნეტა პასუხს რაღად ვაძლევ, — გაუწყრა პეტერ მაიცენი თავის თავს. — აღარ უნდა ვუპასუხო და წავა, აბა რას იზამს!“ — მან სიგარეტები გადმოჰყარა კოლოფიდან, რომ კოლოფი მაგიდის ფეხისთვის შეედო.

— ჰმ... თუ რაიმე დაგჭირდეთ, მითხარით...

— გეტყვით! გეტყვით! — დაეთანხმა პეტერ მაიცენი. — „მეტს კრინტსაც აღარ დავძრავ! — მან მუყაო მოღუნა და მაგიდის ფეხთან ჩაცუცქდა. — ჩუმად უნდა ვიყო! რას ველაქლაქები. ტემნიკარზე უნდა ვიფიქრო!“

აზრი რომ მოიკრიბა, კვლავ დაუბრუნდა ხედვაცა და სმენაც.

— მეტს კრინტსაც აღარ დავძრავ! — გადაწყვიტა ტემნიკარმა და ჩექმა წამოიცვა.

— კეთილი, — მკვახედ უთხრა ცოლმა და ქოთანი ღუმელში შედგა. — ბრიყვი ბრიყვად დარჩება! დილამდე რომ ანჯღრიო, გონს ვერ მოიყვან!

— სიტყვა აღარ გავიგონო! — გაიმეორა ტემნიკარმა და მეორე ჩექმაც ჩაიცვა.

— თქვი მაინც, რამ წამოგიარა ასე უცებ?

ტემნიკარი გამჭვარტლულ ბუფეტთან მივიდა და ლურსმნიდან თავისი ძველი ავსტრიული მათარა ჩამოიღო.

უკვე მერამდენედ ასწონ-დასწონა გუნებაში: „ეს ქაჯები ჯერ გზას დაადგებიან, მერე ვრატარის ბილიკს გაუყვებიან, მე კი მალნოვის მთას გადავივლი და მაგათზე ადრე მივალ. ყამირით ვივლი და მაინც დავასწრებ. ამ მზიან დღეს ეგ ძაღლთაპირი თხუნელები მაინცდამაინც არ იჩქარებენ“.

— თქვი, ერნეი! — ბრძანებით წარმოთქვა ქალმა და ბრახუნით მიაგდო კუთხეში სატაცი. — ადამიანივით მოიქეცი! მთელი სიცოცხლე რად უნდა გეჩხუბო?

— ჰმ, მაშ ასე, — არა ცხრებოდა სახლის პატრონი. — მითხარით, ხალხნი არა ვართ?

— რასაკვირველია... — უგულისყუროდ ჩაიბურტყუნა პეტერ მაიცენმა და წიგნები მაგიდაზე დააწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ უნდა ვილაპარაკოთ...

— რასაკვირველია... „მე უკვე მეყო და!“

— მე უკვე მეყო და, — თქვა ტემნიკარმა და მათარაში არაყი ჩა-ასხა.

— ჰოო? — აგდებით ჩაიფრუტუნა ცოლმა, — ვერ მეტყვი მაინც, რად აღარ მომიწევს შენთან ჩხუბი?

— მე უკვე მეყო...

— სიკვდილამდე უნდა გეჩხუბო! მე ხომ კარგად ვიცი, რომ ღმერთ-მა ჭკუაზე გაგანაწყენა!

— გეუბნები: მეყო-მეთქი...

— ჰმ? — კვლავ ჩაიფრუტუნა ქალმა, — ხომ არა გგონია, რომ სიკვ-დილი ცელით ხელში დგას და ეგერ, კუთხეში გელოდება?

— არა, არ მელოდება, — მშვიდად უთხრა ტემნიკარმა და კარი გა-იხურა. იქ, დერეფანში, მისი ძველი ავსტრიული მაზარა ეკიდა.

— ჰო! კიდევაც რომ დაგელოდოს, ცელით მაინც ვერას გააწყობს შენთან. სარი თუ ექნება, არ ვიცი!

— სარითაც შეიძლება. ვინ იცის... — მოისმა სიბნელიდან არაჩვე-ულებრივად წყნარი და გულში ჩამწვდომი ხმა.

— ერნეი! რა გჭირს დღეს? — ქალს მღელვარებისაგან ხმა გაუწ-ყდა.

— რა იყო? — ჰკითხა ტემნიკარმა და პირი იბრუნა, რათა ცოლს მისი სახე არ დაენახა.

— დღეს რაღაც უცნაური ხარ... თითქოს შენს თავს არ ჰგავ-ხარ.

— აი უკვე ორმოცი წელია საკუთარ თავს არ ვგავარ, დღეს კი კვლავ დავემგვანე.

— ნუთუ! — დაცინვით თქვა ქალმა. — უკვე ორივე ფეხი სამარეში გიდგას და იმ პირველ სიყვარულზე კი ფიქრობ!

ტემნიკარი ადგილზე გაშეშდა. „ერთი უყურე, — ყვედრებით უთხრა თავის თავს, — მივდივარ და ის კი არ გამხსენებია! ტილჩკა!“ — უხმო ფიქრებით ქალს და ქალიც უმალ გამოეცხადა, ისეთივე ცოცხალი, თეთ-რი, ლამაზი. ასეთი კარგა ხანია აღარ უნახავს. „ტილჩკა!“ ოჰ, ვინ იცის, იმ ხანმოკლე ზაფხულს, იმ მეტისმეტად ხანმოკლე ზაფხულს, მათ რომ ერთად გაატარეს, რამდენჯერ დამალულა ტილჩკა კარს უკან, დერეფნის ბნელ კუთხეში. ტემნიკარი კი ეძებდა საყვარელ ქალს, მთელ სახლს გა-დაატრიალებდა, ეძებდა და უხმობდა, მერე, ქანცგაწყვეტილი, შუა ოთახ-ში დადგებოდა და ლანძღვას მოჰყვებოდა გულმოსული. ამას კი ველარ მოითმენდა ტილჩკა — ბნელი კუთხიდან ოქროს ვაშლივით ესროდა კის-კისს. ტემნიკარი მყის გვერდზე გახტებოდა და ქალს მივარდებოდა; ქა-ლი მაღალ მკერდზე მიიკრავდა პატარა მუშტებს და გაიტრუნებოდა. თეთრი იყო, მსუბუქი, პატარა, ლერწამივით თრთოდა, თითქოს გულის კანკალით ელოდა იმ ცეცხლოვან გრიგალს, ასეთი უცნაური ძალით რომ აბობოქრდებოდა კაცის არსებაში. „ტილჩკა!“ ქალი მუდამ კარს უკან ემალებოდა, ტემნიკარი კი ჯიუტობდა, არ სურდა მისი იქ მოძებნა, აქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდა, სულ ხომ იქ არ დამემალება, ახლა სხვა ადგილს მონახავდაო... მერე კი, როცა ტილჩკა სახლიდან გაასვენეს, მრავალი წლის მანძილზე შინ შემოსვლისთანავე პირველად კარს უკან, კუთხისკენ მიიხედავდა ხოლმე. პირველ ხანებში ისე ცოცხლად მოეჩვენებოდა ტილჩკა, მთელი სხეული ასტკივდებოდა; მერე ქალის პირისახე თანდათან გაფერმკრთალდა და იშვიათად თუ გამოეცხადებოდა ნისლიანი ლრუბელივით. ორმოცი წელი მაინც ორმოცი წელია. ამ ორმოცმა წელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ძველი ჭეშმარიტება, რომ დიდი სიყვარული და დიდი მწუხარება მარადიული არაა — დიდი სიყვარული თავისსავე ცეცხლში იფერფლება, დიდი მწუხარება კი თავისსავე ზღვაში იხრჩობა... მაგრამ დარჩა მოგონებები, ტკბილი, კეთილი მოგონებები; ასეთი მოგონებები კი დიდი, სუფთა გრძნობებისა და გადატანილი მწუხარების შემდეგ რჩება მხოლოდ. „ტილჩკა!“ უცნაური კია, მაგრამ ახლა უკვე ეს მოგონება აღარ იყო! ქალი კვლავაც მის წინ იდგა, თეთრი და ნაზი. ცრემლიანი თვალები ლიმილით გაბრწყინებოდა, პატარა მუშტები მაღალ მკერდზე მიეკრა. თითქოს ცოცხალი იყო. ტემნიკარმა გაოცებაც ვერ მოასწრო. საჩქაროდ მოიგდო მაზარა და ტილჩკა შიგ დამალა, ცოლს რომ არ დაენახა.

— იქნებ მაინც მითხრა, საით გიყო პირი ეშმაკმა? — წყენით ჩაილაპარაკა ქალმა.

ტემნიკარი შეკრთა და ტილჩკაც გაქრა.

— რას დაბოდიალობ მაგ სიბნელეში? — გამკივანი ხმით მიაძახა ქალმა. — აქ მო!

ტემნიკარმა მოხედა ცოლს. ქალი ლუმელთან ფართიფურთობდა, — პატარა, გალეული, ჩამომდნარი დედაკაცი თითქოს საკუთარი თავის ლანდად და საკუთარი გაუხარელი ცხოვრების ანარეკლად ქცეულიყო. ტემნიკარს გული შეეკუმშა. ბევრჯერ დამართნია ასე.

— ნუ ბრაზობ, მარიანა, გული ნუ მოგდის! — დაუყვავა მან.

— ეეჰ! — აღშფოთებით აიჩეჩა გამხდარი მხრები ქალმა. — შენსას მაინც არ იშლი: აგიჩემებია, ნუ ბრაზობ და ნუ ბრაზობო! ისა სჯობს მითხრა, საით გაგიწევია, რომ სადარდებლად არ გვყავდე!

ტემნიკარი ცოლთან მივიდა. „სიამოვნებით გეტყოდი, რობში მივდივარ-მეთქი, მაგრამ რომ არ გამიშვებ!“ — გაიფიქრა ნაღვლიანად.

— იქნებ მართლაც არ გინდა მითხრა? — ქალი მკაცრად, შეშფოთებით შესცქეროდა ქმარს.

— ეჰ, სად უნდა წავიდე ნეტა? — ალერსიანად და უდარდელად უთხრა ქმარმა. — ტყეში მივდივარ, თავადაც იცი!

— მერე არაყი რად ჩაისხი?

— არ შეიძლება თუ? რაც უნდა იყოს, ზამთარია! — მშვიდად უთხრა ქმარმა და მაზარის ჩაცმას შეუდგა.

— ერნეი! ნუ სულელობ! — წინ გადაეღობა ქალი ქმარს. მის ხმაში დაუფარავი შიში გაისმა. — აბა ვინ მიდის შინიდან შობის წინადღეს?

— შობის წინადღეს? — წარბი შეიკრა ტემნიკარმა. — დიახ! ზოგჯერ შობის წინადღესაც გავა კაცი სახლიდან. რამდენი ვინმე არ ზის შინ ახლა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე ეს რა შენი სადარდებელია! — მიუგო ცოლმა.

— ჩემი სადარდებელი არ არის? — მკაცრად შეიკრა წარბი ტემნიკარმა, მაგრამ მაშინვე დამშვიდდა და გულგრილად დაუმატა:

— ვინ გითხრა, შინ არ ვიქნებიო? საღამომდე ბევრი დროა! ჯერ შუადღეც არ გადასულა!

— ნეტა არ სულელობდე! — ცოტა დამშვიდებით თქვა ქალმა. — ყური მიგდე, ერნეი! ღვეზელს გამოგიცხობ. მთლად გამოვბერტყავ ტომარას და ერთ-ორ მუჭა ფქვილს მოვაგროვებ როგორმე. შენ კი ღუმელს შეშა შეუკეთე, რომ საღამოთი ცოტა დაგვითბეს სახლი.

ტემნიკარს ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა ზურგში. თვალწინ დაუდგა ხუთი თეთრგვარდიელი*, რაღაც ნახევარი საათის წინ რომ გაიხურეს მისი სახლის კარი; მკაფიოდ მოესმა მარტინ ლუჟნიკის იქედნური ხმა: „ხი-ხი, ტემნიკარ, რა სჯობს შინ ყოფნას, ჩვენც არ გვაწყენდა, ერთი დღე მაინც გაგვეთბო ძვლები, მაგრამ რა ვქნათ, რომ არ შეიძლება! რა ვქნათ, მეტად შემბრალე გული გვაქვს, ხი-ხი! ვიყნოსეთ, რომ რობში რამდენიმე დაჭრილი აფარებს თავს. კარგა ბლომად ყოფილან, თანაც ყველა ისეა, ხელ-ფეხის განძრევა არ შეუძლიათ, ხი-ხი! გერმანელების ალყას თავი დააღწიეს, ჩარევის გამოქვაბულში დაიმალნენ და ახლა „ამხანაგების“ დახმარებას ელოდებიან. მაგრამ „ამხანაგებს“ ამჟამად მათი თავი არა აქვთ, ხი-ხი! აბა რად უნდა გაიყინონ ეს საწყლები ამ შობა დღეს ჩარევის გამოქვაბულში? ჩვენ მათ ბეთლემში ვუკრავთ თავს, ხი-ხი! იესოს ბაგაში, ხი-ხი! გავათბობთ ერთი, ხი-ხი! არ გაოცდება იოსები, სამი წმიდა ხელმწიფის ნაცვლად ათიოდე წვერ-ულვაშგაბურძგნული და განაწამებ-გატანჯული წარმართი რომ შეუვარდება ბოსელში, ხი-ხი! კი, ბატონო, ინებეთ და აღსარება თქვით, ცოდვები აღიარეთ! თანაც ამაღამვე, ხი-ხი! ამიტომაც ჩვენ მათ უმოკლესი გზით ბეთლემში გავისტუმრებთ! ჰოდა, მარტინ ლუჟნიკი არ ვიყო, თუ დაღამებამდე იქ არ გავაჩინო ისინი, ხი-ხი! შენ კი ბაგა მოგვიმზადე აქ და შეშაც ბლომად შეუკეთე ცეცხლს, რომ ჩვენც გავითბოთ მერე გვერდები, ხი-ხი!“

— ერნეი! — კვლავ შეუტია ცოლმა, — გესმის, თუ მთლად დაყრუვდი?

— მესმის! — კუშტად დაუქნია თავი ტემნიკარმა, რომელიც ამ დროს გამჭვარტლული ხის კიბიდან ნაჯახს აძრობდა.

— ნაჯახი რაღად გინდა?

—აბა როდის წავსულვარ უნაჯახოდ ტყეში? — მშვიდად ჰკითხა ტემნიკარმა და გახეშეშებული თითით პირი მოუსინჯა ნაჯახს.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — თავი გაიქნია ქალმა. — რა მოგდის დღეს, მართლა და მართლა? ერთი შენს თავს შეხედე! ნახევარი საათის წინ მთლად გამწვანებული, არაქათგამოცლილი იყავი, ახლა კი ჩექმები ჩაგიცვამს, ნაჯახი იღლიაში ამოგიჩრია და ჰაიდა — ტყისაკენ!

— არაქათგამოცლილი ვიყავი? — ეჭვით შეუბრუნა კითხვა ტემნიკარმა, მათარა ქამარზე ჩამოიკიდა და კარისკენ გაემართა.

---

* სახალხო-განმათავისუფლებელი ომის წლებში სლოვენიაში თეთრგვარდიელებს ეძახდნენ სლოვენელ გამცემლებს, გერმანელ და იტალიელ დამპყრობთა ხელის შემწყობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა იტყუები კიდეც?.. შენ არ იყავი, არაყში რომ არნიკას იყრიდი?

— მაგან მიშველა სწორედ, — თქვა ტემნიკარმა და ზღურბლზე შეჩერდა. თავადაც უკვირდა, რამ დაავიწყა დღევანდელი დილა. მას უთენია გაეღვიძა. გული საოცრად დამძიმებოდა სევდით, მალე სასოწარკვეთილებამ აიტანა, სულს თითქოს ყინულის ლოდი უხუთავდა. ტემნიკარი ველარ ისვენებდა, შფოთავდა. ერთი-ორჯერ ისეთი წაიხვრინა, ცოლს გაეღვიძა და ქმარს დახედა: „აღარ დაწყნარდები ბოლოს და ბოლოს! რა ბებერი ცხენივით ხვრინავ და წიხლებს ისვრი!“ ტემნიკარს უნდოდა ეთქვა ცოლისათვის, თავს ცუდად ვგრძნობო, მაგრამ გადაიფიქრა, მთლად გადაირევა დედაკაცი და ველარ გავაჩერებ, გააბამს: „აი, შე ასეთო და ისეთო, რა გული გამიწვრილე შენი ავადმყოფობით! რატომ მე არ მტკივა არაფერი? დაიძინე!“ დაძინებით კი ტემნიკარს არა და არ ეძინება. ადგა და არნიკა ჩაიყარა არაყში, აქაოდა, მამაკაცისათვის ერთადერთი უებარი წამალი ეს არისო, თუმცა კი გული უგრძნობდა, ახლა ეს წამალიც ვერაფერს უშველიდა... მაგრამ დათოვლილ გზაზე მიმავალ მარტინ ლუჟნიკსა და მის ძალლთაპირ თხუნელებს რომ თვალი გააყოლა, გადაწყვიტა თავადაც წასულიყო რობში და იქ შებმოდა მათ. ეს რომ იფიქრა, გულზე მოეშვა. თავი კვლავ ჯანიანად იგრძნო. ირგვლივ ყველაფერი გამშვენიერდა, განათდა და გამხიარულდა; ამ ხნის კაცმა ერთხელ, მხოლოდ ერთხელ განიცადა ასეთი რამ. მის ახალგაზრდობაში საშინელმა წარღვნამ წალეკა მთელი ხიდები, ბოგირები და სანაპიროზე მდგარი რამდენიმე სახლიც კი. მან კი გადაწყვიტა როგორმე ტილჩკა ენახა; ტემნიკარმა მაშინ საჩქაროდ შეკრა სამი მუხის მორი და არც დაფიქრებულა, ისე მიენდო აბობოქრებულ სტიქიონს; წყალს იგი ზასეკარევის ჭორომზე უნდა გაეყვანა, მაგრამ გულმა უგრძნო, რომ ამ ადგილს ასცდებოდა და მის მოპირდაპირე მხარეს, უსადარევის მეჩეჩს მიადგებოდა. ასეც მოხდა... როგორც ამ ორმოცდაათი წლის წინათ, ახლაც ასეთივე განცდა ჰქონდა. ზღურბლზე მდგარმა გადაწყვეტილება მიიღო თუ არა, ირგვლივ წამსვე სახე იცვალა ყოველივემ. ყველაფერი განათდა, დაიწმინდა, დიდად მნიშვნელოვანი გახდა: მსხლის ხეც, კაკალიც, საპობი მორიც, წყალიც, გაყინული ღარიდან ვერცხლის ჭავლად რომ მოედინებოდა სათლში, ასკილის შიშველი ბუჩქიც, ჩაშავებული მესრიდან ბალში რომ იჭვრიტებოდა, დათოვლილი ბილიკიც, ჯადოსნური გველივით რომ მისრიალებდა ციცაბო ფერდობზე, ვრანეკის დაკბილული თხემიც, მოლურჯო-ფოლადისფერი ზეცაც, თეთრი ღრუბელიც, თრთოლვით რომ ეთხოვებოდა მას. ზამთრის მზის სხივებს ისე მოეკრიალებინა ეს ქვეყანა, ძნელი იყო სიკვდილზე ფიქრი. მაგრამ ტემნიკარმა ერთი რამ იცოდა კარგად: დაუყოვნებლივ გზას უნდა გასდგომოდა და ის გაეკეთებინა, რისი გაკეთებაც ევალებოდა. ცოცხალი კი ველარ დაბრუნდებოდა. ასე იქნება...

— ერნეი! — მიაძახა ცოლმა.

ტემნიკარი შეკრთა და მოიხედა.

— იქნებ ისევ აგტკივდეს! — მოაგონა შეწუხებულმა ცოლმა და წინსაფარი აიწია, რომ ნიადაგ აცრემლებული თვალები ამოეწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა უნდა ამტკივდეს? — უნებლიეთ ჩაილაპარაკა ტემნიკარმა.

— როგორ თუ რა? მუცელი.

— არაფერიც არ ამტკივდება!

— რას ამბობ? — ქალმა ხმას აუმაღლა.

— გეუბნები, არაფერი არ მომივა-მეთქი! — საოცარი ალერსიანი ღიმილით გაუმეორა ტემნიკარმა, მაგრამ მაშინვე შეიკრა წარბი, თავის თავზე გაბრაზდა. მოეჩვენა, ზედმეტი წამოვაყრანტალე და ცოლი ტყუილად შევაშფოთეო. მიხვდა, რომ კარგად არ გამოუვიდა. ამიტომაც საჩქაროდ დაუმატა მკაცრად: — ყოველ შემთხვევაში, დღეს არაფერი მომივა!

— ოჰ, რა გმირად მოგაქვს თავი! — ჩაიცინა ქალმა. — ნუ დაგავიწყდება, რომ სამოცდაათი წლის კაცი ხარ!

— არ დამავიწყდება! — მოუჭრა ტემნიკარმა და მტკიცედ გადააბიჯა ზღურბლს.

— ეჰეი! — გაისმა ქალის მკვახე ხმა.

პეტერ მაიცენი უმალ გამოერკვა, სახლის პატრონისაკენ მოიხედა და უნებლიეთ ჰკითხა:

— რა მოხდა?

— დედაბერი შეძახის, — მიუგო მან. — ჩემი ცოლი. ბრაზობს...

— ჰო, ცოლი... — ჩაიბურტყუნა პეტერ მაიცენმა. უკმაყოფილო იყო, რად გავამჟღავნე, რომ შევკრთიო.

— ჰმ, მაშ ასე. მკვახე ხმა აქვს ჩემს ცოლს.

— მკვახე... — „ტემნიკარის ცოლივით“, გაიფიქრა პეტერ მაიცენმა. იგი კვლავ თავის ტემნიკართან იყო.

— ჰმ... დიასახლისი ხომ ის არის.

— ჰოო, დიასახლისი...

— ჰმ, მაშ ასე... კაცი რომ ზედსიძედ შევა, მოჯამაგირეობიდან თავს ვერ ლარ დაიხსნის.

— ჰოო, მოჯამაგირეობიდან...

— ჰეი! — ახლა უფრო ხმამაღლა დაიძახეს ეზოდან.

პეტერ მაიცენმა დაინახა, სახლის პატრონმა რომ ხელი გაჰყო ფანჯარაში და ვილაცას დაუქნია. ისიც გაიგონა, რომ გლეხმა იმ ვილაცას რაღაც მიაყვირა კიდეც. მაგრამ მისი სული და გული ამ წუთში მხოლოდ გრძელი, გამხმარი ხელისკენ იყო მიპყრობილი, შემომწვარ, დაკორძილ შეშის ღერს რომ ჰგავდა და მზის კაშკაშა სინათლეზე ნელ-ნელა რომ აიწ-დაიწია.

„დიდად საყურადღებო კაცია, — გაიფიქრა მან. — კარგად უნდა დავიხსომო!“

გლეხმა ხელი გამოსწია და ნიკაპი მოიქექა.

— ჰმ, მაშ ასე! — ამოიხვნეშა მან. — ცელი უნდა მოვპირო.

— ჰოო, ცელი... — ბურტყუნებდა პეტერ მაიცენი. იგი ჩემოდნისკენ დახრილიყო, რათა იქიდან ფანქრები, მელანი და სხვა რამერუმეები ამოელაგებინა.

— ჰმ... წავალ, აქვიტს მოვთიბავ.

— ჰოო, აქვიტს... — უნებლიეთ გაიმეორა პეტერ მაიცენმა და უცებ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირვებით მიმოიხედა. — აქვიტს? ახლა? ახლა ხომ... — უნდოდა ეთქვა, „ახლა ხომ ზამთარია!“, მაგრამ დროზე გაახსენდა, სადაც იმყოფებოდა, და ენაზე მომდგარი სიტყვა ზედვე შეაშრა. ამ ამბავმა კი ისე ბავშვივით გააცინა, გაიცინა და თავი გაიქნია.

— მერე სად წახვალთ სათიბად?

— წყნარ ბარში.

— კარგი სახელია.

— ჰმ, მაშ ასე, აქვიტის მოთიბვა თითქოს ნაადრევია, მაგრამ წყნარ ბარში მიწა კარგია, წყალი სამყოფი და ბალახი სწრაფად იზრდება.

— ჰო, ჰო, ჰო! — თავს უქნევდა პეტერ მაიცენი და თავისთვის იღიმებოდა. „ოჰ, რა სულელი ვარ! თუმცა რა მოხდა ისეთი? აქ ახლა ზაფხულია, მაგრამ მე ხომ ტემნიკართან ვარ. იქ კი ზამთარია, თოვს. მთელი ღამე ითოვა და მუხლამდე დადო თოვლი... ამიტომაც ვერ გაუგია ტემნიკარის ცოლს, რად გაუწია მის ქმარს გულმა ტყისაკენ...“

— ერნეი! — მიაძახა ტემნიკარს ცოლმა.

ტემნიკარი ის იყო ბოსელს მიუახლოვდა. უკან არ მოუხედავს, მაგრამ გული კი დაუმძიმდა.

„ისე მომკივის, თითქოს გული ცუდ რასმე უთქვამს, — გაიფიქრა მან. — თუმცა ალბათ არც ატყუებს.. ავი წინათგრძნობა მე დილით მქონდა, ამას კი, როგორც ჩანს, ახლა უგრძნო რაღაცა გულმა“.

— ერნეი!

ტემნიკარმა მოიხედა. ქალი ზღურბლზე იდგა — ჩაბნელებულ კარში შავი ლანდივით ჩანდა. შეეცოდა კაცს.

„ცუდი ცოლი არ იყო ჩემთვის! თავადაც იტანჯება საწყალი, უხიაკი ხასიათი რომ აქვს. კაკლისა და წაბლის ქერქის სისქე კანი აქვს შემოკრული გულზე — მაგარი ღენჭო, ზედაც ეკლიანი ქაცვები... ცუდი ცოლი კი ნამდვილად არ იყო! ტილჩკა თავის ბავშვიანად დაიღუპა. ამან კი ორი შობა. თუმცა არც ერთი არა მგავს, ორივე დედის ფეხია. ჯანდაბას, გოგო რაც არის, არის, მაინც გოგოა. ის ბიჭი მენანება მხოლოდ. ჩემდა სავალალოდ, ძალიან აზიზი მყავს. მაგრამ ეს ქალი რა დამნაშავეა? რა თქმა უნდა, არაფერ შუაშია... ვუყვარდი მე მაგას. მეც მიყვარს ჩემებურად, თუმცა ტილჩკა სულ სხვა იყო ჩემთვის... ხვალ-ზეგ, როცა რობში მიპოვნიან, ეს საწყალი ერთ ვაიუშველებელს ატეხს...“

— ერნეი! — ძოწოლვითა და რისხვით დაუყვირა ქალმა.

კაცი ნელა მიუახლოვდა.

— ყური მიგდე, მარიანა, — უთხრა მან საოცრად გულში ჩამწვდომი ხმით, — სულ მუდამ რად უნდა ვიჩხუბოთ? ან რად გინდა მუდამ შენი გაიტანო? დღეს მაინც, ამ შობა დღეს... როცა ყველა კარგ გუნებაზეა, ასე ვთქვათ... დღეს მაინც რატომ არ უნდა ვიყოთ ტკბილად?.. ჰა, მარიანა?

— ერნეი, რა მოგდის? — მიუგო ქალმა და ხელები წინსაფარზე დაიკრიფა.

— რა? — ჩაიცინა ტემნიკარმა. — რა, რა... მოდი, ცუდი ყველაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დავივიწყოთ! შენ ღვეზელი გამომიცხვე, მე კი ტყეში წავალ, იმიტომ რომ ასე მაქვს გადაწყვეტილი. აბა, მომეცი ხელი!

— რა მოგდის დღეს, ერნეი? — ქალმა გაოცებით გააქნია პატარა თავი.

— არაფერი. ხელი მომე-მეთქი.

— დღეს რაღაც უცნაური ხარ, — უთხრა ქალმა, თუმცა უნებლიეთ ხელი მაინც გაუწოდა ქმარს.

— აი, ხომ ხედავ! — თავი დაუქნია ტემნიკარმა. — განა ასე არა სჯობს? უფრო ჭკვიანური არ არის? ახლა შემიძლია დამშვიდებული წავიდე... — ტემნიკარმა მაგრად ჩამოართვა ხელი და საჩქაროდ მოეფარა მოსახვევს.

— ერნეი!.. ერნეი!..

— ჰეი! — კვლავ გაისმა ქალის გამყივანი ხმა.

პეტერ მაიცენი უნებლიეთ შეკრთა, თუმცა უკვე იცოდა, ვინც იყო ამ ხმის პატრონი.

— ცოლი ისევ გეძახით, — უთხრა მან სახლის პატრონს, ქალის ხმაზე რომ არც შერხეულა.

— ჰმ, მაშ ასე, — ესღა ამოღერღა სახლის პატრონმა, მერე კი აუჩქარებლად გაბყო გრძელი ხელი ფანჯარაში და მზის სინათლეზე აიქნ-დაიქნია.

— ეს ქალი თქვენი მეორე ცოლია? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა. „ღმერთო, მიშველე, ეს რა მომივიდა აზრად? ყველაფერში ტემნიკარს რად ვადარებ ამ კაცს? სულ ამერია ტვინი“.

— მეორე? — გაკვირვებით გააგრძელა გლეხმა და ძვალტყავა თითებით კვლავ ნიკაპი მოიქექა.

— ოჰ, მაპატიეთ! მაპატიეთ! თავადაც არ ვიცი, ეს რამ მაფიქრებინა! უბრალოდ, რაც ენაზე მომადგა, ის წამოვროშე, — თავს იმართლებდა პეტერ მაიცენი. სახე კი ულიმოდა, მაგრამ თავის ქერქში ვერ იყო. მან მაგიდაზე მოისროლა სქელი საქალალდე და მის გახსნას შეუდგა.

„სულიან-ხორციანად ტემნიკარში ვარ ჩაფლული... ამიტომაც დროა ეგ „მაშ ასე“ გარეთ გავაბრძანო... თუ ახლავე არ ვიქმ ამას, კვლავ წამომაყრანტალებინებს რაღაც სისულელეს!“

— ჰმ, მაშ ასე, — თქვა სახლის პატრონმა. — ხდება ხოლმე, ზოგჯერ ისეთ რასმე წამოროშავ კაცი... თქვენი თქმისა არ იყოს, არაფერ შუაში რომ არ არის. რა ვუყოთ მერე, — გლეხმა ნიკაპი მოიქექა და დინჯად დაუმატა: — რაკი სიტყვამ მოიტანა, შემიძლია გითხრათ, რომ მე მაგ ქალის მეორე ქმარი ვარ.

— ჰოო! — თქვა გულდამშვიდებულმა პეტერ მაიცენმა. „მართლაც თავად უნდა მივმხვდარიყავი, შენ რომ ორჯერ ცოლის შემრთველი კაცი არა ხარ“.

— დიახ... დიახ... სწორედ რომ ასეა... როგორც იტყვიან, თავი შემართვევინა, გესმით?

— მესმის, მესმის...

— მე ხომ მანამდეც მათ სახლში ვცხოვრობდი, ვინემ მისი ქმარი ცოცხალი იყო... მოჯამაგირედ ვყავდი, თუმცა უფრო მეტი პატივით მექცეოდნენ. მანამდე კი ვვაჭრობდი საქონლით, ხე-ტყით, ზოგჯერ მიწის ნაგელები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც... წვრილმან-წვრილმანებით ვკმაყოფილდებოდი. ვაჭარი კაცი არ ვიყავი ბუნებით. მიხაროდა, რომ სხვადასხვა საქმეებზე ქვეყნის ოთხივ კუთხით დავეხეტებოდი... ხომ გესმით?

— მესმის, მესმის...

— ჰო, ბევრჯერ მომიწია შავ ხევში ჩამოსვლა. ერთხელაც აქ გავათიე ღამე და... თვითონაც მოგეხსენებათ, რაც მოხდებოდა და რაც ხდება ხოლმე, როცა მოხუცი კაცი ავადმყოფობს და ლოგინად არის ჩავარდნილი, ქალი კი ახალგაზრდაა, ჯანიანი და, როგორც იტყვიან, ცხელსისხლიანი...

— მესმის, მესმის...

— ჰმ, მაშ ასე. მე სულაც არ ვიყავ კმაყოფილი ამ ამბით. მაგრამ რას იზამ, უძლური ხარ კაცი... გადავაწყდი აი ამისთანას და... დავრჩი კიდეც, ბირკასავით მომეწება ეს დედაკაცი... ხომ გესმით?

— მესმის, მესმის...

— მერე კი, როცა ბერიკაცი მოკვდა, ჩვენ შევვუღლდით... კარგი კი იყო, ეს არ მომხდარიყო.

— რადა? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა, თუმცა სულაც არ აინტერესებდა.

გლეხმა პასუხი შეაგვიანა:

— ჰმ, მაშ ასე, მოჯამაგირე სახლზე არ არის მიჯაჭვული, სახლის პატრონი კი... სახლშიც რომ არის, არც მაშინაა ყოველთვის ოჯახის თავი...

— ჰო, რასაკვირველია...

— ხოლო თუ დედაკაცია ოჯახის თავი და გლეხსაც გაგიქეზით უყვარს ეს დედაკაცი, მაშინ... მაშინ...

— რა მაშინ? — კვლავ უხალისოდ ჰკითხა მისდა უნებლიეთ პეტერ მაიცენმა. იგი მაგიდის უჯრაში ქალალდებს ალაგებდა.

გლეხმა ჩაახველა.

— ... მაშინ დედაკაცი კისერზე მოაჯდება... როგორც იტყვიან, თითზე დაიხვევს... მართალია, ბერიკაცი ამ ქალისთვის ჭკუაზე იშლებოდა, მაინც ხვდებოდა ბევრ ისეთ რამეს, რასაც სჯობდა არ მიმხვდარიყო...

— რა იყო ასეთი? — ჰკითხა პეტერ მაიცენმა და გლეხს ახედა. „ვინ იცის, რა უხამსი ამბავი იმალება!“

გლეხს ბანჯგვლიან ნიკაპზე შეაციცდა თითები. ალბათ უკვე ნანობდა, ასე რად შევტოპეო.

— ჰმ, მაშ ასე... მე მინდა ვთქვა, რომ კაცი ისე ალარ იქცევა, როგორც უნდა მოიქცეს. რასაკვირველია, თავად არის დამნაშავე, რახან ასეთი დოყლაპიაა...

— რასაკვირველია! ყოველი კაცი რალაცაში სცოდავს და ყოველ კაცს რალაცა გასაჭირი ადგას! — თქვა პეტერ მაიცენმა და უჯრა ჯახუნით მიხურა, თითქოს ამით უნდოდა ეთქვა, მოთმინების ძაფი გამიწყდაო.

— ყოველ კაცს, მაშ!.. — შვებით ამოისუნთქა სახლის პატრონმა.

— ყოველ კაცს, ყოველ კაცს!..

გლეხმა ჩაახველა.

— ჰმ, მაშ ასე. ახლა შეუდგებით?

— რას?

— რასა და... წერას?

— რასაკვირველია! „რომ ველარ ველირსე შენს აქედან წასვლას!“ — პე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერ მაიცენმა მაგიდაზე დადო ზურგჩანთა, რომ იქიდან სპირტქურა, ყავა, შაქარი და ყავის საფქვავი ამოელო.

— ჰმ, მაშ ასე... მერე და წავა საქმე?

— რად არ უნდა წავიდეს? — შეეკითხა პეტერ მაიცენი და ფერმა გადაჰკრა. მან ყავის მარცვლები საფქვავში ჩაყარა და დაფქვას შეუდგა... — თუ საქმე გემარჯვება, თავსაც მოაბამ. თუმცა ბოლომდე მაინც ვერასოდეს გაიწაფები!..

— სიცოცხლე მეტად მოკლეა.

— ორჯერ უფრო გრძელიც რომ იყოს, მაინც ასე იქნებოდა. არ ღირს ახლა ამაზე ლაპარაკი!..

— ჰმ, მაშ ასე. იმუშავე და ითმინე, ვინემ კარზე არ მოგდგომია...

— ვინ?

— ვინა და ის, ცელით რომ დადის.

— ის რა სახსენებელია!

— გინდ ახსენე, გინდ არა, სულ ერთია — მაინც მოგადგება!

— სწორედ ამიტომაც არ ღირს ლაპარაკი! — თითქმის დაიყვირა პეტერ მაიცენმა, თავი ჩაჰკიდა და უფრო სწრაფად დაატრიალა საფქვავი.

— ნუ გამიჯავრდებით, ერთი რამ მინდა გკითხოთ, — თქვა გლეხმა, — რაზე უნდა წეროთ?

— ტემნიკარზე.

— ვისზე?

„ღმერთო ჩემო, ნუთუ მართლა ვერ ვიმუშავებ?“

— რაო, რა თქვით, ვისზეო?

— ერთ ბერიკაცზე... შეიძლება ერთი ტოლჩა წყალი გთხოვოთ?

— ერთი ტოლჩა? — იკითხა გლეხმა. — ჰმ... თუ სხვა არაფერს ითხოვთ...

— არა, არ ვითხოვ! — მოუჭრა პეტერ მაიცენმა და ყავის საფქვავი მაგიდაზე რახუნით დასდო. — ერთი ტოლჩა წყალი მინდა მხოლოდ, რომ ყავა მოვიდუღო.

— ჰეი! — გაისმა ეზოდან ქალის გაბრაზებული ხმა.

— მადლობა ღმერთს! — უნებლიეთ ხმამაღლა წამოსცდა პეტერ მაიცენს. მაგრამ მაშინვე დაუმატა: — ერთი უთხარით, წყალი მომიტანოს!

სახლის პატრონი მარდად გადაეკიდა ფანჯარაში. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო: წყლის მოტანას ცოლს ვთხოვ, იქნებ ამით გავაჩეროო.

— ერთი ტოლჩა წყალი მოიტა! — დაუყვირა მან ქალს.

— რაო?

— ერთი ტოლჩა წყალი, ბატონს უნდა ყავა მოიდუღოს!

პეტერ მაიცენმა კედლისკენ მისწია დანჯღრეული ტუმბი, ძველი გაზეთი გადააფარა და ზედ სპირტქურა, ჯეზვა [1] და ფინჯანი დასდო.

— ახლავე მოიტანს, — თქვა გლეხმა. იგი კვლავ ფანჯარას მიეყრდნო, ნიკაპი მოიქექა და იკითხა: — მერე რა მოუვიდა?

— ვის?

— აი იმ კაცს. როგორ თქვით, რა ჰქვიაო?

— ტემნიკარი! — უთხრა პეტერ მაიცენმა. ალარ იცოდა, როგორ შე-

[1] ჯეზვა (არაბ.) — ყავის მოსახარში ჭურჭელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწყვიტა ეს მოსაბეზრებელი საუბარი, ისე რომ სახლის პატრონისთვის არ ეწყენინებინა.

— ჰო, ტემნიკარი! რა მოუვიდა მას?

— ისეთი არაფერი! — ხელი ჩაიქნია პეტერ მაიცენმა. — ხუთ თეთრგვარდიელს შეება თორმეტი მძიმედ დაჭრილი პარტიზანის გადასარჩენად. ისინი ამხანაგებმა ალყიდან იხსნეს და ტყეში დამალეს. აი, ეს გადახდა თავს!

— ჰმ, მაშ ასე... მერე მარტო იყო?

— მარტო...

— სძლია კი მათ?

— სძლია...

— ბერიკაცი იყოო, ამბობთ?

— სამოცდაათი წლისა...

— ჰმ... თავადაც დაიღუპა?

— თავადაც დაიღუპა... მაშ ასე! მაშ ასე! — მჭახედ მიუგო გაბრაზებულმა პეტერ მაიცენმა. — ჰო, დაიღუპა! და მაინც ეს იყო ყველაზე მშვენიერი დღე მის ცხოვრებაში!.. ამას თქვენ ვერ გაიგებთ!

გლეხკაცი გაქვავდა. პირდაღებული, თვალის დაუხამხამებლად ისე მიჩერებოდა პეტერ მაიცენს, თითქოს მაიცენი გველი იყო და შიგ გულში უპირებდა კბენას.

— მე მინდოდა მეთქვა, ამას ასე აუხსნელად ვერ გაიგებთ-მეთქი! — სცადა ნათქვამის გამოსწორება პეტერ მაიცენმა და უნებლიეთ თავადაც გაშეშდა ამ ქანდაკების დამნახავი. იმ წამს მხოლოდ იმან გაუელვა ფიქრად, სასტიკად შეურაცხყავიო ადამიანი. მოგვიანებით, საკმაოდ მოგვიანებით, იგი თავს აღშფოთებით გაიცხავს: ეს მწერალი კაცი ასე რამ დააბრმავა, როგორ ვერ დაინახა, რომ თავისი სიტყვებით თითქოს მარილი დააყარა ჩრნილოგარის ისედაც მოუშუშებელ ჭრილობას, ჯერაც რომ სისხლი სდიოდა და ხორცსა და სულს უშანთავდა. იქნებ იმიტომ გამოეპარა ეს ამბავი, რომ ჩრნილოგარი არც აინტერესებდა და არც მაინცდამაინც ეპიტნავებოდა. ასე იყო თუ ისე, იმ წუთს იგი ვერაფერს მიხვდა, მხოლოდ ისღა იგრძნო, რომ ამ კაცს შეურაცხყოფა მიაყენა, და შეეცადა როგორმე თავი ემართლებინა:

— მე მინდა გითხრათ, რომ თქვენ ამ ამბავს ვერ გაიგებთ, ვერც ვერავინ გაიგებს, თუ ტემნიკარის მთელი გავლილი ცხოვრება, ბედი, დარდი და ნაღველი არ უამბე, თუ არ აუწერე ყველა ის გარემოება, რამაც გავლენა მოახდინა ამ კაცზე, მთლიანად გარდაქმნა იგი, შიში სიმამაცედ უქცია და... სიკვდილს ისე შეხვდა, როგორც სიცოცხლის გამოცხადებას, ისე შეხვდა, როგორც...

ამ დროს კარზე დააკაკუნეს და დიასახლისმა წყალი შემოიტანა. პეტერ მაიცენს უკვე ნანახი ჰყავდა ეს ქალი, მაგრამ მხოლოდ ახლა მოხვდა თვალში მისი სიმაღლე და ტანადობა.

— აჰა! გეყოფათ, ხომ? — იკითხა ქალმა და ტოლჩა ზედ წიგნზე დადო. მერე პასუხსაც აღარ დაუცადა, ქმარს მივარდა: — ჰეი! უკვე მოასწარი მიტმასნა?.. რა საკუთარი საფლავის ძეგლივით აყუდებულხარ?!

მერე ქალი კვლავ პეტერ მაიცენს მიუბრუნდა:

— ეს მხოლოდ სიკვდილის მოსაყვანად უნდა გაგზავნო კაცმა, მერე დაჯდე და გულდამშვიდებით ელოდო განკითხვის დღეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმარმა ჩაახველა.

— ჰმ, მაშ ასე. ლაპარაკში გავერთე...

— ლაპარაკშიო? — ქალმა ხელები თეძოებზე შემოიდო და რაღაც უცნაურად, თითქოს ქედმაღლურად ჩაიცინა. — ლაპარაკში? ყოჩაღ... ვერაფერს იტყვი კაცი... იქნებ ეხმარები კიდეც, ჰა?.. ბატონს ხელს უშლი ალბათ, ეს არის და ეს! სწორე არა ვარ, ბატონო?

— არა, რათა, — საჩქაროდ მიუგო პეტერ მაიცენმა. ცოლი მას ქმარზე ნაკლებად მოსწონდა. რაღაცნაირი არაწმიდა, საკმაოდ უჭკუო და უგულო ქალი ჩანდა.

— ჰმ, ძაშ ასე! — გაიცინა ქალმა და თეთრი, ხორცსავსე მკლავები გაიქნია. — არც მე მაწყენდა წამასლაათება, მით უმეტეს განათლებულ ხალხთან, ვინც ბევრ რამეს ამიხსნიდა... ვისაც ავი თუ კარგი გაეგება... შეუძლია ესეც გაგიმარტოს და ისიც... ჩვენ ხომ უბრალო ხალხი ვართ... უსწავლელი... თუმცა მაინც ადამიანები ვართ და... სწორე არა ვარ, ბატონო?

— რასაკვირველია, რასაკვირველია! — თავი დაუქნია პეტერ მაიცენმა, ეშინოდა, ახლა ეს ქალი მთლად გამიწყვეტს მოთმინების ძაფსო. და აღარ იცოდა, როგორ დაეხსნა მისგან თავი.

— მეც მაგას არ ვამბობ, — მიაყარა ქალმა, — ზოგჯერ უბრალო ადამიანიც წაიფორხილებს... მე მინდა ვთქვა — ვერც მიხვდება, ისე... მერე კი იტანჯება და ეწამება, როგორც გველი ძველი პერანგიდან გამოძრომისას... სულ რომ არ არის საჭირო, ისე... სწორე არა ვარ, ბატონო?

— დიახ, დიახ...

— ჰო... იყო დრო, — არა, მე არ ვამბობ, ცუდი დრო იყო-ნეთქი, არა, არ იყო ცუდი... მხოლოდ სხვა დრო იყო... კარგი დრო... ოდონდ ოცა ომმა თავის მორევში ჩაგვითრია და იმ საშინელმა ამბებმა თავგზა აგვიბნია... მე მინდა ვთქვა, მაშინ ძნელი არ იყო თავგზის აბნევა... და არც არაფერი საოცარი ამბავი ეს არის...

— დიახ, დიახ! — თქვა პეტერ მაიცენმა, ტოლჩა აიღო და ტუმბოსთან მივიდა.

გლეხმა ჩაახველა და უცებ ისე ხმამაღლა წამოისროლა აჩემებული „მაშ ასე“, პეტერ მაიცენმა უნებლიეთ მოუხედა.

— ჰო... ჰო... ნეტა რას ვუბედავ ამდენს? — გაიცინა ქალმა და აწითლებული სახე ყვავილებიანი წინსაფრით მოიწმინდა. — დედაკაცური ლაქლაქი გავაბი...

— დიახ, დიახ! — თქვა პეტერ მაიცენმა. — ცუდი როდია ეს! მხოლოდ, იცით, მინდოდა წამემუშავა.

— მაგას არ ვამბობ! — სასწრაფოდ დაეთანხმა ქალი. — ყველაფერს თავისი დრო აქვს. სწორე არა ვარ, ბატონო?

— რასაკვირველია, რასაკვირველია!

— აი, ხომ ხედავ? — მიუბრუნდა ქალი ქმარს, — წავიდეთ! თავად თუ არ ხარ მუშაობის ხასიათზე, სხვას მაინც ნუ უშლი ხელს. სწორე არა ვარ, ბატონო?

პეტერ მაიცენს აღარაფერი უპასუხნია.

ცოლ-ქმარს კრინტიც აღარ დაუძრავთ. ისე ჩუმად გაიხურეს კარი, თითქოს ამ სახლის პატრონები თვითონ არ იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

— უჰ! — ხმამაღლა ამოიოხრა პეტერ მაიცენმა.

მან ჯეზვა სპირტქურაზე დადგა, ტოლჩა კი იატაკზე. მერე ისეთი ძალით გაიზმორა, სახსრებს ტკაცატკუცი გააღებინა და მაღლა შეხტა, თითქოს მძიმე, მტანჯველი ტვირთი მოიშორაო.

— უჰ! გული ვიჯერე მასლაათით. იმედი მაქვს, ახლა ვახშმობამდე ვერც „მაშ ასეს“ გავიგონებ და ვერც „სწორე არა ვარ, ბატონო?“

მან ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ინგლისური ნელი ჰანგის სტვენა დაიწყო, კარგა ხანია ყურებში რომ ედგა. უსტვენდა და თან წყლის ადუღებამდე ტუმბთან ცეკვავდა. მერე საჩქაროდ ყავა შეამზადა და დაისხა.

— ესეც ასე! ახლა ვიმუშაოთ! — შესძახა მან და მაგიდას მიუჯდა. ნაფაზი დაარტყა, საქაღალდე ახლოს მიიწია, ნელა გახსნა და, პატარა ბიჭივით გაცელქებულმა, ფრანგულად მოუხმო ტემნიკარს, ცოტა არ იყოს შინაურულადაც კი, თითქოს საბრძოლველად იწვევდა: Et maintenant, Temnicar, a nous deux! [1]

მაგრამ ვაი რომ ტემნიკარი არ მოდიოდა!

პეტერ მაიცენს შეეშინდა. ჯერ ფართოდ გაახილა თვალები, მერე მაგრად მოჭუტა, რომ სიბნელეში კარგად დაენახა. მაგრამ ის ზმანებანი, ეს წუთია ისე ნათლად და გამოკვეთილად რომ ხედავდა, თუნდაც სურათს გადაუღებდა, უცებ გაქვავდნენ, მერე რუხ ლაქებად გაიდლაბნენ და ბოლოს სულაც გაქრნენ. თვალწინ უკუნი სიბნელელა ედგა. მერე ამ სიბნელეში წითელი, მწვანე და ყვითელი წრეები არიალდა, ერთმანეთს შეეჯახა; პეტერ მაიცენს თვალთ აუჭრელდა და საფეთქლები ასტკივდა. მალე ეს წრეებიც გაქრა. მათ მაგივრად ახლა შავი ლაქები აცეკვდა თითქოს შავ ყინულზე.

— წყეული გლეხი! წყეული დედაკაცი! — დაიყვირა პეტერ მაიცენმა, ბრაზით გასწია მაგიდა და ოთახში აწრიალდა, — ასეც ვიცოდი, აქამდე რომ მიმიყვანდნენ!

„იცოდი? შენ გგონია, მართლაც ეს ცოლ-ქმარია დამნაშავე?“

— მაშ არადა! — შეჰყვირა პეტერ მაიცენმა, ამ ყვირილით ცდილობდა ჩაეხშო თავისი შინაგანი ხმა. — „ჰმ, მაშ ასე, წავა კი საქმე?.. ჰმ, მაშ ასე, ჩქარა თუ მიგდით საქმე?.. ჰმ, მაშ ასე, საინტერესო ამბავი თუ გამოდის?.. ჰმ, მაშ ასე, ღირს კი?“

იდუმალი სევდა, სასოწარკვეთილება, ნაღველი ყინულის ლოდივით დაწვა გულზე. შემოქმედებითი სიხარულის ცეცხლი, სულ ახლახან რომ სახე გაუბრწყინა, ჩაქრა. ჰო, ასეა მუდამ!.. მერე რატომ? საიდან მოდის ეს შიში, სასოწარკვეთილება, ეს ნაღველი?

მან საქაღალდე დახურა და განზე მისწია. მაგიდას იდაყვებით დაებჯინა, თავი ხელებზე დააყრდნო და ფანჯარას მიაშტერდა. ვიწრო ეზო იყო; ოთხი მეტრის მოშორებით სახლის მეორე ნაწილის მაღალი თეთრი კედელი აღმართულიყო, მის ზემოთ მოჩანდა ყავისფერი სახურავი და დაბალი საკვამური, საიდანაც გამჭვირვალე მოცისფრო კვამლი ამოდიოდა.

— ყოველივე კვამლია და მეტი არაფერი! — გაიფიქრა გულმოკლულმა პეტერ მაიცენმა.

---

[1] აბა ახლა კი, ტემნიკარ, ჩვენ ორნი დავრჩით (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან თვალი გაუსწორა ცის ვიწრო ზოლს, სახურავს ზემოთ რომ მოჩანდა. ცას მუქი ლურჯი ფერი გადაჰკრავდა, ღრმა და მყუდრო იყო.

„ღრუბელიც არ ჭაჭანებს!.. ტემნიკარს კი თავისი საკუთარი ღრუბელი ჰქონდა. შინიდან რომ გადიოდა, ვრანეკთან დაინახა იგი, ხოლო მერე, რობში რომ იწვა — ბრეზამის ცაზე ჰკიდა თვალი. ტემნიკარის უკანასკნელ ამოსუნთქვის უმალ გაქრა ის ღრუბელი... ჩემი ცა კი უკვე ცარიელია, ცარიელი და უძირო უფსკრულივით ღრმა“... პეტერ მაიცენს შეაჟრჟოლა.

„ახია ჩემზე, თავში რომ ასეთი საშინელი შედარებები მომდის! — მან ნაღვლიანად ჩაიცინა. — უფსკრული? ჰო! ცის ეს სწორკუთხედი უძირო უფსკრულის უძირო ვიწრო ხახაა მხოლოდ, მე კი ვზივარ აქ, მიწის სიღრმეში, ღრმა სარდაფში, და მოულოდნელად ახლა, სწორედ ამ წუთს, დედამიწა გაიპობა და უფსკრული მიყოფს პირს. მე ღია სარკმელში ჩავვარდები, მაღალ თეთრ კედელს, სახურავს, საკვამურს ჩავუფრენ გვერდით, კვამლში გავაღწევ და ვიფრენ ასე ქვევით. ისიც ვიცი, რომ ფსკერს ვერასოდეს მივაღწევ, რამეთუ არ არსებობს იგი; მე მხოლოდ დაბლა-დაბლა დავეშვები მანამდე, სანამ სევდა არ დამარეტიანებს და გრძნობას არ დავკარგავ... ჩემ ირგვლივ კი უსასრულო სიჩუმე დარეკავს ზარივით, თითქოს კედელი რკინისა იყოს...“

პეტერ მაიცენი უნებლიეთ მაგიდას მოეჭიდა.

და მაშინ, სწორედ იმ წამს, მოსაპირავი ცელის რაწკუნი გაისმა. ისეთი მოულოდნელი და მჭახე იყო ეს ხმა, პეტერ მაიცენი წამოხტა.

„ჰმ, მაშ ასე... — ჩაიცინა მან, როცა გამოერკვა, — ეს წყეული „მაშ ასე“ თავის ცელს პირავს. აკი თქვა, აქვიტის მოსათიბავად უნდა წავიდეო... სადაო? რა ადგილასო?“

„წყნარ ბარში“.

„ჰო, წყნარ ბარშიო... მაინც რა საოცარი სახელები ჰქვია აქაურ ადგილებს! შავი ხევი, წყნარი ბარი!“

„ალბათ იმიტომ, რომ ნაღვლიან ფიქრებში ჩაძირო... გეყოფა, გეყოფა! კაცი იფიქრებს, სიკვდილის ზღურბლზე დგასო. სახლის პატრონი თუ ცელს პირავს, რა საოცრებაც ეგ არის?!“

„საოცრებაო? რასაკვირველია, არა! მაგრამ ეს ცელი ისე წკრიალებს, ჩემი უძირო უფსკრულის სიჩუმეს ჰკვეთს... ჰო, სწორედ ასეა — სიკვდილი შემომჯდარა მთის წვეროზე, თავისი ვეება ცელი მთელი ხეობისათვის გადაუწვდენია და ახლა ჩემ ზემოთ პირავს ამ ცელს“.

„რა სისულელეა!.. ეს ხომ სიკვდილი არაა, ეს გლეხკაცია. თუმცა ისიც ჩონჩხივით არის ჩამომხმარი“.

„იქნებ თავის მოსაკლავად ლესავს იმ ცელს?..“

ამ ფიქრმა ისე გააოცა პეტერ მაიცენი, თითქოს თავად ესუფევებინოს იმ გლეხის სიკვდილი.

„ღმერთმანი, ჭკუაზე აღარა ვარ!.. დღეს რაღაც საოცრება მემართება, ჩემივე თავი გამიხდა უძირო უფსკრული. რა საზარელი აზრები მებადება“.

„აბა, თავს სძლიე და ფიქრებს სხვა მიმართულება მიეც!“

„მივცემ კიდეც უთუოდ! — პეტერ მაიცენმა ხელები დამუშტა და აიქნია. — თუმცა... განა უცნაური არ არის, რომ უცებ ასეთი აზრი დამებადა? აბა, რად უნდა დაუდგეს ამ კაცს აღსასრული? ან საიდან მომივიდა ფიქრად?“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საიდან? სხვა ფიქრებს მოჰყვა. ფიქრებს კი პასპორტი არ გააჩნია, რომ კაცმა მათი სადაურობა გაიგოს!“

„ჰო, რასაკვირველია! თავის შინაგან სამყაროს ადამიანი სიკვდილამდე ვერ შეიცნობს. ნელ-ნელა იხსნება ახალი და ახალი ქვეყნების კარი. აი ახლა გადაიშალა ის მწუხარე ქვეყანა, სადაც ბუდობს ფიქრები წარმავლობასა და სიკვდილზე...“

პეტერ მაიცენმა ხელი ჩაიქნია, სიგარეტს მოუკიდა და ოთახში გაიარ-გამოიარა.

მერე კვლავ გაირინდა და ფიქრებში ჩაძირა.

„კი მაგრამ, იქნებ აქ მაინც რაღაც ხდება? უცნაური კაცია ეს ჩრნილოგარი... მისი ცოლიც... რაო, რას ყბედობდა ეს დედაკაცი? გული მიშფოთავს როგორღაც“.

პეტერ მაიცენმა ირგვლივ მიმოავლო თვალი. ისმოდა მხოლოდ ცელის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჟღრიალი. ხმა ფანჯრიდან ოთახში იჭრებოდა, კედლებიდან ირეკლებოდა და პეტერ მაიცენს შიგ საფეთქლებში უკაკუნებდა.

იგი ფანჯარასთან მივიდა. გლეხი შესასვლელი კარიდან სამიოდე მეტრის მოშორებით მიწაზე იჯდა. მისი თითქმის მოტვლეპილი თავი ჩაქუჩის ყოველ დარტყმაზე მზემოკიდებულ გრძელ კისერზე ირწეოდა. პეტერ მაიცენმა ის იყო პირი დააღო და უნდა ეკითხა, როდის მორჩები მაგ საქმესო, მაგრამ დროზე შეიკავა თავი.

— ბოლოს და ბოლოს ეგ ბერიკაცი ჩემზე იფიქრებს, ჭკუაზე შეიშალაო! — ჩაიბურტყუნა მან, ხელი ჩაიქნია, ახალ სიგარეტს მოუკიდა და მტკიცე იერით მიუჯდა მაგიდას.

მან საბეჭდი მანქანა ახლოს მოიწია და ფურცელი ჩადო. მაგრამ კლავიშებზე თითის დაკარებაც ვერ მოასწრო, რომ საყვირის ხმა გაისმა. სადღაც შორიდან მოდიოდა ეს ხმა, ძლივს ისმოდა, თუმცა საოცრად მკაფიოდ კი გაიგონებდა კაცი.

პეტერ მაიცენს ხელები გაუშეშდა.

სიჩუმე ჩამოვარდა...

ცელის ხმაც მიწყდა.

პეტერ მაიცენმა დააყურადა.

„იქნებ მომეჩვენა? როცა კაცი გულდამძიმებულია, რა არ მოუვა თავში...“.

პეტერ მაიცენმა ასწია ხელები, მაგრამ ვერ მოასწრო კლავიშებზე დადება, რომ კვლავ საყვირის ხმა გაისმა. ახლა ჰანგიც კი გაარჩია. ეს იყო სევდიანი ხალხური სიმღერა, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი, ორი პირველი ფრაზა. პეტერ მაიცენმა კარგად იცოდა ეს სიმღერა, მაგრამ სიტყვები ველარ მოიგონა. ამან გააშმაგა. იგი ელოდა, იქნებ კიდევ გაისმას საყვირიო, სანაცვლოდ კი ლითონის ჟღარუნი მოესმა, თანაც ისე ძლიერად, თითქოს ჩრნილოგარს საყვირის ხმის ჩახშობა სურდა.

— ვინ უკრავს? — ხმამაღლა იკითხა პეტერ მაიცენმა, — და რას უკრავს?

იგი დიდხანს ელოდა, მაგრამ რომ დარწმუნდა, საყვირს ველარ გაიგონებდა, ცელს კი უფრო ხმამაღლა გაჰქონდა წკრიალი, საბეჭდი მანქანა გვერდზე მისწია და წამოდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არა! მამალმერთიც ვერ დამარწმუნებს, რომ აქ არაფერი არ ხდება... წავალ, გავიგლი!“

პეტერ მაიცენი ზღურბლზე შედგა. თავგზა აურია იმის გაფიქრებამ, რომ გლეხკაცისთვის უნდა ჩაევლო გვერდი. შერცხვა თავისი წეღანდელი ფიქრებისა და იმისაც, რომ ვერ შეასრულა გადაწყვეტილება — ოთახში მჯდარიყო და ემუშავნა. მან ცხვირზე შავი სათვალე წამოიცვა. გადაწყვიტა, სახლის პატრონი თუ შემომიჩნდა, ორიოდე სიტყვით მოვიშორებო, და ნელი ნაბიჯით გამოვიდა ეზოში.

მაგრამ სახლის პატრონს არაფერი გამოპარვია. მან საოცრად სწრაფად მოატრიალა მისკენ თავი და ასევე სწრაფად ჰკითხა:

— არ გამოდის?

— რა? — პირქუშად გაეპასუხა პეტერ მაიცენი.

— წერის საქმე?

— არა! — საკმაოდ მტრულად უთხრა პეტერ მაიცენმა, რაკი გლეხის ხმაში სიხარული მოესმა. — არც თქვენი საქმე გამოდის! ერთი საუკუნეა ასე აკაკუნებთ!

— ერთი საუკუნე? — გაოცებით შეხედა სახლის პატრონმა. — ათი წუთიც არ გასულა!

— ათი წუთიო?.. „ნუთუ მართლაც მხოლოდ ათი წუთი გავიდა, რაც ეს კაცი ცელის მოპირვას შეუდგა? ნუთუ სულ რაღაც ათიოდე წუთში განვიცადე და ვიფიქრე ამდენი?“

— თუ ცელის მოპირვას ყური მიუგდე, — თქვა გლეხმა, — კაცს ეგონება, ერთი საუკუნეა, რაც პირავენო.

— დიახ, დიახ... — თავს უკანტურებდა პეტერ მაიცენი. — ვინ უკრავს აქ?

—უკრავსო? — გააჭიანურა სიტყვა გლეხმა და კვლავ გაოცებით შეხედა პეტერ მაიცენს.

— ჰო. საყვირზე.

— საყვირზე?

— რაო, არ გაგიგონიათ თუ?

— თქვენ კი გაიგონეთ საყვირის ხმა?

— როგორ, აქ მახლობლად არავის არა აქვს საყვირი?

— საყვირი? — გლეხი ჩაფიქრდა.

— საოცარია პირდაპირ, — გაუკვირდა პეტერ მაიცენს, — ნუთუ მართლა არ გაგიგონიათ?..

— რა... საყვირის ხმა?

— ჰო, საყვირისა... ან იქნებ მართლაც ჩამესმა... ისეთი სიწყნარეა, მიუჩვეველ კაცს რაღა არ მოეყურება.

— მოეყურება?

— ჰო. ასე იტყვიან ხოლმე, როცა კაცს ყური მოატყუებს.

— ჰმ, მაშ ასე... ხდება ხოლმე... განსაკუთრებით შუაღამისას.

— აბა, კარგად იყავით! — პეტერ მაიცენი ცოტა არ იყოს უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ სამი ნაბიჯი გადადგა თუ არა, შეჩერდა: — სად არის ის წყნარი ბარი?

— წყნარი ბარი? — შეუბრუნა კითხვა სახლის პატრონმა, თან თვალებით სჭამდა პეტერ მაიცენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, წყნარი ბარი, განა თქვენ არ თქვით, მოსათიბავად წყნარ ბარში უნდა წავიდეო?

— წყნარი ბარი?

— ჰო, წყნარი ბარი! — გაიმეორა პეტერ მაიცენმა და უნებლიეთ შეკრთა იმის გაფიქრებაზე, ვაითუ ეს სახელიც ჩემი ფანტაზიის ნაყოფიაო.

— მართლაც ასე ვთქვი.

— აი, ხომ ხედავთ! მერე სად არის ეს წყნარი ბარი?

—სად უნდა იყოს? აგერ იქ, — გლეხმა ხელი ასწია, მაგრამ არც მარცხნივ გაუშვერია და არც მარჯვნივ. — რა გინდათ იქ... ნესტია. ხომ გითხარით, ჭაობია-მეთქი... ტალახი... თუ გასეირნება გსურთ, აგერ ხეივნის ბოლოს მარჯვნივ მოუხვიეთ, მოკირწყლულ გზას გაჰყევით. ლამაზი ადგილებია იქ. გზა დაჩრდილულია, ტყის პირს მიჰყვება, ზედ სამიკიტნოს მიგაყენებთ.

—კეთილი! კეთილი! — საჩქაროდ დაეთანხმა პეტერ მაიცენი და სწრაფად მიტრიალდა, რაკი კარებში დიასახლისი შეამჩნია.

— ჰეი! — ქალის ხმა ისე ეცა ზურგში, პეტერ მაიცენმა კინაღამ წაიფორხილა სწორ ადგილზე. — ჰეი! — მეორედ მოხვდა ზურგში.

— რა გნებავთ? — პეტერ მაიცენი მოტრიალდა. „ახლა ველარ დავიხსნი თავს!“.

— ნუ გამიბრაზდებით, ბატონო! — თქვა ქალმა, — აგერ, ამან მითხრა, — ქალმა ქმრის მხარეს გაიქნია თავი, — თითქოს თქვენ იცნობდით კაცს, ვინც მარტოდმარტო შეება ხუთ თეთრგვარდიელს.

— რასაკვირველია, ვიცნობდი, მხოლოდ...

სახლის პატრონმა ჩაქუჩი აიღო და ღონივრად დაჰკრა ცელს.

— ჰეი! მოეშვი ერთი! — უბრძანა ქალმა და პეტერ მაიცენს მიუბრუნდა: — მოგვიყევით, ბატონო, მოგვიყევით, როგორ მოხდა ეგ ამბავი!

ქალის თხოვნა ისე მოულოდნელი იყო, პეტერ მაიცენმა პირველად ვერც კი მოისაზრა, როგორ მოქცეულიყო. გულით უნდოდა მოტრიალებულიყო და წასულიყო, მაგრამ უხეშად მოქცევა არ სურდა და გადაწყვიტა მოკლედ ეამბნა ამათთვის თავისი მოთხრობა.

— ჰო, როგორ მოხდა ეგ ამბავი? — ქალი ქმრის გვერდით მიწაზე დაჯდა და ხელები მუხლებზე შემოიხვია.

— ისე! — საკმაოდ გაურკვევლად დაიწყო პეტერ მაიცენმა. — იგი ხუტორში ცხოვრობდა...

— ჩვენსავით. — შეაწყვეტინა ქალმა და ქმარს ფერდში იდაყვი წაჰკრა.

— დიახ. სახლი ზედ საზღვარზე იდგა, აქეთ გათავისუფლებული მიწები იყო, აქეთ—დაპყრობილი. ამიტომ იქ პარტიზანებიც იოლად შემოდიოდნენ და თეთრებიც.

— როგორც ჩვენთან!

— ამბავი შობის წინადღეს მოხდა...

— შობის წინადღეს?

— ჰო, სწორედ შობის წინადღეს, — გაიმეორა პეტერ მაიცენმა. „ჰოი, წყეულო დიაცო, ნუთუ თვითეული სიტყვა ცალ-ცალკე უნდა დაგიღეჭო, რომ გადაყლაპვა მოახერხო!“

— შობის წინადღეს... ჰო... ჰო... მერე რა მოხდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დილით მან გულდამძიმებულმა, ცუდ გუნებაზე გაიღვიძა და სასწრაფოდ წამოხტა, არაყს გადავკრავო...

— გულდამძიმებულმა და... როგორ გუნებაზე?

— მერე მიხვდა, თურმე სიკვდილს უგრძნობდა გული; რადგან დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ის ხუთი კაცი მოადგა კარს...

— დაიცათ, დაიცათ-მეთქი! — ქალმა ხელები ასწია. — მაშ ის გლეხი დაილუპა?

— რასაკვირველია, დაილუპა, ხომ იცით...

— რასაკვირველია, დაილუპა! — გაიმეორა ქალმა და კვლავ ფერდში წაუჯიკავა ქმარს. — ჰო, შენ კი არ გითქვამს, დაილუპაო!

— ჰმ, მაშ ასე. ისედაც ნათელია.

— ისედაც ნათელია! — გაიმეორა ქალმა და კვლავ პეტერ მაიცენს მიუბრუნდა. — მერე რა მოხდა?

— მერე, — თქვა პეტერ მაიცენმა, — მოვიდა ის ხუთი თეთრგვარდიელი, თქვეს, მაღალ მთაზე, კლდეებში იმალება რამდენიმე დაჭრილი პარტიზანი და ახლა იქ მივდივართ, რომ ამ პარტიზანებს ბეთლემში ვუკრათ თავიო. მათ უნდათ...

— ბეთლემში? რატომ ბეთლემში? — პირი დააღო ქალმა.

— უნდოდათ ეთქვათ, ამოვხოცავთო. ტემნიკარმა კი...

— ამოვხოცავთო! — ქალმა კვლავ ჯლიქვი ჰკრა ქმარს.

— ამოვხოცავთო! — კვერი დაუკრა პეტერ მაიცენმა. — ტემნიკარმა აიღო ნაჯახი, რევოლვერი და ტყისკენ გაეშურა, გზაზე დახვდა იმათ და იქვე მიაწვინა...

— მიაწვინა კი... მიაწვინა?

— მიაწვინა! — დაუდასტურა პეტერ მაიცენმა. — აი ეს ამბავი გადახდა იმ გლეხს! — პეტერ მაიცენმა სული მოითქვა და წასასვლელად გატრიალდა.

— მაპატიეთ, ბატონო... როგორ მიაწვინა? — ჰკითხა ქალმა.

— როგორ? — ჩაფიქრდა პეტერ მაიცენი. — ეს ჯერ არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცით? — პირი დააღო ქალმა.

— ჯერ არ ვიცი, — გულგრილად აიჩეჩა მხრები პეტერ მაიცენმა. — მერე გამოჩნდება.

— ჰმ, მაშ ასე, — თქვა გლეხმა. — ამაზე ბატონმა ჯერ უნდა იფიქროს. ასეა თუ ისე, ამ ამბავს ბატონი თავად იგონებს.

— ა-ა-ა! — სული მოითქვა ქალმა. — თავად იგონებს... მაშასადამე, არ არის მართალი... მაშასადამე, ეს არ მომხდარა? ჰოო! — ქალი მიუბრუნდა ქმარს და იდაყვით კინაღამ ფერდი შეუნგრია, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ასეც ვიცოდი, რომ ზღაპარი იქნებოდა!“

— ვინ თქვა, რომ არ არის მართალი? — წელში გაიმართა შეურაცხყოფილი, მოთმინებიდან გამოსული პეტერ მაიცენი. — ვინ თქვა, ეს არ მომხდარაო?.. რამდენი მასეთი ტემნიკარი ყოფილა ქვეყნად, ვისზედაც ჯერ კიდევ არაფერი დაუწერიათ. მაგრამ როცა მე ჩემს მოთხრობას დავწერ, მაშინ კი ნამდვილად მოხდება, — მე მინდა ვთქვა, ეს სინამდვილედ იქცევა, წმინდა და ჭეშმარიტ სინამდვილედ!

— ჰმ, მაშ ასე, — გლეხმა ნიკაპი მოიქექა და ჩაქუჩი წყალში ამოავლო, რომ თავისი საქმე განეგრძო.

— რასაკვირველია, რასაკვირველია, ჰო... — თავი ააქანქარა ქალმა, თან გაოცებით მიაჩერდა ქმარს. — მხოლოდ მე... ბატონო... ჩვენ...

— მხოლოდ თქვენ ეს არ გაგეგებათ! — მიახალა პეტერ მაიცენმა, მაგრამ იმავ წამს კინალამ ენა მოიკვნიტა. გაახსენდა, რომ სულ ახლახან ასეთივე სიტყვებით ძალიან ატკინა გული მის ქმარს... — აბა რა სალაპარაკოა! — დაუდევრად ჩაიქნია მან ხელი. — ახლა კი ცოტას გავივლი, ნახვამდის!

— ნახვამდის! — სწრაფად მიუგო გლეხმა. — გზაჯვარედინზე მარჯვნივ გაუხვიეთ, მოკირწყლულ გზას გაჰყევით!

III

პეტერ მაიცენი მხრებში გაიმართა, მთელი მკერდით ამოისუნთქა და ხეივანს გაუყვა. ფეხებს თავისთავად მიჰყავდა იგი და ეს კიდეც ეამებოდა.

„ჰო, სიკვდილი ჯერ შორსაა! — დაცინვით გაიფიქრა მან. — შორსაა, თუმცა კაი ორმოცი წელია მტკიცედ მივაბიჯებ მისკენ“.

მან თავი ასწია და ცას შეხედა. ცა მაღალი იყო და ლურჯი, ხოლო მზე — დიდი და მცხუნვარე, ნამდვილი მზე. მას თავისი ოქროს სხივები ყოველი ფოთლისთვის, ყოველი ბალახის ღეროსა თუ პაწაწინა მტვრიანასათვის მიებჯინა დედამიწაზე და ისე დაეჭიმა ეს სხივები, სპილენძის სიმებივით გუგუნებდნენ.

— მაგარი დღეა, ზარივითაა! — დაასკვნა პეტერ მაიცენმა.

ამ ფრაზამ ყურებში გაუზუზუნა, ეუცხოვა და თანაც ისეთ ნაცნობ ფრაზად ეჩვენა, წუთით შეჩერდა კიდეც.

„ვინ თქვა ეს? ტემნიკარმა! — პეტერ მაიცენი სიხარულმა აიტანა, — ტემნიკარმა! რასაკვირველია, ეს ხომ მისი სიტყვებია!..“

პეტერ მაიცენმა გზა განაგრძო. მაგრამ ახლა მიდიოდა კი არა, მიფრინავდა, თითქოს ფრთები გამოსხმოდა.

გზაჯვარედინზე შეჩერდა: მარჯვნივ გზატკეცილი მიდიოდა, მარცხნივ — შარაგზა. „გზაჯვარედინზე მარჯვნივ გაუხვიეთ, მოკირწყლულ გზას გაჰყევით!“ — მკაფიოდ მოესმა სახლის პატრონის ხმა. მარჯვნივ მოუხვია, მაგრამ მალე კვლავ შეჩერდა.

„იქნებ წყნარ ბარში გამევლო? წავალ! ჰო, ჰო, იქ წავალ!“

გაიფიქრა და შარაგზაზე გადაუხვია, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, გულმოსულმა უკან მოიხედა.

„ლმერთმანი, ბავშვივით ვჯიუტობ! — წარბი შეიკრა მან. — რაკი მითხრეს, მარჯვნივ მოუხვიეო, გადავწყვიტე არ დავიჯერო და მარცხნივ მოვუხვიო, რომ წყნარ ბარში ამოვყო თავი. მაგრამ რაკი ასეა, ჯიბრზე იქით ალარ წავალ!“

პეტერ მაიცენმა შუბლზე ჩამოშლილი ქოჩორი უკან გადაიყარა და მობრუნდა. მაგრამ ის იყო გზატკეცილზე მისი ნალდაკრული ფეხსაცმელები აპაკუნდა, რომ უნებლიეთ შეჩერდა.

„საყვირია! უკრავს!..“ — თავი ასწია და ყური მიუგდო.

დიახ, მართლაც საყვირის ხმა იყო, სადღაც შორიდან მოდიოდა და, თუმცა ძლივს ისმოდა, მაინც გარკვევით ყლერდა.

— საყვირია! — აღმოხდა პეტერ მაიცენს. — დიახ, საყვირია! — გაიმეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მან და სიხარულით მკერდზე ხელი მიირტყა. — საყვირია! — თქვა ერთ-ხელ კიდევ და გრძელ ხეივანს თვალი გააყოლა, გლეხის სახლ-კარს გახედა. ეტყობა, ქალი ამდგარიყო, ხოლო სახლის პატრონი კვლავ იჯდა, თუმცა ჩაქუ-ჩის ხმა აღარ ისმოდა.

— ახლა ხომ გაიგონე? — ხმამაღლა ჰკითხა პეტერ მაიცენმა, თითქოს გლეხი გვერდით ჰყავდა.

ქალი სახლისკენ მიტრიალდა. ცელის მოპირვის ხმა კვლავ გაისმა. ეს ხმა ახლა უფრო ხშირ-ხშირი და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ეჩვენა პეტერ მაიცენს.

— დაჰკა, დაჰკა! მაგრამ ერთი ეს მითხარი, როგორ მოხდა, რომ აქამდე ვერ გაიგონე საყვირის ხმა? რაო, ყრუ ხომ არა ხარ?..

პეტერ მაიცენი ჩაფიქრდა.

„ხმა მარცხნიდან მოდიოდა! წყნარი ბარიდან... რად მითხარი, იქით ნუ გაივლიო? რა ჭაობია იქ ასეთი? ან რა ისეთი ნესტია?“

მან წარბი შეიკრა, მერე კი თავი გაიქნია:

„თუმცა უცნაური აქ არაფერია! თუკი მე ძლივს გავიგონე ეს ხმა, რაღა გასაკვირია, გამოყრუებულ ბერიკაცს გამოჰპარვოდა! ნეტა ეს წყნარი ბარი რაღა არის? ჯანდაბას ეს წყნარი ბარი! არა, ყველაფერი ბუნებრივია, თავად მე მჭირს რაღაც უცნაურობა. რა სულელი ვარ! — პეტერ მაიცენმა ჯოხი აიქნია. — განა სახლიდან იმისთვის გამოვედი, რომ საკუთარ ქვეცნობიერ განცდებს, გუ-ლის ამაფორიაქებელ და ბნელ წინათგრძნობას ავყვე? ერთი ამ ხეს, ამ მუხას შეხედე! მზისკენ ისწრაფვის მხოლოდ და სულაც არ ანაღვლებს იდუმალი ტოკვა თავისი ფესვებისა, მარადიულ წყვდიადში რომ ბურღავენ და ბურღავენ გამუდმებით ამ შავ მიწას! ადამიანს შემოქმედების გვირგვინი იმიტომაც ჰქვია, რომ შეცნობილი ჰყავს თავისი თავი, შეცნობილი აქვს თავისი სიცოცხ-ლის გარდუვალი ბოლო, თავისი არსებობის წუთიერობა და წარმავალობა...“

კვლავ ამღერდა საყვირი. პეტერ მაიცენმა დააპირა შეჩერებულიყო, მაგ-რამ მერე მტკიცედ გადაუხვია მარცხნივ და შარაგზას დაადგა.

მერე ის იყო, მესამედაც გაისმა საყვირის ხმა. ისევ ცნობილი ძველი ხალ-ხური სიმღერის პირველი ორი ფრაზა დაუკრეს.

„საოცარია, რამ დამავიწყა ამ სიმღერის სიტყვები! — მაგრამ ამ ამბავმა აღარ გააბრაზა, მოულოდნელად დამშვიდდა: — ხდება ხოლმე! ნაცნობი, ნაღ-ვლიანი ხალხური სიმღერაა. საყვირის ხმებიც ისე ნელა, ისე ნაზად ირხევა ტყეში, გეგონება, ოხრავს, კვნესისო!“

პეტერ მაიცენმა უნებლიეთ თავი ასწია. ცა იყო ლურჯი და მოწმენდი-ლი, ჰაერი თრთოდა, თითქოს ციდან გამჭვირვალე, მქრქალი რიდე ჩამოშვე-ბულიყო.

— ეს საყვირის ხმა კი არა, ხვატია! — გაიცინა მან და წინ გააბიჯა, მაგ-რამ ქვაზე წაიბორძიკა და კინაღამ არ დაეცა.—რა სისულელეებს ვროშავ! მაგ-რამ მაინც უცნაური ამბავია! საყვირი ნაღვლიანად, სევდიანად, მწუხარედაც კი ყვერს, მე კი აღარ მაღელვებს.

იგი წუთით ჩაფიქრდა და მხრები აიჩეჩა. ცოტა მოგვიანებით, რაღაც სა-მიოდე საათის შემდეგ მას შერცხვება თავისი გულგრილობისა. მაგრამ იმ წუ-თას ძალიან მშვიდად იყო. შემოქმედების სიხარულმა კვლავ გაიღვიძა მასში, ამიტომაც ეჩვენებოდა ყველაფერი ასე მშვენიერი, საყვირის ხმაც ეამებოდა, თუმცა სევდიანი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შარაგზა ტყეში შედიოდა. ტანმაღალ, მოშავო-მოყავისფრო ფიჭვებში მზის ოქროსფერი სვეტი თრთოდა. გუნდ-გუნდად რიალებდნენ მუმლები, გუ-გუნებდნენ ბრუცები. შავმა ხოჭომაც ჩაიქროლა, სიფრიფანა, გამჭვირვალე ფრთების ნარნარი რხევით დინჯად შემოუარა ხეებს, მზის სხივებში მიიკვლევ-და გზას.

„ნეტავი ამას!.. თუმცა ამ წუთს შესანატრი მეც არავისი მაქვს, — გაიფიქ-რა პეტერ მაიცენმა. — რაც მართალია, მართალია!“ მან ჯოხი მიარტყა ხის ტანს, მერე ჯოხი ხელში შუბივით დაიჭირა, კვლავ გაიმართა მხრებში და ის იყო ჩვეულებისამებრ ინგლისური სიმღერის დასასტვენად ტუჩები მოამზადა, რომ უცებ იქვე, ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე, თავის წინ ვიღაც უცნობი ქალი-შვილი დაინახა.

„საიდან გაჩნდა აქ?“ — პეტერ მაიცენმა უნებლიეთ ნაბიჯი შეანელა. ყმა-წვილი ქალი თითქოს მიწიდან ამოძვრალიყო, ანდა ციდან ჩამოვარდნილიყო.

მაღალი, ტანსრული გოგო იყო, მაგრამ ძალზე მოხდენილი. მწვანე ქვე-და კაბა და უსახელო შავი ზედაწელი ეცვა. თავზე ვიწრო თეთრი ტომარა წა-მოეკოკოლავებინა დაგვერდებულად. ქალი მზის სხივების სვეტში შევიდა და ტომარასაც უცებ შუქი მიადგა. რაღაცნაირი ფართოფარფლიანი ჩინური ჩა-ლის ქუდი ეხურა. გოგო ფეხშიშველი იყო. აშოლტილ ფეხებს ისე მოქნილად ადგამდა, თითქოს შიგ უჩინარი ზამბარები ჰქონოდა. ყმაწვილი ქალი მიდიო-და კი არა, მიცურავდა. ისეთი ენით აუწერელი მოხდენილობა ეტყობოდა, ისეთი ახალგაზრდა, ჯანსაღი, სისხლსავსე, მშვენიერი არსება ჩანდა, როგორ-საც ზოგჯერ შექმნის ხოლმე ბუნება იდეალური სილამაზის ნიმუშად და თა-ვისი ოსტატობის დასამტკიცებლად.

პეტერ მაიცენს გაახსენდა „კაზაკების“ მარიანკა, „წყნარი დონის“ აქსი-ნია, საკუთარი წარმოსახვით შექმნილი ტილჩკა.

„ჰო, ასეთი უნდა ყოფილიყო ტილჩკა. ასე ცეკვა-ცეკვით, თავზე ტომა-რაშემოდებული ბრუნდებოდა იგი წისქვილიდან რეიჩევის ტყით. ტემნიკარი კი უხმოდ მოსდევდა უკან. ქალი რომ მოსახვევში გაუჩინარდებოდა, ტემნი-კარი სულსწრაფად მყის წამოეწეოდა და მაშინვე გულში ჩაიკრავდა!..“

ქალიშვილი მოსახვევში გაუჩინარდა. პეტერ მაიცენი ფეხის წვერებზე შედგა, ერთი ვნახო, საით მიეფარაო თვალს.

მოსახვევთან რომ მივიდა, ადგილზე გახევდა. ყმაწვილი ქალი ათიოდე ნაბიჯზე იდგა მისგან. ქალმა ტომარას თეთრი მკლავები შემოავლო, ნელა ჩა-მოიღო და კუნძზე დადო. მერე თავსაფარი შეიხსნა და თავი გაიქნია. ქერა თმა ზურგსა და მხრებზე ჩამოეყარა. ქალმა მოიხედა. ირგვლივ სულ ფიჭვნა-რი იყო, მხოლოდ ქვემოთ, გზის პირზე აღმართულიყო ტანმაღალი ნეკერჩხა-ლი. ეს იყო ლამაზი და ნათელი ხე, ამ ქალიშვილივით ლამაზი და ნათელი. ქალი ნელა მივიდა ხესთან და ტოტებს შეაცქერდა. მოვერცხლისფერო-მო-მწვანო ფოთლები ჩაშავებულ ფიჭვებში ცახცახებდა. ქალმა ალერსიანად გა-დაუსვა ხელი ნაცრისფერ ტანს ხისას, მოეხვია და მთელი სხეულით მიეკრო.

ლამაზი სურათი იყო და გასაგებიც, თუმცა რატომღაც მძიმე და უსიამო. ირგვლივ ყოველი გაუგებარი სევდითა და მარტოობის დამთრგუნველი გრძნო-ბით იყო სავსე.

„ყოველ კაცს აქვს უფლება მარტო დარჩეს!“ — გაჰკიცხა თავი პეტერ მა-იცენმა და სურათს თვალი აარიდა. მან ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოუკიდა, ვაითუ დამინახოს. ჰოდა, მანამდე სრისა და სრისა სანამ, სანამ დაჭყლეტილი ჰილზი არ შერჩა ხელთ.

ქალიშვილი მეორე მოსახვევში გაუჩინარდა. მაშინ პეტერ მაიცენი ნელა მივიდა ნეკერჩხალთან. ეს მართლაც მშვენიერი ხე იყო, სწორი, ტანკენარი. ეს კია, მაღლა, მიწიდან ორიოდე მეტრზე ძველი, უკვე მოშუშებული ჭრილობა მოუჩანდა. ქერქზე ოდესღაც ვიღაცას რაღაც ამოეჭრა. პეტერ მაიცენმა თვალები დაძაბა და ძლივს გაარჩია:

*

24
XII
43

„24. XII. 43!.. თორმეტი წლის წინათ. შობის წინადღეს. სწორედ იმ საღამოს, როცა ტემნიკარი თავის უკანასკნელ გზას დაადგა... საოცარი დამთხვევაა!.. რა მოხდა ნეტა აქ? ამ გოგოსაც ეხება ეს? უნდა დავეწიო და ვკითხო“.

მან ფეხს აუჩქარა, მაგრამ იმავ წამს გაიფიქრა, ახლა რომ ვკითხო, ლამაზი არ იქნებაო.

„სხვა დროს იყოს, სხვა დროს!..“ — გადაწყვიტა პეტერ მაიცენმა და ნაბიჯი შეანელა.

მალე წინ ხეობა გადაეშალა, დაახლოებით ერთი კილომეტრის სიგრძისა და ნახევარი კილომეტრის სიგანისა. მყუდრო, ამწვანებული, თვალწარმტაცი ხეობა იყო, მსგავსი მართლაც იშვიათად თუ შეგხვდება, ისეთი ლამაზი, რომ პეტერ მაიცენს ყმაწვილი ქალი გადაავიწყდა.

„ლამაზია! ღმერთმანი, ლამაზია!.. ეს არის ნამდვილად ის წყნარი ბარი!.. კი, კი... ჰოდა, თუ წყნარი ბარი ეს არის, შავი ხევიც აქვე იქნება. გზაც მშრალია... ჭაობიც არსად ჩანს... მაგრამ რად მითხრა იმ კაცმა, იქ არ წახვიდეო? კარგი, გავანებოთ თავი ამ მოურჯულებელ ახირებულ ადამიანს! წინ წასვლა უნდა ვიჩქარო, რომ თავისი ცელი ველარ მომიწვდინოს!“

გზა მარცხენა ფერდობის ძირს მიჰყვებოდა. ქვემოთ მდინარე მიიკლაკნებოდა. წყალი შიგ ნელა, უხმაუროდ მიედინებოდა. მეორე მხარეს მდელო გაშლილიყო, მწვანე ხავერდის სწორი უნაპირო საბანი რომ ეფარა.

ფერდობი ოღროჩოღრო იყო და დამრეცი. შუა ფერდობზე ვეება მუხა იდგა. მას მისდევდა ოთხი განიერი ზოლი აყვავებული წიწიბურასი, ისე უშფოთველად რომ ასხივებდა ვარდისფერს, ვით ზამთარში მოსაღამოებულზე ააბზინებს ხოლმე მზის მშვიდი სხივები დათოვლილ ფერდობს.

— ასეა! — თავი დააქნია პეტერ მაიცენმა. — წიწიბურას ზემოთ ალბათ მდელო იქნება, მდელოზე კი — ეული ხუტორი.

მარჯვენა ფერდობი უფრო ციცაბო იყო. მთის წვეროამდე მოგრძო ზოლებად მისდევდა ზვარი. წვეროზე ხეთა კოროში მოჩანდა, მათ უკან — ჩაშავებული ჩალის სახურავები.

„მარნებია“, — მიხვდა პეტერ მაიცენი. შუა ფერდობზე სახლი იდგა, ისეთი კოხტა და მყუდრო, პეტერ მაიცენმა მზერა ვერ მოსწყვიტა. ახლად შეთეთრებულ სახლს სახურავის ჩალა ჩამუქებოდა, კარი შავი იყო, ორი შავი მოგრძო სარკმელი კი წყვილ დახუჭულ თვალს მიაგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გეგონება, ქერათმიანი, შავთვალა გოგოს კოხტა თავია, ზაფხულის ცხელ დღეს რომ ჩაუთვლემია, ერთი დაძახება და — წამსვე გაიღვიძებს...“

სახლის წინ მდელო ხასხასებდა მწვანედ. შუა მდელოზე ეულ ხეს გადაეშალა ხშირი, მუქ-მწვანე წვრილ-წვრილი ფოთლები.

„ბებერი მსხლის ხეა“.

ქოჩორა ტოტებში რაღაც ბრწყინავდა და ირხეოდა.

„ჰო, რასაკვირველია! ჭრიალა ტრიალებს, მხოლოდ ჩიტები აღარ უფრთხიან“.

პეტერ მაიცენმა ფერდობი აიარა და შეჩერდა. იქით გზა მთისკენ მიდიოდა. მთელ გზაზე ნორჩი ხეები ხვდებოდა. პეტერ მაიცენმა შარაგზას ხელი დაუქნია გამოთხოვების ნიშნად და მდინარის პირს გაჰყვა. ფეხს მსუბუქად და მოქნილად აღგამდა, სწრაფად მიდიოდა ბილიკზე. იგი ხშირ ბალახებში ძლივას მოჩანდა.

მერე სამ ბებერ მოკაკულ ტირიფს გადაეყარა, თავზე კალათაშემოდებულ ტანმორჩილ გლეხის დედაკაცებს რომ ჰგავდნენ.

პეტერ მაიცენმა ჯოხი აიქნია, ტირიფები უკან მოიტოვა და მალე ფართო თხრილის პირას გავიდა.

„აჰა! აი ისიც, ჩრნილოგარის ჭაობი, ნესტიც არის... მაგრამ საშიში არაფერია!“

პეტერ მაიცენმა უკან დაიხია, გამოექანა, თხრილს გადაახტა და მხიარულად განაგრძო გზა. თავადაც არ იცოდა, როდის წამოიწყო თავისი საყვარელი ინგლისური სიმღერის სტვენა.

მალე ღრმა მორევი გადაეღობა წინ. შიგ სუფთა მომწვანო წყალი იდგა. საოცრად ტანმაღალი, ტოტებგაშლილი რცხილა ჩრდილს აფენდა მორევს. რცხილას ისეთი სქელი ტანი ჰქონდა, ორი ზორბა მამაკაცი ძლივს შემოაწვდენდა ხელებს. ისეთი დაკორძილი იყო, თითქოს საზღვაო ბაგირებისაგან დაეწნათ. ხის ტანზე ვიღაცას ოთხკუთხედი ამოეღრუტნა, კიდეებზე უკვე შეხორცებულიყო იარა. ამონაღრუტნში ძველი, დაბზარული მაიოლიკის ჭურჭელი მოჩანდა, შიგ თეთრი ზიზილებისა და რაღაც მოლურჯო-მოცისფრო ყვავილების თაიგული იდო. პეტერ მაიცენმა არ იცოდა, რა ერქვა ამ ყვავილებს.

რცხილის ძირში სარეცხის გასარეცხად ორ ფეხზე შემდგარი დიდი წანწალები იდგა, ეტყობოდა, დიდი ხანია გამოეთალათ მთლიანი ხისაგან. ისეთი სრიალა, თეთრი წანწალები იყო, ჩრდილში ისე ბზინავდა, თითქოს ეს მზე მათთვის ანათებდა, თანაც ისეთი ნათელი და კრიალა, ვით სოფლელი გოგოს კისკისი.

— აჰა! აქ ქალიშვილები სარეცხს რეცხავენ, — თქვა პეტერ მაიცენმა. — ხოლო მთვარის შუქზე — ვილები[1] საქმიანობენ. დაბურულ რცხილის ტოტებში ჭაბუკი პანები იმალებიან — ბრაზობენ, გული ასე ძალუმად რად გვიცემსო, თავიანთ სუნთქვას ვერ ეწყობიან, ასე სტვენით რად აღმოგვხდება ხოლმე, თითქოს პირითა და ცხვირით ერთსა და იმავე დროს ვსუნთქავთო. ხოლო გვიან ღამით, შუაღამისას...

„შესდექ! — უბრძანა პეტერ მაიცენს შინაგანმა ხმამ. — განა ვერ ამჩნევ, რომ სწორედ ასევე იყო სკოპიჩნიკზეც, სადაც სარეცხავად დადიოდნენ ტემ-

[1] სამხრეთსლავური ფოლკლორის ზღაპრული არსებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკარელი ქალები? მხოლოდ იქ რცხილა კი არა, ბებერზე ბებერი ხეთა-ლება ანწლი იდგა. მის ძირშიაც იდგა წანწალა, ზუსტად ასეთი. ამ წანწალას ჩაუვლის სწორედ ტემნიკარი".

— დიახ, დიახ! იქ ჩაივლის! იქ უნდა ჩაიაროს, რომ მალნოვის მთა გადაიაროს და რობში მივიდეს! — თქვა პეტერ მაიცენმა.

და დაინახა კიდეც ტემნიკარი.

ტემნიკარმა თოვლი დაბეკნა და მორევისგან რამდენიმე ნაბიჯზე დადგა. თოვლს დაეფარა ყოველი. ირგვლივ სიჩუმე იდგა. სკოპიჩნიკი ყინვას შეეკრა, წანწალაც შიგ ჩაეყინა. მხოლოდ ყინულის ქვეშ წყნარად ლიკლიკებდა წყალი.

ტემნიკარმა თვალებზე ხელისგული აიფარა — გაქრა თოვლიც, ყინვაც, თავადაც ოცდახუთი წლის ახალგაზრდაა ახლა. გაზაფხული წკრიალებს ირგვლივ, კაშკაშებს მზე. ტილჩა შავი ანწლის ქვეშ დგას, მისი თეთრი ხელები ჰაერში დაცურავს და სველ თეთრ ზეწარს თეთრ წანწალაზე ატყლაშუნებს.

ტემნიკარს მოუნდა ფეხაკრეფით მიპარვოდა ქალს, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა, თავის თავზე ბრაზობდა.

„ეს რა უბედურებაა! ნეტა რად ქშინავენ ხოლმე ჭაბუკები სამჭედლოს საბერველივით კაი გოგოს დანახვაზე?"

ტუჩი მოიკვნიტა და წინ წავიდა. საძაგლად აჭრაჭუნდა კენჭები, მაგრამ ტილჩას არ მოუხედავს.

— ვითომ ვერ გაიგონე, სულელო! — სიხარულით შესძახა ტემნიკარმა, წინ გაიჭრა და ყმაწვილ ქალს წელზე მოხვია ხელი.

ვაიმეო, შესძახა ტილჩამ, თუმცა არცთუ ისე ხმამაღლა, ახლაღა მოიხედა და სველი ზეწარი სახეზე გადაუჭირა ჭაბუკს. მაგრამ მან უკვე მოასწრო ქალის უბეში ხელის ჩაყოფა. ჩუხჩუხა ჩანჩქერივით დაეფრქვა თავზე ჭაბუკს გოგოს კისკისი.

— აჰ, შე ნადირო, ისევ გინდა დამაწყვიტო ღილები? ვერ მოგართვეს!

ტემნიკარმა მხრებში წაავლო ქალს ხელი და უკან დაახევინა, რომ მისი მშვენებით დამტკბარიყო.

— ნუ სულელობ, ერნეი! — უთხრა ტილჩამ და სველი ხელები კისერზე შემოაჭდო. თითქოს მდუღარე გადაესხა ჭაბუკს.

— ტილჩა...

ჰოდა, აი ისინი უკვე შავი ანწლის ძირას წვანან. ტემნიკარი ხმას არ იღებს, ტილჩა კი იცინის:

— ოჰ, ერნეი! ჩემო ნადირო! ერნეი, ერნეი! ჩემო, ჩემო! ჩემო! — მეტი აღარაფერი თქმულა. ოღონდაც ტილჩას ცრემლით გაბრწყინებულ ლურჯ თვალებში მხიარულად მიცურავდა თეთრი ღრუბელი...

ტემნიკარი ნელა გადაბრუნდა ზურგზე და ის ღრუბელი მოიძია ცაზე, მერე მიწის ფეთქვას მიუგდო ყური, მის გულისცემას რომ ეხმაურებოდა.

— ტილჩა...

ქალიშვილის თეთრი ხელი გამოცოცხლდა, ფრთხილად დაეშვა ჭაბუკის მკერდზე და იქ ჩიტივით გაინაბა.

ჭაბუკი წყნარად იწვა და ცას შესცქეროდა, სადაც თეთრი ლრუბელი დაფარფატებდა.

— საით მიცურავს?.. რობის მხარეს...

სწორედ ამ დროს გაისმა საყვირის ხმა...

ტემნიკარი შეკრთა — ირგვლივ თოვლს დაუფარავს ყოველივე, სკოპიჩნიკი ყინვას შეუკრავს, წანწალაც შიგ ჩაყინულა, თავად კი სამოცდათი წლისაა.

— რაღას უდგეხარ? რა ოცნებებს აუტანიხარ? იჩქარე, რომ იმ ქაჯებმა არ მიგასწრონ! — უბრძანა თავის თავს, დათოვლილ ბილიკზე გააბიჯა და შავ ანწლს ჩაუარა. მაშინვე კვლავ გაისმა საყვირის ხმა...

პეტერ მაიცენი შეკრთა, თვალები გაუგანივრდა. საყვირის ხმა თანდათანობით მიწყდა. პეტერ მაიცენს ცივმა ოფლმა დაასხა, ისე გაქვავდა, თითქოს ყინვას შეებოჭოს. კვლავ საყვირის ხმას ელოდებოდა, მაგრამ არ გაუმართლდა ლოდინი.

„რა არის ეს? ტემნიკარის საყვირია?.. ჰო, მაგრამ ჩემს მოთხრობაში რომ საყვირი არ ყოფილა!..“

პეტერ მაიცენმა ყური მიუგდო.

სიჩუმეა... სიჩუმე და სიწყნარე...

„ეჰ, სულ ერთი არაა, არის თუ არ არის საყვირი! — ჩაიქნია მან ხელი. — ბოლოს და ბოლოს ხომ შეიძლებოდა ტემნიკარს ჰქონოდა იგი. მართალია, ეს ცოტა არ იყოს არაბუნებრივად მოეჩვენება კაცს, იმ დროს საყვირები არ იყო. მაგრამ... დაე, ჩაჰბეროს!.. დაე, დაუკრას საყვირი თუნდაც ჩემს ფიქრებში. მე ხომ იგი მოქმედებაში არ ჩამირთავს. არ ჩამირთავს, რადგან არ დამჭირვებია. ახლა კი, რობის გზაზე, საითაც ტემნიკარი მიიჩქარის, რაღაცამ უნდა შეაფუცხუნოს, რომ არ შეჩერდეს, დიდხანს არ გადაჰყვეს მოგონებებსა და სამშობლოსთან გამოთხოვებას... საყვირის ხმა — მოვალეობის ანგელოზის ხმაა. სიკვდილის ანგელოზისა, რამეთუ სიკვდილი თავისი არსობით ჩვენი უკანასკნელი და უმაღლესი მოვალეობაა. დიახ, დიახ!“

პეტერ მაიცენმა თავისი სიმღერა დაუსტვინა და გზა განაგრძო. მალე ბილიკი ტყეში დაიკარგა. კვლავ გამოჩნდა მაღლა-მაღლა ატყორცნილი ფიჭვები, მათ შუა კი მზის სხივის მრუდე ოქროს სვეტები. კვლავ გუნდ-გუნდად რიალებდნენ მუმლები და ბზუოდნენ კრაზანები. ჩაიქროლა შავმა ხოჭომ გამჭვირვალე ფრთებით, ნარნარად მოხაზა წრე და ხეებშუა გაქრა.

ბილიკი მარცხნივ უხვევდა, მოგრძო კორდზე გადადიოდა და მოცვის ბარდებში იკარგებოდა. პეტერ მაიცენი ტოტებგაშლილ წიფლის ძირას ჩამოჯდა და რამდენიმე ცალი მუქლურჯი ნაყოფი მოწყვიტა.

ისევ ამღერდა საყვირი. თითქოს უბრძანესო, წამოხტა პეტერ მაიცენი და სირბილით წავიდა პირდაპირ. მალე უკვე გზაზეც გავიდა, მთის აღმართს რომ მიუყვებოდა.

„ჰო, დაახლოებით ასეთი გზა ადიოდა მალნოვის მთისკენაც. ქვიანი, ციცაბო, თოვლით დაფარული და ტემნიკარიც...“

ტემნიკარი წინ მიუძღოდა პეტერ მაიცენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი ხმიანად კრაჭუნობდა ფეხქვეშ.

— კარგები მყავხართ! — აქებდა და ამხნევებდა ტემნიკარი თავის ბებერ ფეხებს, — კარგები! იარეთ წინ, იარეთ, რომ იმ ძაღლთაპირებს გავუსწროთ! მივასწროთ მათ რობში! იქ კი დომინოვის ბილიკის თავზე კლდეებში დავიმალებით. ბილიკი იქ ვიწროა, ქვემოთ უფსკრულია, მაღლა — კლდეები. თუ ჩარევის გამოქვაბულში მისვლა სურთ, იმ ძაღლთაპირებმა ამ ბილიკზე უნდა გაიარონ. ჩვენ კი დაველოდებით მათ და მაშინ ვნახავთ, ვინ გამოეცხადება დღეს იესოს ბეთლემში!..

მან მალნოვის მთის წვეროზე ააღწია. მერე შეჩერდა და მიმოიხედა, უნდოდა თავის თეთრ, მყუდრო ხეობას გამოთხოვებოდა, მის წინ რომ გადაშლილიყო. ეს იყო მხოლოდ, იდრიიცა იკლაკნებოდა შავად ამ თეთრ ვაკეზე და შორიდან მოისმოდა ორთქლმავლის გაბმული კივილი, დანასავით რომ დაესო გულზე ტემნიკარს.

— მთელი ქვეყანა მაქვს მოვლილი და ამაზე ლამაზი ჩემს თვალს არაფერი უხილავს! — ნაღველნარევი სიამაყით თქვა ტემნიკარმა. — მე აქ ვცხოვრობდი... და ალბათ კარგა ხანსაც ვიცხოვრებდი სიხარულით. მაგრამ ისე გამოდის, რომ უნდა... უნდა გავეცალო...

ტემნიკარმა თავი ასწია. კრნის მწვერვალს ზამთრის თეთრი სამოსელი მოესხა და ხეობის სილრმეში ბრწყინავდა.

— დიახ, ჩემო ძვირფასო კრნი კრნელო, სამოცდაათი წელი ვუყურეთ მე და შენ ერთმანეთს, ახლა კი უკანასკნელად ვუცქერით... მაშ, მაშ! ახლა კიდევ შეგვიძლია ერთმანეთს შევეხმიანოთ, ხვალ კი ვერ ვიქმთ ამას. მივდივარ!

— საით? — ტემნიკარის ხმით იკითხა კრნიმ.

— საით? — გაიმეორა კითხვა მოხუცმა. — სულ ახლოს! აგერ, რობში... იქ კი... რაღა გითხრა! თავად ხედავ, ნაჯახი მიჭირავს... ხოლო ჯიბეში ეს ცეცხლისმფრქვევი ეშმაკი მიდევს! — ტემნიკარმა წარბი შეიკრა და რევოლვერს ხელი მოუჭირა.

— ვხედავ, ვხედავ! — ამოიოხრა კრნიმ.

— რა თქმა უნდა! — თავი დაუქნია ტემნიკარმა. — შენ ხომ ჩემზე უფროსი ხარ და ეს ყველაფერი უკვე გინახავს... ამაზე უარესიც გინახავს!

— კი, მინახავს! — ამოიოხრა კრნიმ. — მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ თურქების დროიდან არ მინახავს ასეთი სიმამაცე და ასეთი უმსგავსოება.

— მართალს ამბობ, მართალს! — დაეთანხმა ტემნიკარი. — ასეთი უმსგავსია ადამიანი! აბა წარმოიდგინე, სამოცდაათი წლის კაცმა ნაჯახი და რევოლვერი ავიღე ხელში და...

ტემნიკარი გაჩუმდა, რაღაც უხილავმა ძალამ წაუჭირა ყელში. თვალთ დაუბნელდა. კრნი გაიდღლაბნა და ტემნიკარს მოეჩვენა, თითქოს მთა შეშფოთებით შეინძრაო...

— რა არის ეს? — წყენით წაიხრიწინა ტემნიკარმა და თვალებზე იდაყვი მოისვა. — დავბერდი კაცი, ცრემლი კინაღამ მომადგა თვალზე. იცი, შეგეჩვიე... რაო, შე უსინდისო, შენც ინაღვლებ განა, რომ ველარ მნახავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის კრიალა მზით გაჩახჩახებული კონი მხრებში გასწოდა, უნდოდა ტემნიკარისათვის ეთქვა, ძალიან მიყვარხარ და ძალიანაც დაძენანებით, მაგრამ სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო. კვლავ საყვირის ხმა გაისმა.

ტემნიკარი შეკრთა.

— წავალ, რომ იმ ძალლთაპირებმა არ მიმასწრონ! — თქვა მან, კონის ხელი დაუქნია და მტკიცედ გაემართა რეიჩევის ბილიკისაკენ...

პეტერ მაიცენი გამოერკვა და ხელისგული თვალებზე მოისვა.

იგი მთის წვეროზე იდგა. საყვირი ისევ ყლერდა, ისევ ნაღვლიანი ხალხური სიმღერის დასაწყისს აკვნესებდა. მაგრამ ახლა პეტერ მაიცენი აღარ ბრაზობდა, სიტყვები რად ვერ მომიგონიაო. აღარც ხმა სწვდებოდა ისე ღრმად გულში. ირგვლივ ყოველივე ბუნებრივი და გასაგები გახდა. დიახ, ბუნებრივი და გასაგები გახდა ის ამბავი, რომ ერთმანეთს გადაეხლართა მისი გონებით შექმნილი და მის წინაშე გადაშლილი სამყარო.

ეს სამყარო მშვენიერი იყო. პეტერ მაიცენი გადასცქეროდა ფართოდ გაშლილ ხეობას, ტემნიკარის ხეობაზე ათჯერ მაინც უფრო დიდს. თეთრი ბილიკები ყოველი მიმართულებით სჭრიდა მწვანე მინდორს და ნაშუადღევის მზისგან ხეხილის ჩრდილს შეფარებულ სოფლებს ერთმანეთთან აკავშირებდა. შორს წყნარი კრკის ზოლი ბრწყინავდა, — მდინარე აუჩქარებლად მოედინებოდა, ხშირ ფოთლიანში მოსეირნე კეკლუც ლამაზმანსა ჰგავდა. ხეობის კიდე-კიდე, გორათა თავზე გადმომდგარიყვნენ ციხე-კოშკები, მიუკარებლად, მოლუშულად იყურებოდნენ. ალბათ იმიტომ, რომ ახალთახალი წითელ-წითელი სახურავებით გადახურეს და ამით გული ატკინეს ამ ხნიერ, დარბაისელ არსებებს. მომრგვალო გორაკების თავზე რძით გატიკნილ ძუძუსთავებივით ამართულიყვნენ პატარ-პატარა ეკლესიები, მოწმენდილ ცაში აეტყორცნათ სამრეკლოები და სიხარულის ღიმილით გადაჰყურებდნენ დოლენის მხარეს.

„ლამაზია! თუმცა ჩვენებურად არა, სხვანაირად“, — დაასკვნა პეტერ მაიცენმა და გზა განაგრძო. ახლა იგი გორაკის წვეროზე დაკლაკნილ ტალახიან გზას მიპყვებოდა. მალე პირველ სახლსაც მიადგა. ხავსმოდებულ ხეების ძირას დიდ გუბურას წააწყდა. წყალი შიგ ჭუჭყიანი იყო, ჯგრო-ჯგროდ დასტრიალებდნენ ბუზები. ბალახებიდან ბაყაყები გუნდად გამოხტნენ და წყალში მოიღეს ტყაპანი. თანდათანობით წრეები გაქრა და მომწვანო ზედაპირზე თეთრი ლრუბელი აკიაფდა.

პეტერ მაიცენს გაუხარდა და თავი ასწია. ლრუბელი სწორედ მის თავზე იდგა. ბატკანივით ხუჭუჭა თეთრი, ქათქათა, მოგრძო ლრუბელი ლაჟვარდ ცაზე მიცურავდა...

„აქა ხარ? სწორედ ამ მომწვანო, ჭუჭყიანი გუბურის თავზე?.. ჰო, არა უშავს, შენ ხომ გუბურაში არ გაისვრები, პირიქით — ყველა გუბურას გააკრიალებ და დაამშვენებ. გამარჯობა! დღეს ნუ მოშორდები ცას!“

ლრუბელი ოდნავ შეირხა, თითქოს მხრები აიჩეჩა.

პეტერ მაიცენი ჯოხით დაემუქრა და გზა განაგრძო. მალე რაღაც ნაგებობებს წააწყდა. აქედან ყველა როდი იყო ღვინის მარანი. ეს იყო დაბა, სადაც ათიოდე ძველი ძელური სახლი იდგა, თუმცა სახლები კი არა, ქოხმახები უფრო ეთქმოდა. ფანჯარაც არ უგავდა ფანჯარას, პატარა სარკმლები ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიგ კი მიხაკები, პელარგონიუმები და ფუქსიები ჩანდა. ყველაფერი დროძოვ-მული იყო, ყოველივეს სიძველის იერი დაჰკრავდა. პეტერ მაიცენს უნებლიეთ ალმოხდა:

— ნეტა თუ რაიმე შეიცვალა ამ სოფელში მას შემდეგ, რაც აქ პრიმოჟ ტრუბარმა[1] გაიარა?

— ყიყლიყო... — გამოეხმაურა საიდანღაც მამალი, მაგრამ სიმღერა ვერ მოათავა. რომ შემოსცხო და შემოსცხო, უცებ სული შეუგუბდა და ხმა ჩა-ეწყვიტა.

მერე მძიმე ჯაჭვმა გაიჟღარუნა. ქოხის კუთხიდან ბანჯგვლიანმა ძაღლმა გამოჰყო თავი და დაიწკავწკავა. იმ მიმჭკნარი მიხაკების, პელარგონიუმებისა და ფუქსიების ფერი წითელი ენა გადმოეგდო ძაღლს.

— რაო, ძმობილო, ცხელა?

ძაღლს ხმა არ გაუღია — პირი იბრუნა და ისე მედიდურად მიატრიალა ბანჯგვლიანი თავი, გამოსამშვიდობებლად კუდიც არ დაუქნევია.

ქოხს იქით ნაკელი იყო დახვავებული. გზაზე მისგან მომწვანო, მოშავო სქელი წუნწუხი დამდგარიყო. შიგ სამი თეთრი იხვი ჭყუმპალაობდა, თუმცა რალაც მანქანებით იმ მაღლა მოცურავე ღრუბელივით მაინც თვალისმომჭრე-ლად ქათქათანი ჩანდნენ.

— ღმერთმანი, ფრინველები ვართო, თქვენ უნდა თქვათ! — ჩაილაპარა-კა პეტერ მაიცენმა. — ნეტა რა მადლი გცხიათ ასეთი, რომ ამ წუნწუხიდანაც ასეთი სუფთები ამოდიხართ!

— მუ-უ-უ... — მოესმა ამ დროს ზურგს უკან..

პეტერ მაიცენმა მიიხედა. ბოსლიდან დიდი დრუნჩი გამოეყო ძრო-ხას.

— მუ-უ...

— გამარჯობა, ჭრელავ! — უთხრა პეტერ მაიცენმა და ახლოს მივიდა ძროხასთან. — რაო, რა გინდა? მოგწყინდა განა? არცთუ ისე ცუდად ცხოვ-რობ, ჩემო კარგო! დგახარ შენთვის გრილოში და იცოხნები.

— მუ-უ-უ... — დაიზმუვლა ძროხამ და პეტერ მაიცენს ხელზე ჩაოიანი ენა მოუსვა.

— აბა, ნუ მექლესები, ღმერთმანი, არა მცალია, შუბლი რომ გეხანო, შინ მიმეჩქარება. სამუშაო მაქვს.

— მუ-უ-უ...

— აბა უყურე, — შეჩერდა უცებ პეტერ მაიცენი, — კინაღამ არ დამა-ვიწყდა ტემნიკარის ძროხა! — იგი უკან მობრუნდა და კვლავ ჭრელასთან მი-ვიდა. — მადლობელი ვარ, ჩემო კარგო, რომ ხმა გამე! იცი, ჩემს გმირს, ტემ-ნიკარსაც, ვისზედაც მოთხრობას ვწერ, ჰყავდა ძროხა. მართალი თუ გინდა, ძროხები ჰყავდა, მაგრამ ჭრელა ყველაზე მეტად უყვარდა. ძალიან ლამაზი, წყნარი ძროხა იყო. ერთი უბედურება სჭირდა მხოლოდ — ვერა და ვერ და-მაკებულიყო. ტემნიკარი უბრაზდებოდა კიდეც, ნაწყენიც იყო, მაგრამ მაინც ოთხ წელიწადს ება ბოსელში.

— მუ-უ-უ... — შეაწყვეტინა ძროხამ.

---

[1] პრიმოჟ ტრუბარი (1508—1586) — სლოვენელი განმანათლებელი, მწერალი, სლოვენური პროტესტანტიზმის მამამთავარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიცა! — უთხრა პეტერ მაიცენმა და მიმოიხედა. გზის იქით, ბალ-ტანმორჩილ იფანს გაეშალა ტოტები. პეტერ მაიცენმა ჯიბიდან დანა იძრო, რამდენიმე ტოტი ჩამოაჭრა და ძროხას გაუწოდა, — აი, ხომ ხედავ!.. მაშასადამე, უკვე გითხარი, ტემნიკარს ლამაზი ძროხა ჰყავდა-მეთქი. და თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეს, მანამ რობში წავიდოდა, რათა იმ ძაღლთაპირებს შებმოდა, ერთხელ კიდევ მოინახულა თავისი ძროხა. ძალიან უყვარდა ეს პირუტყვი და იმედადაც ჰყავდა. პარტიზანებმა რომ რევოლვერი მიაბარეს, ისიც ჭრელას ბაგაში დამალა. ჰოდა, ამ ცეცხლოვანი ეშმაკის წასაღებად რომ ბოსელში შევიდა, ჭრელას გამოელაპარაკა, შუბლი მოფხანა და უთხრა:

— იცი, ჭრელავ, მივდივარ! ომში მივდივარ! ოღონდ ასე ბრიყვივით ნუ შემომცქერი! მართლაც ომში მივდივარ! არც ვხუმრობ, არც ვჩმახავ რაიმეს და არც ვიკვეხნი...

— მუ-უ-უ... — დაიზმუვლა ჭრელამ.

— ვიცი! — ტემნიკარმა თვალები დახარა. — ოცი წელი ვყვებოდი, რა გმირიც ვიყავი ახალგაზრდობაში და ოცი წელი ვტყუოდი. მერე რად ვტყუოდი? მხოლოდ იმიტომ, როგორმე ხელი გაენძრია ჩემს ვაჟს, ხომ იცი, რა ღვთის გლახაცა მყავს. ჰო, მხოლოდ ამიტომ! მერე, შენ გგონია, რაიმეს მივაღწიე? არაფერსაც! მე ვყვები, ენას არ ვაჩერებ, იმას კი ჩაუყვია ხელი ჯიბეში, ფაშვს იქექავს და სულელივით ხითხითებს!.. ახლაც კი, როცა ყველა იბრძვის, ის შინ ზის და იქექება!.. ეჰ, რა ძნელია ვაჟკაცისათვის, როცა ვაჟი ქალაჩუნა გამოუვა! უფრო მეტად კი ის არის ძნელი, როცა იძულებული ხარ მოჩმახული მუშტი-კრივისა და ჩხუბის ამბებით იტრაბახო!.. რას იზამ! ჯერ იყო და ვიფიქრე, იქნებ ცოტა გამოვაფხიზლო-მეთქი, მერე კი ჩვეულებად მექცა, თუმცა დავრწმუნდი, რომ ამაო იყო... ასევე გავაგრძელებდი ალბათ, ეს ძაღლთაპირები რომ არ გამომჩენოდნენ...

— მუ-უ-უ... — დაიზმუვლა ძროხამ.

— მოვეშვათ ამ ამბავს! — ჩაიქნია ტემნიკარმა ხელი. — იცი, ჩემი ჩხუბის ამბებზე მუდამ საინტერესოდ ვყვებოდი ხოლმე. არათუ ვყვებოდი, ზოგჯერ ცოცხლად წარმოვადგენდი კიდეც. ერთხელ ისე გავცხარდი, რომ დავავლე სკამს ხელი, მინდოდა მეჩვენებინა, როგორ დავამსხვრიე ლამპა — მოვიქნიე ეს სკამი და მართლაც არ დავამსხვრიე!.. რალა გასაკვირია, თუ სიამოვნებით უგდებდნენ ყურს! ზამთრის საღამოებში ვუზივართ ღუმელს, ყველა მოწყენილია. სწორედ ამ დროს მთხოვენ: „ერთხელ კიდევ გვიამბეთ, მამილო, როგორ იჩხუბეთ პლეშჩში!..“ ეს ჩემი ყველაზე უფრო განთქმული ჩხუბი იყო. მაშინ ტილჩკასთვის შევებით, თუმცა იმათთვის არ მითქვამს ეს. იანეზ გრეგორჩევმა სიტყვა გადამიკრა, ტილჩკა შუალამისას ფანჯარას აღებსო, და მეც მეტი ალარ მინდოდა: წამოვვარდი, წამოვავლე სკამს ხელი და ვესროლე ლამპას, რომ დაბნელებულიყო იქაურობა. მერე ხელისგულებზე დავიფურთხე და შევუდექი საქმეს — თორმეტი ჭაბუკი მოვისროლე კარში, სხვებს კი დაკეტილი ფანჯრებიდან გადავუძახე. გაგიხარია, ამბავი იყო! როცა ყველაფერი მოჩრჩა და დედაკაცებმა სანთლები მოიტანეს, დავინახე, თითქმის ყველა მინა ჩამელეწა, ყველა მაგიდა დამემტვრია და ექვსიოდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკამიც მომერყია, ხოლო ჭურჭელი ლაპარაკადაც არ ღირს. ჰო, ძაან ჩხუბი იყო!..

— მუ-უ... — დაიზმუვლა ძროხამ.

— ოჰ, რასაკვირველია! — ამოიოხრა ტემნიკარმა და თავი ჩაჰკიდა. — თავადაც კარგად ვიცი, რომ პლეშჩში ჩემს დღეში არ ვყოფილვარ და ჩემს სიცოცხლეში ერთხელაც არ მიჩხუბნია! რას იზამ! წლითიწლობით ისე შევეჩვიე, ხალხი აღმეფრთოვანებინა ჩემი ჩხუბის ამბებით, ზოგჯერ, როცა მომეწყინებოდა ხოლმე, ჩემთვის ვყვებოდი... პირველად, რასაკვირველია, მრცხვენოდა ტყუილების ლაპარაკი, მერე კი... როგორღა უარმეყო საკუთარი ტყუილები? ამას ჯობდა დამეჯერებინა, რომ მართლაც ასე იყო, ზოგჯერ კი თვითონაც მზად ვიყავი დამეფიცა, ყველაფერი მართლაც ასე მოხდა-მეთქი. მერე რად არ უნდა მომხდარიყო ასე? რად არ უნდა დამერტყა? განა მშიშარა ვიყავი? ვინ მოგახსენათ! ღონიერი, კარგი ბიჭი გახლდით. ეს არის, შემთხვევა არ მომცემია ჩხუბისა... მაშ, ახალგაზრდამ შევირთე ცოლი. ჰოდა, წყნარად ვცხოვრობდით მე და ტილჩკა, არც არავის ვეჩხუბებოდით და არც არავის ვედავებოდით. რად უნდა მეჩხუბა? ხოლო ტილჩკა რომ მოკვდა, ჩემი გულიც მას გაჰყვა.

— მუ-უ-უ... — ნაღვლიანად შეჰბღავლა ძროხამ.

— ნუ ბღავი, თუ გიყვარდე! — უთხრა ტემნიკარმა და ერთი ილლია გამხმარი სამყურა აიღო. — აჰა, სამყურა ღეჭე, თუმცა ღირსი კი არა ხარ. რას იზამ, რაკი ასეთი დღეა დღეს! — მან ძროხას თბილ კისერზე ხელი მოუცაცუნა და ბაგას მოშორდა. კარიდან კვლავ მოხედა: — იცი, ჭრელავ, ამ ერთხელ კიდევ გეტყვი, უკანასკნელად. ჭკუით იყავ, წინა თვეში არ იყო, რომ გაგიყვანე, ჰოდა, თუ ახლაც არაფერი გამოვიდა, იცოდე, პარტიზანებთან წასვლა მოგიწევს. აგერ მეორე თვეა უკვე დავპირდი შენს თავს ინტენდანტ ურხს.

— მუ-უ-უ... — პირი მისკენ იბრუნა ძროხამ.

— რას იზამ, ჩემო ძვირფასო! ახლა ასეთი დროა, არავისა აქვს უფლება ბერწად იცხოვროს! — უთხრა ტემნიკარმა და ბოსლიდან გამოვიდა.

— მუ-უ-უ...

ტემნიკარს არ მოუხედავს, ნელა გაიხურა კარი. გულში უხაროდა, ჭრელას წასაყვანად რომ მოვლენ, მე აღარ ვიქნები ამქვეყნადო...

— მუ-უ-უ... — ზმუოდა ძროხა, უკვე მთლად შეეჭამა იფნის ფოთლები.

— დიდი გამრჯე ვინმე ხარ, კაცი ვერაფერს იტყვის! — პეტერ მაიცენმა ძროხას შუბლი მოფხანა. — მადლობელი ვარ, რომ ხმა გამე. ვინ იცის, იქნებ მართლაც არ მომგონებოდა ტემნიკარის ჭრელა...

— მუ-უ-უ...

— მუ-უ-უ... ჰო, ჰო... აბა რა იცი შენ ამ საქმისა? არაფერი! იქნევ ჯუდს და ზოგჯერ თუ წამოიზმუვლებ, ეს არის და ეს. — პეტერ მაიცენმა გაიცინა და თავი გაიქნია. — ვინ იცის, რას იტყოდნენ ახალი დროის ესთეტები, რომ ენახათ, როგორ გიყვები ჩემი გმირების ამბავს?.. უეჭველად იმას იტყოდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაესთეტურიაო. აბა რა ვქნა? განა ტემინკარი კი არ ემასლაათებოდა თავის ძროხას? რა თქმა უნდა, ემასლაათებოდა, მაგრამ ის გლეხი იყო და არა მწერალი!.. მერე რა? განა მას სხვანაირად ესმის ცხოვრება?.. რას გვთავაზობენ ეს ახლად მოვლენილი ესთეტები? კუდს იქნევენ და დროდადრო გაურკვევლად ზმუიან. ესეც ხდება ხოლმე, რომ ყოველ ახალ კარებს მყის რქებით ეძგერებიან. ასეთ საქციელს კი დახვეწილ ესთეტობად ვერ მიიჩნევ. ბოლოს და ბოლოს ეს უფრო ნაკლებ ორიგინალურიც არის, ვიდრე ძროხას ხელოვნებაზე ესაუბრო კაცი.

— მუ-უ-უ... — გაეპასუხა ძროხა.

— ასეა! — თავი დაუქნია პეტერ მაიცენმა. — ახლა კი წავედი! უნდა ვიჩქაროო. უკვე ყველაფერი მოვიფიქრე. ყველა მთავარი ეპიზოდი ჩემი თვალით ვნახე, რობთან შეტაკების გარდა. მაგრამ სანამ იმას დავწერ, ბრძოლის ამბებსაც გავიგებ...

პეტერ მაიცენი გზას გაუდგა. გზა უფრო და უფრო ემსგავსებოდა ჭუჭყიან თხრილს. ბოლოს ისეთი ლაფი გადაეღობა წინ, კიდეც დაფიქრდა, ამ მახეს როგორ დავაღწიო თავიო.

სწორედ ამ წუთს კვლავ გაისმა საყვირის ხმა — ისე ახლოს და ისე ხმამაღლა, თითქოს სადღაც მაღლა უკრავდნენ. პეტერ მაიცენს აღარც ახსოვდა საყვირი და პირველად დაიბნა კიდევაც მის ხმაზე, მერე კი ჩაფიქრდა.

„რაკი ასე ახლო ყოფილა, — გადაწყვიტა, — წავალ და ვნახავ, ვინ უკრავს!“

მან ჯოხი მოიმარჯვა და ლაფით სავსე თხრილიდან ამოხტა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისაკ बाबელი

მოთხრობები

რუსულიდან

თარგმნა თამაზ კვაჭანტირაძემ

ჩემი სამტრედის ამბავი

მაქსიმ გორკის

ბავშვობისას ძალზე მიდოდა სამტრედე. ამაზე ძლიერი სურვილი ჩემს სიცოცხლეში არაფრისა მქონია. ცხრა წლისას მამა დამპირდა, გალიის და სამი წყვილი მტრედის ფულს მოგცემო. ცხრაას ოთხი წელი იწუერებოდა. ნიკოლაევოს გიმნაზიის მოსამზადებელ კლასში გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადებოდი. ჩემი მშობლები ქალაქ ნიკოლაევოში ცხოვრობდნენ, ხერსონის გუბერნიაში. ამჟამად ასეთი გუბერნია აღარც არის, ოდესის რაიონს შეუერთეს.

ცხრა წლისა ვიყავი — გამოცდების მეშინოდა. არითმეტიკასა და რუსულში — ორთავეში ხუთზე ნაკლები არ უნდა მიმეღო. ჩვენს გიმნაზიაში ნორმა ძალზე დაბალი იყო — ორმოცი ბიჭიდან ორ ებრაელზე მეტი ვერ მოხვდებოდა მოსამზადებელში. მასწავლებლები მათ ეშმაკურად უსვამდნენ კითხვებს. ჩვენსავით ჩახლართულად კაცი-შვილს არ ეკითხებოდნენ! ამიტომაც მამაჩემი სამტრედის სანაცვლოდ ორ ხუთიანს მთხოვდა პლუსით. ჯვარს მაცვა — ძილისა და ღვიძილის სამანი მომეროვა. — გაბურბუსალებული გავედი გამოცდაზე და მაინც სხვებზე უკეთ ვუპასუხე.

ნიჭი მქონდა. მასწავლებლებს რაც არ უნდა ეეშმაკათ, ალესილ ტვინსა და მეხსიერებას ვერ წამართმევდნენ. ნიჭი მქონდა და ორი ხუთიც მივიღე. მაგრამ შემდეგ საქმე შეტრიალდა: ხორბლით მოვაჭრე ხარიტონ ეფრუსიმ თავისი შვილის მისალებად ხუთასი მანეთი ქრთამი გაიღო, ხუთის ნაცვლად ხუთი მინუსით დამიწერეს და ჩემს ადგილზე პატარა ეფრუსი ჩარიცხეს. მამაჩემი ჯავრისგან ლამის გათავდა. ექვსი წლიდან მოყოლებული თავი გამომილაყა ყო-

ველგვარი მეცნიერებით. ამ მინუსმა კაცი შეშალა. ჯერ თავად მოინდომა ეფრუსის გალახვა, მერე ორი მტვირთავის დაქირავება გადაწყვიტა მის დასაბეთქად, მაგრამ დედაჩემმა განზრახულზე ხელი ააღებინა და მეც კვლავ ჩავუჯექი წიგნებს საგაისოდ, უკვე პირველი კლასის გამოცდებისათვის. ჩემგან ფარულად მშობლებმა მასწავლებელი შეაგულიანეს, ბარელამ პირველი კლასის პროგრამაც ამეცადინეო და, ვინაიდან იმედგადაწურულები ვიყავით, მე სამი წიგნი გავზუთხე: სმირნოვსკის გრამატიკა, ევტუშევსკის მაგალითების კრებული და პუციკოვიჩის რუსეთის ისტორიის სახელმძღვანელო. ახლა ბავშვები ამ წიგნებით აღარ სწავლობენ, მე კი სამივე წიგნი თავიდან ბოლომდე დავიზეპირე და საგაისოდ მასწავლებელმა კარავაევმა რუსულ ენაში ნანატრი ხუთი პლუსით დამიწერა.

ეს კარავაევი — ოცდაათ წელს მიტანებული მოსკოველი ნასტუდენტარი—ცოტას წაიფხუკიანებდა. ჟინჟღილა კაცი იყო — გლეხის ბიჭივით ლოყებდაბრაწულს, ღაწვისთავზე მეჭეჭი აჯდა, საიდანაც კატის ქისონი ბეწვი ამოზრდოდა. გამოცდებს ოლქის მზრუნველის თანაშემწე პიატნიცკიც ესწრებოდა; ის კი გიმნაზიაში და მთელ გუბერნიაშიც დიდ კაცად ითვლებოდა. მზრუნველის თანაშემწე პეტრე დიდზე შემეკითხა — მე გონი წამერთვა, ვიგრძენი, რომ ახლა გადაწყდებოდა ჩემი ბედი და აღტაცებისა და თავდავიწყების უფსკრულში გადავეშვი.

პეტრე დიდზე პუციკოვიჩის წიგნის გარდა პუშკინის ლექსებიც ვიცოდი ზეპირად. ეს ლექსები ყელში ამომასკდა, ადამიანთა სახეები თვალებში დამიყირავდა და ისე ამეჭრა, ვითარცა ბანქო ახლადგახსნილი დასტიდან. ისინი დიდხანს რიალებდნენ ჩემს თვალთა ფსკერზე, ამასობაში კი მე — აკანკალებული, გაწვართული — მთელი ხმით გავყვიროდი პუშკინის სტროქონებს. დიდხანს ვიხრიწინე, არავის შეუწყვეტინებია ეს ჩემი უგონო ღაღადისი. წითლად დაბრმავებული, სადღაც აფრენილი—მე მხოლოდ ჩემკენ გადმოხრილი პიატნიცკის ბებერ სახესა და შეევრცხლილ წვერს ვამჩნევდი. მან ბოლომდე ჩამათავებინა და კარავაევს გადაულაპარაკა — ჩემითა და პუშკინით აღტაცებულს:

— რა ხალხია! — აღმოხდა მოხუცს, — ამ თქვენს ურიკელებს ტვინში ეშმაკი უზით.

შემდეგ მე მომიბრუნდა:

— კეთილი, წადი, ჩემო კარგო...

კლასიდან დერეფანში გამოვედი, შეთეთრებულ კედელს მივეყრდენ და ჩემი მტანჯველი სიზმრებიდან ნელინელ გამოვერკვიე. ირგვლივ რუსის ბიჭები თამაშობდნენ, გიმნაზიის ზარი სულ ახლოს ეკიდა კიბის თავზე, დარაჯი ჩაჭყლეტილ სკამზე თვლემდა. დარაჯს ვუყურებდი და თანდათან ვიღვიძებდი. გარს ბავშვები შემომადგნენ, შეღიტინება უნდოდათ, ან იქნებ ჩემთან გათამაშებაც, მაგრამ ამ დროს დერეფანში პიატნიცკი გამოჩნდა: გვერდზე ჩამიარა და ანაზდად შეყოვნდა, მის ზურგზე სერთუკმა ეჭვის ტალღებად გადაიარა. ამ ფართო, ხოროციან, ბატონკაცურ ზურგს შეშფოთება დაეტყვე და მოხუცისკენ წავიწიე.

— ბავშვებო, — უთხრა მან გიმნაზიელებს, — ამ ბიჭს ნუ აწყენინებთ, — და მხარზე მსუქანი, ნაზი ხელი ჩამომადო, — ჩემო კარგო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაშენს გადაეცი, რომ პირველ კლასში მიგიღეს.

მკერდზე ვარსკვლავი აუბრჭყვიალდა, ორდენებმა ლაცკანზე გაირაწკუნეს, მოულუნავმა ფეხებმა თან წარიტანეს შავ მუნდირში გამოხვეული მისი ვეება ტანი. ამ სხეულმა ბნელი ვიწრო დერეფანი ისე გაიარა, როგორც კარჭაპმა ლრმა არხი და დირექტორის კაბინეტში გაუჩინარდა. ტანმორჩილმა მოსამსახურემ ფართიფურთით შეურბენინა ჩაი და მეც შინისაკენ მოვკურცხლე.

ჩვენს დუქანში მუშტარი იჯდა, გლეხკაცი და, შეჭოჭმანებული, ქეჩოს იქექდა. დამინახა თუ არა, მამამ იგი მიატოვა და ჩემი მონათხრობი წამსვე ირწმუნა. აფოფინებულმა ნოქარს გასძახა, დახლს მიხედეო, და გიმნაზიელის ქუდის საყიდლად გავარდა. საცოდავმა დედაჩემმა ძლივს გამომგლიჯა ხელიდან ამ გადარეულ კაცს. დედას მიტკლის ფერი ედო და ჩემს თვალებში თავის ბედისწერას კითხულობდა. იგი თავზე ხელს მითათუნებდა, თან გულშემოყრილი პირს მარიდებდა. დედამ თქვა, რომ ჩარიცხულთა სიები გაზეთში იქნება და უფალი დაგვსჯის და ხალხის სასაცილოც შევიქნებით, თუ გიმნაზიელის ქუდს წინასწარ ვიყიდითო. დედაჩემს მიტკლის ფერი ედო, იგი ჩემს თვალებში თავის ბედისწერას კითხულობდა და მწარე სიბრალულით მომჩერებოდა, — მომჩერებოდა, როგორც პატარა ხეიბარს, ვინაიდან მხოლოდ მან იცოდა, რაოდენ სვეგამწარებული იყო ჩვენი ოჯახი.

ჩვენი გვარის ყველა მამაკაცი მიმნდობი იყო ადამიანთა მიმართ. წინდაუხედავი და ცუნდრუკა; არაფერში არ გვიმართლებდა! პაპაჩემი ერთ დროს რაბინი იყო ბელაია ცერკოვში; მკრეხელობის გამო იქიდან გამოაპანღურეს, რის შემდეგაც დევ ორმოცი წელი გააჯახირა სილატაკესა და აყალმაყალში, ქვეყნის ენები შეისწავლა და მეოთხმოცე წელს კიდეც ააფრინა. ბიძაჩემი ლევი ვოლოჟინის ეშიბოტში სწავლობდა, 1892 წელს იდეზერტირა, გაიქცა და თან კიევის სამხედრო ოლქის ინტენდანტის ასულიც გაიყოლია. ბიძაჩემმა ეს ქალი კალიფორნიაში წაიყვანა, ლოს-ანჟელოსში, იქ მიაგდო და მურდალ სახლში მოკვდა, ზანგთა და მალაელთა შორის. ამერიკულმა პოლიციამ გარდაცვლილის მემკვიდრეობა გადმოგვიგზავნა—ყავისფერი რკინით შემოსალტული დიდი ზანდუკი. ზანდუკში აღმოჩნდა საკარჯიშო გირები, ქალის დალალი, ბაბუასეული ტალესი, მოოქროულბუნიკიანი შოლტები და ყალბი მარგალიტებით მოოჭვილი ფეოადი ჩაის კოლოფები. მთელი ოჯახიდან სამნილა დავრჩით: მამაჩემი, ოდესაში მაცხოვრებელი მისი დარტყმული ძმა სიმონი და მე. მამაჩემი გულუბრყვილო კაცი იყო, ადამიანებს სწყინდათ მათდამი გადმოღვრილი მისი უმიზეზო სიყვარული და სანაცვლოს მოტყუებით უზღავდნენ. ამიტომ მამას სწამდა, რომ მის სიცოცხლეს ბოროტი სული განაგებს, რაღაც ამოუხსნელი არსება, ბედი-მდევარი; და აი, ერთადერთი მელა დავრჩი დედაჩემს მთელი ოჯახიდან. სხვა ებრაელთა მსგავსად, მეც ჩია ვიყავ, გაჩხინკული და მეცადინეობისაგან თავი მისკდებოდა. ამას ყველაფერს ხედავდა დედაჩემი, რომელიც ვერ დააბრმავა თავისი ქმრის მათხოვრულმა სიამაყემ და მისმა ჯიუტმა რწმენამ, რომ ოდესმე ჩვენი ოჯახი დედამიწის ზურგზე ყველაზე მდიდარი და ძლიერი შეიქნებოდა. დედა ბედისაგან სასიკეთოს არაფერს გამოელოდა. მას

ეშინოდა ნაადრევად გიმნაზიელის ტანისამოსის ყიდვისა და მხოლოდ სურათის გადაღების ნება დამრთო.

ცხრაას ხუთი წლის ოც სექტემბერს გიმნაზიაში გამოაკრეს პირველ კლასში მიღებულთა სიები. შიგ მეც ვეწერე. მთელი ჩვენი საგვარეულო მოვიდა ამ სიების სანახავად, ბაბუაჩემის ძმა შოილიც კი მოჩანჩურდა გიმნაზიაში. მე მიყვარდა ეს ბაქია ბერიკაცი, ბაზარში რომ თევზით ვაჭრობდა. ქერცლმიკრული ტორები მუდამ სველი ჰქონდა, მათ გრილ, მშვენიერ სამყაროთა სუნი ასდიოდა. შოილი ტყუილების გუდაც გახლდათ: რაღას არ გვიყვებოდა პოლონეთის 1861 წლის ამბოხებაზე. ძველად შოილს სკვირში დუქანი ჰქონია და თავისი თვალით უნახავს, როგორ დახვრიტეს ნიკოლოზ I-ის ჯარისკაცებმა გრაფი გოდლევსკი და სხვა პოლონელი აჯანყებულნი; როგორც შენ გიყურებო—მიმტკიცებდა. ახლა კი ვხვდები, რომ შოილი ერთი უბირი და ოხროხა ბერიკაცი იყო, მაგრამ მისი ლადაობა დღესაც მახსოვს, სასმენად ლირდა. ჰოდა, შოილიც კი მოჩერჩეტდა გიმნაზიაში ჩემი გვარის ამოსაკითხად და საღამოს, ჩვენს მათხოვრულ ნადიმზე მაგრად მოულხინა, იცეკვა და იბუქნავა.

მამაჩემმა გახარებულ გულზე ქეიფი გამართა და თავისი ამხანაგები—ხორბლით მოვაჭრენი, მაკლერები და ჩვენს ოლქში სამეურნეო მანქანების ვოიაჟერები მოიწვია. ეს ვოიაჟერები უბედური შემსაღებლები იყვნენ საქონლისა, ამიტომ გლეხები და მემამულეები მათ სათოფეზე არ იკარებდნენ. ებრაელთა შორის ისინი ყველაზე უფრო ნათრევი და მხიარული ხალხია. ჩვენს სუფრაზე ვოიაჟერებმა ხასიდური სამსიტყვიანი სიმღერა გააბეს და დაუსრულებლად აკრიმანჭულებდნენ. ამ სიმღერის ეშხს მხოლოდ ის იგრძნობს, ვინც ხასიდებთან ერთად შეჰყრია პასექს, ანდა ვოლინში ყოფილა მათ მოყაყანე სინაგოგებში. ვოიაჟერებს გარდა მოხუცი ლიბერმანიც გვეწვია, იგი თორასა და ძველებრაულს მასწავლიდა. მას მოსიე ლიბერმანს ვეძახდით. მოხუცს ბესარაბიული ღვინო ცოტა ზედმეტი მოუვიდა, წითელი ჟილეტი შეიხსნა და ჩემს საპატივცემულოდ ძველებრაულად სადღეგრძელო სჭექა. მოხუცმა მიუღოცა ჩემს მშობლებს და თქვა, რომ მე დავამარცხე ჩემი მტრები, მე დავამარცხე ლოყებთანთალა რუსი ბიჭები და ჩვენი ბღენძია მდიდრების შვილები. ვითარცა გარდასულ ჟამს დავით, მეფემან იუდეველთა, გოლიათს სძლია და ვითარცა მე აღვზევდი გოლიათსა ზედა, ესე ერი ჩვენი სძლევს თავისი გონების ძალით გარსშემოჯარულ მტრებს, ჩვენი სისხლი რომ სწყურიათ. ამის თქმა და მოსიე ლიბერმანს ტვითინი წასკდა, გული ამოუჯდა, ერთიც გადაჰკრა და შესძახა: „ვივატ!“ სტუმრებმა იგი წრეში ჩაიყენეს და, თითქოსდა ებრაული ქორწილიაო, ძველებური კადრილი გააჩალეს. იმ ღამით ყველამ მოულხინა, დედაჩემმაც კი მოწრუპა ღვინო, თუმცაღა სასმელი არ უყვარდა და ამოუცნობ გამოცანად ესახებოდა, რამ უნდა ასვას კაცს არაყი. ამიტომაც იგი ყველა რუსს შეშლილად მიიჩნევდა და ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა ეცხოვრა ქალს რუს მამაკაცთან.

მაგრამ ნამდვილად ბედნიერი დრო უფრო გვიან დაგვიდგა; დედაჩემისთვის ეს დღეები მაშინ დაიწყო, როდესაც გიმნაზიაში წასვლის წინ დილით ბუტერბროდებს მიმზადებდა, როცა დუქნები დავიარეთ ჩემთვის ზურგჩანთის, საკალმის, ბრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაყდიანი რვეულებისა და წიგნების საყიდლად. ბავშვებსავით ვერავინ გრძნობს ახალი ნივთების ეშხს. მათი სუნი პატარებს ისეთ ჟრჟოლას ჰგვრის, როგორც მეძებარს — კურდღლის ნაკვალევი, და ის სიგიჟე იპყრობთ, რასაც შემდგომ — ასაკში შესულნი, პოეტურ აღმაფრენას ვეძახით. ეს წმინდა ბავშვური სიხარული ახალი ნივთების შეძენისა დედაჩემსაც გადაედო. ერთ თვეს ვეჩვეოდით საკალმეს და დილის ბინდბუნდს, როცა უზარმაზარი, გაჩახჩახებული მაგიდის კუთხეში ჩაის ვსვამდი და წიგნებს ზურგჩანთაში ვალაგებდი. ერთ თვეს ვეჩვეოდით ჩვენს ბედნიერებას და მხოლოდ პირველი მეოთხედის ბოლოსღა გამახსენდა მტრედები.

მათთვის ყველაფერი გამზადებული მქონდა — მანეთნახევარი და ყავისფრადშეღებილი სამტრედე. სამტრედე პაპა შოილის ნახელავი გახლდათ, თორმეტი წყვილის საყოფი ბუდეები ჰქონდა, პატარ-პატარა თამასები და ერთიც განსაკუთრებული გისოსი სხვისი მტრედების მოსატყუებლად. ყველაფერი გამზადებული მქონდა და ოც ოქტომბერს, კვირადღით, ოხოტნიცკიზეც ვეპირებოდი სავაჭროდ, მაგრამ მოულოდნელი დაბრკოლებები გამომეხირა.

ეს ამბავი, რასაც გიამბობთ—გიმნაზიის პირველ კლასში ჩემი ჩარიცხვა — ცხრაას ხუთი წლის შემოდგომას მოხდა. ნიკოლოზ მეფემ იმ ხანებში რუს ხალხს კონსტიტუცია უბოძა. ქალაქის საკრებულოს შენობის წინ ტუმბებზე შემხტარი შელანძღულპალტოიანი ორატორები ხალხს რაღაცას ექაქანებოდნენ. ღამღამობით ბათქაბუთქიც ისმოდა და დედაჩემს უკვე აღარც უნდოდა ჩემი გაშვება ოხოტნიცკიზე. ოც ოქტომბერს, დილადანვე, ბიჭები ზედპოლიციის უბნის წინ ქაღალდის ფრანებს უშვებდნენ, ჩვენმა წყლის მზიდავმა ჯეელმა კი თავისი საქმე მიატოვა და გამოპრანჭული, აჭარხალებული დაიწმაწნებოდა ქუჩაში; მერმე იყო და, მეფუნთუშე კალისტოვის ბიჭებმა შუა ქუჩაზე ტყავის ხარიხა გამოათრიეს და ვარჯიში გაახურეს. კაციშვილს არ დაუშლია, პოლიციელი სემერნიკოვი კიდეც უქებდა ჯიმარდობას. სემერნიკოვს შინნაქსოვი შალი შემოერტყა წელზე და ჩექმები ისე უპწკიალებდა, როგორც არასდროს. უფორმო პოლიციელმა ხომ სულ დააფეთა დედაჩემი და მტრედებზე აღარც მიშვებდა, მაგრამ უკანა კარიდან მაინც გავიპარე და ოხოტნიცკისკენ მოვუსვი.

მემტრედე ივან ნიკოდიმიჩი იქ თავის ამოჩემებულ ადგილას იჯდა. მტრედებს გარდა იგი კურდღლებსა და ფარშავანგსაც ჰყიდდა. კუდგაღაღანებული ფარშავანგი ლატანზე იყლაყვებოდა, ფეხზე თოკი ება, რომლის ბოლო ივან ნიკოდიმიჩის მოწნულ სკამს ჰქონდა მოტანიებული. მისვლისთანავე ვიყიდე ერთი წყვილი ბოლოფაშფაშა მტრედი. ერთიც—ქოჩორა და, ტომსიკაში ჩაყუჟულები, უბეში შევინახე. ორმოცი კაპიკი მომრჩა, მაგრამ მოხუცი ამ ფასად დედალ-მამალ კაუჭა მტრედებს არ იძლეოდა. ამ მტრედებისა მოკვიტნილი ნისკარტი მიყვარდა, მოკლე და თვინიერი. ორმოცი კაპიკი მათი ნაღდი ფასი იყო, მაგრამ მემტრედე არ მიკლებდა და ჩიტიჭერიას გატყიურებული ვნებით დაკენკილ თავის ყვითელ სახეს მარიდებდა. ბოლოს და ბოლოს, მუშტარი რომ აღარ გამოუჩნდა, ივან ნიკოდიმიჩმა მიმიხმო. საქმე ნანატრივით ამეწყო, მაგრამ ვაი ამ აწყობას...

თორმეტი საათი იქნებოდა ან ცოტა მეტი, როცა მოედანი თექის ჩექმებიანმა კაცმა გადმოჭრა. დასიებული ფეხები მას ჰაერ-ჰაერ მოატარებდნენ, დაშაშრულ პირისახეზე თვალები უელავდა.

— ივან ნიკოდიმიჩ, — ჩაულაპარაკა მემტრედეს, — მობოჭე შენი ავლადიდება. ქალაქში ყეველებს კონსტიტუცია მიართვეს. ბაბელების ბერიკაცს ისეთი მოაკერეს, ჭირი მოგჭამა...

ეს ჩაილაპარაკა და, ვითარცა ხნულში ჩამდგარი ფეხშიშველა გლეხიკაცი, ლაღად გაუყვა თავის გზას.

— ძალიანაც მიუქარავთ, — წაიპუტუნა ივან ნიკოდიმიჩმა, — ძალიანაც მიუქარავთ! — მოხუცმა ხმას აუმაღლა, ფარშავანგს და კურდღლებს ხელი წამოუსვა და ორმოც კაპიკად მომაჩეჩა მტრედები.

ისინიც უბეში ჩავისვი და ხალხისაგან დაცლილი მოედანი მოვათვალიერე. ივან ნიკოდიმიჩის მხარზე ჩამოსკუპებული ფარშავანგი უკვე შორს მიირხეოდა, იგი იჯდა, ვითარცა მზე შემოდგომის ცრემლიან ცაზე, ვითარცა ივლისი ზის მდინარის აღაღანებულ ნაპირას — ბალახის გრძელ, ლორთქო ღეროში შეჟონილი თაკარა ივლისი. ბაზარი დაცარიელდა, სულ ახლოს სროლის ხმა გაისმა. სადგურისაკენ მოვკურცხლე — სკვერი თვალებში დამიყირავდა — და ყვითლად დატკეპნილ უკაცრიელ შესახვევში კისრისტეხით შევვარდი. ჩიხის ბოლოს თვლებიან სავარძელში უფეხო მაკარენკო იჯდა — ქუჩა-ქუჩა პაპიროსებით მოვაჭრე. ჩვენი უბნის ბიჭები პაპიროსს მისგან ყიდულობდნენ. ბავშვებს უყვარდათ მაკარენკო და მეც მას მივაშურე.

— მაკარენკო, — გულამოვარდნილმა მხარზე ხელი მოვუთათუნე ხეიბარს,—შოილი ხომ არ გინახავს?

ხეიბარს არაფერი უპასუხნია, წითელ ქონად და რკინად შეკრულ მის კუშტ პირისახეს ალმური შენთებოდა. იგი მოუსვენრად ცმუკავდა სავარძელში, მისი მოჩლაჩული მეუღლე კატიუშა კი ქუჩაზე დაყრილ ნივთებში იქექებოდა.

— არის რამე? — დაეკითხა უფეხო და სავარძელი მკვეთრად მიატრიალა, თითქოს წინასწარ იგრძნო, რომ ქალის პასუხი გულს შემოჰყრიდა.

— თოთხმეტი ცალი ნიფხავია, — უპასუხა ჩაკუზულმა,—ექვსიც ბალიშისპირი. ახლა თავსაფრებს ვითვლი.

— თავსაფრები!—ამოიკვნესა მაკარენკომ, გაიგუდა და წკმუტუნა ბგერები ამოუშვა.—ჩემი ილბალი დაიწვას, კატერინა, ჩემი... თავსაფრები კი არა, ხალხი ფარულად დაძლა...

და მართლაც, შესახვევზე ქალმა გადაირბინა, ლამაზი პირისახე ალეწოდა; ცალ ხელში ერთმანეთზე აკოკოლავებული ფესკები ეჭირა, მეორეში — მთელი თოფი შალი. ბედნიერი, განწირული ძახილით მოუხმობდა თავის მიმოფანტულ ბალღებს. მაკარენკო ყვირილით გამოენთო მას. ქალს მისთვის არ ეცალა, მირბოდა და კაბას მიაფრიალებდა. სავარძელი მიხრიგინებდა, ხეიბარი თავდაუზოგავად ექაჩებოდა სახელურებს, მაგრამ ქალს ვერ ეწეოდა.

— ქალბატონო, — მიაბღავლა მაკარენკომ, — ფართალი სადაა, ქალბატონო?

მაგრამ ფრიალა კაბა უკვე გაუჩინარდა. გვერდიდან მოლაყლაყებულმა ფორანმა შემოუხვია, ზედ ჯეელი გლეხი წამომართულიყო.

— ხალხი საით გაიქცა? — იკითხა მან და ცალუღელში მტოკავ ჯაგლაგებს სადავე მოზიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხალხი საყდართანაა საშოვარზე; ყველა იქაა... თუ კაცი ხარ, — შეჰლალადა მაკარენკომ, — რასაც იშოვი, აგერ მომიზიდე, მყიდველი ვარ...

ჯეელი წინ გადაიზნიქა და გასაცოდავებულ ამლაყებს შოლტი გაუტყლაშუნა. ცხენებმა ხბორებივით ჰყარეს ტლინკები და წათოხარიკდნენ. ყვითელი ქუჩა ისევ ყვითელი და უკაცრიელი დარჩა. მაშინ უფეხომ ჩამქრალი მზერა ჩემზე გადმოიტანა.

— ჩემი იღბალი რა ვთქვა, — ჩაიდუდუნა, — ჩემი იღბალი დაიწვას... — და მაკარენკომ დამუნიანებული ტორი გამომიწოდა.

— უბეში რა გაქვს? — მითხრა და ტომსიკა ამომაცალა, გულს რომ მითბობდა.

თავისი ტორით მან ტომსიკა მოქექა და იქიდან ფითქინა მტრედი ამოიყვანა. ჩიტი ფეფებაპლაკული გაყუჩდა ფართო ხელისგულზე.

— მტრედები, — ჩაილაპარაკა მაკარენკომ და ბორბლების ღრჭიალით მომიახლოვდა, — მტრედები, — გაიმეორა და სახეში მლეწა.

გაშლილი ხელი მლეწა, მტრედიანი; კატიუშას მოჩლაჩული უკანალი თვალებში ამომიტრიალდა და ქვაფენილს დავასკდი.

— ამათი სინსილა უნდა გაწყვიტო, — წაისისინა კატიუშამ და ჭინჭებზე წამოიმართა, — ამათი ამყრალებული ჯიში უნდა ამოაგდო...

იგი რაღაცას კიდევ ამბობდა ჩვენს ჯიშზე, მაგრამ მე უკვე აღარაფერი მესმოდა. ქვაფენილზე ვეგდე და საფეთქელს მიმთხლეული მტრედის შიგნეული პირისახეზე მეღვენთებოდა. შიგნეული ჩამომწყლაწა ლოყაზე. შიგნეული იგრიხებოდა, სკდებოდა და თვალს მიბრმავებდა. მტრედის ნაზი ნაწლავი შუბლზე დამსვარსეალებდა და მე მეორე თვალიც დავხუჭე, რათა არ დამენახა ჩემ წინ გადახსნილი სამყარო. ეს სამყარო პატარა და საშინელი იყო: კენჭი — დედაბრისდარად დაღარული, ბაწრის ნაგლეჯი და ფრთები, ჯერ კიდევ რომ ფეთქდნენ. პატარა და საშინელი იყო ჩემი სამყარო, თვალნი დავიხშე, რათა იგი არ დამენახა და მიწას ჩავეკარ, მუნჯური მორჩილებით ჩემ ქვეშ განრთხმულ მიწას. გათელილი ეს მიწა არაფრით წააგავდა ჩვენს ცხოვრებას და არც გამოცდების მოლოდინს ჩვენს ცხოვრებაში. სადღაც შორს მასზე დაგელაობდა ვეება ცხენზე ამხედრებული უბედურება, მაგრამ ფლოქვების ხმა თანდათან მიყუჩდა და ანაზდად სიჩუმემ, მწარე სიჩუმემ, უბედურების ჟამს ბალღებს რომ გააოგნებს, ჩემს სხეულსა და შეჩერებულ მიწას შორის სამანი მოარღვია. მიწამ ნელი საფლავები და ყვავილები ამოიფშვინა; მე ვიყნოსე მისი სურნელი და გული ამომესკვნა. მივაბიჯებდი თეთრი კოლოფებით მოფენილ უცხო ქუჩაზე, ეულად მივაბიჯებდი გასისხლიანებული ფრთებით თავშემკული თითქოსდა საკვირაოდ გამოგვილ ფილაქნებზე და ისე მწარედ, ისე ხარბად და შვებით ვქვითინებდი, აღარასოდეს რომ აღარ მიტირია. ზემოდან გაფითრებული მავთულები დამზმუოდნენ, ქუჩის ქოფაკი ჩემ წინ მიზურზურებდა, გვერდით შესახვევში ქილეტიანი გლეხი ხარიტონ ეფრუსის ფანჯრის ჩარჩოს ამტვრევდა. ხის ურაყუნებდა, მთელი სხეულით იდრიკებოდა და თრობის, ოფლისა და სულიერი ძალისხმევის კენილ ლიმილს აფრქვევდა. ნაფოტები სხლტებოდნენ, ნაფოტები ჰკვნესდნენ, ნაფოტებმა წკრიალით დატენეს ქუჩა. გლეხი ანგრევდა მხოლოდ იმისათვის, რათა გადაზნექილიყო, გა-

ოფლიანებულიყო და ეყვირა არნახული სიტყვები რაღაც უცნაურ, იმ წამს შექმნილ ენაზე. იგი ყვიროდა ამ სიტყვებს, ღაღადებდა, ცისფერი თვალები შიგნიდან ამოუღადღადდა. ამასობაში ქუჩაზე საკრებულოდან მომავალ მორწმუნეთა პროცესიაც გამოჩნდა; შეღებილწვერიანი ბერიკაცები ქოჩორგადასლექილი ხელმწიფის სურათს მოასვენებდნენ, პროცესიას თავს ბაირაღები დასტორტმანებდა. წინ ალეწილი დედაბრები მოტატყანებდნენ. ქილეტიანმა გლეხმა მათ დანახვაზე ურო გულზე მიიხუტა და ბაირაღებს აედევნა. პროცესიის ჩავლას დავუცადე და შინ წავლასლასდი. კარმოფლეშილი სახლი გამოცარიელებული დამიხვდა, სამტრედის წინ ბალახი ჩექმებით გადაეთქერათ. კუზმაღა დარჩენილიყო სახლში. კუზმა, ჩვენი მეეზოვე, ფარდულში იჯდა და მკვდარ შოილს აპატიოსნებდა.

— რას ამოიკარ აპუტარი, — ჩაიბუზღუნა ბერიკაცმა, — საუკუნეა გარეთ დატანტალებ... ვერა ხედავ, იმ ჩემანალებმა პაპაშენი კიტრივით გაგორეს...

კუზმამ ამოიქსუტუნა, ზურგი შემაქცია და ბაბუაჩემს შეხსნილი ხვანჯრიდან ჭანარი ამოუღო. ორი ჭანარი ჩაეთხარათ ბაბუასათვის, ერთი ხახაში, მეორე — ლაჯებშუა და თუმცალა ბაბუა მკვდარი იყო, ერთი ჭანარი ჯერ კიდევ ფეთქავდა და თახთახებდა.

— პაპა გაგვიგორეს, სხვისთვის ხელი არ უხლიათ. — თქვა კუზმამ და თევზები კატისაკენ მოისროლა,— ვენაცვალე ჯანში. ყველას დედის სული ამოუტრიალა... იქნებ შაურიანები დაგედო თვალებზე...

მაგრამ მაშინ, ათი წლის ლლაპმა, არ ვიცოდი, რა საჭირო იყო მკვდრისათვის შაურიანები.

— კუზმა, — წავიჩურჩულე, — გვიშველე, კუზმა...

მეეზოვეს მივეტმასნე, ხელი მოხანხალებულ ზურგზე შემოვხვიე და ბზერა ბაბუაჩემისკენ გავაპარე. შოილი იწვა ნახერხებში, მკერდშეჭყლეტილს წვერი აჰბურდნოდა, შიშველი ფეხები განზე გაეფშიკა, — წვირიანი, ლურჯი ჭლიკვები უკვე გაშეშებოდა. კუზმა მის ირგვლივ დაფუთფუთებდა, ყბას უკრავდა, გული ვერ მოეოხებინა და მიცვალებულს ისე უკირკიტებდა, როგორც ბალღი მოშლილ სათამაშოს. ბოლოს ცხედარს წვერი ჩამოვარცხნა და დაწყნარდა.

— ყველას დედის სული ამოუტრიალა, — ღიმილით გაიმეორა და ვეამს თვალებით მიესიყვარულა, — ურჯულოები რომ დაგვცემოდნენ, თითრები, კუდით ქვას ასროლინებდა. მაგრამ ჩვენებურები მოვიდნენ, რუსები, თანაც დედაკაცებით, ბალღებით... ჩვენი კაცი რას დაგინდობს, მაგათი ამბავი მე მკითხე...

მეეზოვემ მიცვალებულს ნახერხი მოაპნია, დურგლის წინსაფარი მოიხსნა და ხელი ჩამჭიდა.

— წამო მამაშენთან, წამო, — ბუტბუტებდა და ხელს უფრო და უფრო მიჭერდა, — გადარეული დაგეძებს დილიდან...

და კუზმამ გადასახადის ამკრეფ ინსპექტორის სახლისაკენ წამიყვანა, სადაც ჩემი მშობლები ათვარებდნენ თავს, რბევას გადარჩენილნი.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოდაფში

ბავშვობაში ტყუილების გუდა გახლდით—კითხვის ბრალი იყო. ტვინი ნიადაგ აღგზნებული მქონდა. ვკითხულობდი გაკვეთილებზე, შესვენების დროს, ვკითხულობდი გზადაგზა — შინისაკენ მიმავალი, ვკითხულობდი ღამით—გრძელსუფრიანი მაგიდის ქვეშ შეყუჟული. წიგნში ჩაჩერებულს თვალსა და ხელს შუა გამისხლტა ყველა სიამე ამა სოფლისა: შატალოები ნავსადგურში, ბერძნების ქუჩაზე საბილიარდოში სიარული, ლანჟერონზე ცურვა. არც ამხანაგები მყავდა. ან ვის რაში **გამოადგებოდა** ჩემისთანა დამთხვეული?

ერთხელ ჩვენს საუკეთესო მოსწავლეს მარკ ბორგმანს ხელში წიგნი დავუნახე სპინოზაზე. ახლახან წაეკითხა და გულმა ვერ მოუთმინა გარსშემოხვეული ბიჭებისათვის ესპანეთის ინკვიზიციაზე არ ეამბნა. მისი მონაყოლი მეცნიერული ლუღლული იყო — ბორგმანის სიტყვებს პოეზიისა არა ეცხო რა. თავი ველარ შევიკავე და ლაპარაკში ჩავერიე. მათ, ვინც მოისურვა ჩემი მოსმენა. მე დავუხატე ძველი ამსტერდამი, მისი გეტოს მიმწუხრი. ალმასების მჩარხავი ფილოსოფოსები. წანაკითხს ბევრი საკუთარიც წავუმატე — უამისოდ არ შემეძლო. ჩემი ფანტაზია დრამატულ სცენებს ამძაფრებდა, დასასრულს ასხვაფერებდა, დასაწყისს იდუმალების ბურუსში ხვევდა. სპინოზას სიკვდილი, მისი თავისუფალი, ეული დატევება ამა სოფლისა ბრძოლად წარმოვსახე: სინედრიონი მონანიებას აიძულებდა სულთმობრძავს, იგი არ ტყდებოდა. აქვე რატომღაც რუბენსიც ვახსენე. ჩემი ვარაუდით, იგი სპინოზას სახთუმალთან უნდა სდგომოდა და მიცვალებულის სახის ნიღაბი აეღო.

თანაკლასელები პირდაფჩენილნი მისმენდნენ: ეს ფანტასტიკური ამბავი დიდი ეშხით მოვყევი. ზარის ხმაზე უხალისოდ დავიშალენით. შემდეგ დასვენებაზე ბორგმანმა გამიხმო, მკლავგაყრილი დავმასლაათობდით დერეფანში. გამოხდა ხანი — დავმეგობრდით. ბორგმანი არ ჰგავდა ზოგიერთ ყოყლოჩინა ფრიადოსანს. მისი ძალუმი ტვინისათვის მთელი გიმნაზიური სიბრძნე ცოდნის წიგნის მხოლოდ ანაბანა იყო, იგი კი ამ წიგნის არსს ჩაჰკირკიტებდა დაჟინებით. მას რომ აერაჩვეულებრივი, დიდი მეცნიერის ცხოვრება ელოდა, ამას თორმეტი წლის ღლაპებიც ვგრძნობდით. მარკი გაკვეთილებს არც ამზადებდა, მხოლოდ ისმენდა. ჩემმა წრეგადასულმა ფანტაზიორობამ ეს თავშეკავებული და ფხიზელი ბიჭი დამაახლოვა.

იმ წელს მესამეში გადავედით. გაჭირვებული სამიანებით მქონდა უწყისი გადაჭრელებული. ჩემი ბოდვები იმდენად უცნაური იყო, რომ შეჩქვიფებული მასწავლებლები ორს ველარ მიწერდნენ. ზაფხულის დასაწყისში ბორგმანმა თავის აგარაკზე მიმიპატიჟა. მამამისი საგარეო ვაჭრობის რუსულ ბანკს დირექტორობდა. ეს კაცი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ოდესა მარსელად თუ ნეაპოლად აქცია; მას ძველი ოდესელი დიდვაჭრის სისხლი უჩქეფდა. ბორგმანის მამა დამცინავი, თავაზიანი დარდიმანდი გახლდათ, რუსულს ერიდებოდა და ლივერპულელი კაპიტნების უხეშ ენაზე ხლიჩინებდა. აპრილში, როცა იტალიური ოპერა გვეწვია, ბორგმანი წვეულებებს მართავდა მათ პატივსაცემად საკუთარ ბინაში. გაფიქვინებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბანკირი—ოდესელ დიდვაჭართა უკანასკნელი წარმომადგენელი — მთელი ორი თვე ეკურკურებოდა მკერდმაღალ პრიმადონას. ქალმა ოდესიდან წაიყოლია უწყინარი მოგონებანი და ყელსაბამი, გემოვნებით შერჩეული და აოცთუ მაინცდამაინც ძვირფასი.

ბორგმანი აოგენტინის კონსული და საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარეც გახლდათ. აი, ამ კაცის ოჯახში ვიყავი ახლა მიპატიჟებული. ეს ამბავი ბიცოლაჩემმა ბობკამ მთელ უბანს მოსდო, გაბომბრანჭა, რაც შეეძლო, და ბორგმანებთან გამისტუმრა. აგარაკი ხრამის პირას იდგა და პირდაპირ ზღვას გადაჰყურებდა. ირგვლივ აფეთქებული ფუქსიები და მრგვლად შემოკვერცხილი ტუიის ბუჩქები ერტყმოდა.

მე ერთი ლატაკი, გზააბნეული ოჯახის შვილი გახლდით. ბორგმანთა აგარაკმა გამაოგნა: მწვანეში ჩაფლულ ხეივნებში წნული სავარძლები მოჩანდა, სუფრას ყვავილები ამშვენებდა, სახლის წინ ხის კოლონადა იდგა.

ბანკის დირექტორი საღამოს ჩამობრძანდა. ნასადილევს წნული სავარძელი ზედ კბოდეზე დაიდგა. თეთრ შარვალშემოტმასნილი ფეხები ზედ შეალაგა, სიგარეტი გააბოლა და „Manchester guardian"-ის კითხვას შეუდგა. ვერანდაზე სტუმრები — ოდესელი ბანოვანნი, ბოკერს თამაშობდნენ. მაგიდის კუთხეში სპილოს ძვლის სახელურებიანი სამოვარი თუხთუხებდა.

ბანქოსა და სასუსნავს გადაყოლილი, დაუდევრად კოპწია და ჩუმჩუმელა მემრუშე თეძოსრული ოდესელი ბანოვანნი შავ მარაოებს აფათქუნებდნენ და ოქროს ჩამოდიოდნენ. უსურვაზის ფოთლებიდან მათ ვეებერთელა მზის ცეცხლოვანი დისკო ელამუნებოდათ. სპილენძის ლავამ დაუმძიმა ქალებს შავი თმის ტევრი; ლონემიხდილი მზის სხივები ჩაგუბდა ბრილიანტებში — შეფაკლულ ბიბილოებზე, ძუძუთა გასაყარში და მდედრთა მოცისფრო, ვნებიან თითებზე მთვლემარე ბრილიანტებში.

დაგვაღამდა. მღამიობმა გადიფარფატა. ჩამუქებული ზღვა წითელი კლდის ფერხთით ფშვინავდა. სხვისი სიმდიდრით თავბრუდახვეულს, თორმეტი წლის გული ლამის საგულიდან ამომვარდნოდა. ხელჩაკიდებულნი დავბორიალობდით მე და ჩემი ძმაკაცი მყუდრო ხეივნებში. ბორგმანს ავიოინჟინრობა ეწადა. ხმები დადიოდა, რომ მამამისს ლონდონში ნიშნავდნენ რუსეთის საგარეო ვაჭრობის ბანკის წარმომადგენლად — მარკს შეეძლო სწავლა ინგლისში დაესრულებინა.

ჩვენს სახლში, ბიცოლაჩემ ბობკასთან, ამგვარი რამეები არც დაგვსიზმრებია. აღარ ვიცოდი, რითი მიმეგო საზღაური ამ დაუსრულებელი დღესასწაულისათვის. მარკს ვუთხარი — თუმცა ჩვენ სულ სხვაგვარად ვცხოვრობთ, მაგრამ პაპაჩემმა ლეონი-იცხოკმა და ბიძაჩემმა მთელი მსოფლიო შემოიარეს და ათას უბედურებას გადააწყდნენ-მეთქი. ეს უბედურებანი სათითაოდ აღვწერე, თავი ველარ დავიოკე, ბიძაჩემი ვოლფი თურქებთან ვაომე და ბრძოლა-ბრძოლით ეგვიპტეში, ალექსანდრიამდე მივიყვანე...

ალვებში ღამე აისვეტა, ვარსკვლავებმა ტოტები ჩამოამძიმეს. ქადაგად დავვარდი. ხელებს ვიქნევდი; მომავალი ავიოინჟინრის თითები ხელში მიფართქალებდა. გაბრუებული ბორგმანი შემპირდა, საკვირაოდ გესტუმრებით. ამის შემდეგ შინ გამოვბრუნდი—ბიცოლაჩემთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დარბაზობის შემდეგ მთელი კვირა თავი ბანკის დირექტორად მეზმანებოდა: სინგაპურთან და პორტ-საიდთან მილიონიან ოპერაციებს ვაკვარახჭინებდი, იახტა შევიძინე და ოკეანეთში ვმოგზაურობდი. შაბათს ნელინელ გამოვფხიზლდი — ხვალისათვის უმცროსი ბორგმანი უნდა მწვეოდა. რაც მას მოვუყევი, იმის მსგავსიც კი სინამდვილეში არ არსებობდა; არსებობდა სხვა რამ, ბევრად უფრო საოცარი, ვიდრე ჩემი მონაგონი იყო, მაგრამ თორმეტი წლისამ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, ამქვეყნად სიმართლისათვის როგორ მომევლო. პაპაჩემი ლეონიცხოკი, ყალბი თამასუქების გამო გამოპანღურებული რაბინი, მეზობლებსა და ჩვენი უბნის ბიჭებს შერეკილად მიაჩნდათ. ბიძაჩემი სიმონ-ვოლფიც ახირებული, ჯაჯღანა კაცი იყო, უაზრო ენერგიით დატენილი. ერთადერთი ბობკას იმედი მქონდა. ბიცოლაჩემს ეამაყებოდა ჩემი მეგობრობა ბანკირის ვაჟთან, ეს ურთიერთობა მომავალი კარიერის დასაწყისად მიაჩნდა და სტუმრისთვის მურაბიანი შტრუდელი და ვაშლის ღვეზელი გამოაცხო. ბიცოლაჩემმა ამ ნამცხვრებში მთელი თავისი გული ჩაათქვიფა, ბრძოლაში ესოდენ გამძლე გული ჩვენი ტომისა. ფეხებდაფიქვინებული ბაბუა თავისი დაკონკილი ცილინდრით მეზობლებთან გადავკარგეთ, აპელხოტების ოჯახში. ჭირი მოვჭამე, რომ სტუმრის წასვლამდე შინ არ მობრუნებულიყო. სიმონ-ვოლფიც გავისტუმრეთ, იგი დუქან „დათუნიაში“ წავიდა თავის ძმაკაც ქორვაჭრებთან ჩაის სასმელად. ამ დუქანში ჩაისთან ერთად არაყსაც სვამდნენ, ამიტომაც სიმონ-ვოლფი, ჩემი ვარაუდით, კარგა ხნით უნდა შეყოვნებულიყო. ჩვენი ოჯახი გამოირჩეოდა სხვა ებრაელთა ოჯახებისგან: გვაში ლოთებიც გვყავდა, ჩვენებს გენერლის ქალიშვილთათვისაც აუხდიათ ნამუსი, გაუტაცხიათ და მერე საზღვართან მიუგდიათ, ჩვენი პაპა ყალბ თამასუქებს აწერდა ხელს და მიტოვებულ ცოლებს შანტაჟს უწყობდა.

რა არ ვიღონე, რომ სიმონ-ვოლფი მთელი დღით დამეთესა; წვითა და დაგვით ნაგროვები სამი მანეთი მივეცი; სამი მანეთის დახარჯვას კი დრო უნდა; ჰოდა, სიმონ-ვოლფიც გვიან დაბრუნდება და ბანკის დირექტორის შვილი ველარასოდეს შეიტყობს, რომ ჩემი მონათხრობი ბიძაჩემის მამაც მკლავსა და კეთილ გულზე მტკნარი სიცრუეა. გულს რომ ჩაჰკითხვოდი, ეს არც იყო სიცრუე, მაგრამ თვალი მზოლოდ წვიერიანსა და ჯაჯღანა სიმონ-ვოლფს ხედავდა და ამ დაბურდულ ჭეშმარიტებას ძნელად საცნაურს ხდიდა.

კვირა დილით ბობკა შალის ყავისფერ კაბაში გამოეწყო, დიდრონი. კეთილი ძუძუების დანდალით ჰთელ ბინას მოედო. თავს მანდილი წაიკრა, შავი ყვავილებით ამოტვიფრული მანდილი, სინაგოგაში მზოლოდ განკითხვის დღესა და როშ-გაშონოს დღესასწაულზე რომ იკრავენ ხოლმე. ბობკამ სუფრაზე გაწოალაგა ნამცხვარი, მურაბა, კრეწელები და მოლოდინად იქცა. სარდაფში ვცხოვრობდით. ჩვენი დერეფნის ოლროჩოლრო იატაკზე რომ გამოიარა, ბორგმანმა წარბები აწკიპა. წინკარში წყლით სავსე უზარმაზარი კასრი იდგა. მარკს მიხედვმოხედვა არ ვაცალე, წინ ჩემი საოცრებანი გადმოვულაგე: ვაჩვენე ბაბუაჩემის ნაკეთები ნათურაჩახრახნილი მაღვიძარა — ყოველი ჩამორეკვისას ნათურა ინთებოდა. ვაქსიანი კასრი გამოვუტანე: ამ ვაქსის

რეცეპტი ლეივი-იცხოკის საიდუმლოება იყო და ქვეყნიერების ზურგზე არავის უმხელდა. შემდეგ პაპაჩემის ხელნაწერებს ჩავუჯექით. პაპა ებრაულად წერდა უშველებელ კვადრატულ ფურცლებზე, კაცს რომ გეოგრაფიული რუკები ეგონებოდა. ხელნაწერს „უთავო კაცი“ ერქვა. შიგ ლეივი-იცხოკი თავის სკვირელ და ოდესელ მეზობლებს აღწერდა: მეკუბოვეებს, სინაგოგის მგალობლებს, ებრაელ ლოთიბაშებს, თვითმარქვია წინადამცველთებს, მზარეულ დედაკაცებს. მოქმედ პირებად ახირებული, ბლუკუნა ხალხი გამოჰყავდა, ყველას გრძელი ცხვირები, ჩამუწუკებული კინკრიხოები და მონგრეული თეძოები ჰქონდა.

კითხვის დროს ყავისფერ კაბაში გამოწყობილი ბობკაც მოგვეახლა. სამოვრით ხელში შემოცურდა, ფეშხუმზე მისი თბილი, კეთილი ძუძუები ეწყო. სტუმარი გავაცანი: ძალზე სასიამოვნოაო, ჩაილაპარაკა და, გახევებულმა, გაოფლილი, დაშაშრული ხელი გაუწოდა. საქმე ნანატრივით აეწყო, აპელხოტები ბაბუაჩემს შინ არ უშვებდნენ. ჩვენ თავისუფლად დავბუჯურობდით მის საგანძურში: თალმუდის ზვინებსა და გრამატიკების ზღვაში. მარკი გაიბრუა ვაქსიანმა კასრმა, უცნაურმა მაღვიძარამ და თალმუდის სამოცდაექვსმა ტომმა—ამის ნახვა მართლაც მხოლოდ ჩვენთან შეიძლებოდა.

ორ-ორი ჭიქა ჩაიც მივირთვით შტრუდელით — კმაყოფილი ბობკა თავის კანტურით გაგვეცალა. ნეტარების გრძნობა დამეუფლა, ყელი მოვიღერე და უსაყვარლესი სტრიქონების კითხვა დავიწყე. კეისრის ცხედარს დამხობილმა ანტონიუსმა პირი რომის ხალხისკენ მოიღო:

ო, რომაელნო, მეგობარნო, მოქალაქენო,
ყურნი მომაპყართ. პატივი დამდეთ.
მე არ ვაპირებ კეისარზე ხოტბის
აღვლენას,
მხოლოდღა მსურის საბოლოო ვალი
მივაგო...

ასე იწყებს ანტონიუსი თვისი ვერაგული ქსელის გაბმას. მე სული შემიგუბდა და ყელი ჩამიშრა:

ის მეგობარი ჩემი იყო, ერთგულთ
მოყვარე,
პატივმოყვარეს თუმც უწოდებს ეხლა
ბრუტოსი...
ხოლო ბრუტოსი, თავად უწყით, ღირსი
კაცია...
რომი აავსო მან ტყვეებით, ომში ნაშოვნით,
ვამოსასყიდით გაამდიდრა ჩვენი სალარო.
ვგვების ესე ჩაუთვალოთ პატივმოყვრობად...
რაჟამს ხილვიდა სიღატაკეს, ცრემლებსა
ჰღვრიდა,
ეგზომ გულჩვილი სად გინახავთ
პატივმოყვრობა.
მაგრამ ბრუტოსი მას უწოდებს
პატივმოყვარეს,
ხოლო ბრუტოსი, თავად უწყით, ღირსი
კაცია.
ლუპერკალიის, ხომ ხედავდით,
დღესასწაულზე
სამეფოს ვეცადე მე გვირგვინი მისთვის
დამედგა,
არ დამანება ამ ვითომდა პატივმოყვარემ...
მაგრამ ბრუტოსი მას უწოდებს
პატივმოყვარეს,
ხოლო ბრუტოსი, თავად უწყით, ღირსი
კაცია.

ჩემ თვალწინ—სამყაროს ბურუსში — ბრუტოსის სახე თახთახებდა. იგი ჩაიტეტა და ცარცზე უთეთრესი გახდა. გარს ავად მოდუდუნე რომის ხალხი შემომადგა. ხელი აღვმართე — ბორგმანმა მორჩილად გააყოლა მას მზერა — მომუჭული მარჯვენა ამიცახცახდა, ხელი აღვმართე... და ფანჯარაში დავინახე ბიძაჩემი სიმონ-ვოლფი და მისი ავან-ჩავანი ჩარჩი ლეიკახი. ორივენი ირმის რქებით გაწყობილ საკიდარსა და მონჯღრეულ წითელ ზანდუკს მოათრევდნენ ეზოში. ისინი ბობკამაც შეამჩნია ფანჯრიდან. სტუმარი ვილას გახსენებია, დაფეთებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ბიცოლაჩემი ოთახში შემოვარდა და ხელი მტაცა:

— დავიღუპეთ, ჩემო სიცოცხლევ! ისევ უყიდია ავეჯი!

მუნდირში გამოწკეპილი ბორგმანი წამოიწია და შემცბარმა თავი დაუკრა ბობკას. მოსულები კარებში გაეხირნენ. დერეფანში ჩექმები აბრახუნდა, ზანდუკი ლიწინ-ლიწინით გვიახლოვდებოდა. სიმონ-ვოლფისა და მწითური ლეიკახის მოშვებული ლაშებიდან სიტყვები გამაყრუებელი ხმაურით სკდებოდა. ორივენი გადაკრულში იყვნენ.

— ბობკა,—იბღავლა სიმონ-ვოლფმა, — აბა, ამ რქებში რას მიგცემდი?

ბიძაჩემი საყვირივით ჰქუხდა. თუმცალა მის ხმაში შემცბარი კილოც ერია. სიმთვრალემ ვერ დაავიწყა, რარიგ გვძულდა ჩვენ ყველას მწითური ლეიკახი, ვისი წყალობითაც სახლი ყოვლად უსარგებლო ხარახურით გამოიტენა.

ბობკა დუმდა. ლეიკახმა სიმონ-ვოლფს ყურში რაღაც წაუპუტუნა. მისი გველური სისინი რომ ჩამეხშო, რომ ჩამეხშო ჩემში აღძრული განგაში, ანტონიუსის სიტყვებით ვიყვირე:

ჯერ კიდევ გუშინ ზღვასა და ხმელს
აზანზარებდა
მისი მარჯვენა, დღეს რომ ჩიტსაც ველარ
დააფრთხობს...
გზა რომ გავუხსნა თქვენთა გრძნობათ,
ალბათ ცუდი დღე
მოელის ბრუტოსს და კასიუსს,
მოქალაქენო,
მაგრამ ორნივე, თავად უწყით, ღირსნი
კაცნია.

ამ ადგილას ბრაგვანი გაისმა. ქმრის მუშტმა ბობკა ძირს დასცა. გამწარებულს. ალბათ რაღაცა დასცდებოდა ირმის რქების თაობაზე. მოხდა ის, რაც ყოველდღე ხდებოდა. სიმონ-ვოლფის ბღავილმა სამყაროს ყველა კუნჭული გამოავსო.

— შემჭამეთ, დამტკვირეთ,—ღრიალებდა ბიძაჩემი, — დამტკვირეთ, ჩაგსკდეთ მუცლები. მკლავები დამაწყდა მუშაობით, რითლა ვიმუშაო, ჯანი აღარა მაქვს, ჯიგარი აღარა მაქვს. მწოვეთ სისხლი, წურბელებო, ყელში, ყელში ჩამაფრინდით...

ებრაული წყევლა-კრულვით სიმონ-ვოლფმა მე და ბობკას გვიწინასწარმეტყველა, რომ თვალნი ჩვენნი დაწრტება, ჩვენი ბავშვები დედის საშოშივე დალპებიან და ჩაიშლებიან, რომ ჩვენ სიკვდილი ისე სწრაფად დაგვრევს ხელს — ერთმანეთის დამარხვას ვერ მოვასწრებთ და თმის ქინჩურ-ქინჩურით ჩაგვყრიან საძმო საფლავში.

პატარა ბორგმანი წამოდგა. გადაფითრებულმა მიმოიხედა. მას ებრაული მკრეხელური წყევლა-კრულვისა არა გაეგებოდა, სამაგიეროდ, რუსულ სამსართულიან დედის გინებას კარგად იცნობდა. სიმონ-ვოლფს არც ეს დაუკლია ჩვენთვის. ბანკის დირექტორის ვაჟი ხელში ქუდს ჭმუჭნიდა. ბორგმანი თვალებში გამიორდა, ყვირილით ვცდილობდი დამეხშო ყველა სიავე ამა სოფლისა. შენივთდა სიკვდილის სუნნაკრავი ჩემი სიგიჟე და უკვე აღსრულებული დღენი კეისრისა. მე მკვდარი ვიყავ — და მე ვყვიროდი. ხიხინმა ამოატანა ჩემი არსების ქვესკნელებიდან:

თუ გაქვთ ცრემლები, ქვირიტებო, თუ
გაქვთ ცრემლები —
ახლა ისინი ნაკადებად დაგედინებათ.
გეცნოთ ეს ტოგა? კარგად მახსოვს,
როდის მოისხა
იგი პირველად კეისარმა: ზაფხულის
ღამით
თავის კარავში, ნეკრიელთა ოტების
შემდგომ.
აქ გაუყარა კასიუსმა მახვილი; აგერ

შურიან კასკას სისხლიანი ჭრილობის
კვალი,
აქ, აქ ჩაუშვა, ღრმად ჩაუშვა თვისი
ხანჯალი
უსაყვარლესმა მისმა კაცმა, მისმა
ბრუტუსმა.
ვითარ აღმოსკდა ალისფერი სისხლის
ნაკადი,
ოდეს მახვილი ჭრილობიდან ამოიწვადა...

სიმონ-ვოლფის ჩახშობა არავის ძალუძდა. იატაკზე წამომჯდარი ბობკა სლუკუნებდა და სისხლს აწიტებდა. ლეიკახი აუღელვებლად ექაჩებოდა ზანდუკს ტიხარს იქით. ამასობაში ჩემმა დამთხვეულმა ბაბუამაც მოაღწია ჩემდა შემწედ. იგი აპელხოტებს დაუძვრა, ფანჯარასთან მოფოჩიალდა და ვიოლიხო ააწრიპინა, ალბათ სიმონ-ვოლფის გინების ჩახშობა ეწადა. ბორგმანმა ფანჯარას აჰხედა, მიწას რომ უსწორდებოდა, და თავზარდაცემული უკან მიაწყდა: საცოდავი ბაბუაჩემი თავის ლურჯ, გახევებულ პირს დღნაზავდა, თავზე შავი ცილინდრი წამოემხო, სპილოს ფეხები გაებაჯიჯგებინა და გაყვითლებულ წვერს ფანჯარაში აცანცარებდა. მარკი ადგილიდან მოსხლტა...

— არაფერია, — წაიჩურჩულა მან, — ღმერთმანი, არაფერია...

ეზოში გაიელვა მისმა მუნდირმა და ქუდმა.

მარკი წავიდა და მეც დავმშვიდდი. დალამებას ველოდი. როცა ბაბუამ ებრაული კაუჭა ასოებით მთელი ფურცელი ააჭრელა — იგი აღწერდა აპელხოტებს, სადაც ჩემი წყალობით მთელი დღე გაატარა—და დასაძინებლად დაწვა, დერეფანში გამოვიპარე. იატაკი იქ მიწისა იყო. გრძელ და დაკონკილ პერანგში გამოხვეული, ფეხშიშველა მივფათურობდი სიბნელეში გრილ სოხანეზე. ძელთა ღრიჭოებში ხმლებივით ელავდა ქვაფენილი. კუთხეში, როგორც ყოველთვის, პირთამდე წყლით სავსე კასრი იდგა. შიგ ჩავეშვი. წყალმა შუაზე გამკვეთა. სული შემიგუბდა, ამოვიყურყუმალე. ზემოთ, თაროდან გულგრილად დამჩერებოდა კატა. მეორედ უფრო დიდხანს გავუძელი. ირგვლივ წყალი ბუყბუყებდა და ჩემი კვხესა შიგ ინთქმებოდა. თვალი გავახილე და კასრის ძირში პერანგის კალთა და მჭიდროდ მიტყუპული ფეხები დავინახე. ძალამ ისევ მიმტყუნა, ამოვიყურყუმალე. კასრთან პერანგის ამარა ბაბუა იდგა, პირში ეული კბილი ულაყლაყებდა.

— შვილო ჩემო,—ღირსებითა და ზიზღით დამიმარცვლა მან. — ახლავე შევსვამ საფალარათო ზეთს, რათა საფლავზე ნობათი მოგართვა.

მე განწირულად დავიკივლე და ქვასავით წავედი ფსკერისაკენ; ბაბუას სუსტმა მარჯვენამ ამომათრია. და მაშინ, იმ დღეს პირველად, მე ავტირდი. ცრემლთა საუფლომ, მშვენიერმა და უკიდეგანომ, ყველაფერი გადალეკა ჩემს თვალთაგან.

გონს საწოლში მოვეგე, საბანში ჩაფუთნული. ბაბუა სტვენა-სტვენით მიმოდიოდა ოთახში. მსუქანი ბობკა ძუძუებით მითბუნებდა ხელებს.

— როგორ აძაგძაგებს ჩვენს პატარა სულელს, — თქვა ბიცოლამ,— არა, სადღა შერჩა აქნაირი ძაგძაგის ღონე...

ბაბუამ წვერს მოზიდა, დაუსტვინა და სიარული განაგრძო. კედლის მიღმა განწირულად ხრიალებდა სიმონ-ვოლფი. მთელი დღის ნაომარს, ღამღამობით მას გვერდშეუბრუნებლად ეძინა ხოლმე.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი დე მოპასანი

ცხრაას თექვსმეტი წლის ზამთარმა პეტერბურგში მომისწრო; ჯიბეში ფულის ნაცვლად ყალბი პასპორტი მედო. ალექსი კაზანცევს — რუსული სიტყვიერების მასწავლებელს — რომ არ შევეკედლებინე, შიმშილით სული ამომძვრებოდა.

იგი რიყეზე ცხოვრობდა — ერთ მივარდნილ, ჩაყვითლებულ, აქოთებულ ქუჩაზე. თავისი უბადრუკი ჯამაგირი რას ეყოფოდა და ორიოდე გროშს ესპანურიდან თარგმნით შოულობდა: იმ ხანებში ბლასკო იბანიესის სახელი ამობრწყინდა.

კაზანცევს თვალითაც არ ენახა ესპანეთი, მაგრამ ძილშიაც კი იგი აბოდებდა: სად რა ციხე-კოშკი, მდინარე და სანახები იყო — ხუთი თითივით იცოდა. მასთან სხვებიც აფარებდნენ თავს, ჩემსავით ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილნი. ნახევრად ვშიმშილობდით; ათასში ერთხელ წვრილ-წვრილ შემთხვევებზე ბულვარულ გაზეთებში თუ გვიბეჭდავდნენ ორიოდ სტრიქონს.

დილაუთენია საცხედრეებთან ან პოლიციის უბანთან დავერჭობოდი ხოლმე.

ჩვენთან შედარებით კაზანცევი ბედნიერი კაცი იყო: მას სამშობლო მაინც ჰქონდა — ესპანეთი...

ნოემბერში გადამწერლის ადგილი გამომიჩნდა ობუხოვის ქარხანაში. ურიგო საქმე არ იყო, თანაც ჯარისაგან მათავისუფლებდა.

უარი ვთქვი დავთრებში ქექვაზე.

ჯერ კიდევ მაშინ, ოცი წლისამ, ჩემს თავს ვუთხარი: შიმშილი გერჩივნოს, ციხე და მაწანწალობა მაგიდასთან ათ საათს ყურყუტს-მეთქი. ამ აღთქმაში რაიმე განსაკუთრებულ ვაჟკაცობას ვერ ვხედავ, ეს კია, სიტყვა არ გამიტეხია და არც გავტეხ; სისხლში მქონდა წინაპართა სიბრძნე გამჯდარი: ოფლის ღვრად მხოლოდ შრომა ღირს, ჩხუბი და ქალთან წოლა, სხვა არაფერი.

ამ ჩემს ბაქიბუქს რომ უსმენდა, კაზანცევი თავის გამეჩხერებულ ყვითელ ქოჩორს იჩეჩდა და შიშნარევი აღტაცებით მიმზერდა.

შობას ბედმა გაგვიღიმა: გამომცემლობა „ალციონის“ მფლობელმა ვექილმა ბენდერსკიმ განიზრახა ხელახლა გამოეცა მოპასანის თხზულებანი. თარგმნა მისმა ცოლმა რაისამ ისურვა, მაგრამ ეს საქმე თურმე არც ისე იოლი გამოდგა.

კაზანცევს, ცნობილ მოესპანურეს, დაეკითხნენ, რაისა მიხაილოვნას დამხმარე ხომ არავინ გეგულებათო. მანაც ჩემი თავი ურჩია.

მეორე დღეს ნათხოვარ პიჯაკში გამოწყობილი ვეახელი ბენდერსკებს. ისინი ნევსკის კუთხეში ცხოვრობდნენ. ფინური გრანიტის სახლი სვეტებით, სათოფურებითა და ქვის გერბებით იყო მორთული. ომის წინ ბევრმა უგვარიშვილო ბანკირმა, აღებ-მიცემობით მოსუქებულმა ბევრმა მონათლულმა ებრაელმა აიშენა პეტერბურგში ულაზათო, ზიზილ-პიპილოებით აჭყატული ციხე-დარბაზები.

საფეხურებზე წითელი ნოხი ეფინა. კიბის თავზე დათვები ატოტილიყვნენ, დაფჩენილ ხახებში ბროლის ჭაღები უბრდღვიალებდათ.

ბენდერსკები მესამე სართულზე ცხოვრობდნენ. კარი მკერდმაღალმა მოახლემ გამიღო და ძველ სლავურ ყაიდაზე გაწყობილ სასტუმრო ოთახში შემიძღვა. კედლებზე რერიხის იისფერი სურათები ეკიდა, ადა-

მისჟამინდელი ურჩხულები და ლოდები. კუთხეებში. ბუჯერებზე, ძველებური ნახელავი ხატები ესვენა. მკერდმაღალი მოახლე აღერებული მიმოდიოდა ოთახში. შხვართი გოგო იყო, ოდნავ ელამი და მედიდური, ჭროლა თვალებში სიმრუშე ჩაჰბუდებოდა. მოახლის წელის ნებიერ მიმოტანას რომ ვუყურებდი, გავიფიქრე, სარეცელში ალბათ კალმახივით ასხმარტალდება-მეთქი. კარების წინ ფარჩის ფარდა შეირხა. ოთახში შავთმიანი და ვარდისფერთვალება ქალი შემოვიდა — მკერდსაკრავში გაძაგრული დიდრონი ძუძუების თანთალით. ბენდერსკაიაში უმალ იგრძნობდით სტეპის მაძლარი ქალაქებიდან დაძრული ებრაელი ქალების მათრობელა ჯიშს. თავიანთი გაქსუებული ქმრების ფულებს ეს ქალები ქონის ვარდისფერ, თხელ ფენად გადაიკრავენ ხოლმე მუცელზე, ქინჩსა და მომრგვალებულ მხრებზე. მათმა დაბინდულმა, ნაზმა ლიმილმა ლამის გადარიოს გარნიზონის ოფიცრობა.

— მოპასანი ჩემი ერთადერთი გატაცებაა, — მითხრა რაისამ.

იგი ოთახიდან გავიდა, ცდილობდა სავსე თეძოების რყევა შეეკავებინა. უკან „მის გარიეტის“ ხელნაწერით შემობრუნდა. მის თარგმანში მოპასანის ცინცხალი, მოსხლეტილი და ვნებით დატენილი ფრაზის კვალიც კი გამქრალიყო. ბენდერსკაიას გულისგამაწვრილებელი სიზუსტით ეთარგმნა ყოველი ფრაზა, დუნედ და უსიცოცხლოდ. — ისე, როგორც წინათ წერდნენ ებრაელები რუსულად. ხელნაწერი შინ წამოვიღე და კაზანცევის მანსარდაზე, მძინარეთა ხვრინვაში მთელ ღამეს ვჩეხე სხვისი თარგმანი. ამ საქმემ თანდათან გამიტაცა: ერთდროულად იბადება კარგი და უხეირო ფრაზა, მთელი მუღამი ოდნავ შეხამჩნევ მოძრაობაშია: მკლავით სადავეს უნდა გრძნობდე, რათა სიტყვას ქედი დროზე მოუდრიკო.

დილით ბენდერსკაიას გასწორებული ხელნაწერი მივუტანე. რაისა თურმე არ ცრუობდა, როცა მოპასანს თავისი ერთადერთი გატაცება უწოდა. კითხვის დროს უძრავად იჯდა — თითებჩაწნული. მისი სრიალა მკლავები მდინარეებად ეშვებოდნენ დაბლა, შუბლი გადასტეტკვოდა, მჭიდროდ გამოკრულ ძუძუებს შორის მოქცეული არშია მალიმალ აუდ-ჩაუდიოდა.

— როგორ მოახერხეთ ეს?

და მეც ავლაპარაკდი სტილზე, სიტყვათა ლაშქარზე, სადაც ყველა ჯურის იარაღი უნდა აამოქმედო. ადამიანის გულს ყოველგვარ მახვილზე უფრო მოწყლავს წერტილი, დროულად დასმული. იგი მისმენდა, თავი გვერდზე გადაეხარა, წითლად შეღებილი ბაგე გაჰპობოდა, ყორნის ბოლოსებრ უელავდა გადაჭიმული, შუაზე გაყოფილი თმა. დანდობილად დაბჯენოდა ხალიჩას მისი ძლიერი და ნაზი წვივები. მალალ ფეხებს გამჭვირვალე აბლაბუდა შემოკვართოდა.

მოახლემ სინით საუზმე მოგვართვა და თავისი ამძუვნებული თვალები აგვარიდა.

პეტერბურგის მზე მქრქალ, უსწორმასწორო ხალიჩაზე გაწვა. მაგიდის ზემოთ, თაროებზე, მოპასანის ოცდაცხრა ტომი გამწკრივებულიყო. ქანცმილეულმა მზემ თითები მიადნო წიგნების ტარსიკონის ყუებს — ცხელი გულის მშვენიერ საფლავს.

ლურჯი ფინჯნებიდან ყავას ვწრუპავდით, თანაც „იდილიას“ ვთარგმნიდით. ალბათ გახსოვთ ჯეელი დურგლის ამბავი, შიმშილისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაოსებულმა რძემოწოლილ ფაშფაშა დედაკაცს ძუძუ რომ გამოსწოვა. ეს მოხდა ნიცადან მარსელისაკენ მიმავალ მატარებელში, ირგვლივ თაკარა შუადღე ღუოდა და ყელყელა ვარდების ბაღები ზღვისაკენ ექანებოდნენ...

ბენდერსკებიდან ბედ ოცდახუთი მანეთი გამოვიყოლე. იმ ღამეს ჩვენი კომუნა ჭუკივით გამოთვრა. შავ ხიზილალას კოვზებით ვთქვლეფდით, ზედ ძეხვს ვატანდით. შეზარხოშებული, ლევ ტოლსტოის მოვსდექი:

— შეშინდა თქვენი გრაფი, დაფეთდა... მისი რელიგია შიშია, შეეშინდა სიცივის, სიბერის—და რწმენისაგან ფაჩუჩები მოიქსოვა...

— კიდევ რას მეტყვი?... — ნისკარტა თავის კანტურით მეკითხებოდა კაზანცევი.

საწოლებამდე ველარ მივაღწიეთ. იქვე იატაკზე მივყრილვართ. იმ ღამეს ჩვენი მეზობელი კატია დამესიზმრა, ორმოცი წლის მრეცხავი: დილდილობით მდუღარეს გვაძლევდა ჩაისათვის. ხეირიანად არც შემეხედა, ძილში კი რაღას არ ჩავდიოდით, ღამის სული გამეპარა მის ხვევნა-ალერსში. დილით სულმა წამძლია და ჩაისათვის მივადექი...

შალმოხვეული, გაცრეცილი დედაკაცი გამომეგება. ჭაღარაგარეული ფერფლისფერი ბუწუწებითა და დაფუთქული ხელებით.

მე უკვე ყოველ დილით ბენდერსკებთან ვსაუზმობდი. ჩვენმა კომუნამ ცოტათი სული მოითქვა: მანსარდაზე ახალი ღუმელი დავიდგით, წასახემსიც გვეშოვებოდა. რაისამ ორჯერ დამიმგზავრა კუნძულებზე. გულმა ვერ მომითმინა და ჩემი ბავშვობა გავიხსენე. არ ველოდი, ასეთი პირქუში მონათხრობი თუ გამომივიდოდა: თახვის ქუდს ქვემოდან შიშით მომჩერებოდა მოწყლიანებული თვალები, საწყალობლად ფახულობდა წამწამთა მწითური ისრები.

რაისამ ქმარი გამაცნო — პირყვითელა ებრაელი მოშიშვლებული თავითა და ბრტყელი, ძლიერი, ირიბად ატყორცნილი სხეულით. ხმები დადიოდა, რასპუტინთან არისო დაახლოებული. სამხედრო დაკვეთებით მიღებულმა მოგებამ ეს კაცი შლეგს დაამსგავსა: თვალები შეშლილივით უპრიალებდა, სინამდვილე დაემსხვრა და დაუქუცმაცდა. რაისა შემცბარი წარუდგენდა ხოლმე მეუღლეს ახალ ნაცნობებს. არიფი ვიყავ და ეს ცოტა გვიან ვიაზრე.

ნაახალწლევს ბენდერსკაიას კიევიდან დები ესტუმრნენ. დილით „ყაბულის“ ხელნაწერით მივადექი. რაისა შინ არ დამიხვდა და საღამოს ისევ მივბრუნდი. სასტუმრო დარბაზში სადილობდნენ. იქიდან აცუნდრუკებულ მდედრთა კისკისი და მამრთა ხორხოცი მოისმოდა: ახალგამომცხვარი მდიდრების ოჯახებში სუფრაზე მუდამ ხმაურია. კილო ნაღდი ებრაული იყო — სლიფინითა და ღუღუნა დაბოლოებებით. ზურგმოშიშვლებული რაისა სადარბაზო კაბის შარიშურით შემომეგება. მისი ჯიშიანი ფეხები ლაქის მიძიგძიგე ქოშებში წონასწორობას გაჭირვებით იცავდნენ.

— ჩემო კარგო, რომ იცოდეთ, რა მთვრალი ვარ, — და მან პლატინითა და ზურმუხტით დამძიმებული ხელები გამომიწოდა.

მისი ტანი მუსიკის ხმაზე კუდსღაყრდნობილი გველის სხეულივით სანსალებდა. ბეჭდები რაწკუნობდნენ, რაისა ხუჭუჭა თავს ასავსავებდა; უცებ ეს სხეული მოიღლვა და მოვარაყებულ სავარძელში ჩაიშა-

ლა. გაპუდრულ ზურგზე ნაჭდევები გამოუჩნდა.

კედლის მიღმა კვლავ იფეთქა სიცილმა. ოთახში რაისასებრ ტანადი და ჩათქვირული დები შემოცვივდნენ; ტუჩზემოთ ბუსუსები აჩნდათ, თმებჩამოშლილებს ძუძუები წინ წამოეყარათ. ისინიც თავთავიანთ ბენდერსკებზე გათხოვილიყვნენ. ოთახი დაყურსულ მდედრთა უმიზეზო სიცილით გაიჭექა. ქმრებმა დები ბეწვის მანტოებსა და ორენბურგულ შალებში შეფუთნეს, შავ ჩექმებში ჩაჭედეს. ქათქათა თავსაფრებიდან მხოლოდ ატკრციალებული ლოყები, ფიქალი ცხვირები და სემიტურ თვალთა მრუმე ციალი გამოკრთოდა. ყველანი ხორხოცით წავიდნენ თეატრში, სადაც შალიაპინს „ივდითში“ უნდა ემღერა.

— მუშაობა მომინდა, — ჩაიკრუტუნა რაისამ და შიშველი მკლავები დაეძაბა,—მთელი კვირა გაგვეპარა...

სასადილოდან მან ბოთლი და ორი ფეხიანი ჭიქა შემოიტანა. აბრეშუმის კაბაში კერტებდაბერილი ძუძუები უთანთალებდა.

— ძველისძველია,—თქვა რაისამ და ჩამოასხა,—ოთხმოცდასამი წლის მუსკატია. თუ გამიგო, ქმარს ვერ გადავურჩები...

ოთხმოცდასამ წელში ჩამოსხმულ მუსკატთან საქმე ჩემს დღეში არა მქონია. ამიტომ დაუფიქრებლად გადავუშვი ზედიზედ სამი ჭიქა. ამ ჭიქებმა ნარინჯისფერი ცეცხლი შემომაგზნო და მუსიკით დამტენა.

— მე მთვრალი ვარ, ჩემო კარგო... დღეისთვის რა გვაქვს?

— დღეისთვის „L'aveu“ გვაქვს...

— მაშ ასე, ვიწყებთ: „ყაბული“. მოთხრობის მთავარი გმირი მზეა, le soleil de France[1]... მზის გავარვარებული წვეთები მწითურ სელესტას დაეშხეფა და ჭორფლად იქცა. მზემ თავისი ირიბი სხივებით, ღვინითა და თავნახადით ყავისფრად გაუჯანგრა ცხვირ-პირი მეეტლე პოლიტს. კვირაში ორჯერ ეზიდებოდა ქალაქში სელესტა ნაღებს, კვერცხებსა და ქათმებს. მგზავრობაში პოლიტს თოთხმეტ სუს უხდიდა, ათს თავისთვის და ოთხსაც ბარგისას.

და ყოველი მგზავრობისას პოლიტი ეშმაკურად ჩაუპაჭუნებდა ხოლმე თვალს წითურა სელესტას: „როდისღა ვისიამოვნებთ, ma belle?“[2]— „რას გულისხმობთ, მოსიე პოლიტ?“ კოფოზე მოხტუნავე მეეტლე უხსნიდა: „ვისიამოვნებთ, ეს ნიშნავს, რომ ვისიამოვნებთ, ეშმაკმაც დალახვროს... მე და თქვენ — მოწმე რად გვინდა!“—„არ მიყვარს ასეთი ხუმრობა, მოსიე პოლიტ“, — ეტყოდა ხოლმე სელესტა და ვაჟის ფეხს თავის ჯანიან წვივებს აღიდებდა.

მაგრამ ეს ეშმაკის ფეხი პოლიტი სულ იკრიჭება, სულ ხითხითებს — ერთხელ იქნება და ჩვენ ვისიამოვნებთ, ma belle, — და მხიარული ცრემლები მოგორავს მის მზედაკრულ სახეზე.

რაისას მივუჭახუნე და ძველისძველი მუსკატის კიდევ ერთი ჭიქა გადავკარით.

თვალებგამოციებული მოახლე ოთახში გაილანდა და გაუჩინარდა.

Ce diable de Polyte[3]... ორი წლის განმავლობაში სელესტას მისი ორმოცდარვა ფრანკი დაედო ვალად. ეს ორმოცდაათი ფრანკია ორფრანკნაკლებ! და ერთხელ, როცა ისინი

[1] საფრანგეთის მზე (ფრანგ.).

[2] ლამაზო (ფრანგ.)

[3] ეს ეშმაკის ფეხი პოლიტი (ფრანგ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილიჟანსში მარტონი დარჩნენ და ნაყლურწმა პოლიტმა ჩვეულებისამებრ ჰკითხა: „ხომ არ გვესიამოვნებია, მამზელ სელესტა?“—ქალმა თვალები დახარა და წაიბუტბუტა: „მე მზად გახლავართ, მოსიე პოლიტ...“

რაისა ხარხარით გადაემხო მაგიდას. Ce diable de Polyte...

დილიჟანსს თეთრი ჯაგლაგი ება. და გაუყვა ნება-ნება გზას თეთრი ჯაგლაგი — სიბერისაგან გავარდისფერებული ჩიჩვირით. საფრანგეთის მხიარული მზე დასთამაშებდა მოყუჩებულ დილიჟანსს: ქალ-ვაჟთან მოწმე რა საჭიროა...

რაისამ ჭიქა გამომიწოდა. ეს მეხუთე იყო.

— მოპასანს გაუმარჯოს, mon vieux[1]...

— ხომ არ გვესიამოვნებია დღეს, ma belle...

რაისასაკენ გადავიხარე და ვაკოცე. ქალს ტუჩები შეუტოკდა და დაებერა.

— სასაცილო ხართ,—ჩაიხრიწინა რაისამ და გადაიზნიქა.

იგი კედელს აეკრა და შიშველი მკლავები გადაშალა. მხრებსა და მკერდზე ტალები აუფორაჯდა. არც ერთი ჯვარცმული ღვთაება არ ყოფილა ესოდენ მაცთუნებელი.

— კეთილი ინებეთ და დაბრძანდით, მოსიე პოლიტ...

მან ზურგმოვარაყებულ ლურჯ სავარძელზე მიმითითა. ბორძიკით გავემართე იქითკენ.

ღამემ ჩემი მათხოვრული სიყმაწვილე ერთი ბოთლი ოთხმოცდასამი წლის მუსკატითა და ოცდაცხრა წიგნით, — სიბრალულით, გენიით, ვნებით დატენილი ოცდაცხრა პეტარდით დანალმა. ფეხზე წამოვვარდი, — სკამი აყირავდა, — თავი წიგნების თაროს ავახალე. ოცდაცხრა ტომი ხალიჩას დაასკდა, გადაიფურჩქნა და ყალყზე შედგა... და ნება-ნება დაიძრა ჩემი ოლბლის თეთრი ჯაგლაგიც.

— სასაცილო ხართ, — ამოიგმინა რაისამ.

გრანიტის სახლი ქმრისა და დების მობრუნებამდე დავტოვე. ფხიზელი ვიყავ — ბეწვის ხიდზე გადავივლიდი—მაგრამ ტორტმანი მეწადა; მეც მივირწეოდი და ვმღეროდი ჩემ მიერ იმ წამს შექმნილ ენაზე. დაბინდულ ქუჩაზე ნისლის ბოლქვები დაბორნინებდა, მოთუხთუხე კედლების მიღმა ურჩხულები ბღაოდნენ, ქვაფენილი მუხლებსა ჰკვეთდა მოსიარულეთ.

სახლში კაზანცევს ეძინა. სკამზევე თვლემდა, გამხდარი ფეხები განზე გაეფშიკა, თავზე ყვითელი ბუწუწები წამოჰფოფროდა. წინ 1624 წელს გამოცემული „დონ-კიხოტი“ ედო, ჰერცოგ დე ბროგლიოსადმი მიძღვნილი. ჩუმად დავწექი, ლამპა მოვიჩოჩე და ედუარდ დე მენიალის წიგნი გადავშალე—„გი დე მოპასანის ცხოვრება და შემოქმედება“.

კაზანცევი ტუჩებს აცმაცუნებდა, თავი დროდადრო ეყანთრებოდა.

იმ ღამეს ედუარდ დე მენიალისგან შევიტყვე, რომ მოპასანი 1850 წელს დაბადებულა. ძამამისი ნორმანდიელი მებატონე იყო, დედა — ლაურა დე პუატევენი — ფლობერს ბიძაშვილად მოხვდებოდა. ოცდახუთისა იყო, როცა მემკვიდრეობით გადმოსულმა სიფილისმა თავი შეახსენა. მასში დაბუდებული სიკასკასე და ნაყოფიერება ავადმყოფობას თავს არ უდებდა. ჯერ იყო და შა-

[1] შე ძველო (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიკმა და ჰიპოხონდრიამ გატანჯა, შემდეგ სიბრმავის აჩრდილი წამოადგა თავს: თვალს აკლდებოდა. ეჭვიანი გახდა, უკარება და შარიანი. თავის წერას მაინც კბილებით ჩააფრინდა, მისი იახტა ხმელთაშუა ზღვის ნაპირებს ასკდებოდა; ტუნისში გაიჭრა, მაროკოში. შუა აფრიკაში — და წერდა, წერდა განუწყვეტლივ. ორმოცი წლისამ, უკვდავებასთან წილნაყარმა, ყელი გამოიჭრა; სისხლისაგან იცლებოდა, მაინც გადარჩა. საგიჟეთში გამოამწყვდიეს... დაოთხილი ბიბლიოთეკა თურმე. აი, უკანასკნელი ჩანაწერი მისი ავადმყოფობის სევდიან მატიანეში: „Monsieur de Maupassant va s'animaliser" (ბატონი მოპასანი პირუტყვად იქცა). ორმოცდაორისა მოკვდა, დედამისის სიცოცხლეშივე.

წიგნი ჩავათავე და წამოვდექი. ფანჯრის მინებს ნისლი მიჰგლესოდა და საყარო დაეფარა. გული მომეწურა... და მენიშნა სასწაული ჭეშმარიტების.

□

დანტეს ქუჩა

ხუთიდან შვიდამდე ჩვენი სასტუმრო „Hôtel Danton"[1] ლამის ცად აეტანა ვნებიან კვნესას—ჩანდა, ნომრებში ამ საქმის დიდოსტატები რომ იღვწოდნენ. ამან, ცოტა არ იყოს, განმაცვიფრა, ვინაიდან საფრანგეთში ჩამოსვლისას მეგონა, რომ ეს ერი მუხლებში მოისუსტებდა. რაც მართალი მართალია, ჩვენთან ქალებს ასე ვერ ახურებენ. ჟან ბიენელმა, ჩემმა კარის მეზობელმა, ერთხელ მითხრა:

— Mon vieux, ათასწლიანი ისტორიით ჩვენ შევქმენით ქალი. საღილი და წიგნი; ამათში ნურავინ შეგვეცილება...

წანაკითხ წიგნებსა და ნანახ ქალაქებზე მეტად საფრანგეთი ჟან ბიენალმა შემაცნობინა — ნახმარი ავტომობილებით მოვაჭრემ. გაცნობისთანავე გამომკითხა, სად ვსაღილობდი, სად ვვახშმობდი, რომელ საროსკიპოში დავდიოდი. ჩემმა პასუხმა კაცი პირდაპირ შეზარა:

— On va refaire votre vie[2]...

ასეც მოვიქეცით. საღილად გადავინაცვლეთ ღვინითა და რქოსანი საქონლით მოვაჭრეთა დუქანში — Halles aux vins-ის[3] პირდაპირ. ფლოსტებში ფეხწაკრულ სოფლელ ცუგრუმელებს მოჰქონდათ წითელ საწებელში ჩაწყობილი კიბორჩხალები, ნივრითა და ქამა სოკოთი შეკმაზული შემწვარი კურდღლები და ისეთი ღვინო, სხვაგან რომ ვერ დალევდი. ბიენალი უკვეთდა. მე ვიხდიდი. მაგრამ ვიხდიდი იმდენს, რამდენსაც ფრანგები. იაფი არ მიჯდებოდა. მაგრამ ფასი კი ნაღდი იყო. ამდენივე მეხარჯებოდა სენტ-ლაზარის სადგურის მახლობლად მდებარე საროსკიპოშიც. ბიენალს ამ დაწესებულების მკვიდრთათვის ჩემი წარდგენა უფრო გაუჭირდა, ვიდრე პარლამენტის სხდომაზე რომ

1 სასტუმრო დანტონი (ფრანგ.).

2 უნდა შევცვალოთ თქვენი ცხოვრება (ფრანგ.).

3 ღვინის ბაზარი (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთხოვა დასწრება იმ დროს, როცა სამინისტრო ემხობა.' შებინდებულს Porte Mailot-ზე კაფეში ვვახშმობდით, სადაც ავტომრბოლელები და მოკრივეთა მენეჯერები იკრიბებოდნენ. ჩემი მოძღვარი ერის იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელიც ავტომობილებით ვაჭრობს — სხვა ნაწილი ამ მანქანებს იცვლის. იგი რენოს აგენტი იყო და საქმე ძირითადად რუმინელ საქმოსნებთან ეჭირა, საქმოსანთაგან ყველაზე ბინძურ ხალხთან. მოცლილობის ჟამს ბიენალი მიხსნიდა ნახმარი მანქანების შესყიდვის ხელოვნებას. ამისათვისო, მეუბნებოდა, რივიერაში უნდა ჩახვიდე სეზონის ბოლოს, როცა ინგლისელებს ეზარებათ ორი-სამი თვის ნახმარი მანქანების უკან წაყვანა. თავად ბიენალი საღებავდამსკდარ „რენოზე" იჯდა, რომელსაც ისე მართავდა, როგორც სამოედი — ძაღლების მარხილს. კვირაობით ამ ჯართით ას ოც კილომეტრზე მივჯაყჯაყებდით, რუანში, საკუთარ სისხლში მოთუშული იხვის საჭმელად. ჟერმენიც თან გვახლდა ხოლმე, ხელთათმანების გამყიდველი Rue Royale-ზე [1] მოვაჭრე მაღაზიიდან. ბიენალმა მას ოთხშაბათი და კვირა დაუნიშნა. ხუთზე მოდიოდა. მოსვლისთანავე ერთმანეთს ჩაღაცას წაუპუტუნებდნენ, შემდეგ მესმოდა დაცემულ სხეულთა ბაგუნი, წამოწივლება, ბოლოს კი იწყებოდა ქალის ნაზი აგონია:

— Oh, Jean [2]...

ჩემთვის ვანგარიშობდი ხოლმე: აი, შემოვიდა ჟერმენი, კარი მოიხურა, ერთმანეთს აკოცეს, ქალიშვილმა ქუდი, ხელთათმანები მაგიდაზე დააწყო და, ჩემი გამოთვლით, მეტი დროც აღარაფერზე რჩებოდათ, გახდასაც ვერ ასწრებდნენ. ხმაამოუღებლივ პირდაპირ ქვეშაგებში გადაეშვებოდნენ კურდღლებივით. გმინვას რომ მორჩებოდნენ, ძეოს სიცილით იგუდებოდნენ და თავიანთ საქმეებზე ჭუკჭუკებდნენ. მე ეს ყველაფერი ხუთი თითივით ვიცოდი, რადგანაც ერთმანეთისაგან მხოლოდ თხელი ტიხარი გვყოფდა. დაჩურჩულებაც მესმოდა: გავიგე, ჟერმენი და მაღაზიის მფლობელი ანრიში ხშირად რომ კინკლაობდნენ; ქალის მშობლები ტურში რომ ცხოვრობდნენ და ჟერმენი დროდადრო მოინახულებდა ხოლმე მათ; ერთ-ერთ შაბათ დღეს რომ მან ბეწვის მოსაცმელი იყიდა, მეორე შაბათს კი გრანდოპერაში „ბოჰემას" მოუსმინა. მოსიე ანრიში თავის გამყიდველებს აიძულებდა სადა კოსტუმი — tailleur [3] ეტარებინათ. მოსიე ანრიშმა გაგვიინგლისელა ჟერმენი — უმკერდო, მოძრავ და თმააბუდულებულ საქმიან ქალად გვიქცია, მაგრამ სავსე წვივები, გულიანი ტკრციალი, წყლიანი თვალების დაკვირვებული მზერა და, რაც მთავარია, გონდაკარგული გმინვა — oh, Jean! — ეს ყველაფერი ბიენალისათვის ქალმა მაინც შეინარჩუნა.

პარიზული დაისის ნაზ ბურუსსა და ოქროში ნებივრად მიცურავდა ჩვენ წინ ჟერმენის თხელი, მკვრივად ასხმული სხეული. ქალი სიცილის დროს ყელს გადაიგდებდა ხოლმე და ვარდისფერ, ძარღვე თითებს მკერდზე იხუტებდა. ასეთ დროს სიამოვნებისაგან გული მეწურებოდა. არსად არაა მარტოობა ისე გაძაღლებული, როგორც პარიზში...

ეს ქალაქი მარტოობით ჯვარცმაა უცხოელთათვის.

ჟერმენი ბიენალზე მეტად ჩვენ

[1] მეფის ქუჩა (ფრანგ.).

[2] ო, ჟან... (ფრანგ.).

[3] ქალის ინგლისური კოსტუმი (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვჭირდება-მეთქი, გამიელვებდა ხოლმე თავში. ამასობაში მარსელში გავემგზავრე. თვის თავზე პარიზში დავბრუნდი. ველოდებოდი ოთხშაბათს, რათა ჟერმენის ხმა გამეგონა.

ოთხშაბათს კედლის მილმა სიჩუმე სუფევდა. ბიენალს დღე შეუცვლია. ქალის ხმა მხოლოდ ხუთშაბათს გაისმა, ზუსტად ხუთზე. ამჯერად ბიენალმა გახდა აცალა თავის სტუმარს. ჟერმენს თურმე ხმაც შესცვლოდა, ეს უკვე აღარ იყო სახსრებიდან გამოტანილი ვედრება oh, Jean... და მას მოდევნებული დუმილი, მტანჯველი დუმილი სხვისი ბედნიერებისა. ეს ყველაფერი შესცვალა შინაურულმა ბღლარძუნმა, ხრიწინა წამოკივლებამ. დივანში ჩახლეწილი შეცვლილი ჟერმენი კბილებს აკრაჭუნებდა და მსუყე, გაწელილ ბგერებს გამოსცემდა.

ქალს მოსიე ანრიშზეც აღარ უჭორავია, შვიდ საათამდე იბუყბუყა და წასასვლელადაც გაემზადა. მის დასანახად კარი გამოვლრიჭე — დერეფანში მულატი ქალი მოძაგუნობდა ცხენის კუდივით გამოფსკვნილი თმითა და დიდრონი ძუძუების ქიან-ქიანით.

ბიენალს დავუკაკუნე; მოთელილი და ფერდაკარგული — უპიჯაკოდ მიგდებულიყო საწოლზე გამოხუნებული წინდებით.

— Mon vieux, ჟერმენი დაითხოვეთ?

— Cette femme est folle [1], — მიპასუხა და ტანში გაჰბურძგლა, — მაგას ფეხებზე ჰკიდია, ზამთარია თუ ზაფხული, დილაა თუ საღამო; მადმუაზელ ჟერმენს ძალიან არ ენალვლება, გიჭირს თუ გილხინს, მოგაჯდება და უნდა აჭენაო... სანამდე, ეგ მარტო მადმუაზელ ჟერმენმა იცის.

[1] ეგ ქალი ნაკრავია (ფრანგ.).

ბიენალი საწოლზე წამოჯდა, მარცვლის ტოტებში გაწლობილი წვიეები ულაყლაყებდა, ოფლისაგან გაზინთულ მის თმაში სინათლე ატანდა, ნერვიულად უთრთოდა სამკუთხა ულვაშები. ოთხფრანკიანმა მაკონმა მეგობარი ოდნავ გამომიკეთა. დესერტის შემდეგ მან მხრები აიჩეჩა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— რა მესიყვარულება, როცა ამქვეყნად არიან რუმინელები, თამასუქები, გაკოტრება, რესორმომტვრეული მანქანები. Oh, j'en ai plein le dos[2]...

ერთმა თლაშო კონიაკმა კაფე „დე პარიში" იგი უკვე ხასიათზე მოიყვანა. ტერასაზე ვისხედით, თეთრი საჩრდილობლის ქვეშ. ელექტრონათურებით გაჩახჩახებულ ტროტუარზე ბრბო მიედინებოდა. ჩვენ წინ ასფალტს ნალმივით გაწელილი მანქანა დააკვდა. იქიდან ინგლისელი და სიასამურის მოსასხამიანი დიაცი გადმოვიდნენ. სუნამოებისა და ბეწვის ზვირთებში ჩვენკენ მოცურავდა ქალის უჩვეულოდ გრძელსხეული და მომცრო, ფაიფურისებრ კრიალა თავი. მის დანახვაზე ბიენალი წინ გადაიხარა, ფეხი აათამაშა და თვალი ისე ჩაუკრა, როგორც Rue de la Gaîté[3]-ელ კახპას. ქალმა ჩაიღიმილა, ვარდისფერი თავი ოდნავ დახარა და გველური ტანის ზლარზვნით გაუჩინარდა კარებში. მას ლიწინ-ლიწინით მიჰყვა გამტრიკინებული ინგლისელი.

— Ah, canaille! [4], — ალმოხდა ბიენალს, — ორი წლის წინ ჭიქა აპერიტივზეც კისრულობდა...

ერთმანეთს გვიან დავშორდით. ჩავითქვი, შაბათს ჟერმენს გავუვლი

[2] ისედაც არ მაკლია თავსამტვრევი (ფრანგ.).

[3] დროსტარების ქუჩა (ფრანგ.).

[4] ეშმაკმა დალახვროს! (ფრანგ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, თუ ყაბულს იქნება, თეატრში წავიყვან, მარტრშიც გავისეირნებთ-მეთქი. მაგრამ მათი ნახვა — ბიენალისა და მისი სატრფოსი — თურმე უფრო ადრე მეწერა. მეორე დღეს, მწუხრის ჟამს, ოტელ „დანტონის“ ვესტიბიულში ლურჯად აფრიალდნენ პოლიციელთა მოსასხამები. როცა დარწმუნდნენ, რომ მე მადამ ტრიუფოს მდგმური ვიყავი, გამატარეს. ჩემს ოთახთან ჟანდარმები დამიხვდნენ. ბიენალის ნომერი გაღებული იყო. იგი სისხლის ტბაში იწვა. ნახევრად ღია, ამღვრეულ თვალებში ქუჩური სიკვდილის ნიშანი ჩაჰყინვოდა. მისთვის ყელი გამოეჭრათ — საცოდავი ბიენალისათვის — და ოსტატურადაც გამოეჭრათ. Tailleur-ის კოსტუმში გამოწყობილი ჟერმენი მაგიდას უჯდა. თავის დაკვრით მომესალმა.

ეს მოხდა საღამოს ექვსზე, სიყვარულის საათზე — ყველას ჰყავდა ოთახში ქალი. ნახევრად შიშვლები, პაჟებივით ბარძაყებამდე ასკვანჩულ წინდებში — ისინი წასვლამდე ნაჩქარევად იპუდრებოდნენ სარკის წინ. კარი ყველას გამოელო, წაღებზე ზონრებშეხსნილი კაცები დერეფანში ჩაწკაპულიყვნენ. სახემიმჭკნარი იტალიელი ველოსიპედისტის ოთახში ბალიშებში ჩამხობილი ქვითინებდა ფეხშიშველა გოგო. დაბლა ჩავედი მადამ ტრიუფოს გასაფრთხილებლად: ამ ბავშვის დედა სან-მიშელის ქუჩაზე გაზეთებსა ჰყიდდა. დიახახლისთან დანტეს ქუჩის მთელი საქალეთი შეყრილიყო. აქ იყვნენ მემწვანილეები და კონსიერჟები, წაბლითა და შემწვარი კარტოფილით მოვაჭრენი, ჩიყვიანი, გადანდალებული ხორცის გროვები, ბალნიანი, ქლოშინა, თვალდალიბრული დედაკაცები.

— Voila qui n'est pas gai, — ვოქვი შესვლისას,—quel malheur!

— C'est l'amour, monsieur... Elle l'aimait[2]...

მადამ ტრიუფოს ლილისფერი ძუძუები ებერებოდა, სპილოს ფეხები გაებაჯიჯგებინა, თვალები უელავდა.

— L'amore, — გაიმეორა სინიორა როკამაც, რესტორნის მფლობელმა დანტეს ქუჩაზე. — Dio cortiga quelli, chi non conoseono l'amore[3]...

დედაკაცები შექუჩდნენ და ატატყანდნენ; ღაწვები ცივებ-ცხელებიანებივით წამოენთოთ, თვალები ლამის ბუდიდან გადმოცვენოდათ.

— L'amour, — გაიმეორა მადამ ტრიუფომ და ზედ ძომადგა, — c'est une grosse affaire, l'amour[4]...

ქუჩიდან საყვირის ხმა გაისმა. მარჯვე ხელებმა მოკლული დაბლა ჩამოარბენინეს და საავადმყოფოს კარეტაში შედეს. იგი ახლა ნომრად იქცა — საცოდავი ბიენალი — და მისი სახელი პარიზის მიქცევაში ჩაინთქა. ფანჯარას მიმდგარმა სინიორა როკამ გვამს მზერა გააყოლა. იგი ფეხმძიმედ იყო, მუცელს ძლევამოსილად გამოენგრია სხეული; დატალულ, შეშუპებულ მის პირისახეს და ყვითელ თმას მზემ გადაუარა.

— Dio, — წარმოთქვა სინიორა როკამ, — tu non perdoni quelli, chi non ama...[5]

გაცრეცილ ლათინურ კვარტალს თავს ღამე წამოემხო; ტანმოკლე

---

[1] აი, ვინ არის ეხლა ცოდვა! ეს რა უბედურებაა! (ფრანგ.).

[2] სიყვარულია ეს, ბატონო... ქალს უყვარდა იგი... (ფრანგ.).

[3] სიყვარული... უფალი მიაგებს მას, ვინც სიყვარული არ იცის (იტალ.).

[4] სიყვარული... სიყვარული, ეს დიდი რამეა... (ფრანგ.).

[5] უფალო, შენ არ მიუტევებ მას, ვინაც სიყვარული არ იცის (იტალ.).

ბრბო მიმოიფანტა, სახლებიდან ნივრის ოხშივარმა ამოხეთქა. სიბნელემ შთანთქა მადამ ტრიუფოს სახლის გოთური ფასადი ორი სარკმლითა და სუროთი დაფარული ნაკოშკარით.

საუკუნენახევრის წინ აქ დანტონი ცხოვრობდა. თავისი ფანჯრიდან იგი უმზერდა კონსიერჟერის ციხეს, სენაზე მსუბუქად გადატყორცნილ ხიდებს, მდინარეს მიჯარულ უჩინო შენობებს და ამავე სურნელს ისუნთქავდა.

ქარი უბერავდა; კვნესოდა ჩაობებული ძელები და ალაყაფის მოლაყლაყებული ბჭეები.

□

დი გრასი

თოთხმეტი წლისა თეატრალური „ბარიგების" მოყვარულებელი ძმობის წევრი გახლდით. ჩვენი თავკაცი კოლია შვარცი იყო, ნიადაგ თვალმოწკურული ულვაშა თაღლითი. მას იმ დათარსულ წელიწადს შევეკარი, ოდესაში იტალიური ოპერა რომ ჩაფლავდა: იმპრესარიო გაზეთის რეცენზენტებმა გააბრიყვეს, მარტოოდენ რიგიანი ანსამბლიც კმარაო, და საგასტროლოდ ანსელმო და ტიტო რუფო აღარ მოიწვია. თავად ხომ გაკოტრდა და ჩვენც ლამის მშრალზე დაგვსვა. მერმე დაგვაიმედეს, შალიაპინს მოვიწვევთო, მაგრამ მან თითო გაძოსვლაში სამი ათასი მოითხოვა. მის ნაცვლად სიცილიელი ტრაგიკოსი დი გრასო გვეწვია თავის დასიანად. სასტუმროს ნაღდი ბალაგანი მოადგა: ფურგონებში ჩახლეწილი ბალღები, კატები, თუთიყუშიანი გალიები რომ დაინახა, კოლია შვარცმა ხელი ჩაიქნია:

— ამათგან არაფერი გამოდნება...

მსახიობი ჯერ ბაზარს ეწვია, შემდეგ თეატრში მობრძანდა. პირველ წარმოდგენას ორმოცდაათამდე მაყურებელი თუ დაესწრო — ნახევარ ფასადაც ვერავის შევასაღეთ ბილეთები.

იმ დღეს სიცილიური ხალხური დრამა გვიჩვენეს—აძბავი ჩვეულებრივი, ვითარცა დღე-ღამის მონაცვლეობა. მწყემსმა შეძლებული გლეხის გოგო დანიშნა. თავდაპირველად ყველაფერი უშფოთველად მიმდინარეობდა, მაგრამ ქალაქიდან ხაველრდისჟილეტიანი მებატონის ვაჟი ჩამობრძანდა და ქალიც ვაგლახად შეიმღვრა: ჩამოსულს რომ ელაპარაკებოდა, ხან უადგილოდ კისკისებდა და ხან ენა ებორკებოდა. ამის შემყურე მწყემსი თავს დამფრთხალი ჩიტივით ატრიალებდა. მთელი პირველი მოქმედება იგი ხან კედელს იყო აკრული, ხან სცენიდან სადღაც იკარგებოდა, ისევ ბრუნდებოდა და დადარაჯებულივით იცქირებოდა აქეთ-იქით.

— დავიბრიდეთ, — გვითხრა შესვენებაზე კოლია შვარცმა, — ეს საქონელი კრემენჩუგში თუ გასაღდება...

მეორე მოქმედების დაწყებამდე გოგო უკვე ღალატისათვის მომწიფდა: ახლა იგი სხვა ქალი იყო — ფიცხი და აცუნდრუკებული. მან ფაცაფუცით უკან მიაჩეჩა საქმროს ნიშნობის ბეჭედი. მწყემსმაც ქალიშვილი წალოსთან მიიყვანა, წმინდა ქალწულის შეღებილ ქანდაკებასთან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სინიორა, — გულშიჩამწვდომად უთხრა თავის სიცილიურ კილოზე და პირი მოარიდა, — წმინდა ქალწულს სურს, რომ მომისმინოთ... ქალაქელ ჯოვანის წმინდა ქალწული იმდენ ქალს მისცემს, რამდენსაც ინებებს. მე კი თქვენ გარდა არავინ მინდა... მარიამ ღვთისმშობელი, ჩვენი უბიწო მფარველი, ამასვე გეტყვით, თუ რჩევას ჰკითხავთ, სინიორა...

ქალიშვილს წმინდა ქალწულისათვის ზურგი შეექცია და მწყემსის სიტყვებზე ფეხს მოუთმენლად აბაკუნებდა. არ არსებობს — ვაგლახ! — დედამიწის ზურგზე ქალი, შეშლილი რომ არ იყოს იმ წუთებში, როდესაც მისი ბედი წყდება. იგი მუდამ მარტოა ამ დროს, ქალწულ მარიამისთვის არა სცხელა და არც არაფერს ეკითხება მას...

მესამე მოქმედებაში ქალაქიდან ჩამოსულ ჯოვანის წერამ უწია. იგი სოფლის სადალაქოში იპარსებოდა, ავანსცენაზე ძლიერი მამაკაცური ფეხები წამოეყარა და სიცილიის მზე ჟილეტზე ულივლივებდა. სცენაზე სოფლის ბაზრობას გვიჩვენებდნენ. შორს, კუთხეში მწყემსი იდგა. ჩუმად იდგა, მოყაყანე ბრბოთი გარშემორტყმული. შემდეგ თავჩაქინდრულმა ქედი ნელინელ გამართა და მისმა დაჟინებულმა, გაღვივებულმა მზერამ ჯოვანი სავარძელში ააწრიალა. ბოლოს მან დალაქს ხელი ჰკრა, წამოხტა და პირგამომშრალმა პოლიციელს შეუყეფა, საეჭვო და პირბნელი ხალხი აქაურობას მოაცილეო. მწყემსი, ვისაც დი გრასო თამაშობდა, ჩაფიქრებული იდგა, მერმე გაიღიმა, აიწია, ოპერის სცენას გადაევლო, ჯოვანის მხრებზე დაახტა, კბილებით ყელში ჩააფრინდა და, ცხროიანივით დაელმებული, ღრენა-ღრენით მის სისხლს დაეწაფა. ჯოვანიმ ძირს ზლარტანი მოიღო. უხმაუროდ, მძიმედ დაშვებული ფარდის უკან გაუჩინარდნენ მკვლელი და მისი მსხვერპლი. რაღას უნდა დავლოდებოდით და კისრისტეხით გავცვივდით თეატრალურ შესახვევში სალაროსაკენ — იგი მეორე დღეს უნდა გაღებულიყო. ყველაზე წინ კოლია შვარცი მირეკავდა. გამთენია „ოდესის ცხელ-ცხელმა ამბებმა“ თეატრში ნამყოფ რამდენიმე ათეულ ბედნიერს აუწყა, რომ წუხელ მათ საუკუნის ყველაზე საოცარი მსახიობი იხილეს.

იმ ჩამოსვლაზე დი გრასომ ითამაშა ლირი, ოტელო, „სამოქალაქო სიკვდილში“, ტურგენევის „ხიზანში“ და ყოველი სიტყვითა და ყოველი მოძრაობით გვარწმუნებდა, რომ კეთილშობილურ ვნებათა გამძაფრებაში მეტი სიმართლე და იმედია, ვიდრე ულიმლამო კანონებში ამა სოფლისა.

ამ წარმოდგენებზე ბილეთების ფასი უბედურად ავარდა. ბარიგებზე ნამდვილი ნადირობა გაჩაღდა, მუშტრები მათ დუქნებში ეძებდნენ, — იდგა იქ ერთი გნიასი და შეზარხოშებულ გადამყიდველთა უწყინარი ბილწსიტყვაობა.

თეატრალურ შესახვევში მტვრიანი, ვარდისფერი პაპანების ჭავლი შემოიჭრა. თექის ფლოსტებიანმა მედუქნეებმა ქუჩაში გამოალაგეს ღვინის მომწვანო ბოთლები და ზეთისხილის კასრები. დუქნების წინ მოთუხთუხე კარდალებში მაკარონი იხარშებოდა და მისი ოხშივარი ზეცად მიიკარგებოდა. დედაბრები, მამაკაცის ფეხსაცმელები რომ ეცვათ, ნიჟარებსა და სუვენირებს ყიდდნენ და შეჭოჭმანებულ მუშტრებს ყვირილ-ყვირილით უკან მისდევდნენ. წვეროსანი მდიდარი ებრაელები ეტლებს სას-

ტუმრო „ჩრდილოეთთან“ აყენებინებდნენ და მორიდებულად უკაკუნებდნენ კარზე შავგვრემან, ტუჩდაღინღლულ ზონზრროხა ქალებს, დიგრასოს დასის მსახიობებს. ყველა ბედნიერი იყო თეატრალურ შესახვევში ერთის გარდა და ეს ერთი სწორედ მე გახლდით. ვიღუპებოდი და საშველი არ ჩანდა! მამაჩემს წუთიწუთზე შეეძლო ძოეკითხა თავისი საათი, რომელიც უნებართვოდ ავიღე და კოლია შვარცს მივაგირავე. კოლიას ოქროს საათი გაუტკბა. ესეც არ იყოს, დილდილობით ჩაის ნაცვლად ბესარაბიული ღვინის მსმელი კაცისათვის საათის უკან დაბრუნება ძნელი გადასაწყვეტი იყო, თუმცა მისი ვალი კარგა ხნის წინ გავისტუმრე. რას იზამ, ამნაირი გუნებისა გახლდათ. მისგან არაფრით განსხვავდებოდა მამაჩემის გუნებაც. მათ შუა გაჭყლეტილს სხვათა ბედნიერებისათვის აღარ მცხელოდა. სხვა გზა არ ძქონდა, კონსტანტინეპოლში უნდა გადავხვეწილიყავი. „Duke of Kent“-ის მეორე მექანიკოსთან საქმეც ჩავაწყვე, მაგრამ ზღვაში გასვლამდე გადავწყვიტე დიგრასოს გამოვმშვიდობებოდი. იგი უკანასკნელად თამაშობდა მწყემსს, რაღაც იდუმალი ძალა მიწას რომ ააწყვეტს. თეატრში მთელი იტალიური კოლონია მოვიდა მელოტი, ბრგე კონსულის მეთაურობით. აქ იყვნენ მობუზული ბერძნები, ფანატიკურად თვალგაშტერებული წვეროსანი ექსტერნები და გრძელხელება უტოჩკინი. კოლია შვარცმაც მოიყვანა ფოჩიან ლილისფერ შალში გამოხვეული თავისი მეუღლე. ეს ქალი ცირკში საჭიდაოდ იყო დაბადებული, ტრამალივით უსასრულო მის ტანს სადღაც შორს მოთელილი, ძილისაგან დაფიქვინებული პირისახე აბოლოებდა. ფარდის დაშვებისას ეს სახე ცრემლებით იყო მორწყული.

— მაწანწალავ, — უთხრა მან კოლიას თეატრის გამოსასვლელში, — ახლა ხომ ნახე, რაც ყოფილა სიყვარული...

მადამ შვარცი მძიმედ მიაფლატუნებდა უზარმაზარ ტერფებს ლანჟერონის ქუჩაზე, მხრები უთახთახებდა, ცრემლებს დაელტო მისი მრგვალი, თევზისებრი თვალები. ნიკაპაძაგძაგებულმა ქალმა მთელი ქუჩის გასაგონად ჩამოუთვალა კოლიას ის ქალები, ქმრებთან სიამტკბილობით რომ ცხოვრობენ:

— გეხუტუნეო—ეფერებიან იმათ ქმრები — გეხვანხვალე, შემოგიარე...

გაბუსუნებული კოლია მეუღლის გვერდით მიაბიჯებდა და შიგადაშიგ ჩუმად ქშინავდა. მე, ჩვეულებისამებრ, სლუკუნ-სლუკუნით მივსდევდი უკან. მადამ შვარცმა სული მოითქვა, ამ დროს ჩემი ფლიკვინი შემოესმა და ქმარს მიუტრიალდა:

— მაწანწალავ,—გადმოუქაჩა თავისი თევზის თვალები,—მიე ბავშვს საათი, ნუ გამომაჭენებინებ თავს ამ შუა ქუჩაში...

კოლია შედგა, პირი დააღო, მაგრამ გონს სწრაფად მოეგო, საათი ხელში ჩამჩურთა და თანაც მწარედ მიჩქმიტა.

— სხვა რა ვიცი შენგან, — გულამომჯდარი მოსთქვამდა მადამ შვარცი და მისი ბოხი ხმა სულ უფრო და უფრო ყრუდ აღწევდა ჩემამდე,— დამათხებ და მაჯირითებ... როდემდე შეუძლია ქალს ლოდინი, მაწანწალავ, როდემდე?..

ცოლ-ქმარი პუშკინის ჩასახვევში თვალს მიეფარა. საათჩაბღუჯული მარტო დავრჩი და ანაზდად — ისე ნათლად, როგორც არასდროს,—დავინახე საკრებულოს შენობის ცად ატყორცნილი სვეტები, ფოთლებით მოყვითლებული ბულვარი, მთვარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათინათით აბრწყინებული ბრინჯაოს პუშკინი — პირველად დავინახე ჩემ ირგვლივ სამყარო იმგვარი, როგორიც სინამდვილეში ყოფილა — მიმცხრალი და გულისმომწყვლელად მშვენიერი.

□

კეისარი

ბავშვისწერა დასრულდა; რაბინი დაღლილი ჩაესვენა სავარძელში, შემდეგ ოთახიდან გამოვიდა და ხავერდგადაკრული მაგიდების მწკრივს გადახედა, მუცელაჭრელებული უხსენებელივით რომ მიიკლაკნებოდა ეზოში და კუდი ჰოსპიტლის ქუჩაზე გაეყო. ხარბად გალობდნენ ამ მუცელზე ფერები: ნარინჯი და წითელი ხავერდი.

ახლომახლო ბინები სამზარეულოდ გადაექციათ. გამჭვარტლული კარებიდან გიზგიზა ალი გამოკრთოდა, ფუმფულა და მობარბაცე ცეცხლის ალი. მის კვამლიან სხივებში ბებრუხანების სახეები, დედაკაცთა თამთამა ლაბაბები და გაღვინთული ძუძუები იწვოდნენ. ადამიანთა ამ აფუებულ, საამოდ აშყრალებულ ხორცების გროვას წურწურით ჩამოსდიოდა ვარდისფერი ოფლი, ვარდისფერი, ვითარცა ქაფი ცოფიანი ძაღლის ლაშებზე. სამი ქალი ქვაბებს დასტრიალებდა. დანარჩენი ჭურჭელსა რეცხდა. მათ თავს ადგა რეიზლი — თორას გრაგნილისებრ ტრადიციული—მოციცქნილი, ოთხმოცი წლის კუზიანი დედაბერი.

სანამ სუფრას მიუსხდებოდნენ, ვილაც უცნობი ახალგაზრდა სტუმრებში გაძვრა-გამოძვრა და ბენია კრიკი მოძებნა. მან განზე გაიყვანა ბენია კრიკი.

— მომისმინეთ, კეისარო,—უთხრა ახალგაზრდამ, — თქვენთან ორი ღირი სიტყვა მაქვს... კოსტეცკელმა ხანა ბიცოლამ გამომგზავნა...

— გისმენ, — უპასუხა ბენია კრიკმა, მეტსახელად კეისარმა, — რა ორი ღერი სიტყვაა?

— ხანა ბიცოლამ შემოგითვალათ, გუშინ უბანში ახალი ბოქაული მოვიდაო...

— ეს გუშინწინ ვიცოდი, — უპასუხა ბენია კრიკმა. — სხვა?!

— ბოქაულმა ძაღლები შეკრიბა და ელაპარაკა...

— ახალი ცოცხი კარგად ჰგვის,— თქვა ბენია კრიკმა, — გამოჭერას გვიპირებს. სხვა?!

— ის თუ იცით, გამოჭერას როდის გიპირებთ?

— გამოჭერას ხვალ გვიპირებს.

— კეისარო, გამოჭერას დღეს გიპირებენ.

— ვინ გითხრა ეს, ბიჭი?

— ხანა ბიცოლამ მითხრა. იცნობთ ხანა ბიცოლას?

— ვიცნობ ხანა ბიცოლას. სხვა?!

— ...ბოქაულმა ძაღლები შეკრიბა და უთხრა: „ჩვენ ბენია კრიკი უნდა მოვგუდოთ, იმიტომ რომ, სადაც ხელმწიფე-იმპერატორი სუფევს, იქ კეისრის ადგილი აღარ არის. დღეს, როცა კრიკი დას ათხოვებს და ყველანი მასთან იქნებიან, სწორედ დღეს უნდა გამოვიჭიროთ“...

— სხვა?!

— ძაღლებს შეეშინდათ, უთხრეს, დღეს რომ დავეცეთ, პურ-მარილის დროს, ბენია გაცეცხლდება და სის-

ხლის ფასად დაგვიჯდებაო. ბოქაულმა კი — მე თავმოყვარეობა უფრო ძვირად მიღირსო...

— კარგი, წადი... — უთხრა კისარმა.

— ხანა ბიცოლას რა ვუთხრა დანაბარებზე?

— უთხარი, ბენიამ დანაბარები იცის-თქო.

ახალგაზრდა წავიდა, მას უკან მიჰყვა ბენიას სამი ძმაკაცი. ნახევარ საათში დავბრუნდებითო — დაიბარეს და ნახევარ საათში მართლაც დაბრუნდნენ. ეს იყო და ეს.

სუფრასთან არც ხნოვანების მიხედვით დამსხლარან — ჩურჩუტი სიბერე არანაკლებ უბადრუკია, ვიდრე ცუნდრუკა სიყმაწვილე — და არც ქონებისა: მძიმე ქისა ცრემლებითაა ნაგვირისტალი.

სუფრის თავში ნეფე-დედოფალი დასხეს — ეს მათი დღე იყო. გვერდით სენდერ ეიხბაუმი, კეისრის სიმამრი მოკალათებულიყო — ეს კი მისი უფლება გახლდათ. სენდერ ეიხბაუმის ამბავი მოსაყოლად ღირს.

როგორ გახდა ბენია კრიკი, მძარცველი და მძარცველების თავკაცი, ეიხბაუმის სიძე? როგორ დაესიძა იგი კაცს, ვისაც არც მეტი, არც ნაკლები, სამოცი მეწველი ძროხა დაუდიოდა? ერთი წლის წინ ბენიამ ეიხბაუმს წერილი მისწერა.

„მოსიე ეიხბაუმ, — წერდა იგი. — გთხოვთ ხვალ დილით სოფიის ქუჩაზე, № 17 ჭიშკრის ქვეშ ამოსდოთ ოცი ათასი მანეთი. თუ ამას არ იზამთ, რაღაც საარაკო საქმეს დაგმართებთ და მთელი ოდესის სალაპარაკოდ გაგხდით. პატივისცემით, ბენია კრიკი“.

ამ წერილებზე, სამ ერთი-ერთმანეთზე გარკვევით ნაწერ ბარათებზე, ეიხბაუმს ყურიც არ გაუპარტყუნებია. ბენიამაც თავის საქმეს მიხედა. ისინი ღამით მოვიდნენ: ცხრანი იყვნენ, ხელთ ჭოკები ეპყრათ. ჭოკებს გაფისული ძონძები ეხვია. ცხრა ვარსკვლავი აგიზგიზდა ეიხბაუმის ბოსელთან. ბენიამ კლიტეები ჩამოიღო და სათითაოდ გამოასხა ძროხები. საქონელს იქვე დახვდა დანიანი მუტრუკი. ერთი დარტყმით წამოაქცია მან ძროხა, შემდეგ კი რბილად შეუცურა დანა გულში. სისხლით მოტბორილ მიწაზე ცეცხლოვან ვარდებად აბრდღვიალდნენ ჩირაღდნები და რევოლვერმაც დაიქუხა. ბენიამ სროლით გაფანტა საძროხესთან მოქოთქოთე მწველავები. ამის შემდეგ სხვებმაც დასცალეს იარაღი ჰაერში, ვინაიდან იარაღი თუ ჰაერში არ დასცალე, შეიძლება კაციც შემოგაკვდეს. და მხოლოდ მაშინ, როცა მეექვსე ძროხა სასიკვდილო ბღავილით აიბლაკა კეისრის ფერხთით, ეზოში ნიფხვისამარა ეიხბაუმი გამოვარდა და იკითხა:

— ბენია, რას სჩადი, თუ იცი?

— მე ის ვიცი, მოსიე ეიხბაუმ, რომ მე თუ ფულს არ მივიღებ, თქვენ ამათ კუდის რიკსაც ვერ მიიღებთ. ამას წყალი არ გაუვა...

— შინ შემოდი, ბენია.

შინ ისინი მორიგდნენ. დაკლული საქონელი თანაბრად გაიყვეს. ეიხბაუმს კი ხელშეუხებლობის გარანტია ებოძა, სათანადოდ დამოწმებული და ბეჭედდარტყმული. მაგრამ სასწაული ამის შემდეგ მოხდა.

თავდასხმის დროს, იმ მრისხანე ღამეს, როცა სიკვდილის სუნნაკრავი ძროხები ბღაოდნენ და დედების სისხლზე აცურებული ხბორები ფეხებს ასხმარტალებდნენ, როცა ჩირაღდნები შავი ალქაჯებივით იკლაკნებოდნენ, მერძევე დედაკაცები კი, ბრაუნინგთა მეგობრული მზერით დაფეთებულნი, ცივად გაჰკიოდნენ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მრისხანე ღამეს გულამოჭრილი პერანგისამარა გამოვარდა ეზოში ბებერი ეიხბაუმის ქალიშვილი ცილია, და გამარჯვებული კეისარი დამარცხდა.

ორი დღის შემდეგ ბენიამ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ეიხბაუმს შეწერილი ფული უკლებლივ დაუბრუნა, საღამოს კი შინ ეწვია. კეისარი ნარინჯისფერ კოსტუმში გამოწყობილიყო, სამაჯურებში ბრილიანტები უელავდა. იგი შევიდა ოთახში, ეიხბაუმს მიესალმა და მისი ქალიშვილის—ცილიას ხელი სთხოვა. მოხუცს ტვინში სისხლმა აასხა, მაგრამ გაუძლო: მას ოცი წლის სიცოცხლე კიდევ ეწერა.

— მომისმინეთ, ეიხბაუმ,—უთხრა ბენიამ, — როცა თქვენ მოკვდებით, ებრაელთა პირველ სასაფლაოზე დაგმარხავთ, ზედ ჭიშკართან. ვარდისფერი მარმარილოს ძეგლს დაგიდგამთ, ეიხბაუმ! თუ მოისურვებთ, ბროდის სინაგოგის ხახამად დაგსვამ. ჩემს საქმეს შევეშვები და კომპანიონად გაგიხდებით — ორასი ძროხა გვეყოლება, თქვენ გარდა ყველა რძის ვაჭარს მოვუხაზავ. აგარაკს აგიშენებთ; საცა თქვენ იცხოვრებთ, იმ ქუჩაზე ქურდი ვერ გაიჭაჭანებს... თანაც ნუ დაგავიწყდებათ, ეიხბაუმ, რომ ყმაწვილკაცობაში არც თქვენ ბრძანებულხართ მამა აბრამის ბატკანი. ჩვენ შორის დარჩეს და, ვინ გამდიდრდა ყალბი ანდერძით? სიძედ კეისარი გეყოლება, ეიხბაუმ, ვინმე ნაბიჭვარი კი არა, კეისარი...

და მან, ბენია კრიკმა, თავისი გაიტანა, ვინაიდან ცხელი სისხლი ჰქონდა, ცხელი სისხლი კი სამყაროს მეუფეა. ახლადშეუღლებულნი მაძღარ ბესარაბიას ეწვივნენ და სამი თვე ყურძენსა, საჭმელ-სასმელსა და სასიყვარულო ოფლში ცურავდნენ. შემდეგ ბენია ოდესაში დაბრუნდა თავისი ორმოცი წლის ჩიყვიანი დის, დვორას დასაქორწინებლად. მას შემდეგ, რაც სენდერ ეიხბაუმის ამბავი გიამბეთ, ჩვენც დავბრუნდეთ დვორა კრიკის, კეისრის დის, ქორწილზე.

სტუმრებს სუფრაზე მოართვეს ინდაურები, შებრაწული დედლები, ბატები, დაკეპილი თევზი და წვნიანი, საიდანაც სადაფისებრ გამოკრთოდა ლიმნის ტბები. სამეფო ჯიღასავით ირწეოდა ყვავილები ბატების უსიცოცხლო თავებზე. მაგრამ განა შემწვარ ფრინველს გამორიყავს ხოლმე ოდესის ზღვის ქაფიანი ტალღები?

ყოველგვარი ნუგბარი ჩვენი კონტრაბანდისა, მზისა და მიწის შეუღლების ყველა ნაყოფი, რასაც სახელი გავარდნია კიდითი კიდე, იმ ვარსკვლავიან ღამეს თავის გამხრწნელსა და მაცდუნებელ საქმეს აკეთებდა. უცხო ღვინო სტომაქს ახურებდა, სხეულს ტკბილად ამტვრევდა, ტვინს აბრუებდა და იწვევდა ბლოყინს — ბუკის საბრძოლო მოხმობასავით მჟღერს. ზანგმა კოკმა „პლუტარქისამ“, სამი დღის წინ რომ შემოვიდა ნავსადგურში პორტ-საიდიდან, საბაჟოს ზურგს უკან გადმოატარა იამაიკური რომის ღიპიანი ბოთლები, ზეთივით ბლანტი მადერა, პირპონტ მორგანის პლანტაციისეული სიგარები და ფორთოხლები იერუსალიმის შემოგარენიდან. აი, რას გამორიყავს ხოლმე ოდესის ზღვის ქაფიანი ტალღები, აი, რას წააწყდებიან ზოგჯერ ოდესელი მათხოვრები ებრაელთა ქორწილებზე. დვორა კრიკის ქორწილზე ისინი წააწყდნენ იამაიკურ რომს და, ლორებივით გაყეყილებმა, ყავარჯნებით ყურთასმენისწამღები ბრახუნი ასტეხეს. ეიხბაუმმა ჟილეტი გაიხსნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებმოწკუპული შეჰყურებდა ეშხში შესულ კრებულს და განცხრომით ასლოკინებდა. ორკესტრი ტუშს უკრავდა, თითქოს აღლუმიაო, მხოლოდ ტუშს — და სხვას არაფერს. ბანდიტებს, მტკიცედ შეკრულ რიგებად რომ ისხდნენ, თავდაპირველად უცხო თვალის ერიდებოდათ, მაგრამ შემდეგ თანდათან აიწყვიტეს: ლოვკა კაცაპმა თავის საყვარელს არყის ბოთლი გადააფშვნა, მონია „არტილერისტმა“ ნაგანი ჰაერში მიუშვა. მაგრამ ღრეობამ უკანასკნელ სამანს მაშინ მიაღწია, როცა ძველებური ადათ-წესის მიხედვით ნეფე-დედოფლის დასაჩუქრება დაიწყო. მაგიდაზე შემხტარი სინაგოგის შამესები თავაწყვეტილი ტუშის ქუხილში გალობით აცხადებდნენ შემოწირული მაყუთისა და ვერცხლის კოვზების რაოდენობას. და აქ უკვე კეისრის ძმაკაცებმა უჩვენეს ქვეყანას ცისფერი სისხლისა და ძველბიჭური მარიფათის ფასი: ვერცხლის ფეშხუმებზე ისინი უდარდელი ჟესტით აპნევდნენ ოქროს ფულს, ბეჭდებსა და მარჯანს.

ისინი — უბნის ძველბიჭები — ქოლოსფერ ჟილეტებში გამოწკეპილიყვნენ, მხრებზე ცეცხლისფერი პიჯაკები მოეგდოთ, მათ ჯანიან ბარძაყებს ლამის შემოსკდომოდა ლაჟვარდისფერი ტყავის შარვლები. ასხლეტილი და მუცელგადმოგდებული ბანდიტები ტუშის ხმას ტაშს აყოლებდნენ, „გორკაო“ — ბღაოდნენ და პატარძალს ყვავილებს ესროდნენ. ის კი, ორმოცი წლის დვოირა, ბენია კრიკის და, და კეისრისა, ჩიყვისაგან თვალებგადმოქაჩული, ბალიშების გორაზე მოკალათებულიყო გამწლიკვული, დარდისაგან დამუნჯებული ყმაწვილის გვერდით, ეიხბაუმის ფულით რომ იყო ნაყიდი.

დასაჩუქრება ის იყო მთავრდებოდა; შამესები დაოსდნენ და კონტრაბასიც ველარ მიჰყვებოდა ვიოლინოს, როცა ეზოში ტრუსის სუნმა შემოჟონა.

— ბენია, — უთხრა შვილს უფროსმა კრიკმა, მყრალი ხასიათის ძველმა მედროგემ, — ბენია, თუ მიხვდები, ცხვირში რა მიღიტინებს? მე ცხვირში ჭვარტლის სუნი მიღიტინებს...

— მამილო, პურ-მარილი მიიღეთ, — სთხოვა კეისარმა გატრეტილ მამას, — და ამ ბითურობას ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

უფროსმა კრიკმა შვილს დაუჯერა. მან პურ-მარილი მიიღო. მაგრამ კვამლის ბოლქვები სულ უფრო სწამლავდა ჰაერს. შორს ცის კიდურიც შეწითლდა და საღლაც უკვე ამოსრიალდა ცეცხლის დაშნასავით ვიწრო ენა. სტუმრები წამოიშალნენ და ჰაერი დასუნეს, დედაკაცებიც აყივყივდნენ. მაშინ მძარცველებმაც ერთმანეთს გადახედეს. მხოლოდ ბენია არ იმჩნევდა არაფერს და თავს იკლავდა.

— ქეიფი ჩამიშალეს, — ყვიროდა სასოწარკვეთილი, — ძვირფასებო, გემუდარებით, მიიღეთ პურ-მარილი...

ამ დროს ეზოში სწორედ ის ყმაწვილი გამოჩნდა, ვინც ქეიფის დასაწყისში მოვიდა.

— კეისარო, — თქვა მან, — ორი ღერი სიტყვა მაქვს თქვენთან...

— მიდი, — ნება დართო კეისარმა, — შენ რა გამოგილევს ორ ღერ სიტყვას.

— კეისარო, — წარმოთქვა უცნობმა ახალგაზრდამ და სიცილი წასკდა, — ნაღდი სეირია, პოლიციის შენობას თაფლის სანთელივით უკიდია.

მედუქნეებს ენა მუცელში ჩაუვარდათ, მძარცველებმა ჩაიქირქი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეს. მანკამ, სამოცი წლის დედა-ბერმა და უბნის ბანდიტების პატრიარქმა, ორი თითი პირში გაიჩარა და ისე ცივად დაუსტვინა, რომ ირგვლივ მყოფნი შეტორტმანდნენ.

— მანია, თქვენ სამუშაოზე არა ხართ,—შენიშნა ბენიამ,—მშვიდად, მანია...

ამ საოცარი ამბის მომტანი ისევ ხითხითებდა.

— ორმოცამდე კაცი გამოვიდა პოლიციიდან, — ჰყვებოდა იგი, — ორი ნაბიჯი გადმოდგეს აქეთ თუ არა, უბანს ცეცხლი მოედო. თუ იჩქარებთ, მიუსწრებთ...

მაგრამ ბენიამ სტუმრებს აუკრძალა ხანძრის საყურებლად წასვლა — თავად წაბრძანდა ორ ამხანაგთან ერთად. უბანი პატიოსნად იწვოდა ოთხსავე კუთხივ. სქელდუნდულა პოლიციელები აბოლებულ კიბეებზე დაძონძროხობდნენ და ფანჯრებიდან ჰყრიდნენ სკივრებს. ამ ალიაქოთში პატიმრებიც მიმოიფანტნენ. მეხანძრეები ბევრს ცოდვილობდნენ, მაგრამ უახლოეს ონკანში წყალი არ აღმოჩნდა. ულვაშა ბოქაული — ის ახალი ცოცხი, კარგად რომ ჰგვიდა—ტროტუარს გადალმა გასწორებულად ეყუდა და ტუჩებს იკვნეტდა. ბენიამ გვერდით ჩაუარა და მხედრულ ყაიდაზე მიესალმა.

— როგორ გიკითხოთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, — თანაგრძნობით უთხრა მან, — ეს რა უბედურება დაგვმართნია! პირდაპირ კოშმარია...

იგი ალმოდებულ შენობას შეაცქერდა, თავი გადააქნია და ენა გააწკლაპუნა:

— ნწ, ნწ, ნწ!

. . . . . .

როცა ბენია შინ მიბრუნდა, ეზოში ფარნები ჩაშრეტილიყო და ცას ალიონი შეჰპარვოდა. სტუმრები დაშლილიყვნენ. მუსიკოსები ყვინთავდნენ, თავთავიანთ ინსტრუმენტებს ჩახუტებულნი. მხოლოდ დვორა არ აპირებდა ძილს — ორივე ხელით უბიძგებდა დამფრთხალ ქმარს საქორწილო სარეცლისაკენ და ისე სისხლმოწყურებული მიშტერებოდა, როგორც კატა, რომელსაც პირში თაგვი უჭირავს და კბილების ფრთხილი მოჭერით ოდნავ უსინჯავს მას გემოს.

□

მ ა მ ა

ფროიმ გრაჩს ოდესღაც ცოლი ჰყოლია. ეს ოცი წლის წინანდელი ამბავია. ქალს გოგონა ეყოლა და მშობიაროობას გადაჰყვა. ბავშვს ბასია დაარქვეს. ტულჩინში მისი დიდედა ცხოვრობდა. სიდედრს სიძე გულზე არ ეხატებოდა; ამბობდა — ფროიმი მედროგვა; მედროგის სიძეობას კიდევ გავუძლებდი, მაგრამ მუდრეგის სიძეობა მკლავსო.

სიდედრს სიძე გულზე არ ეხატებოდა და თოთო ბალი მამას მოაცილა; ოცი წელი ზარდა შვილიშვილი და შემდეგ მიიცვალა. ბასკაც მამასთან გამობრუნდა. ეს ამბავი ასე მოხდა:

ორშაბათი იყო, ხუთი რიცხვი, ფროიმ გრაჩმა დროგით ნავსადგურში გემ „კალედონიაზე“ ხორბალი რომ გაზიდა დრეიფუსის საზოგადოების საწყობებიდან. შებინდები-

სას საქმეს ძორჩა და შინისაკენ გამოემართა. პროხოროვსკის ჩასახვევთან მჭედელი ივან პიატირუბელი შემოეყარა.

— გრაჩს ვახლავარ, — უთხრა მან, — შენს ეზო-ყურეში ვიღაც ქალი დაწრიალებს.

გრაჩმა გზა განაგრძო და თავის ჭიშკართან ზვინივით ქალი დაინახა, ლოყებდაბრაწული და გავასქელი.

— მამი, — დაიბუხუნა ქალმა, — მოვკვდი ლოდინით, მთქნარებისაგან ყბები მეღრძო... საქმე ასეა — ტულჩინში ბებია მომიკვდა...

გრაჩი საზიდარზე წამომართულიყო და თვალებადქცეული მისჩერებოდა ქალიშვილს.

— ნუ ხვანცალობ ცხენების წინ, — იყვირა უცებ მან. — სადავე ჩამომართვი... ცხენებს გადამირევ...

გრაჩმა შოლტი გაატლაშუნა, ბასკა ცხენს აღვირში სწვდა და თავლისკენ გაუძღვა: მერე ცხენები გამოხსნა და სამზადში დატრიალდა. ქალიშვილმა მამის ბაჭიჭები თოკზე გაფინა, ქვიშით გახეხა გაჯანგრული ჩაიდანი და თუჯის ქვაბით ზრაზა შეათბო.

— ნაგავში ჩამხრჩვალხართ, მამილო, — თქვა მან და ფანჯრიდან მოისროლა იატაკზე დაგდებული აქოთებული ტყაპუჭი, — მაგრამ გამოვახედებ თვალებში აქაურობას, თუ ვყოფილვარ ქალი, — დაიქადნა ბასკამ და მამამისს ვახშამი მიართვა.

მოხუცმა არაყი ძოსვა მომინანქრებული ჩაიდნიდან და ზრაზა შეატანა. ბედნიერი ბავშვობის სურნელი რომ ასდიოდა. შემდეგ შოლტი აიღო და გარეთ გაძოვიდა. ბასკამ ფეხები მამისეულ შტიბლეტებში სტუცა, ნარინჯისფერი კაბა გადაიცვა, თავზე საბუდარივით ქუდი დაიკოსა და მოხუცს უკან გამოენთო. ქალი გარეთ, სკამზე მოკალათდა. საღამომ იმძლავრა, დამარცხებული დღის თავი ზღვაში ჩააგორა და ჰორიზონტი ჩამოასისხლა. დალნიცკიზე ვაჭრობა შეწყდა და ბანდიტები ქალაქგარეთ მოყუჩებულ იოსკა სამეულსონის საროსკიპოსკენ დაიძრნენ. ფერად-ფერად პიჯაკებში გამოწყობილი მძარცველები გასრიალებული ეკიპაჟის საფეხურს ცალი ფეხით დარდიმანდულად დაბჯენოდნენ. თვალებგადმოქაჩულებს გაწვდილი მარჯვენით პაპიროსის ქაღალდში შეფუთნული თაიგულები ეპყრათ. ბანდიტების ეტლები ნება-ნება მიირწეოდნენ, თითო ეკიპაჟში თითო თაიგულიანი კავალერი იჯდა, მაღალ კოფოებზე — თითქოს ქორწილიაო — ბაფთებით ყელდამშვენებული მეეტლეები წამოსკუპულიყვნენ. საქალეთმა გულგრილად გააყოლა თვალი ამ ნაცნობ პროცესიას, ებრაელ დედაბრებს უკვე ყელში ამოსვლოდათ იგი. მხოლოდ მედუქნეთა და გემის ოსტატთა ვაჟები სკდებოდნენ შურით მოლდავანკის ძველბიჭების შემყურე.

მებაყლის ვაჟს სოლომონჩიკ კაპლუნსა და მის ძმაკაც ძონია „არტილერისტსაც“ სხვათა ძარიფათის ეს ელვარება თვალებსა სჭრიდა. ორთავემ ბასკას ჩაუარეს წინ, ორნივე კაცნაგემი ქალიშვილებივით მიიკვანწებოდნენ. შემდეგ ერთმანეთს რაღაც გადაულაპარაკეს და ბასკას ხელებით ანიშნეს — ამნაირად გასიამოვნებთ, თუ მოისურვებო. ბასკამაც ეს უმალ მოისურვა, ვინაიდან იგი ერთი ყრუ, გამოუსვლელი გოგო იყო, წონით ცენტნერს უკაკუნებდა, თანაც მთელი თავისი ბავშვობა პოდოლსკის მაკლერების ვირეშმაკა მონაგართან, მოხეტიალე ბუკინისტთა და მოიჯარადეთა ვაჟებს შორის გაატარა და სოლომონჩიკ კაპლუნისთანა ჯეელი თვალითაც არ ენახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ, დაინახა თუ არა კაპლუნი, შტიბლეტიანი მსხვილი ფეხები მიწას გაუსვ-გამოუსვა და დაიბუხუნა:

— მამი, შეხედე, ამ ყმაწვილს როგორი ჩასახუტუნებელი კოხტა ფეფუკები აქვს...

— ეჰეი, პანი გრაჩ, — ჩაილაპარაკა იქვე მჯდომმა ბებერმა ებრაელმა, გვარად გოლუბჩიკმა, — ვგონებ, თქვენი ნუკრი ნეკერს თხოულობს...

— ჩემი სადარდებელიც ეგ იყოს,— უპასუხა ფროიმ გრაჩმა, ხელში შოლტი შეათამაშა და იმ ღამით არხეინად წაუძინა, ვინაიდან მოხუცს არ დაუჯერა. არ დაუჯერა და შეცდა. გოლუბჩიკი მართალი გამოდგა — გაქნილ მაჭანკალსა და მდიდარი მიცვალებულების ღამისმთეველს, მას სიზმარიც კი დაეჯერებოდა. ფროიმ გრაჩი შეცდა. მართალი გოლუბჩიკი გამოდგა.

ის დღე იყო და ბასკა ყოველ საღამოს მზითევს იმზადებდა გაზიზინებულ ორსულ ქალებში ჩამჯდარი. მის ჯანიან მუხლისთავებზე ზვინზვინად ეწყო ტილო. ფეხმძიმე ქალები დღითიდღე ივსებოდნენ და იბერებოდნენ, ვითარცა ჯიქანი იჭექება საძოვარზე გაზაფხულის ვარდისფერი რძით; ამ ქორდედალა ქალების ქმრები საამუშაოდან ბრუნდებოდნენ, აბურდულ წვერებს ონკანქვეშ იწურავდნენ და გზას უტევდნენ კუზიან დედაბრებს. ისინი გაპიტკინებულ შვილიშვილებს ვარცლებში ახვანჭალებდნენ, მერმე ხელისგულს მკვრივ დუნდულებზე უტკაცუნებდნენ და გაცრეცილი წინსაფრებით ამშრალებდნენ: და ტულჩინელმა ბასკამაც იყნოსა მოლდავანკის მსუყე სურნელი, იმ მოლდავანკისა, ნიადაგ სავსე რომ იყო ძუძუთა ბავშვებით, გაფენილი სარეცხითა და დილამდე გულდაგულ მოჭრიალე საქორწილო საოცლებით; იყნოსა და თავადაც მოუნდა ამგვარი ცხოვრება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცალთვალა გრაჩის ქალიშვილს ხეირიანი ვინმე აო შეეძლოდა. ამის შემდეგ ქალის პირიდან სიტყვა „მამა“ აღარ აშოსულა.

— ბრუტიანო, — უხმობდა ხოლმე ვახშმად, — ბრუტიანო, მობრძანდით და ყლაპეთ...

ასე გრძელდებოდა მანამ, ვინემ ბასკამ ექვსი ღამის პერანგი და ექვსი წყვილი არშიიანი საცვალი არ შეიკერა. ბოლო ძაფი რომ ამოუყარა, ქალი მოულოდნელად წრიპინა ხმით ატირდა და გრაჩს უთხრა, აქამდე რომ ყურსაც არ აბარტყუნებდა:

— ყველა ქალიშვილს რაღაც უხარია ამ წუთისოფელში, მარტო მე ვცხოვრობ სხვისი საწყობის მოყარაულე ღამის დარაჯივით. ჩამაბარეთ პატრონს, მამილო, ვიდრე უფალს არ ჩავბარებივარ...

გრაჩმა კარგა ხანს უსმინა ქალიშვილის წიკვინს, მეორე დღეს კი ტილოს წამოსასხამი მოიგდო მხრებზე და მებაყლე კაპლუნს ეწვია დუქანში.

კაპლუნის დუქანზე მოოქროული აბრა ბრჭყვინავდა. უკეთესი დუქანი ოდესაში არ მოიძევებოდა. შიგ მრავალი ზღვისა და ჩვენთვის უცნობი, მშვენიერი ქვეყნების სურნელი იდგა. ფარეში ბიჭი სარწყულით აგრილებდა მაღაზიას და მისი ასაკისათვის ყოვლად შეუფერებელ სიმღერას ღიღინებდა. მებაყლის შვილი სოლომონჩიკი დახლში იდგა. ამ დახლზე საბერძნეთიდან შემოზიდული ზეთისხილი, მარსელის ერბო, მარცვალი ყავა, ლისაბონის მალაგა, „ფილიპ და კანოს“ ფირმის სარდინები და კაიენური პილპილი ღაღანებდა. თავად ჟილეტიანი კაპ-

ლუნი მზისგულზე დაძჯდარიყო და წითლად ახარხარებულ საზამთროს თანთქლავდა; მზე თავდაუზოგავად აჭერდა მაგიდაზე გაწოლილ მის ვეება ლიპს, მაგრამ ვერაფერი დაეკლო მისთვის. ამასობაში მებაყლემ ტილოს წამოსასხამიანი გრაჩი დაინახა და ფერიფური წაუვიდა.

— დილა მშვიდობისა, მოსიე გრაჩ, — მიესალმა იგი სტუმარს და ჩაიჩოჩა,—გოლუბჩიკმა გამაფრთხილა, გესტუმრებაო, და თქვენთვის გირვანქა ჩაი გადავადებინე — იშვიათი რამ საქონელი არის...

და მებაყლემ ლაპარაკი გაახურა ოდესაში ჰოლანდიიდან შემოტანილ ახალი მარკის ჩაიზე. გრაჩმა უსმინა, უსმინა და ბოლოს შეაწყვეტინა — ალალი, ნაღდი ვინმე იყო:

— ალალი, ნაღდი ვინმე ვარ, — თქვა ფროიმმა, — ჩემს ცხენებს ვუდგივარ და შიგადაშიგ ჩემსას ვჩალიჩობ. ბასკას მზითევში ვატან ახალ თეთრეულს და პატარა მაყუთს, სართად აჰა. ჩემი ბებერი თავიც. ვისაც ეს ეცოტავება, ჯანდაბამდის გზა ჰქონია...

— რატომ ჯანდაბამდის,—წაილაპარაკა კაპლუნმა და მედროგის ტოროს ხელი მოუთათუნა, — ამისთანა სიტყვებს ნუღა გამაგონებთ, მოსიე გრაჩ. თქვენ ხომ ისეთ კაცად გიცნობთ, ვისაც შეუძლია სხვას დაეხმაროს და, სხვათა შორის, ზოგჯერ აწყენინოს კიდეც. ისიც ვიცი, რომ კრაკოველი რაბინი არა ბრძანდებით... ისე, რაღა დაგიმალოთ და, ჯერჯერობით არც მე ვგრძნობ ფრთების ამოტეხვის ღიტინს ბეჭებზე; ეს ისე, სხვათა შორის... მაგრამ მადამ კაპლუნს... გვყავს ჩვენ ოჯახში ასეთი დიდებული ქალი... რა სურს მადამ კაპლუნს, ეს თავად უფალმა არ უწყის...

— მე კი ვუწყი. — გააწყვეტინა გრაჩმა, — მე ვიცი, რომ ხოლომონჩიკს მოსწონს ბასკა, მაგრამ მადამ კაპლუნს მე არ მოვწონვარ...

— დიახაც არ მომწონხართ, — დაიყვირა კართან მოყურადე მადამ კაპლუნმა და აპარპალებული წამოიმართა შემინულ დახლთან, — არ მინდიხართ, გრაჩ, როგორც ტიფი, როგორც პატარძალს არ უნდა ძირმაგარა ცხვირის წვერზე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ცხონებული პაპაჩვენი მებაყლე იყო, განსვენებული მამაც და ჩვენს მარაქაში უცხოს ვერ გავირევთ...

— არ გაირევთ და ნუ გაირევთ...—დაეთანხმა გრაჩი გაალმასებულ მადამ კაპლუნს და შინისაკენ გამოსწია.

იქ მას ნარინჯისფერ კაბაში გამოპრანჭული ბასკა ელოდა. მაგრამ მოხუცს მისთვის ზედაც არ შეუხედავს, საზიდრის ქვეშ ტყაპუჭი წაიგდო და თავი მისდო დასაძინებლად. იძინა კიდეც მანამდის, სანამ ბასკას გოლიათურმა მკლავმა არ გამოათრია იქიდან.

— ბრუტიანო,—უჩვეულო ხმით წაუსისინა ქალიშვილმა. — როდემდე ვითმინო თქვენი მუდრეგ-მედროგული საქციელი... რას ჩაგიგუბებიათ პირში წყალი, ა, ბრუტიანო...

— ბასკა, — თქვა გრაჩმა. — სოლომონჩიკს უნდიხარ, მაგრამ მადამ კაპლუნს მე არ ვუნდივარ, სასიმამროდ მებაყლეს ერჩევიან.

მოხუცი ისევ მოკალათდა საზიდრის ქვეშ, ბასკა კი სიბნელეში გაუჩინარდა.

ეს ყველაფერი შაბათს მოხდა, უქმეზე; დაისმა თავისი ჩაწითლებული თვალი ირგვლივ მიმოატარა და დროგის ქვეშ მოხრიალე გრაჩს მიაბჯინა. ეს მომდურავი მზერა სინდისის ქენჯნასავით არ მოეშვა ბასკას მამას, ვინემ ზეზე არ წამოაგდო და მწვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნედ მოღალანე დალნიცკის ქუჩაზე არ გაიყვანა. დალნიცკზე ჯოროსანი თათრები და თურქები მიედინებოდნენ. მათ მექა მიმოელოცათ და შინ ბრუნდებოდნენ, ორენბურგის ტრამალებსა და ამიერკავკასიაში. გემმა ისინი ოდესაში გადმოსხა და მათაც ნავსადგურიდან პირდაპირ ლიუბკა შნეიგეისის, მეტსახელად — ლიუბკა კაზაკის საფუნდუკეს მიაშურეს. ზოლიან, გახეხებულ ხალათებში ლულაქაბაბივით გამოხვეულ პილიგრიმებს უდაბნოს ზინტლი და ზეთი გასდიოდათ, წინასწარმეტყველის ნეშტის თაყვანისცემის მიმანიშნებლად თათრებს ფესკებზე თეთრი პირსახოცები შემოეგრაგნათ. მლოცველებმა ლიუბკას საფუნდუკისაკენ ჩაუხვიეს, მაგრამ ჭიშკართან მოზიმზიმე ბრბოში გაეხირნენ: იქ ქამარში ქისაგაჩრილი ლიუბკა შნეიგეისი მთვრალ გლეხკაცს სცემდა და ქვაფენილზე ათრევდა: ცალ მჯიღს დაირასავით უხათქუნებდა ცხვირ-პირში, მეორეთი კი გულისპირში ჩაჰფრენოდა და წაქცევას არ ანებებდა. გლეხს ტუჩიდან და ყურისძირიდან სისხლი მოჰქონავდა; იგი ჩაფიქრებული მისჩერებოდა ლიუბკას, თითქოს ვერა სცნობსო, ბოლოს მიწას წაედლავა და ჩაიძინა. ლიუბკამ მიგდებულს ბოლო წიხლი ჩააზილა და დახლს დაუბრუნდა. საფუნდუკის დარაჯმა ევზელმა ჭიშკარი მიუხურა და გზად მიმავალი ფროიმ გრაჩი შეიპატიჟა.

— გრაჩს ვახლავართ. — მიესალმა იგი, — თუ გნებავთ ნაღდ ცხოვრებას შეავლოთ თვალი, ჩვენთან შემობრძანდით, სასეირო ყელამდეა...

და დარაჯმა გრაჩი მიიყვანა კედელთან. სადაც წინა დღით ჩამოსული მლოცველები ჩამომხდარიყვნენ. მწვანეჩალმიანი მოხუცი თურქი — ფოთოლივით გამწვანებული და ფირფიცა მოხუცი თურქი ბალახზე ესვენა, ცივი ოფლით დაცვარული, თვალებს ატრიალებდა და ხიხინებდა.

— ესეც ცხოვრებისეული დრამა ოპერიდან „თურქული ციებ-ცხელება“, — თქვა ევზელმა და გამოხუნებულ პიჯაკზე მედალი გაისწორა, — კვდება ბებერი, მაგრამ ექიმს ვინ დაგაძახებინა! რჯულში უწერიათ, მაჰმადისაგან მომავალი გზაში თუ მოკვდები, ყველაზე დიდი პატივი და იღბალია... ხალვაშ,—ჩასძახა ევზელმა სულთმობრძავს და აროხროხდა. — ექიმი მოგიყვანე, ხალვაშ, უნდა მოგარჩინოს...

თურქმა ბავშვური ძრწოლით ახედა დარაჯს და სიძულვილით სავსე მზერა მოარიდა. კმაყოფილი ევზელი — ეს რა ვიანგლეო—გრაჩს ღვინის სარდაფში ჩაუძღვა. სარდაფში ლამპები ხრჩოლავდა და მუსიკაც ჰქუხდა. წვეროსანი ბებერი ებრაელები რუმინულსა და ებრაულ სიმღერებს უკრავდნენ. მენდელ კრიკი სუფრას მისჯდომოდა, მომწვანო ჭიქიდან ღვინოს სვამდა და შვილებს, ბენიასა და ლიოვკას, აგინებდა. ჩახრინწულად, ძრწოლისმომგვრელად ხაოდა, შვილებმა დამასახიჩრესო, მეინახეებს ჩაფშვნილ კბილებს უჩვენებდა, მუცელი მოედღლიზა და სეირის მაყურებლებს ნაიარევზე ხელს აკიდებინებდა. ფაიფურის სახიანი ვოლინელი ცადიკები მის ზურგს უკან ატუზულიყვნენ და, თვალებადქცეულნი, უსმენდნენ მენდელ კრიკის ქიჩმაჩს. მათი აღფრთოვანება გრაჩს გულს ურევდა.

— ბრახანა ბერიკაცი, — ჩაიბურტყუნა მან და ღვინო მოატანინა. შემდეგ გრაჩმა დიასახლისი მოიხმო, ლიუბკა კაზაკი. იგი შემოსასვლელთან იგინებოდა და ზეზეულა უბერავდა არაყს.

— ამოშაქრე, — დაუყვირა მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფროიმს და ცხროიანი თვალები დააელმა.

— მადამ ლიუბკა, — უთხრა ფროიმმა და გვერდით მოისვა, — ჭკვიანი ქალი ბრძანდებით, მირჩიეთ რამე... თქვენი იმედი მაქვს, ჯერ ღვთისა და მერმე თქვენი...

— ამოშაქრე! — იყვირა ლიუბკამ, სარდაფში გავარდ-გამოვარდა და ისევ ფროიმს მიუჯდა.

გრაჩმაც დაიწყო:

— ხორბალში ხეირი არა ყრია,— თქვა მან, — სამაგიეროდ მებაყლეები იფურჩქნებიან. კონსტანტინეპოლში ზეთისხილი მუქთაა, ფუთს სამ მანეთად შოულობენ, აქ კი მამასისხლად ჰყიდიან—გირვანქას ექვს შაურად. მებაყლეებს თავს გაუვიდათ, მადამ ლიუბკა, მებაყლეებმა ქონი მოიდეს და კაცი რომ პატარა მიაწვეს, მაგათ ცოტა წვენს გაადენდა. მაგრამ ვის შეეკრა? რაც ცხონებული ლიოვკა-ბუღა დაიბრიდა, ჩემს საქმეში კენტად დავრჩი... დღესდღეობით დაბლა მე ვარ მარტოსული, ზემოთ უფალი ღმერთი...

— ბენია კრიკი? — შეახსენა ლიუბკამ, — ხომ გაჩითე საქმეში ერთხელ ბენია კრიკი? დაღეჭა სიტყვა?

— ბენია კრიკი?—გაიმეორა განცვიფრებულმა გრაჩმა, — თანაც უცოლოა, ასე მახსოვს...

— უცოლოა, — უთხრა ლიუბკამ, — ბასკა დააჯახე, პატარა ფული მიე, გზაზე დააყენე...

— ბენია კრიკი. — ყრუდ გაიმეორა მოხუცმა, — რომ არ გამხსენებია ბენია კრიკი?...

იგი ბუტბუტით წამოდგა, წინ ლიუბკა გაუძღვა, გარეთ გამოვიდნენ და კიბეებს აუყვნენ. მეორე სართულზე ლიუბკას ქალები ეყენა ჩამოსული კლიენტებისათვის.

— ჩვენი სასიძო კატიუშასთანაა, — უთხრა ლიუბკამ გრაჩს, — მოიცადე დერეფანში, — და განაპირა ოთახში შეავიდა, სადაც ბენია კრიკი ქალთან იწვა.

— გეყოფა, ბენიკო, ქოქინი, — უთხრა დიასახლისმა ახალგაზრდა კაცს, — ჯერ რაიმე საქმეს ეწიე და მერე იქოქინე, რამდენიც გინდა. ფროიმ გრაჩი გეძებს, შენი გაყვანა უნდა საქმეში...

და ქალმა მოუთხრო, რაც იცოდა ბასკასა და მის ცალთვალა მამაზე.

— მოვიფიქრებ, — თქვა ბენიამ და კატიუშას გაშხვანტალებულ ფეხებს ზეწარი წააფარა, — მოვიფიქრებ, მომიცადოს მოხუცმა.

— დაელოდე, — უთხრა ლიუბკამ დერეფანში აყუდებულ ფროიმს, — დაელოდე, მოიფიქრებს...

დიასახლისმა ფროიმს სკამი მიუჩოჩა და ისიც უსაზღვრო მოლოდინში ჩაიძირა. იგი იცდიდა კანცელარიაში მომლოდინე გლეხიკაცის მორჩილებით. კედლის მიღმა გმინავდა და კისკისებდა კატიუშა. მოხუცმა ორ საათს იყვინთა, იქნებ — მეტსაც. ზეცა ჩამუქდა, აგრილდა, ვარსკვლავები გაღივდნენ და მთოვარეც გადაიხსნა. ლიუბკას სარდაფი დაიკეტა, ლოთები დალეწილი სკამებივით მიმოყრილიყვნენ ეზოში, მწვანეჩალმიანი მოხუცი მოლა შუალამის ჟამს აღესრულა. შემდეგ მუსიკა დაიძრა ზღვიდან, ინგლისის გემებიდან ვალტორნებისა და საყვირების ხმა მოვარდა და ჩაცხრა, კატიუშა კი, მოუპირავი კატიუშა ისევ და ისევ უნთებდა და უხურებდა ბენია კრიკს თავის გაცოფებულ, თავის წითელ, რუსულ სამოთხეს. იგი ღნაოდა და კედლის მიღმა, ღნაოდა და კისკისებდა. მოხუცი ფროიმი გაუნძრევლად იჯდა კარს უკან, ღამის პირველამდე იცადა და ბოლოს დაუკაკუნა.

— ოჯახიშვილო, — თქვა მან, — დავიჯერო, მაღადავებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენია კრიკმაც, როგორც იქნა, გაალო კატიუშას ოთახის კარი.

— მოსიე გრაჩ, — დაირცხვინა სახეგაბრწყინებულმა ბენიამ და ზეწარი გადაიფარა, — სანამ ახალგაზრდები ვართ, ქალი ცეცხლი გვგონია, მაგრამ რანაირი ცეცხლია ეს, მოსიე გრაჩ, რაც მეტს ასხურებ, მით უფრო ეკიდება...

ბენიამ ჩაიცვა, კატიუშას ქვეშაგები გაუსწორა, ბალიში აუფუშფუშა და მოხუცთან ერთად ქუჩაში გამოვიდა. მასლაათით მივიდნენ რუსულ სასაფლაომდე და სწორედ იქ, რუსულ სასაფლაოსთან მორიგდნენ ბენია კრიკი და ცალთვალა გრაჩი, ძველი ბანდიტი. მორიგდნენ, რომ ბასკას მზითევში მოჰყვებოდა სამი ათასი ფულად, ორი ჯიშიანი ცხენი და მარგალიტის ყელსაბამი. იმაზეც შეთანხმდნენ, რომ კაპლუნებს ორი ათასი გადაეხადათ ბასკას საქმროსათვის: მათ შელახეს ოჯახის თავმოყვარეობა — კონსტანტინეპოლის ზეთისხილით მოსუქებულმა კაპლუნმა ფეხქვეშ გათელა ბასკას პირველი სიყვარული — ამიტომაც ბენიამ საჭიროდ მიიჩნია, რომ ეს თანხა საკუთარი ხელით ამოელო.

— ეს მე მომანდე, მამილო, — უთხრა მან სასიმამროს, — და ღვთის შეწევნით ყველა მებაყლეს მოვუხაზავთ...

ეს ითქვა გამთენია, ღამეც გასრულდა, — და აქ იწყება ახალი ამბავი, ამბავი კაპლუნთა ოჯახის დაცემის, მისი ნელინელ კვდომის, ცეცხლის წაკიდებისა და ღამეული სროლების. ეს ყველაფერი კი—ამპარტავან კაპლუნთა ბედი და ბედი ქალწულ ბასკასი გადაწყდა იმ ღამეს, როდესაც გრაჩი და მისი მოულოდნელად მოვლენილი სასიძო რუსული სასაფლაოს გაყოლებით დამასლაათობდნენ.

ბიჭები გალავანს გადალმა ექაჩებოდნენ ქალიშვილებს და ისმოდა პრაშტაპრუშტის ხმა საფლავის ლოდებზე.

□

ფროიმ გრაჩი

ცხრაას ცხრამეტ წელს ბენია კრიკის ხალხი მოხალისეთა ჯარის არიერგარდს დაეცა. ოფიცრობას ყელი დასჭრა და აღალიც დაითრია. გასამრჯელოდ ოდესის საბჭოს მათ სამი დღით „მოქმედების თავისუფლება“ სთხოვეს. უარი რომ მიიღეს, ყაჩაღებმა ჯერ იყო და ალექსანდრეს პროსპექტის ყველა დუქნიდან მთელი ფართალი გაზიდეს, მერმე კი ურთიერთკრედიტის საზოგადოებას მოსდგნენ: ბანკის კართან კლიენტს თავაზიანად წინ გაატარებდნენ ხოლმე, შემდეგ კი მეარტელეებს სთხოვდნენ, ფულითა და ძვირფასეულობით სავსე ტომრები იმ ავტომობილში ჩაელაგებინათ, ქუჩაში რომ იცდიდა. თვე გავიდა და ბანდიტების დახვრეტაც დაიწყეს. ხმა დაირხა, დაჭერებსა და დაპატიმრებებში ვინმე არონ პესკინის ხელი ურევიაო. მას სახელოსნო ჰქონდა გახსნილი, ოღონდ რისა, კაციშვილმა ვერ გაარკვია. ბინაში დაზგა ედგა — გრძელი მანქანა ტყვიის მობრეცილი ლილვით; იატაკი ნახერხითა და ასაკინძი მუყაოთი იყო მოფენილი.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დი-

ლას პესკინს სახელოსნოში ნაცნობი ეწვია, მიშა იაბლოჩკო.

— არონ, — უთხრა სტუმარმა პესკინს, — გარეთ ხოშიანი ამინდია; ჩემი სახით შენ ისეთ ტიპთან გაქვს საქმე, ვისაც შეუძლია პატარა პურმარილი იკისროს არკადიაში. ნალდად გაგეცინება, მაგრამ ზოგჯერ მინდა მთელი ეს ბაზარი თავიდან ამოვიგდო...

პესკინი გამოეწყო და მიშა იაბლოჩკოს გაჰყვა არკადიაში. საღამომდე დრო ატარეს. ბინდბუნდზე მიშა იაბლოჩკომ იმ ოთახში შეალაჯა, სადაც მადამ პესკინა თავის თოთხმეტი წლის გოგოს ვარცლში ახვანჭალებდა.

— გამარჯობათ, — ქუდი მოუხადა ქალს მიშამ, — არაჩვეულებრივად ვისიამოვნეთ. ჰაერია — უკეთესს ვერ ინატრებ, მაგრამ თქვენს მეუღლესთან ყოფნას ვირის დაკოდვა ჯობნებია. დიდი მომაბეზრებელი ვილაცაა...

— ახალი ამბავი! — წამოიძახა მადამ პესკინამ, ქალიშვილს თმაში ხელი სტაცა და მიაქინჩურ-მოაქანჩურა, — სად ბრძანდება ეგ თალლითი?

— ბალჩაში ისვენებს.

მიშა თავაზიანად გამოემშვიდობა ქალს და წავიდა. მადამ პესკინამ კარგა ხანს უცადა ქმარს და, მის შემოსვლას რომ საშველი აღარ დაადგა, ბალჩაში გააკითხა. პანამის ქუდჩამოფხატული მისი მეუღლე სკამის საზურგეს მიჰყრდნობოდა და იკრიჭებოდა.

— თალლითო! — უთხრა მადამ პესკინამ, — რა გაცინებს... სისხლი გამიშრო შენმა ქალიშვილმა, თავს არ იბანს. წამობრძანდი და უთხარი რამე...

პესკინი დუმდა და კბილებს კრეჭდა.

— თახსირო! — დაიწყო მადამ პესკინამ, პანამის ფარფლქვეშ შეიჭვრიტა და იკივლა.

კივილზე მეზობლები მოცვივდნენ.

— ცოცხალი არაა, — უთხრა მათ პესკინამ, — მკვდარია.

ქალი შეცდა: თავგაჩეჩქვილ პესკინს ტყვიით ორ ადგილას ჰქონდა მკერდი გახვრეტილი, მაგრამ ჯერ კიდევ ფეთქავდა. წამსვე ებრაელთა საავადმყოფოში გააქანეს. თავად ექიმმა ზილბერბერგმა გაუკეთა დაჭრილს ოპერაცია, მაგრამ პესკინს სიცოცხლე აღარ ეწერა — მაგიდაზევე დარჩა; იმავე ღამეს ჩეკამ კოლია ლიაპიდუსი და მისი ძმაკაცი, მეტსახელად „შავო“, დააპატიმრა. პირველი მიშა იაბლოჩკოს ახლდა მეეტლედ, მეორე — ეტლს არკადიაში უცდიდა ზღვის პირად, ტრამალისაკენ მიმავალ მოსახვევში. დაკითხვა დიდხანს არ გაგრძელებულა, ისინი მალე მიახვრიტეს. მხოლოდ მიშა იაბლოჩკო დაუსხლტათ ხელიდან — მის კვალს ვერ მიაგნეს. ასე რომ, კარგა ხანმა განვლო, ვიდრე ფროიმ გრაჩს სახლში მზესუმზირის გამყიდველი დედაბერი მიადგებოდა. მას მკლავი მზესუმზირით სავსე კალათში გაეყარა, ცალი წარბი აფუჩფუჩებული ბუჩქივით აჯდა, მეორე წარბის ორიოდე ღერი კი სადღაც ქუთუთოს ქვემოთ მიკარგულიყო. ფროიმ გრაჩი თავლის წინ იჯდა და ლაჯებშუა მომწყვდეულ ბადიშს — არკადის ეთამაშებოდა. ეს ბიჭი სამი წლის წინ გამორეკა მისი ქალიშვილის—ბასკას ძალუმმა საშომ. პაპამ სალოკი თითი გაუწოდა არკადის, ისიც მოებღაუჭა, ღერძსავით ჩამოეპოწიალა და გაქან-გამოქანდა.

— შენცა ხარ, რალა... — უთხრა შვილიშვილს ფროიმმა და თავისი ერთადერთი თვალი მიაშტერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთან მივიდა წარბაფუჩფუჩებული დედაბერი, რომელსაც მამაკაცის დაგლეჯილი შტიბლეტები ეცვა.

— ფროიმ, — წარმოთქვა ბებრუხანამ, — მე მითქვამს, რომ ამ ხალხს სისხლი არა აქვს. არა აქვთ სიტყვა... ცოფიან კატებსავით გვხოცავენ, სიკვდილის წინ ხმას არ გვაღებინებენ... ეგენი ჯბილებით უნდა დატკვირო, მაგ ძაღლებს ღვიძლი უნდა ამოარიდო... ეჰ, შენ დუმხარ, ფროიმ, — განაგრძო მიშა იაბლოჩკომ, — ბიჭები კი შენს სიტყვას ვუცდით...

მიშა წამოდგა. კალათას მკლავი მოუნაცვლა, ყორანა წარბი აზიდა და გზას გაუყვა. მოედანზე, ეკლესიასთან, ნაწნავებიან სამ გოგონას ერთმანეთისათვის წელზე ხელები მოეხვიათ და დასეირნობდნენ.

— გოგუცუნებო, — მიეალერსა მათ მიშა იაბლოჩკო, — თქვენი საკადრისით რომ ვერაფერით გაგიმასპინძლდებით?... — მიშამ გოგოებს ჯიბეებში ჭიქით მზესუმზირა ჩაუპნია და ეკლესიის უკან გაუჩინარდა.

ეზოში მარტოსულად დარჩენილმა ფროიმ გრაჩმა სივრცეს მძიმედ გაუშტერა თავისი ერთადერთი თვალი. იგი უძრავად იჯდა, ნაალაფარი ჯორები თავლაში თივას ახრაშუნებდნენ, ეზოში ნაპატიები ჭაკები და კვიცები დაბალახობდნენ. წაბლის ჩრდილში მეღროგეები კარტს ჩასჯდომოდნენ და დროდადრო სასმელს ეძაბრებოდნენ. ქარმა ზედიზედ ხურვილით შეასუნთქა შეთეთრებულ კედლებს, ეზოში ცისფრად გასავათებული მზე იღვრებოდა. ფროიმი წამოდგა და გარეთ გამოვიდა. პროხოროვსკის ქუჩის სამზარეულოები ზეცას კვამლის გასაცოდავებულ ფთილებს აფუტებდნენ. ფროიმმა გადაჭრა საძველმანო ბაზარი, სადაც ხალხი ტანზეშემოხვეული ფარდებით ვაჭრობდა, ეკატერინეს ძეგლთან ჩაუხვია და ჩეკას შენობაში შეალაჯა.

— ფროიმი ვარ, — უთხრა კომენდანტს, — უფროსთან მიმიშვი.

ჩეკას თავმჯდომარედ იმ ხანებში მოსკოველი ვლადისლავ სიმენი იყო. მან გამომძიებელ ბოროვიოს უხმო, რათა ფროიმის ასავალ-დასავალი გამოეკითხა.

— უბედური ჰყავს გამჩენს, — უპასუხა ბოროვიმ, — მთელი ოდესა ხელში უჭირავს...

კომენდანტმა კაბინეტში შემოიყვანა უშველებელი მწითური მოხუცი. ცალთვალა და ყბანაიარევი.

— უფროსო, — თქვა შემოსვლისთანავე მან, — ვისზე ნადირობ, თუ იცი? არწივებზე. საქმეს ვილასთან დაიჭერ, უფროსო, ჩეჩმასთან?

სიმენმა ხელი უჯრისაკენ გააპარა.

— ცარიელ-ტარიელი ვარ, — ხელები გაშალა ფროიმმა, — ხელში არაფერი მაქვს. არც ჩექმის ყელში მიდევს რამე, კართანაც არავინ დამიტოვებია... ჩემი ბიჭები გამოუშვი, უფროსო, შენი ფასი თქვი...

მოხუცი სავარძელში ჩასვეს, კონიაკი მოართვეს. ბოროვიი კაბინეტიდან გამოვიდა და მოსკოვიდან ჩამოსული გამომძიებლები და კომისრები შეკრიბა.

— ერთ ტიპს გიჩვენებთ, — უთხრა მათ, — მთელი ეპოპეაა. მეორეს ეგეთს ვერ ნახავთ...

და ბოროვიი მოუყვა მათ, რომ ბენია კრიკი კი არა, ცალთვალა ფროიმი გახლდათ ორმოცი ათასი ოდესელი ქურდის ნამდვილი თავკაცი. მისი კვალი შენიღბული იყო, მაგრამ ყველაფერი — ფაბრიკების და ბანკების გატეხვა, მოხალისეთა და მოკავშირეთა ჯარებზე დაცემა — ამ ბებრის გეგმით ხდებოდა. ბოროვიი მოხუცს დაელოდა, მასთან მუსაიფი ეწყადა. ფროიმი არ ჩანდა. გამომძიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელს ლოდინი მოსწყინდა და მის ძებნას შეუდგა. მთელი შენობა დაიარა, ბოლოს „სიკვდილის ჭიშკარშიც“ შეიჭვრიტა. კედელთან ბრეზენტწაფარებული ფროიმ გრაჩი ეგდო, თავზე ორი წითელარმიელი ადგა და ქალალდში გახვეულ თუთუნს ექაჩებოდნენ.

— ნალდი დათვია. — უთხრა ბოროვოის ხნიერმა წითელარმიელმა,— რა ჯანი ჰქონია ამ უპატრონოს... ამისთანა ბებერი თუ არ მოკალი, თავისით მისდღემჩი არ მოკვდება. გულბოყვში ათი ვაზნა ეჯდა, მაინც კინალამ დაგვტორა...

წითელარმიელს პირისახე აუჭარხალდა, თვალები ულაპლაპებდა, კაკარდიანი ქუდი გვერდზე მოექცა.

— აჩმახებ შენაც. — შეაწყვეტინა მეორემ, — მოკვდა და მოკვდა, როგორც სხვები, იგრე ესეც...

— რას ჰქვია სხვები, — იყვირა უფროსმა, — ზოგი იცრემლება, მუხლებზე ფორთხიალობს, ზოგს კი კრინტს ვერ დააძვრევინებ... რას ჰქვია სხვები...

— ჩემთვის ყველა ერთნაირია,— ჯიუტად გაიმეორა ახალგაზრდა წითელარმიელმა,—მაგათ ვარჩევ სწორედ!..

ბოროვოი დაიხარა და გვამს ბრეზენტი წამოხადა. მოხუცის სახეს მოძრაობის ნაკვალევი შერჩენოდა.

გამომძიებელი თავის ოთახში დაბრუნდა, ატლასშემოკრულ მომრგვალო დარბაზში. იქ შეკრება მიმდინარეობდა საქმეთა წარმოების ახალ წესებზე. ვლადისლავ სიმენი ლაპარაკობდა უწიგნურად შედგენილ განაჩენებსა და ძიების ოქმებზე, იმ უწესრიგობაზე, რაც მას ადგილზე დახვდა. სიმენი მოითხოვდა, რომ გამომძიებლები ჯგუფებად დაყოფილიყვნენ, იურისკონსულტებთან მომზადებულიყვნენ და საქმეები მოსკოვის მთავარი სამმართველოს მიერ დამტკიცებული ნიმუშების მიხედვით წარემართათ.

ბოროვოი თავის კუთხეში იჯდა და უსმენდა. იგი განცალკევებით იჯდა. სხვებისაგან მოშორებით. კრების შემდეგ სიმენი მასთან მივიდა და ხელი მოჰკიდა.

— გატყობ, ჩემზე დაიბოღმე, — უთხრა მან, — მაგრამ ნუ დაივიწყებ, საშა, რომ ჩვენ ხელისუფლება ვართ, სახელმწიფო ხელისუფლება...

— თქვენზე არ დავბოღმილვარ, — პირი მოარიდა ბოროვოიმ, — თქვენ ოდესელი არა ხართ... იმ ბებერთან ბევრი რამ იყო დაკავშირებული; თქვენ ამას ვერ გამიგებთ...

ისინი გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ, თავმჯდომარე, ვისაც ოცდახუთიც კი არ შესრულებოდა, და მისი ხელქვეითი. სიმენს ბოროვოის მარჯვენა ეჭირა და ხელს უჭერდა.

— მიპასუხე, როგორც ჩეკისტმა, — დაარღვია დუმილი სიმენმა, — მიპასუხე, როგორც რევოლუციონერმა, განა საჭირო იყო ის კაცი მომავალი საზოგადოებისათვის?

— რა ვიცი, — მზერაგაყინული ბოროვოი გაუნძრევლად იჯდა, — ალბათ არ იყო საჭირო...

მან თავს ძალა დაატანა და მოგონებებიდან გამოერკვა. შემდეგ გუნებაგამოკეთებულმა ბოროვოიმ მოსკოვიდან ჩამოსულ ჩეკისტებს კვლავ მოუთხრო ფროიმ გრაჩის—ამ დაუნდობელი, მოუხელთებელი კაცის თავგადასავალი, მოუყვა მის საოცარ ამბებს, უკვე წარსულს რომ ჩაბარდნენ.

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეიმზ ჯოისი

ულისე

ინგლისურიდან თარგმნა

წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ნიკო ყიასაშვილმა

●

„კალიფსოს" ეპიზოდს „ულისეში" (იხ. „საუნჯე" № 1, 1976) მოსდევს „ლოტოფაგები", რომელიც კვლავ ლეოპოლდ ბლუმის ერთდღიანი ოდისეას გაგრძელებაა.

ბლუმის ეპიზოდებიც თანდათან ისევე იტვირთება რთული ასოციაციებითა და ცნობიერების ნაკადის სხვა ატრიბუტებით, როგორც ეს საექსპოზიციო ნაწილებში დავინახეთ (სტივენ დედალოსის პირველი სამი ეპიზოდი. იხ. „ხომლი", № 6, 1971). რთული ასოციაციები, უამრავი ისტორიული რეალია, ლიტერატურული თუ მუსიკალური ალუზიები შესატყვისად მეტ კომენტარს მოითხოვს. კომენტარების სიუხვე კი თავის მხრივ ტვირთავს, ამძიმებს ტექსტს. ბუნებრივად დაისმის კითხვა: რა ჯობია, უკომენტაროდ წაიკითხო ჯოისი და დაგრჩეს მხოლოდ ის, რისი მოტანაც შეუძლია მას დღევანდელი არაინგლისურენოვანი მკითხველისათვის, თუ გაიშიფროს, აიხსნას ის, რაც „ულისეს" ისტორიულ-კულტურულ ფონს შეადგენს, რაზეც აიგო ეს რომანი, რაც დიდწილად აპირობებს მისი მხატვრული ფუნქციის გაგებასაც. მთარგმნელმა თავიდანვე ეს მეორე გზა აირჩია, რადგან ქართველ მკითხველს არც ქართულად და არც რუსულად არ გააჩნია ის დიდძალი კრიტიკულ-ინფორმაციული ლიტერატურა, რომელიც ჯოისის ირგვლივ არსებობს და რომელშიც „ულისეს" კითხვისას ხშირად იხედება თვით ყველა განათლებული ინგლისელი ლიტერატორიც კი.

ამ მეხუთე ეპიზოდშიც („ლოტოფაგები"), როგორც ყოველთვის, ჰომეროსის ანალოგია მეტად პირობითია: ჯოისი იყენებს მხოლოდ ერთ მოტივს „ოდისეადან", კერძოდ, ოდისევსისა და მის თანამგზავრთა ჩასვლას „ბალახიჭამია ლოტოფაგების ქვეყანაში" (იხ. „ოდისეა", თარგ. ზ. კიკნაძისა და თ. ჩხენკელის, „ნაკადული", 1975, გვ. 141-142). ჰომეროსის ლოტოფაგები მოგზაურებს თავაზობენ ლოტოსს და ვინც მას შეჭამს, ყველაფერი ავიწყდება და შინ დაბრუნების სურვილი ეკარგება.

ამით იწყება და ამითვე მთავრდება ანალოგია. არსებითად ბლუმსა და ოდისევსს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. თვით სიუჟეტური ანალოგიაც კი ბოლომდე არ არის მიყვანილი: ოდისევსი დაძლევს ცდუნებას და არ მიეკარება ლოტოსს, ბლუმი კი ამ ეპიზოდში სწორედ ჰომეროსისეული „ლოტოსის" ნარკოტიკული ეფექტის ზეგავლენას განიცდის. ამას გარდა, ოდისევსი გამუდმებით იტანჯება შინ, პენელოპესთან დაბრუნების სურვილით, ბლუმი კი შინიდან მიდის სწორედ მაშინ, როცა იცის, რომ მის ცოლს საყვარელი უნდა ესტუმროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰომეროსის პოემაში ლოტოსი გაუბზარავი ბუნების, მთლიანი, ძლიერი ადამიანის საცდუნებლად მოგონილი მახეა, ჯოისის პაროდიულ წარმოსახვაში კი სწორედ ადამიანის შინაგანი პათოსია მოდუნებული, სწორედ ბლუმის მიზანსწრაფვაა გაუფასურებული — ადამიანური ყოფის, მისი ამქვეყნიური არსებობის არარაობის შეგრძნების გამო.

ამავე დროს, როგორც ეს წინა ეპიზოდის მიმართაც აღინიშნა (იხ. „საუნჯე", № 1, 1976), ბლუმის „წვრილფეხობა" თანაარსებობს ადამიანურ სითბოსთან, ბუნდოვან სურვილთან, ახლოს იყოს სხვა ადამიანთან, იპოვოს სულიერი შვილი, უპატრონოს, მოუაროს, გაათბოს იგი, ე. ი. მონახოს აზრი ადამიანური არსებობისა, რაღაცნაირი ასპარეზი მოუძებნოს ღრმად ჩამარხულ ჰუმანიზმს. ეს არის ჯოისის ძალა, ეს აძლევს მას უფლებას დამკვიდრდეს დიდ ლიტერატურაში. მეორეს მხრივ სწორედ ამ ჰუმანისტური საწყისის ღრმად „ჩამარხულობა", იმის შეუძლებლობა, რომ იგი დიდ, მასშტაბურ, ჰეროიკულ, პათეტურ ხასიათში და მოქმედებაში გამომჟღავნდეს თუ გაიშალოს — წარმოადგენს მოდერნისტული ხელოვნების საერთოდ და კერძოდ ჯოისის „ულისეს" პესიმისტური თვალთახედვის საფუძველსაც.

ეპიზოდის უკანასკნელი სიტყვაა „ყვავილი". მასში თავს იყრის ჯოისისეული „ლოტოფაგების" ყველა მინიშნება თუ სიმბოლო. ყვავილი, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ლეოპოლდ ბლუმის „სინონიმია" („ბლუმ" ინგლისურად ყვავილს ნიშნავს, ლეოპოლდის მამა-პაპათა გვარი უნგრეთში ყვავილს ნიშნავდა, მისი ფსევდონიმიც „ფლაუერ" — ყვავილია.). ამავე დროს ამ ეპიზოდის ანალოგიაც ჰომეროსთან სწორედ „ყვავილის" (მცენარის) მეშვეობით ხორციელდება (ბლუმი — ფლაუერი — ყვავილი — ლოტოსი).

ჰომეროსისეული „ლოტოსის ეფექტი" (დავიწყება, ნებისყოფის მოდუნება) ამ მეხუთე ეპიზოდში ერთის მხრივ თხრობის „მეთოდით" ან „ტექნიკით" გამოიხატება, რასაც ჯოისმა ნარციზმი უწოდა, ხოლო მეორეს მხრივ რამდენიმე ძირითადი სიმბოლოსა თუ განზოგადოებული დეტალის გამოკვეთით.

სენდიმაუნტის სანაპიროზე ფიქრებში წასული სტივენის მსგავსად (მესამე ეპიზოდი — „პროტეოსი") ბლუმიც თვითდაკვირვების თავისებურ ექსტაზშია ჩავარდნილი. ნარციზმი ჯოისის რომანის კონტექსტში მორალურ, ფსიქოლოგიურ და მითიურ პლანებში წარმოიდგინება (მორალურად ნარციზმი ქედმაღლობას გულისხმობს, ფსიქოლოგიურად ინფანტილიზმსა თუ შეგალომანიას, მითიურ პლანში კი — სიკვდილს) და ეს ყველაფერი ოსტატურად არის კონდენსირებულად თავმოყრილი საკუთრივ „ნარცისულ" მოტივში (ბლუმის აბაზანაში წოლისა და თავისი სხეულის ხილვით ტკბობის სურათი). „ლოტოსის ეფექტს" ემსახურება ეპიზოდში ბოტანიკისა და ქიმიის სფეროდან ამოგლეჯილი ცოდნის კუნძულები, რაც ბლუმს დიდი ინტელექტუალური განცხრომის საშუალებას აძლევს: ბლუმმა იცის „ყვავილების ენა" (რომელი ყვავილი რისი სიმბოლოა, რისი მაუწყებელი), მისთვის შორეული აღმოსავლეთი „სათბურს" წარმოადგენს, იგი ხან არქიმედის კანონს იხსენებს და ხან კი თავისუფალი ვარდნის კანონს, ხოლო აფთიაქში დახვავებული მცენარეული თუ ქიმიური წამლები მას ნარკოზის მოვლენას აგონებს. დაბოლოს ჰომეროსისეული ლოტოსის გრძნეული თვისება ჯოისის „ლოტოფაგების" ძირითად სიმბოლოში — ზიარების რიტუალში მჟღავნდება: რელიგიური რიტუალი ადუნებს, აბრუებს, ატყუებს მორწმუნეს, ხოლო ლათინური კი მას საბოლოოდ ათაყვანებს.

მაგრამ ტაძარი, ზიარება მხოლოდ „ლოტოსის ეფექტისათვის" არ ჭირდება ჯოისს. რელიგიური მოტივი კვლავ „ულისეს" ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სიმბოლოს — ქრისტეს ამოატივტივებს: ყვავილთა შორის ყველაზე ხშირად ვარდი მოიხსენიება, ვარდს კი თორმეტფოთლოვანს ხატავდნენ ეკლესიის ვიტრაჟებზე, როგორც ქრისტესა და მისი თორმეტი მოციქულის გამოხატულებას. ბლუმის სხეული ეპიზოდის ბოლოს Corpus Christi-სავით არის ჩამბალი აბანოს აბაზანა-ბარძიმში და ზედ ზიარების წყალი გადასდის (აკი ბლუმს ეშლება კიდეც — ჰგონია, რომ ზიარების ნაწილები წყლიან ბარძიმში ყრია). დუბლინელი მეშჩანი-მოხელე, პაწია უმნიშვნელო ადამიანი იგივე ქრისტეა, სიკეთის ღმერთი, ნამდვილი ადამიანური სიკეთის და არა ყალბი საეკლესიო რიტუალის ღმერთი. იგი ამავე დროს პაროდიული მინიშნებაცაა უნივერსალური სიკეთის მთესველ მამაღმერთზე, თავის სულიერ შვილს რომ დაეძებს სტივენ დედალოსის სახით.

მაინც ყველაფერი ამაოა: თვითონ ბლუმიც მოდუნებულია, „ლოტოსნაჭამია", არანამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დვილია. მისი ურთიერთობა მართასთან პლატონური სიყვარულის პაროდიაა, მით უფრო, რომ მას უპირისპირდება მოლისა და ბოილენის „რეალური“ ურთიერთობა. ყველაფერი მთვარეულ ყოფაშია, ყველა დუბლინის ქუჩებში მოსიარულე ჯარისკაცებივით დასიცხული დაიარება.

და ეპიზოდის ბოლოში კვლავ პაროდიული აკორდი: „ყვავილის“ სიმბოლიკის გრძელი რიგი იმით მთავრდება, რომ იგი, როგორც სხეულის ნაწილის გამომხატველი მეტაფორა, ბლუმისა და მასთან ერთად მთელი დუბლინის, მთელი ირლანდიის ფიზიკურ და სულიერ იმპოტენციას მიანიშნებს.

•

ალერ ჯონ როჯერსონის სანაპიროთი ბატონი ბლუმი მიდიოდა დინჯად, ჩაუარა სატვირთო მანქანებს, უინდმილ ლეინს, ლისკის ზეთის სახდელ ქარხანას, ფოსტა-ტელეგრაფს. შეეძლო ეს მისამართიც მიეცა[1]. მეზღვაურთა თავშესაფარსაც გასცდა. სანაპიროს ღილის აურზაურს თავი აარიდა და ლაიმ სტრიტით წავიდა. ბრედის კოტეჯებთან დაბახანის ქარგალი უსაქმოდ იდგა, ნარჩენების ვედრო ჯაჭვით ეჭირა და დაღეჭილი სიგარეტის ნამწვავს ქაჩავდა. უფრო პატარა გოგო კი შესცქეროდა, შუბლი ეგზემით ჰქონდა დაფუფხული და ხელში უხალისოდ ეჭირა კასრის დაბრეცილი სალტე. უთხარი, თუ მოსწევს, აღარ გაიზრდება. ეჰ, მოსწიოს, ცხოვრება იავარდით არა აქვს მოფენილი, ლუდხანებთან ატუზული დგას, რომ მა შინ წაიყვანოს. წამო სახლში დესთან, მა. ამ დროს ნაკლები მოძრაობაა: ცოტა ხალხი იქნება. ტაუნსენდის ქუჩისაკენ გაუხვია, ბეთილის პირქუშ ფასადს ჩაუარა. ილი, დიახ: ღვთისა: ალეფ, ბეთ[2]. ნიკოლზის დამკრძალავ ბიუროსაც ჩაუარა. თერთმეტ საათზეა. საკმაო დროა. მე მგონი, კორნი კელეჰერმა ო'ნილი გააცურა. თვალებდაწუჭული მღერის. კორნი. ერთხელ შეხვდა პარკში ლამით. რა მოხდება ამით[3]. პოლიციის ჯაშუში. მაშინ დაფქვა თავისი გვარი და მისამართი ჩემი ტრულაილათი. ნამდვილად გააცურა. იაფად ჩაფალით, რაშიც უნდა იყოს. ჩემი ტრულაილათი, ტრულა-ილა-ილათი.

უესტლენდ როუზე „ბელფასტის და აღმოსავლური ჩაის კომპანიის“ ვიტრინასთან შეჩერდა და ცინკის ქალალდის პარკებზე იარლიყები წაიკითხა: რჩეული თაიგული, უმაღლესი ხარისხი, საოჯახო ჩაი. საკმაოდ თბილა. ჩაი. ტომ

---

[1] ბლუმი მიდის აბანოში, თან გზად ფოსტაში აპირებს შევლას, რათა ცოლის უჩუმრად წერილი მიიღოს. ახლა გაიფიქრა — შემეძლო ამ უფრო ახლოს მდებარე ფოსტის მისამართი მიმეცაო. მისი მარშრუტი ერთობ რთულია: ჯოისი ჩვეული გულმოდგინებით იცავს სიზუსტეს დუბლინის ქუჩებისა და შენობების დასახელებისას, რაც საშუალებას იძლევა ზედმიწევნით ზუსტად დადგინდეს — რა გზით უახლოვდება ბლუმი აბანოს. მთელი ეს დატეხილი მარშრუტი დუბლინის რუკაზე გრაფიკულად ორი კითხვის ნიშნით გამოისახება.

[2] ბეთილი—იერუსალიმთან ახლოს მდებარე წმიდა ადგილი. ებრაულად „ბეთ“ — „სახლი“, „ილი“ — „ღვთისა“. „ალეფ“, „ბეთ“ — ებრაული ანბანის პირველი ორი ასოა. ბლუმი ჩაუვლის ბეთილის „სულის ხსნის ლაშქრის“ შენობას ლომბარდის ქუჩაზე.

[3] რომელიღაც სიმღერის სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კერნანს[1] უნდა გამოვართვა. დასაფლავებაზე ვერ ვთხოვ, თუმცა. სანამ მისი თვალები დინჯად განაგრძობდნენ კითხვას, ქუდი მოიხადა, მშვიდად შეისუნთქა ბრიოლინის სუნი და მარჯვენა ხელი ნელი მოძრაობით გადაისვა წარბსა და თმაზე. ცხელი დილაა. დაშვებული ქუთუთოების ქვემოდან მისმა თვალებმა ქუდში პატარა მოკეცილი ტყავი მონახეს. უმაღლესი ხარისხის ქუდ[2]. აქ არის. მარჯვენა ხელი ქუდში ჩაეშვა. თითებმა უცებ მოძებნეს ბარათი ტყავის ქობის ქვეშ და ჟილეტის ჯიბეში გადაიტანეს[3].

როგორ თბილა. მისმა მარჯვენა ხელმა კიდევ ერთხელ უფრო ნელა გაიმეორა მოძრაობა: რჩეული თაიგული, უმაღლესი ხარისხის ცეილონის ჩაისაგან. შორეული აღმოსავლეთი. შესანიშნავი ადგილია ალბათ: მსოფლიოს ბაღი, დიდი ზანტი ფოთლები, ზედ რომ შეგიძლია იცურო, კაკტუსები, ყვავილოვანი მდელოები, გველოვან ლიანებს რომ უხმობენ. ნეტავი თუ მართლა ასეა. ეს სინგალელები მზეზე ყრიან dolce far niente-ში[4]. მთელი დღე ხელსაც არ გაანძრევენ. წელიწადში ექვსი თვე სძინავთ. საჩხუბრად ნამეტანი ცხელა. ჰავის ზეგავლენა. საღათას ძილი. უსაქმურობის ყვავილები[5]. ჰაერი ყველაზე მარგებელია. აზოტი. სათბური ბოტანიკურ ბაღში. მგრძნობიარე მცენარეები[6]. წყლის შროშანები. დაქანცული ფოთლები. მთვლემარე უძლურება ჰაერში. იარე ვარდის ფურცლებზე. წარმოიდგინე, რომ ცდილობ ჯიგარი და ძროხის თავ-ფეხის ლაბა შეჭამო. სად არის ის ყმაწვილი, იმ სურათში რომ მოვკარი თვალი? აჰ, მკვდარ ზღვაში, ზურგზე მოცურავე, წიგნს კითხულობს ქოლგაგაშლილი. ვერ ჩაძირავდი, რომ გეცადა: ისეა მარილით გაჯერებული. იმიტომ, რომ წყლის წონა. არა, წონა წყალში უდრის წონას... თუ მოცულობაა, რომ უდრის წონას? რაღაც ამის მაგვარი კანონია. ვენსი სკოლაში გვასწავლიდა, თითების ტკაცატკუცით. კოლეჯის კურიკულუმი. მოტკაცუნე კურიკულუმი, წონა რაღაა, როცა ამბობ, წონაო? ოცდათორმეტი ფუტი წამში, ერთ წამში. ვარდნილი სხეულების კანონი: ერთ წამში, ერთ წამში. ყველა მიწაზე ვარდება. დედამიწა. სწორედ დედამიწის მიზიდულობის ძალაა წონა[7].

მიბრუნდა და ზანტად გადაჭრა ქუჩა. ის გოგო როგორ მიდიოდა ძეხვებით? აი, რაღაცნაირად. სიარულში გვერდითა ჯიბიდან დაკეცილი „ფრიმენი“

---

1 ტომ კერნანი ერთ-ერთი ანგლო-ირლანდიური კომპანიის აგენტია. „ულისეს“ გარდა ჯოისს გამოყვანილი ჰყავს „დუბლინელებშიც“ (მოთხ. „ღვთის წყალობა“).

2 როგორც ჩანს, ქუდის ეტიკეტი გაცრეცილია.

3 ჯოისის ჩვეული ხერხი: იგი პერსონაჟის თვალების, ხელებისა თუ თითების მოძრაობას ისე აღწერს, თითქოს მათ ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი „არსებობა“ გააჩნდეთ. ამით მიღწეულია გარეგნულად სტატიკური, მშვიდი, ობიექტური, ნატურალისტური სურათის ეფექტი, რაც თავის მხრივ გამოხატავს ბლუმის მექანიკურ მოძრაობას (არსებობას!). მის სომნაბულურ მდგომარეობას ამ ეპიზოდში.

4 „ნეტარ არაფერში“ (იტალ.). სინგალელები — ცეილონის მკვიდრნი.

5 ბაირონს ახალგაზრდობაში დაწერილი აქვს ლექსების კრებული „უსაქმურობის საათები“.

6 პერსი ბიში შელის აქვს ლექსი „მგრძნობიარე მცენარე“.

7 ბლუმისათვის დამახასიათებელი ფსევდო-მეცნიერული მსჯელობის ნიმუში. თუ განათლებული ინტელიგენტი სტივენ დედალუსი თავის მედიტაციებში არისტოტელეს, შექსპირს თუ ლესინგს იხსენებს, ლეოპოლდ ბლუმს ძლივს ყოფნის საშუალო სკოლაში და პოპულარული პრესიდან მიღებული ერუდიცია. მაგალითად, ბლუმმა პოპულარული სამეცნიერო ლიტერატურიდან იცის, რომ მკვდარი ზღვის წყალი მართლაც მარილების მაღალ პროცენტს შეიცავს და მის ზედაპირზე ადამიანის სხეული თავისუფლად ტივტივებს. (მის ფიქრებში გაელვებული „კურიკულუმი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს „მოსამზადებელ კურსს“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოიღო, გადაშალა, გრძლად დაგრაგნა და ყოველ ზანტ ნაბიჯზე შარვლის ტოტზე იცემდა. ვითომც არაფერი: უბრალოდ შემოვიარე გასაგებად. ერთ წამში, ერთ წამში. ერთ წამში ნიშნავს ყოველ წამში. ტროტუარიდან ფოსტის კარს მახვილი მზერა სტყორცნა. ყუთი დაგვიანებული ფოსტისთვის. აქ ჩააგდეთ. არავინაა. მიდი.

სადარბაზო ბარათი გაიწოდა სპილენძის ცხაურაში.

— წერილი ხომ არაფერია ჩემთვის? იკითხა.

სანამ ფოსტის მოხელე ქალი წერილების ყუთს სინჯავდა, ბლუმი ჯარში გაწვევის პლაკატს უყურებდა, ზედ ჯარის ყველა სახეობის პარადი რომ იყო გამოსახული. თან გრაგნილის წვერი ცხვირთან მიეტანა და ახლად ნაბეჭდ ქალალდს ყნოსავდა. ალბათ პასუხი არ არის. იმ დღეს ნამეტანი შევტოპე. ფოსტის მოხელემ ცხაურიდან ბარათი და წერილი მოაწოდა. ბატონმა ბლუმმა მადლობა გადაუხადა და სწრაფად შეავლო თვალი კონვერტზე დაბეჭდილ მისამართს.

ჰენრი ფლაუერს [1], ესკვაირს.

მოკითხვამდე. უესტლენდ როუს საფოსტო განყოფილება.

აქვე.

მაინც მიპასუხა. ბარათი და წერილი გვერდითა ჯიბეში ჩაიცურა, თან ქვლავ ჯარისკაცების პარადს ათვალიერებდა. სად არის ბებერი ტუიდის რაზმი? გადამდგარი ჯარისკაცი. აგერ: დათვის ბეწვის ქუდი და მოსართავი ბუმბული. არა, გრენადერია. აწკეპილი ყოშები. აგერ: დუბლინელი სამეფო რაზმის მსროლელი. წითელფარაჯიანები. მეტისმეტად მყვირალაა. ალბათ ქალები იმიტომ დასდევენ. ფორმა. ჯარში გაწვევასა და წრთვნას აადვილებს. მოდ გონის წერილი იმის თაობაზე, რომ მათ ღამით ო'კონორის ქუჩაზე გამოჩენა აეკრძალოთ: ჩვენი ირლანდიის დედაქალაქის სიცხვილი [2]. ართურ გრიფითის გაზეთი იმავე ხაზს ანვითარებს ახლა [3]: ვენერიული სნეულებისაგან დამპალი ჯარი: გამომთვრალი იმპერია. დასიცხულებს ჰგვანან: დამიზეზებულივით დადიან. წინ იყურე. ერთი-ორი, ერთი-ორი. ჭამე: ამე. ძილი: ილი. მისი სამეფო უდიდებულესობისა. ცეცხლფარეშად ან პოლიციელად გამოწყობილს ვერასოდეს ნახავ. მასონად კი [4].

ფოსტიდან ნელა გამოვიდა და მარჯვნივ გაუხვია. ლაყბობა: ვითომ საქმეს უშველიდა. ხელი ჯიბისაკენ წავიდა და საჩვენებელმა თითმა გზა გაიკვლია კონვერტის გადასაკეცთან. მიაწვა და ახია. ქალები ვითომ სიფრთხილეს არ აკლე-

---

[1] ფლაუერი ბლუმის მიერ მართასთან მიწერ-მოწერისათვის შერჩეული ფსევდონიმია. ინგლისურად სიტყვები „ბლუმ“ და „ფლაუერ“ ყვავილს ნიშნავს. ისიც ალსანიშნავია, რომ უნგრულად ყვავილი არის „ვირაგ“, ხოლო ბლუმის მამის ნამდვილი გვარი (ბლუმები წარმოშობით უნგრელი ებრაელები არიან) სწორედ ვირაგია. როგორც გვიან ირკვევა, ბლუმმა „ირლანდიურ დროებაში“ გამოაქვეყნა განცხადება: „გვესაჭიროება მოხდენილი მბეჭდავი ქალი, ჯენტლმენს ლიტერატურულ საქმიანობაში რომ მიეხმარება“. განცხადებას 44 ქალი გამოეხმაურა, რომელთაგან ბლუმმა მართა კლიფორდთან გამართა მიწერ-მოწერა.

[2] 1904 წლის მაისსა და ივნისში ირლანდიურ პრესაში მართლაც მსჯელობდნენ დუბლინის ქუჩებში ინგლისის ჯარის მოძრაობის შესახებ.

[3] გაზეთს ერქვა „ირლანდიელთა ერთობა“.

[4] იგულისხმება, რომ მეფე ედვარდ მეშვიდე (1901-10) ჯარის სხვადასხვა ნაწილების ფორმას იცვამდა ხოლმე, მაგრამ არასოდეს არ გამოწყობილა საპატიო მეხანძრედ ან პოლიციელად. გამეფებამდე 27 წლის მანძილზე იგი ინგლისელ ფრანკმასონთა ბელადი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ. არა მგონია. თითებმა წერილი გამოაძვრინეს და კონვერტი ჯიბეში დაკეცეს. რალაცაა ზედ მიმაგრებული: იქნებ ფოტოსურათი. თმა? არა.

მაკკოი. ჩქარა მოიშორე. ხელს შემიშლის. არ მიყვარს ხალხი, როცა.

— გაუმარჯოს ბლუმს. საით?

— გაგიმარჯოს, მაკკოი. კაცმა რომ თქვას, არსაით.

— როგორ გიკითხოთ?

— კარგად. თქვენ როგორ ბრძანდებით?

— ვარ რა, თქვა მაკკოიმ.

შავ ჰალსტუხს და კოსტუმს შეხედა და ჩუმი პატივისცემით იკითხა:

— რამე ხომ არ... იმედია, არაფერი შეგემთხვათ? ვხედავ, თქვენ...

— ო, არა, თქვა ბატონმა ბლუმმა. საბრალო დიგნემი, მოგეხსენებათ. დღეს ასაფლავებენ.

— აბა, აბა, საწყალი. დიახ, დიახ, რომელ საათზე?

ეს ფოტოსურათი არ არის. იქნებ სამკერდე ნიშანია.

— თე... თერთმეტზე, უპასუხა ბატონმა ბლუმმა.

— უნდა მოვასწრო მისვლა, თქვა მაკკოიმ. მაშ თერთმეტზე? მხოლოდ წუხელ გავიგე. ვინ მითხრა? ჰოლოჰენმა [1]. ხომ იცნობთ ჩოლახას?

— ვიცნობ.

ბატონმა ბლუმმა ქუჩის გასწვრივ გრინვენორის სახლთან მდგარ კაბრიოლეტს გახედა. შვეიცარმა ჩემოდანი საბარგულზე შემოსდო. ქალი გაუნძრევლად იდგა, ელოდა, სანამ კაცი, ქმარი, ძმა, ჰგავდა, ჯიბეებს მოიფხეკდა ხურდისათვის. მოხდენილი პალტო მრგვალი საყელოთი, თბილი, ასეთი დღისათვის, საბანს ჰგავს. დგას, ვითომ არაფერიაო, ზემოდან დაკერილ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი. იმ ამპარტავან არსებასავით პოლოს მატჩზე. ქალები მიუკარებლები არიან, სანამ არ მიეკარები. ლამაზი ქალი და კალთამადლიანი ქალი რას გაუყვიაო. თავს იკავებენ და მზად კი არიან, რომ ჩაბარდნენ. პატიოსანი ქალბატონი, და ბრუტუსი კი არის კაცი პატიოსანი [2]. ერთხელ დაიპყარ და ამპარტავნობაც გაუქრება.

— ბობ დორანთან [3] ერთად ვიყავი, ლოთობის მორიგი შემოტევა აქვს, და იმასთან, რა ჰქვია, ბენტემ ლაიონზთან [4]. კონუეის ლუდხანაში ვიყავით.

დორანი, ლაიონზი კონუეის ლუდხანაში. ქალმა ხელთათმანიანი ხელი თმასთან მიიტანა. შემოვიდა ჩოლახა. გადაკრულში. თავი უკან გადასწია და რიდესავით ჩამოფარებული ქუთუთოების ქვემოდან [5] დაინახა მზეზე აკრიალებული ლაიკის ყვითელი ხელთათმანები, ნაქარგი. დღეს მშვენივრად ვხედავ. იქნებ ნესტიანი ჰაერი ხელს უწყობს შორსმხედველობას. ლაპარაკი აქეთურ-ზე-იქითურზე. ქალბატონის ხელი. რა მხრიდან ავა?

— და მან თქვა: ეს რა დაემართა ჩვენს საბრალო მე-

---

[1] ჰოლოჰენი ჯოისს გამოყვანილი ჰყავს მოთხრობაში „დედა“ („დუბლინელები“).

[2] ანტონიუსის ცნობილი სიტყვები შექსპირის „იულიუს კეისრიდან“.

[3] ბობ დორანი გვხვდება მოთხრობაში „პანსიონი“ („დუბლინელები“).

[4] მოთხრობა „სუროს დღის“ გმირი („დუბლინელები“).

[5] დედოფალი გერტრუდი ჰამლეტს ეუბნება („ჰამლეტი“, მოქ. I, სურ. 2): „გამუდმებით ნუ დაეძებ მიწაში შენი რიდესავით ჩამოფარებული ქუთუთოებით კეთილშობილ მამაშენს“ (შექსპირის მთარგმნელები, მათ შორის მაჩაბელიც, ვერ ინარჩუნებენ რიდესავით ჩამოშვებული ქუთუთოების სახეს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობარ პედის! რომელ პედის? ვთქვი მე. საბრალო პედი დიგნემს, თქვა მან.

ქალაქგარეთ მიდიან: ბროუდსტონში ალბათ. მაღალყელიანი ყვითელი ფეხსაცმელები. ფოჩებიანი თასმები ჰკიდია. კაი ტან-ფეხი. ნეტავი მაგ ხურდას რას აკოდვილებს? დამინახა, რომ ვუყურებ. თვალი მუდამ სხვა კაცისკენ გაურბით. უკანდასახევად. შეიძლება გამოადგეს. მშვილდის სამარქაფო ისარი.

— რა რო? ვთქვი მე. რა დაემართა? ვთქვი მე.

ამაყი: მდიდარი: აბრეშუმის წინდები.

— დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა.

მაკკოის მოლაპარაკე პირისახისაგან ოდნავ განზე გაიწია. ჰა-ჰა და ავა.

— რა დაემართა? თქვა მან. მოკვდა, თქვა მან. თან აიღო და დაისხა. პედი დიგნემზე ბრძანებთ? ვთქვი მე. ვერც კი დავიჯერე, როცა გავიგე. ერთად ვიყავით „ცისარტყელაში“ აი ამ პარასკევს თუ ხუთშაბათს. დიახ, თქვა მან. გაგვშორდა. ორშაბათს მიიცვალა, საწყალი.

შეხედე! შეხედე! აბრეშუმი ელავს მდიდრული წინდები თეთრად. შეხედე! მძიმე ტრამვაი ზარის წკარუნით შუაში ჩამოუდგათ.

დაეკარგა. ჭირი შენს რახრახა მიჭყლეტილ ცხვირს. თითქოს გარეთ დასტოვესო. საძოთხე და ფერიები [1]. მუდამ ასე ხდება. სწორედ მაშინ. გოგო იუსტასის ქუჩაზე სადარბაზოში, მგონი, ორშაბათს, წვივსაკრავს ისწორებდა. მეგობარი ეფარებოდა, არ გამოჩნდესო. Spirit de corps[2]. აბა, რას მიშტერებიხარ?

— დიახ, დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა და ამოიოხრა. კიდევ ერთი წავიდა ჩვენგან.

— ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი, თქვა მაკკოიმ.

ტრამვაიმ გაიარა. ლუპ ლაინის ხიდისკენ წავიდნენ, ქალის მდიდრული ხელთათმნიანი ხელი ფოლადის სახელურზე. ციმციმი, ციმციმი: ქუდის ბაბთის ბოლოების გაელვება მზეზე: ციმციმი, ციმ.

— ცოლი ხომ კარგად? თქვა მაკკოის შეცვლილმა ხმამ.

— ო, დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა. შესანიშნავად, გმადლობთ.

დახვეული გაზეთი სასხვათაშორისოდ გახსნა და სასხვათაშორისოდ წაიკითხა:

ოჯახი რა ოჯახია,
ხორცი თუ არ აქვს მუდამ?
კონსერვი მაინც მოგქონდეს
პლამტრის დუქნიდან უნდა [3].

— ჩემს მეუღლეს სწორედ ახლა დაუდეს კონტრაქტი. თუმცა ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი.

ჩემოდანი წამოვა ისევ [4]. ვერაფერს დამაკლებს. მე არა, გმადლობთ.

---

[1] „სამოთხე და ფერიები“ ტომას მურის ცნობილი აღმოსავლური პოემის „ლალა რუკის“ მეორე ნაწილის სათაურია. არსებობს მისი რამდენიმე მუსიკალური დამუშავება (მათ შორის რობერტ შუმანისა).

[2] სოლიდარობის გრძნობა (ფრანგ.).

[3] პლამტრის საკონსერვო ფირმა მართლაც არსებობდა დუბლინში, თუმცა ასეთი რეკლამა „ფრიმენ ჯორნელში“ არ გამოქვეყნებულა.

[4] ბლუმი მაკკოის მიიჩნევს ავანტიურისტად, ჩემოდნებს რომ თხოულობს და უკან აღარ აბრუნებს ხოლმე (მოთხრობა „ღვთის წყალობა“ „დუბლინელებში“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონმა ბლუმმა დიდრონქუთუთოებიანი თვალები თავშეკავებული თავაზიანობით მიაპყრო.

— ჩემს ცოლსაც, თქვა მან. ოცდახუთში მღერის იმ საზეიმო საღამოზე ალსტერ ჰოლში, ბელფასტში.

— მართლა? თქვა მაკკოიმ. დიდად მოხარული ვარ. ვინ აწყობს?

ქალბატონი მერიონ ბლუმი. ჯერ არ ამდგარა. დედოფალი ლოგინს იწვა, მიირთმევდა პურს და [1]... უწიგნოდ. არავითარი წიგნი. ჭუჭყისაგან გაპოხილი ბანქოს ქაღალდი ეწყო მის თეძოსთან შვიდ-შვიდად. შავტუხა ქალბატონი და ქერა ვაჟი. კატის ბუმბულა შავი ბურთი. კონვერტის მოხეული ზოლი.

სიმღერა
ძველი
სატრფიალო,
ისმის სიმღერა ძველი [2]...

— ეს გასტროლივით არის, გამიგეთ? დაფიქრებით თქვა ბატონმა ბლუმმა. „სატრფიალო“. კომიტეტი შეიქმნა. წილი და მოგება.

მაკკოიმ თავი დაუქნია და ულვაშის ბოლო მოიწიწკნა.

— ო, თქვა მან. ეს კარგი ამბავია.

წასვლა დააპირა.

— ძალიან მიხარია, რომ კარგად გრძნობთ თავს, თქვა მან. შევხვდებით როგორმე ერთმანეთს.

— დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა.

— რა უნდა გითხრათ, თქვა მაკკოიმ. იქნებ ჩემი გვარი მოგეწერათ სიაში? მინდა დავესწრო დასაფლავებას, მაგრამ, იცით, იქნებ ვერ შევძლო. სანდიკოვში დამხრჩვალს ეძებენ და შესაძლოა მე და გამომძიებელს მოგვიხდეს წასვლა, თუ გვამი იპოვეს [3]. სადმე მოაწერეთ ჩემი გვარი, თუ ვერ მოვედი, კარგი?

— კი, ბატონო, თქვა ბლუმმა და წასვლა დააპირა. ყველაფერი რიგზე იქნება.

— ძალიან კარგი. თქვა მაკკოიმ და სახე გაუნათდა. დიდად გმადლობთ. უსათუოდ წამოვიდოდი, რომ შემეძლოს. კარგად მენახეთ. ს. პ. მაკკოი სავსებით იკმარებს.

— გაკეთდება, მტკიცედ უპასუხა ბატონმა ბლუმმა.

ამ ძველ ანკესზე ვერ წამომაგო. მოსინჯა. მეც მნახა რა არიფი. ვერ მივართვი. ჩემოდანი განსაკუთრებით მიყვარს. ტყავის. ხუფწამოცმული კუთხეებით, დამოქლონილი კიდეებით, სახელურიანი ორჯერადი საკეტით. ბობ კოულიმ თავისი ათხოვა კლოუს რეგატის კონცერტისათვის შარშან და ის ჩემოდანი დღესაც მოდის.

ბრანსუიკის ქუჩისკენ მიმავალმა ბატონმა ბლუმმა ჩაიღიმა. ჩემს მეუღლეს სწორედ ახლა დაუდეს კონტრაქტი. წრიპინა ჭორფლიანი სოპრანო. ყველის-

---

[1] ზემოთ ნახსენები საბავშვო ლექსის გაგრძელება.

[2] წინა ეპიზოდში ნახსენები პოპულარული სიმღერა „ძველი სატრფიალო“, რომელიც ბლუმის ცნობიერებაში მუდამ ადიულტერის გააზრების შედეგად ამოტივტივდება ხოლმე.

[3] „დუბლიხელების“ მიხედვით, მაკკოი ქალაქის პროკურატურაში მუშაობს და თან განცხადებებს აგროვებს გაზეთებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერქა ცხვირი. თავისებურად არა უშავს რა: პატარა ბალადების შესასრულებლად. პეწი აქვია. მე და შენ, არა რო? ერთ ბედს ქვეშა ვართო. მიძვრება. მოგშლის რა. განსხვავება არ ესმის დალოცვილს? მგონია, ასეთი რამეები იცის. მე კი **არ** მიყვარს. ვიფიქრე, ბელფასტი იმოქმედებს-მეთქი. იმედია, იქ ყვავილმა არ იმატა. არა მგონია, მეორედ რომ ააცრევინოს. თქვენი ცოლი და ჩემი ცოლი.

ნეტავი ხომ არ მითვალთვალებს?

ბატონი ბლუმი კუთხეში იდგა და მისი თვალები ათასფრად აჭრელებულ სარეკლამო სტენდს ათვალიერებდა. კენტრელ და კოკრინის ლიმონათი (არომატული). კლერის საზაფხულო ვაჭრობა. არა, პირდაპირ წავიდა. ოჰო. ამ საღამოს „ლია“ გადის [1]: ქალბატონი ბენდმენ პალმერი [2]. კიდევ ერთხელ ვნახავდი ამ როლში. გუშინ საღამოთი ჰამლეტს თამაშობდა. კაცების როლის შემსრულებელი. იქნებ სულაც ქალი იყო [3]. რატომ მოიკლა თავი ოფელიამ? საწყალი მამა როგორ ყვებოდა ხოლმე კეიტ ბეიტმენზე ამ როლში! [4] ადელფის თეატრის წინ ლონდონში მთელი დღე იდგა ხოლმე, რომ წარმოდგენაზე მოხვედრილიყო. ეს იყო ჩემს დაბადებამდე ერთი წლით ადრე: სამოცდა ხუთში. ანდა რისტორი ვენაში [5]. მოიცა, რა ჰქვია? მოზენთალისაა [6]. რაქილი, არა? არა [7]. მამა ყოველთვის იმ ადგილს იხსენებდა, ბებერი ბრმა აბრაამი ხმას რომ იცნობს და სახეზე თითებს დაადებს.

— ნათანის ხმა! მისი ვაჟის ხმა! ნათანის ხმა მესმის, ვინც ჩემს ხელში მწუხარებითა და ტანჯვით მომაკვდავი მამა მიატოვა, ვინც მამამისის სახლი მიატოვა და მამამისის ღმერთი მიატოვა.

ყოველი სიტყვა ისეთი ღრმააზროვანია, ლეოპოლდ.

საწყალი მამა! საწყალი კაცი! კიდევ კარგი, ოთახში არ შევედი და სახეზე არ დავხედე. რა დღე იყო! ო, ღმერთო! ო, ღმერთო! ფუ! ეჰ, ვინ იცის, იქნებ მისთვის უკეთესიც იყო.

---

[1] მეცხრამეტე საუკუნეში ამ სახელწოდების რამდენიმე პიესა დაიწერა. ბლუმი, როგორც ჩანს, გულისხმობს ამერიკელი დრამატურგის ოგუსტინ დეილის პიესას „ლია, ებრაელი ქალიშვილი“.

[2] თავისი დროისათვის კარგად ცნობილი მსახიობი ქალი, რომელმაც 1892 წელს პირველად შეასრულა ჰამლეტის როლი. სხვათა შორის იმავე პერიოდში იდგმებოდა „ლიაც“.

[3] ედვარდ ვაინინგმა 1881 წ. ფილადელფიაში გამოსცა წიგნი „ჰამლეტის საიდუმლო“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ჰამლეტი იყო კაცად გადაცმული ქალი (ეს „ჰიპოთეზა“ შემდგომ აიტაცეს ფროიდისტებმა).

[4] კეიტ ბეიტმენი (1842-1917) — ცნობილი ანგლო-ამერიკელი მსახიობი, რომელმაც სახელი გაითქვა ლიას, ჯულიეტას, ლედი მაკბეთისა და მედეას როლების შესრულებით.

[5] ადელაიდა რისტორი (მარკიზა კაპრანიკა დელ გრილო, 1821-1906) — ცნობილი იტალიელი მსახიობი, რომელსაც მოზენთალის „დებორაშიც“ უთამაშნია.

[6] სოლომონ ჰერმან ფონ მოზენთალი (1821—77)—გერმანელი დრამატურგი, რომანისტი და ლიბრეტისტი. მისი „დებორა“ მეტად პოპულარული პიესა იყო და მისი რამდენიმე ინგლისური გადაკეთებაც არსებობდა (ერთ-ერთი მათგანი იყო სწორედ ოგუსტინ დეილის „ლია“).

[7] ბლუმი ცდილობს გაიხსენოს მოზენთალის „დებორა“. რაქილის სახელი მას ორი ასოციაციით ახსენდება: ჯერ ერთი, რაქილი არის ლიას და (იხ. შესაქმე, 29, 16: „ხოლო ლაბანისნი იყუნეს ასულნი ორნი, სახელი უფროსისა ლია ,და სახელი უმრწემესისა, რაქილ“), ხოლო მეორეც, „რაქილის“ ფრანგული ფორმა „რაშელ“ აგონებს ბლუმს ცნობილ ფრანგ მსახიობს რაშელს (ელიზა ფელიქსი, 1821-58), რომელსაც მაშინდელი პრესა რისტორისა და ბეიტმენის გვერდით იხსენიებდა.

ბატონმა ბლუმმა კუთხეში შეუხვია და ეტლების სადგომთან თავჩაქინდრულ ჯაგლაგებს ჩაუარა. აღარ ღირს ამაზე ფიქრი. საჭმლის მიცემის დროა. ნეტავი იმ მაკკოის კი არ გადავყროდი.

მიუახლოვდა და ოქროსფერი შვრიის ხრაშუნი გაიგონა, ნელი წკლაპუნი. მათი დიდრონი ირმის თვალები შეჰყურებდნენ, სანამ ცხენის სასიამოვნო შარდიანი შვრიის სიმყრალეში ჩაივლიდა. მათი ელდორადო[1]. საბრალო სულელები! ყველაფერი ფეხებზე ჰკიდიათ ტომარაში გრძელცხვირებ ჩარგულებს. ლაპარაკისათვის არა სცალიათ. საჭმელი და თავშესაფარი მაინც აქვთ. დაკოდილებიც არიან: ფეხებს შუა შავი გუდაპერჩის ნაგლეჯი უქანავებთ[2]. ასეც ბედნიერებად გრძნობენ ალბათ თავს. კეთილ საბრალო არსებებს ჰგვანან. მათი ჭიხვინი მაინც შემაწუხებელია ხოლმე.

ჯიბიდან წერილი ამოიღო და გაზეთში ჩასდო. აქ შეიძლება შეეჩეხოს. შესახვევი უფრო საიმედოა.

მეეტლეთა თავშესაფარს ჩაუარა[3]. საოცარი მოხეტიალე ცხოვრება აქვთ ამ მეეტლებს, ყოველგვარ ამინდში, ყველგან, დაქირავებულნი მთელი დღითა თუ მხოლოდ ერთ ადგილას მისასვლელად, არავითარი საკუთარი ნება. Voglio e non[4]. სიგარეტის მიწოდება მიყვარს ხოლმე. გულია ხალხია. ჩავლისას ერთმანეთთან წახუმრება იციან. ჩაიღიღინა:

La ci darem la mano
La la lala la la.

კამბერლენის ქუჩაზე გაუხვია, რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და სადგურის კედელთან ჩარდახის ქვეშ შეჩერდა. არავინაა. მიიდის ხე-ტყის საწყობი. ერთმანეთზე დაწყობილი მორები. ნანგრევები და გასაქირავებელი სახლები. ფრთხილი ნაბიჯით გადაიარა კლასებად დახაზული ეზო მიტოვებული სალკით. უშეცდომოდ[5]. ხე-ტყის საწყობთან სათამაშოდ ჩაცუცქული ბავშვი, მარტო, თითით აგორებდა შუშის ბურთულებს. ბრძენი ჭრელი კატა, თვალებხამხამა სფინქსი, თავისი თბილი დირედან იცქირება. აფსუს, ხელს ვუშლი. მუჰამედმა წამოსასხამის კალთა მოიჭრა, კატა რომ არ გაეღვიძებინა[6]. გახსენი. ერთ დროს მეც ვთამაშობდი ამ ბურთულებით, როცა იმ ბებრუხანას სკოლაში დავდიოდი. რეზედა უყვარდა. სკოლა ქალბატონი ელისისა. და ბატონი?.. წერილი გაზეთშივე გახსნა.

ყვავილი. ეს მგონი... ყვითელი ყვავილი გაბრტყელებული ფოთლებით. ესე იგი, არ გაჯავრებულა? რას იწერება?

---

1 სამხრეთ ამერიკის ზღაპრული განძის ქალაქი, ესპანელები რომ დაეძებდნენ. ამასთან „ელდორადო“ ნიშნავს „მოოქროულს“, რაც ტექსტში ეხმიანება „ოქროსფერი შვრიის ხრაშუნს“.

2 უნაყოფობა, სქესობრივი იმპოტენცია ჯოისის „ლოტოფაგების“ ერთ-ერთი დაფარული, მაგრამ ამავე დროს ძირითადი მოტივია: ყველა და ყველაფერი მოდუნებულია, აქტივობის, ქმედების, ნაყოფიერების უნარს მოკლებული.

3 „ეტლების სადგომი“, „მეეტლეთა თავშესაფარი“ და ა. შ. დუბლინის რეალიებია. მათი მოძებნა ცნობარებში და სპეციალურ რუკაზეც კი შეიძლება.

4 „მინდა და არა“ (იტალ.). აგრეთვე მომდევნო რეფრენიც იტალიურად მოცარტის ოპერიდან არის („დონ ჟუანი“).

5 ე. ი. ბავშვების მიერ დახაზული კლასები ისე გადაიარა, თამაშის წესი არ დაურღვევია.

6 ვარაუდობენ, რომ იგულისხმება მეცნიერისა და მაჰმადიანთა წმინდანის მუჰამედ იბნ ისმაილ ალ-ბუხარის მიერ მოთხრობილი ამბავი (ბუხარი გარდაიცვალა 870 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო ჰენრი,

მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილი, რისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. ვწუხვარ, რომ ჩემი ბოლო წერილი არ მოგეწონათ. რატომ მიღებთ კონვერტში მარკებს? ძალიან ვბრაზობ თქვენზე. ნეტავი შემეძლოს, რომ დაგსაჯოთ ამისათვის. ცუდი ბიჭი გიწოდეთ იმიტომ, რომ ის მეორე სიტყვა არ მიყვარს. მითხარით, გეთაყვა, იმ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა. ოჯახში ბედნიერი არა ხართ, საბრალო პატარა ცუდო ბიჭო? ნეტავი შემეძლოს, რომ დაგეხმაროთ რამით. მომწერეთ, გეთაყვა, რას ფიქრობთ ჩემზე. მე ხშირად ვფიქრობ თქვენს ლამაზ სახელზე. ძვირფასო ჰენრი, როდის შევხვდებით? თქვენ არც კი იცით, რა ხშირად ვფიქრობ თქვენზე. არასოდეს ასე არ გაუტაცივარ მამაკაცს. ამიტომ ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს. თუ შეიძლება, მომწერეთ გრძელი, გრძელი წერილი. იცოდეთ, თუ არ მომწერთ, დაგსჯით. ახლა თქვენ უკვე იცით, რა გელით, ცუდო ბიჭო, თუ არ მომწერთ. ო, როგორ მინდა თქვენთან შეხვედრა. ძვირფასო ჰენრი, ნუ მეტყვით უარს, სანამ მოთმინების ფიალა არ ამვსებია. მაშინ ყველაფერს გეტყვით. მაშ ხახვამდის, ცუდო ძვირფასო. დღეს ისე საშინლად მტკივა თავი და ახლავე მომწერეთ წერილი თქვენს ნაღვლიან

მართას.

P.S. შემატყობინეთ, გეთაყვა, რა სუნამოს ხმარობს თქვენი ცოლი. მინდა ვიცოდე.

ყვავილი ქინძისთავს ააგლიჯა, დაყნოსა მისი თითქმის უსუნო სურნელი და გულის ჯიბეში ჩაიდო. ყვავილების ენა[1]. ქალებს მოსწონთ, რადგან ყურს ვერავინ მიუგდებს. ანდა იქნებ მოწამლული თაიგული მის მოსაკვდინებლად. შემდეგ ნელა გააგრძელა გზა და ხელმეორედ გადაიკითხა წერილი, თან ცალკეულ სიტყვებს ბურტყუნებდა. ვბრაზობ ტიტები თქვენზე ძვირფასო კაცყვავილო დავსჯი თქვენს კაკტუსს თუ არ გეთაყვა საბრალო ცისანა როგორ მინდა იები თქვენთან ძვირფასო ვარდები როცა ჩვენ მალე ანემონი შევხვდებით ყველაფერს ცუდო ღამის ყვავილი ცოლი მართას სუნამო[2]. ბოლომდე რომ ჩაიკითხა, გაზეთიდან ამოიღო და კვლავ გვერდითა ჯიბეში ჩაიდო.

ოდნავმა სიხარულმა ბაგე გაუხსნა, გამოცვლილია პირველი წერილის შემდეგ. საინტერესოა, თვითონ თუ დაწერა. გულმოსულს თამაშობს: ჩემისთანა ოჯახიშვილს, პატიოსან ქალიშვილს. იქნებ როგორმე შევხვედროდით კვირადღეს ლოცვის შემდეგ. გმადლობთ: ვერ მოგართვით. ჩვეულებრივი სასიყვარულო დავიდარაბა. მერე გაქცევა-გამოქცევა. ისეთივე აყალმაყალით, როგორც მოლისთან. სიგარა აგრილებს. ნარკოტიკი. შემდეგში უფრო მეტს გავბედავ. ცუდო ბიჭო; დაგსჯი: რა თქმა უნდა, სიტყვების ეშინია. სასტიკი ვარ? რატომაც არა. ცდა მაინც ღირს. ყოველ ჯერზე ცოტ-ცოტა.

თითებით ისევ სინჯავდა წერილს ჯიბეში და ქინძისთავი ამოაძრო. ჩვეულებრივი ქინძისთავი, ჰმ. ქვაფენილზე გადააგდო. საიდანლაც მისი ტანსაცმე-

[1] ფლორიგრაფია: ყვავილებისათვის სხვადასხვა ტრადიციული სიმბოლური მნიშვნელობების მინიჭება.

[2] წერილის ცალკეული სიტყვების კითხვაში ჩართულია ბლუმის შინაგანი მონოლოგი, სადაც სხვადასხვა ყვავილების გახსენება ორაზროვან და ხშირად პიკანტურ ასოციაციებს ბადებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდან: ქინძისთავით დამაგრებული. გასაოცარია. რამდენი ქინძისთავი ვიათ ხოლმე. ვარდი უეკლოდ ვის გაუგონია [1].

დუბლინის ქუჩის ხმები მის თავში ყაყანებდნენ. ის ორი ბოზი იმ საღამოს კუმბიში. ერთმანეთს მიტმასნილნი წვიმაში.

მარიამ იცის ნიფხვის ტოტების
დაბმის წესი და რიგი,
ქინსძისთავს მაინც ნულარ დაჰკარგავს,
რომ არ ჩავარდეს იგი [2].

იგი? ისინი. რა საშინლად სტკივა ქალს თავი. ალბათ თვიური აქვს. ანდა მთელი დღე საბეჭდ მანქანას უზის. მხედველობის დაძაბვა ცუდია კუჭის ნერვებისათვის. რა სუნამოს ხმარობს თქვენი ცოლი? მოდი და ასეთი რამ მოიგონე!

„რომ არ ჩავარდეს იგი“.

მართა, მარიამი [3]. სადღაც მინახავს ეს სურათი. ახლა დამავიწყდა, ძველი მხატვარი ანდა ნაყალბევი. ის კი ზის მათ სახლში, მუსაიფობს. იდუმალი. ის ორი ბოზიც კუმბიდან უსმენს.

„რომ არ ჩავარდეს იგი“.

საღამოს საამო განწყობა. არავითარი ხეტიალი. ინებივრე; წყნარი მწუხრი; ჯანდაბამდის გზა ჰქონია. დაივიწყე. მოყევი იმ ადგილებზე, სადაც ყოფილხარ, უჩვეულო ადათ-ჩვეულებზე. მეორეს, თავზე დოქშედგმულს ვახშამი მოჰქონდა [4]: ხილეულობა, ზეთის ხილი, ჭის შესანიშნავი ცივი წყალი, ლოდივით ცივი, როგორც ეშტაუნის კედლის ნასვრეტი [5]. ქალალდის ფინჯანი უნდა წავიღო ხოლმე თან, როცა მარულაზე წავალ. ქალი უსმენს დიდი შავი მშვიდი თვალებით. მოუყევი: კიდევ და კიდევ. ყველაფერი. შემდეგ ამოოხვრა: სიჩუმე. ხანგრძლივი, ხანგრძლივი, ხანგრძლივი სიმშვიდე.

რკინიგზის ხიდის ქვეშ რომ გადიოდა, კონვერტი ამოიღო, სწრაფად დახია და ნაკუწები გზაზე მოფანტა. ქალალდის ნაფლეთები აფარფატდნენ, ნოტიო ჰაერში ჩაიძირნენ: თეთრი ფარფატი, და მერე ყველა ჩაიძირა.

ჰენრი ფლაუერი. შეგეძლო ასევე დაგეფლითა ასი გირვანქა სტერლინგის ჩეკი. ქალალდის უბრალო ნაგლეჯი. ლორდმა აივემ ერთხელ ირლანდიის ბანკში შვიდციფრიანი ჩეკით მილიონი გაანაღდა [6]. ნახე, ლუდით რა ფულის გაკეთება შეიძლება. და მაინც მეორე ძმას ლორდ არდილონს, ამბობენ, პერანგის გამოცვალა დღეში ოთხჯერ უხდებაო [7]. ტანზე ტილი თუ სხვა რაღაც საშინელე-

---

1 მე-15 საუკუნის დროინდელი ანდაზა.

2 რომელიღაც ქუჩური სიმღერის სიტყვები.

3 წერილის ავტორი მართა და სიმღერაში ნახსენები მარია ბლუმის ცნობიერებაში ბიბლიურ ასოციაციას იწვევს (იხ. სახარება ლუკასი, 10, 38-42).

4 „ხოლო მართა მიმოდაზრუნვიდა მრავლისა მსახურებისათვის...“ (ლუკა, 10, 40).

5 დუბლინის ფენიქსის პარკის ჩრდილოეთით ერთ-ერთ ადგილს გადმოცემით უკავშირებენ საარჩევნო კომპანიის დროს მიღებულ ქრთამებს: ამომრჩეველი „კედლის ნასვრეტში“ შეყოფდა ცარიელ ხელს და იქიდან ფულით სავსეს გამოიღებდა; ამის შემდეგ მას წმინდა გულით შეეძლო დაეფიცა, რომ არ იცოდა, თუ ვისგან მიიღო ფული.

6 ედვარდ სესილ გინესი, აივეს გრაფი (1847—1927) ლუდის ცნობილ მწარმოებელთა ოჯახის წარმომადგენელი იყო დუბლინში.

7 სერ ართურ გინესი (1840—1915) იყო პოლიტიკოსი და დუბლინის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა უჩნდებაო. მილიონი გირვანქა, მოიცა. პინტა ორი პენსი, ქვაოტი ოთხი პენსი, გალონი ლუდი რვა პენსი, არა, ერთი შილინგი და ოთხი პენსი გალონი ლუდი. ოცში რამდენი ერთი და ოთხია? თითქმის თხუთმეტი, დიახ, ზუსტად. თხუთმეტი მილიონი კასრი ლუდი.

რას ვამბობ, კასრები-მეთქი? გალონები. მაინც მილიონამდე კასრი გამოდის.

ქალაქში შემოსული მატარებლის ვაგონებმა გრუხუნით გადაუარეს თავზე. თავში კასრები დაუხტოდნენ: უფერული ლუდი ადგაფუნდა შიგ, აქაფდა. კასრების სარქველები ამოვარდა და უზარმაზარი უფერული ნიაღვარი გადმოსკდა. ერთიანად მოჩქეფდა, ველზე ჭანჭრობებში მოიკლაკნებოდა და ზანტად მოგროვილი სითხის მორევი ქაფის დიდრონფურცლოვან ყვავილებს ატრიალებდა.

ყველაწმიდის ღია უკანა კარს მიადგა [1]. ტაძრის კარიბჭეში რომ შედიოდა, ქუდი მოიხადა, ჯიბიდან ბარათი ამოიღო და კვლავ ტყავის ქობის ქვეშ ამოდო. ფუი! რატომ მაკკოის მალინგარის საშვზე არ ჩამოვუგდე ლაპარაკი.

იგივე განცხადება კარზე. მისი უსამღვდლოესობის ჯონ კონმის წირვა წმიდა პედრო კლავერისა და აფრიკული მისიის გამო [2]. ჩინეთის მილიონების გადარჩენა [3]. საინტერესოა, როგორ უხსნიან ამას წარმართ ჩინელებს [4]. ერთი უნცია ოპიუმი ურჩევნიათ. ზეციურნი. საშინელი ერეტიკოსობაა მათთვის. გლედსტონის მოქცევისათვის ლოცულობდნენ, ის კი თითქმის უგონოდ იყო [5]. ასევე პროტესტანტებიც. დოქტორი უილიამ ჯ. უოლში ჭეშმარიტ რჯულზე მოვაქციოთ. მათი ღმერთი ბუდა მხართეძოზე წამოწოლილა მუზეუმში [6]. განცხრომაშია ლოყაზე ხელშემოდებული. სურნელოვან ჩხირებს უკმევენ [7]. Ecce Homo [8]-სავით კი არა: ეკლის გვირგვინი და ჯვარი. გონივრული აზრი: წმიდა

---

1 წმიდა ენდრუს ტაძარი, რომაული კათოლიკური ეკლესია უესტლენდ როუზე (ბლუმი შედის მეორე კარიბჭიდან, კამბერლენდის ქუჩიდან).

2 ჯონ კონმი რეალურად არსებული პიროვნებაა (ირლანდიელი იეზუიტების თვალსაჩინო მოღვაწე). წმიდა პედრო კლავერი (1581-1654) — ესპანელი იეზუიტი მისიონერი, რომელმაც 44 წელი გაატარა სამხრეთ ამერიკაში აფრიკიდან ჩამოსახლებულ ზანგებთან. „აფრიკულ მისიაში“ იგულისხმება იეზუიტი მისიონერების ინტენსიური მოღვაწეობა აფრიკის კონტინენტზე მე-19 ს. მეორე ნახევარში.

3 დიდი წინააღმდეგობისდა მიუხედავად, იეზუიტი მისიონერები განაგრძობდნენ მოღვაწეობას ჩინეთის რამდენიმე ქალაქში.

4 „წარმართი ჩინელები“ — ბრეტ ჰარტის ერთ-ერთი ბალადის მიხედვით შექმნილი სიმღერის სახელწოდება.

5 უილიამ იუარტ გლედსტონი (1809-1898) — ინგლისის ოთხზგის პრემიერ მინისტრი. დიდად პოპულარული პიროვნება ირლანდიაში „თვითმმართველობის“ იდეის დაცვის გამო. გლედსტონის კათოლიკურ რჯულზე მოქცევა ბლუმის ფანტაზია არის, რაც ეყრდნობა დუბლინის კათოლიკე არქიეპისკოპოსის უილიამ უოლშის (1841-1921) მიერ თავის ეპარქიაში მიწერილ წერილს, სადაც უოლში მოუწოდებს კათოლიკურ ეკლესიას ილოცოს მომაკვდავი გლედსტონის სულისათვის.

6 ბლუმი ამ მომენტში იმყოფება დუბლინის ეროვნული გალერეის მახლობლად, სადაც მთავარ შესასვლელში ბუდას დიდი ქანდაკება იდგა.

7 სპეციალურად დამზადებული ჩხირები, რომლებსაც ჩინელები ნარკოტიკულ საშუალებად იყენებდნენ.

8 „კაცი იგი“ (ლათ.). „გამოვიდა იესო გარე, და ედგა ეკლისა გვირგვინი და ძოწეული სამოსელი. და ჰრქუა მათ პილატე: აჰა კაცი იგი!“ (იოანე, 19,5). ბლუმი შესაძლოა გულისხმობს უნგრელი მხატვრის მანკაქსის სურათს Ecce Homo, რაზეც სხვათა შორის ჯოისს დაწერილი აქვს სპეციალური ესსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრიკი და სამყურა[1]. საჭმელი ჩხირები? კონმი: მარტინ კანინგემი იცნობს: კეთილშობილი გარეგნობა აქვს. ვნანობ, მაგას არ მივმართე მოლის მისაღებად გუნდში მამაო ფარლის ნაცვლად, სულელად რომ მოჰქონდა თავი. ამას ასწავლიან მაგათ. ეგეც ეგ არის, მზის სათვალეს გაიკეთებს და ოფლის ღვრით შავკანიანების მონათვლას მოჰყვება. შუშები თვალს მოსჭრით, ბზინავენ. ერთი შემახედა, როგორ ჩამომსხდარან გარშემო პუტკუნა ტუჩებით, მონუსხულნი, სმენად ქცეულნი. ნატიურმორტი. რძესავით თუ სვლეპენ მის ნათქვამს.

წმიდათაწმიდა ლოდის ცივი სურნელი უხმობდა. გაცვეთილი კიბეები აიარა, კარი შეაღო და ფრთხილად შევიდა უკანა მხრიდან.

რაღაც ხდება: ძმობა[2]. აფსუს, რა სიცარიელეა. მშვენიერი მყუდრო ადგილია, ვინმე გოგოს გვერდით რომ იჯდე. და ვინ არს მოყუას ჩემდა?[3] საათობით მიტკუცულნი ნელი მუსიკის თანხლებით. ის ქალი შუაღამეს, ჟამის წირვისას. მეშვიდე ცა[4]. დაჩოქილი ქალები, თავჩაქინდრულნი. კისერზე პირისფერ ყულფწამოცმულები[5]. მთელი წყება საკურთხეველთან ჩაჩოქილიყო. პატერმა მათ ბუტბუტით ჩაუარა, თან ის რაღაც ეჭირა ხელში. თვითეულთან ჩერდებოდა, იღებდა ზიარების ნაწილებს, წვეთებს ჩამოაცლიდა (წყალში არ აწყვია?[6]) და ქალს სათუთად პირში უდებდა. ქალის ქუდი და თავი დაიხარა. ახლა მეორეს: პატარა ბებრუხანას. პატერი დაიხარა, მისთვის პირში ზიარება რომ ჩაედო, თან გამუდმებით ბურტყუნებდა. ლათინურად[7]. ახლა შემდეგს, დახუჭე თვალები, გააღე პირი[8]. რაო? Corpus, სხეული. გვამი. კარგი მოფიქრებაა ლათინური. ჯერ გამოათაყვანებს ხოლმე. მომაკვდავთა სავანე[9]. მგონი, არც ღეჭავენ; პირდაპირ ყლაპავენ[10]. შესანიშნავი აზრია; გვამის ნაწილების ჭამა, რა თქმა უნდა, კაციჭამიები ამით მოიხიბლებიან.

განზე იდგა და უყურებდა, თუ როგორ ჩაივლიდნენ მათი ბრუციანი ნიღბები რიგებს შორის, თითო-თითოდ, და თავის ადგილებს ეძებდნენ. სკამთან მივიდა და კუთხეში ჩამოჯდა, ცილინდრი და გაზეთი მუხლებზე დაიდო. ამ ქოთნებს რომ ვატარებთ, ჩვენს თავებზე მორგებული ქუდები უნდა გვეხუროს. მის გარშემო აქა-იქ კვლავ თავდახრილნი ისხდნენ პირისფერი ყულფებით, ელოდნენ, როდის დაუდნებოდათ ის კუჭებში. რაღაც მაცას მაგვარი: პურია

---

[1] ლეგენდის მიხედვით, ირლანდიის მფარველმა წმინდა პატრიკმა სამყურა ბალახი გამოიყენა, რათა ირლანდიის მეფე ლაოგერისათვის სამების იდეა განემარტა.

[2] იგულისხმება რომაულ კათოლიკურ ეკლესიაში ჩამოყალიბებული რელიგიური ერთობა, თუ ძმობა, რომელიც ერთგულებასა და ურთიერთდახმარებას ქადაგებს.

[3] მსაჯულის კითხვა მიმართული ქრისტესადმი (ლუკა, 10, 29).

[4] პტოლომეს კოსმოლოგიის გარდა „მეშვიდე ცა“ გვხვდება ებრაელთა და მაჰმადიანთა თქმულებებში, როგორც სრულყოფილებისა და უმაღლესი ბედნიერების სიმბოლო (ღმერთის სამყოფელი).

[5] რელიგიური ძმობის წევრები სპეციალურ თავშალსა თუ მოსასხამს ატარებდნენ. როგორც ჩანს, ჯოისის მიერ აღწერილ შემთხვევაში ძმობის წევრები თავისი საზოგადოების თუ ერთობის რეგულარულ შეკრებას ზეიმობენ.

[6] ბლუმს ეშლება: ზიარების ნაწილები წყალში არ აწყვია.

[7] ასეთ შემთხვევაში ლათინური ტექსტია: Corpus Domini nostri... (ხორცი უფლისა ჩვენისა...).

[8] ინგლისური სახუმარო ლექსის სტრიქონი.

[9] დუბლინის სამხრეთ რაიონში მდებარე კათოლიკური საქველმოქმედო საავადმყოფო უიმედო ავადმყოფებისათვის.

[10] რელიგიური ადათის მიხედვით, წმიდა ნაწილებს კბილით არ უნდა შეეხო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი: უფუებელი პურნი იგი შესაწირავთანი[1]. ერთი შეხედეთ. ღმერთმანი, ბედნიერად გრძნობენ თავს. შაქარყინული. ნამდვილად. დიახ, ანგელოზების პურს ეძახიან[2]. დიდი აზრია ამაში: შენში შიგნით თითქოს ღმერთის სასუფეველს გრძნობ. პირველი მზიარებლები. სალოკი ნაყინი. ყველას ერთ კოპწია საოჯახო წვეულებაზე წარმოუდგენია თავი, როგორც თეატრში, ყველანი ერთ ჰაერს სუნთქავენ. ასეა. დარწმუნებული ვარ. მარტობას ისე აღარ გრძნობენ. ჩვენს ძმობაში. იქიდან მერე ცოტა ხალისიანები გამოდიან. გამოსავალს უძებნიან დაგროვილ ენერგიას. რაც ნამდვილად გწამს, ის არსებობს კიდეც. განკურვნა ლურდეში, დავიწყების წყლები[3], და ნოკის გამოცხადება, ქანდაკებებს სისხლი სდიოდა[4]. მოხუცს აღსარების სკამთან ჩასძინებია. აი საიდან ისმის ხვრინვა. ბრმა რწმენა. დაივანა და მოვედინ სუფევაჲ შენი[5]. ყველა ტკივილს აყუჩებს. მერმის ამ დროს გაგეღვიძოს.

დაინახა, როგორ შეინახა პატერმა ბარძიმი, საგულდაგულოდ. ერთი წამით დაიჩოქა მის წინ და დიდი რუხი ლეჩო გამოაჩინა, ფოჩებიანი რაღაც რომ ეცვა, იმის ქვემოდან. ქინძისთავი რომ დაკარგოდა, როგორ მოიქცეოდა. მელოტი ლაქა უკანიდან. ზურგზე ასოები ი. ნ. მ. ჰ.? არა: ი. მ. კ. მოლიმ ამიხსნა, ერთხელ რომ ვკითხე: იყო მცოდველი კაცი. ანდა არა: იტანჯებოდა მუდამ კაცი[6]. პირველი? იესო ნემსებით მიბმული ჰკიდია[7].

შევხვდეთ ერთ კვირადღეს ლოცვის შემდეგ. უარს ნუ მეტყვით. შემოვა ვუალით და შავი ჩანთით. ბინდბუნდი და სინათლე მის უკან[8]. შეიძლება აქ ყოფილიყო კისერზე ბაფთაშებმული და მაინც სხვა რამ გაეკეთებინა უჩუმრად. ასეთები არიან. ის ყმაწვილი, უძლეველთა საქმეში თავისიანების წინააღმდეგ რომ მისცა ჩვენება, გვარად კერი, ყოველ დილით ეზიარებოდა ხოლმე. სწორედ ამ ეკლესიაში. პიტერ კერი. არა, პიტერ კლეივერში ამერია. დენის კერი[9]. ძნელი წარმოსადგენია. ცოლისა და ექვსი შვილის პატრონი. და მაინც

---

[1] მათე, 12,4. ბლუმს ერთმანეთში ერევა „მაცა“ და „სეფისკვერი“, ებრაული და ქრისტიანული რელიგიური ადათები. ეს ბლუმის „უნიადაგობის“, „უსახლკაროობის“, მისი „უსამშობლობის“ მიმნიშნებელი კიდევ ერთი დეტალია.

[2] ბლუმი პირდაპირ თარგმნის ლათინურ panis angelorum-ს, რაც წმიდა ზიარების სინონიმია.

[3] ლურდე სამხრეთ საფრანგეთში მდებარე კათოლიკე პილიგრიმების უძველესი სამკურნალო ადგილია, სადაც 1858 წ., გადმოცემის თანახმად, 14 წლის გოგონას ღვთისმშობელი გამოეცხადა. „დავიწყების წლები“ — ყველაფრის განკურვნის ძალა რომ აქვთ.

[4] ნოკი — დასავლეთ ირლანდიის სოფელი, სადაც 1879 წ., გადმოცემის თანახმად, რამდენიმე კაცს ქანდაკების მსგავსი ღვთისმშობელი და მოციქულები გამოეცხადნენ. ამის შემდეგ ამ ადგილს სასწაულებრივი სამკურნალო თვისებები მიაწერეს.

[5] ბლუმის ცნობიერებაში სახარების ტექსტი მის დროინდელ რელიგიური შინაარსის მქონე სიმღერებთან არის აღრეული თუ დაკავშირებული.

[6] ი. მ. კ. ნამდვილად ნიშნავს: „იესო მაცხოვარი კაცთა“ (ლათინურად: I. H. S. — Iesus Hominum Salvator).

[7] ი. ნ. მ. ჰ. ნიშნავს: „იესო ნაზარეველი, მეუფე ჰურიათა“ (ლათინურად: I. N. R. I. **Iesus Nazarenus Rex Iudaeorum).**

[8] გილბერტ და სალივანის ერთ-ერთი ოპერეტის გმირი უშნო ქალს თხოულობს ცოლად და მას გულს უკეთებენ — სიბნელეში კარგი მოგეჩვენება სინათლის ფონზეო.

[9] ჯეიმზ კერი (1845-83) „უძლეველთა საზოგადოების“ აქტიური წევრი. მონაწილეობდა ინგლისის გუბერნატორის მკვლელობაში, მაგრამ სასამართლოზე თავისიანების წინააღმდეგ გამოვიდა. მისი სახელი ბლუმს ხშირად ეშლება.

სულ იმ მკვლელობას ამზადებდა. ამ ფარისევლებს, კარგი სახელია მაგათთვის, რაღაც ფლიდური აქვთ. არც საქმეში არიან წესიერნი. არა, აქ არ არის: ყვავილი: არა, არა. მართლა, კონვერტი თუ დავხიე? როგორ არა: ხიდის ქვეშ.

პატერმა ბარძიმის გამორეცხვა დაიწყო; მერე უცებ მოხდენილად გადაბკრა. ღვინო. უფრო არისტოკრატიულია, ვიდრე, მაგალითად, მათთვის ჩვეული ვინესის ლუდი, ან კანტრელის ლიმონათი თუ კოკრინის ზარდანჩოიანი შუშხუნა რომ დაელია (არომატული). ამათ წვეთს არ აძლევს: ღვინოსა შეწირვისასა: მარტო ნაწილებს. არაფერი ნუგეშია. ღვთისმოშიში თაღლითობა, მაგრამ სრულიად მართებული: ასე რომ არა, ერთმანეთზე უარესი ლოთი მათხოვრები მოდგებიან, ცოტა დამალევინეო. უცნაურია მთელი ეს გარემოცვა. სრულიად მართებული, საკვლევით მართალი.

ბატონმა ბლუმმა უკან მიიხედა ქანდარისაკენ: როგორც ჩანს, არავითარი გალობა არ იქნება. აფსუს. ნეტა ვინ არის აქ ორღანისტი? მოხუცმა გლინმა იცოდა, როგორ აელაპარაკებინა საკრავი, vibrato [1], წელიწადში ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგი ჰქონდათ, ამბობენ, გარდინერის ქუჩაზე. იმ დღეს მოლი კარგ ხმაზე იყო, როსინის Stabat Mater [2]. ჯერ მამაო ბერნარდ ვოგანის წირვა. ქრისტე თუ პილატე? ქრისტე, მაგრამ მთელ საღამოს ნუ გადაგვაყოლებ. მუსიკა უნდოდათ. ფეხების ბაკაბუკი შეწყდა. ქინძისთავის დაცემას გაიგონებდა კაცი. მოლის ვუთხარი, ხმა იმ კუთხისკენ მიმართე-მეთქი. ჰაერში თრთოლვას ვგრძნობდი. სრული ხმით. ყველა ზემოთ იყურებოდა.

Quis est homo! [3]

ზოგიერთი ძველი საგალობელი შესანიშნავია. მერკადანტე: უკანასკნელი შვიდი სიტყვა [4]. Gloria. მოცარტის მეთორმეტე მესაში. ის ძველი რომის პაპები მუსიკის, მხატვრობის, ქანდაკებისა და ყოველნაირი სურათების ტრფიალნი იყვნენ. მაგალითად პალესტრინაც [5]. მხიარულად, ძველებურად ატარებდნენ დროს. სანამ იყო ეს ძველი დრო. ჯანმრთელებიც იყვნენ: გალობა, ლოცვის რეჟიმი, თან მოხარშული სასმელები. ბენედიქტინი. მწვანე შარტრეზი. და მაინც საჭურისები ჰყავთ გუნდში, ეს ნამეტანია. რანაირი ხმაა? ალბათ უცნაური მოსასმენია მათი საკუთარი ძლიერი ბანების შემდეგ. იციან თავისი საქმე. მერე ალბათ ველარაფერს გრძნობენ. ერთგვარი დამაწყნარებელი საშუალება. არაფრის დარდი. ქონი დაედებათ ხოლმე, არა? ღორმუცელები, მაღლები, გრძელფეხება. ვინ იცის? საჭურისი. ესეც ხეირია.

ბატონმა ბლუმმა დაინახა, როგორ დაიხარა პატერი და აკოცა საკურთხეველს, მერე მიმოიხედა და ჯვარი გადასახა ყველას. პირჯვარი გადაიწერეს და წამოდგნენ. ბატონმა ბლუმმა მიიხედ-მოიხედა, ადგა, თან წამოწეულ ქუდებს

---

[1] „მთრთოლვარედ" (იტალ. მუსიკალური ტერმინი).

[2] „ღვთისმშობელი იდგა" (ლათ.) — ღვთისმშობლის სადიდებელი შუასაუკუნეობრივი ჰიმნი, რომლის საუკეთესო მუსიკალური დამუშავება როსინის ეკუთვნის.

[3] „ვინ არის ის კაცი" (ლათ.). როსინის ზემონახსენები დუეტის პირველი სიტყვები. სხვათა შორის, 1904 წ. აპრილში დუბლინში ეს პარტია უმღერია ვინმე „მოლის".

[4] იტალიელ კომპოზიტორ საველიო მერკადანტეს (1795—1870) დაწერილი აქვს 60 ოპერა, მაგრამ „შვიდი უკანასკნელი სიტყვა" მას არ ეკუთვნის. ბლუმი საერთოდ ხშირად ცდება, რითაც ჯოისი მის ზერელე განათლებას გვაჩვენებს.

[5] ჯიოვანი პალესტრინა (1524-94) ითვლება პოლიფონიური საგალობლების ოსტატად. მას რამდენიმე მფარველი პაპი ჰყავდა და მოცარტის მესის გახსენებამ შესაძლოა პალესტრინას „პაპი მარცელუსის მესა" ამოატივტივა ბლუმის ცნობიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოდან იცქირებოდა. სახარების კითხვისას, რა თქმა უნდა, ფეხზე უნდა იდგე. შემდეგ ყველა ისევ მუხლებზე დაეშვა და ის კი წყნარად დაჯდა თავის სკამზე. პატერი საკურთხevლიდან ჩამოვიდა, ხელში კონდაკია თუ რაღაც ეჭირა, და ის და მედავითნე ბიჭი ერთმანეთს ლათინურად გამოელაპარაკნენ. შემდეგ პატერმა დაიჩოქა და დაიწყო კითხვა:

— ღმერთო შესახიზარო ჩვენო და ძალო...

ბატონმა ბლუმმა კისერი წაიგრძელა, რომ სიტყვები გაეგონა. ინგლისურია. ძვალი მიუგდე მაგათ. ბუნდოვნად მახსოვს. რამდენი ხანია, რაც უკანასკნელად იყავი წირვაზე? [1] Gloria [2] და უმანკო ქალწულისა, ღვთისმშობლისა. მეუღლისა მისი იოსებისა. პეტრესი და პავლესი. უფრო საინტერესო იქნებოდა, რომ გესმოდეს, რის შესახებაა ლაპარაკი. მართლაც შესანიშნავი ორგანიზაციაა, საათივით აწყობილი. აღსარება. ყველას უნდა. მაშ ყველაფერს გეტყვით. მონანიება. დამსაჯეთ, გეთაყვა. მძლავრი იარაღია მათ ხელში. ექიმზე და ვექილზე მეტი. ქალები გიჟდებიან. და მე ჩუჩუჩუჩუჩუ. და თქვენ კი ჩაჩაჩაჩაჩა? მერე და თქვენ რატომ? ბეჭედზე დაიხედა მოსაბოდიშებლად. დერეფნის მოჩუჩული კედლებს ყურები აქვთ გამობმული. ქმარი გაოცებულია. იგებს. ღმერთის პაწია ხუმრობა. **შემდეგ ქალი** გამოდის. ვითომ მოინანია. საამო დარცხვენა. ლოცვა საკურთხevელთან. სალამი შენდა მარიამ, წმიდაო მარიამ. ყვავილები, საკმეველი, დაღვენთილი სანთლები. სახის სიწითლეს ფარავს. სულის ხსნის ლაშქრის ყალბი მიბაძვა. კრებაზე სიტყვით გამოვა მონანიებული კახპა. როგორ ვპოვე ღმერთი. კარგი მაგარი თავი აბიათ იმ ვაჟბატონებს რომში: მთელ წარმოდგენას თვითონ დგამენ. ფულში კი არ ბანაობენ? ანდერძებიც: მავანი მრევლის პატერს მის სრულ გამგებლობაში. ჩემი სულის მოსახსენებელი აღაპები ითქვას სახალხოდ. სავანეები და დედათა მონასტრები. პატერი მოწმედ ფერმანაგის მემკვიდრეობის საქმეში. ვერ დააბნევ. ყველაფერზე ზუსტი პასუხი მოეძებნებოდა. თავისუფლება და აღზევება ეკლესიისა, ჩვენი წმინდა დედისაჲ. ეკლესიის დოქტორნი [3]: მათ შეთხზეს მთელი ეს თეოლოგია.

პატერი ლოცულობდა:

— წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო, გვესარჩლე ჩვენ ომსა შინა; წინაღმდეგ სიბოროტისა და საფრთხეთა ეშმაკისათა იქმნენ შემწე ჩვენი. (უბრძანოს მას ღმერთმან, სულთქმით ვედრებით;) შენც მთავარო ზეციერ მხედროობათაო, ეშმაკი და სხვანი ბოროტნი სულნი, რომელნიც სულთა წარსაწყმედლად მიმოვლიან ქვეყანასა ზედა, ღვთიური ძალითა ჯოჯოხეთსა შინა შთაჰყარე.

პატერი და მედავითნე ადგნენ და გავიდნენ. ყველაფერი დამთავრდა. ქალები დარჩნენ: საქმე მადლობისა [4].

---

[1] ბლუმი თავის თავს მიმართავს სტანდარტული კითხვით, რითაც მიმართავენ აღსარებაზე მისულს: „რამდენი ხანია, რაც უკანასკნელად იყავით აღსარებაზე?“

[2] „დიდებულის“ (ლათ.) ლოცვის სრული პასაჟია: „დიდებულის და უმანკო ქალწულისა, ღვთისმშობლისა მარიამისა, ნეტარისა მამა იოსებისა და წმინდანთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი“.

[3] რომის პაპის მიერ 1295 წ. დაწესებული ტიტული, რასაც თეოლოგ სწავლულებს უბოძებდნენ განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

[4] წირვის დასასრული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯობია ავიფახო. ძმაჲ ჯიბგირა. შეიძლება თეფშით ჩამოიაროს. მოიხადეთ თქვენი საალდგომო ვალი [1].

ადგა. ერიჰა. ნუთუ ჟილეტის ეს ორი ღილი სულ ასე მქონდა გახსნილი. ქალებს მოსწონთ. არ სიამოვნებთ, თქვენ თუ არ... რატომ ადრე არ მითხარით. არასოდეს გეტყვიან. ჩვენ კი. უკაცრავად, ქალიშვილო, პატარა (ჰმ!) რაღაც (ჰმ!) ბეწვი გაქვთ. ანდა ქვედატანი უკან დუგმაგახსნილი. მთვარის სხივის დანახვა კვალად [2]. და მაინც უფრო მოსწონხარ, როცა ყველაფერი რიგზე არა გაქვს. კიდევ კარგი, უფრო სამხრეთით არ იყო. ჩაიარა გვერდითა დერეფანი, თან ფარულად იკრავდა ღილებს, და მთავარი შესასვლელით სინათლეზე გავიდა. ერთ წამს დაბრმავებული იდგა ცივ შავ მარმარილოს თასთან, სანამ მის წინ და მის უკან ორი მორწმუნე ხელებს ქურდულად ჰყოფდა აიაზმაში. ტრამვაი; პრესკოტის სამლებროს მანქანა [3]; ქვრივი ძაძებში. შევამჩნიე, რადგან თავად ვარ შავებში. ქუდი დაიხურა. რა დროა ახლა? თხუთმეტია. ჯერ ადრეა. კარგი იქნება ის ნაყენი დავამზადებინო სახისათვის. სად არის? თუმცა იმ დღეს. სვენის აფთიაქი ლინკოლნზე. აფთიაქები იშვიათად იცვლიან ადგილს. მწვანე და ოქროსფერი შუშის ჭურჭელი აბრებზე ადგილიდან ძნელი დასაძვრელია. ჰამილტონ ლონგის აფთიაქი, დაარსებული წარღვნის წელს. ჰუგენოტების საფლაო იქვეა. ერთხელ უნდა მივიდე და ვნახო.

უესტლენდ როუს გაუყვა სამხრეთით. რეცეპტი კი მეორე შარვალშია. ო, გასაღებიც დამავიწყდა. ხათაბალაა ეს დაკრძალვები. მაგრამ ეს მაგ საცოდავის ბრალი არ არის. როდის შევუკვეთე უკანასკნელად? მოიცა. მახსოვს, სოვერენი დავახურდავე. თვის პირველი რიცხვი იყო, ვგონებ, თუ ორი. ო, შეუძლია რეცეპტების დავთარში მონახოს.

მეაფთიაქემ დავთარი ფურცელ-ფურცელ გადაშალა. თითქოს რაღაცა გამომშრალის და ფხვიერის სუნი უდისო. გამომხმარი თავის ქალა. და ბებერი. ცოდნის ქვის ძიება. ალქიმიკოსები. ნარკოტიკები ჯერ გონებას აღაგზნებენ და მერე გაბერებენ. შემდეგ ლეთარგია. რატომ? რეაქცია. მთელი ცხოვრება ერთ ღამეში. თანდათან ხასიათს გიცვლის. მთელი დღე ბალახების, მალამოების, სადიზინფექციო საშუალებების გარემოცვაში. ალებასტრის ქათქათა ჯამები. როდინი და ფილთაქვა. Aq. Dist. Fol. Laur. Te Virid[4]. მარტო სუნი მოგარჩენს. როგორც კბილის ექიმთან დარეკილი ზარი. ექიმი ბაც! ცოტა თვითონაც უნდა იმკურნალოს. მალამოთი თუ ემულსიით. პირველმა კაცმა, მოსარჩენად რომ მოწყვიტა ბალახი, დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. ნაყენები. სიფრთხილეა საჭირო. ეს ყველაფერი საკმარისია, რომ გონი დაგაკარგვინოს. ცდა: ლურჯ ლაკმუსს აწითლებს. ქლოროფორმი. ოპიუმის დიდი დოზა. საძილე მიქსტურა. სიყვარულის ბანგი. ყაყაჩოს ტკივილდამაყუჩებელი წვენი, ხველებისათვის

---

[1] იგულისხმება სწორედ „ვალის მოხდა“ და არა მხოლოდ ფულადი შესაწირავი, რადგან ამ შემთხვევაში მლოცველისაგან მოითხოვდნენ პირობას, რომ იგი ერთხანს არ გააცდენდა წირვას და აღსარებაზეც ივლიდა.

[2] ბლუმის მეტყველებისათვის, სტივენისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია უადგილო შექსპირული ალუზიები. ჰამლეტი მიმართავს აჩრდილს: „გვითხარ, რას ნიშნავს, რომ მკვდარ სხეულს, სრულად შეჭურვილს მოგსურვებია მთვარის სხივის დანახვა კვალად“.

[3] როგორც რომანის ბოლოს ირკვევა, ბლუმს „ფრიმენ ჯორნელის“ იმ დღის ნომერში მოუთავსებია პრესკოტის სამლებროს რეკლამა.

[4] გამოხდილი წყალი, დაფნის ფოთოლი, მწვანე ჩაი (ლათ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უვარგისი. ფორებს ხურავს, ლორწოს აღიზიანებს. შხამები ერთადერთი სამკურნალო საშუალებაა. ხსნა იქ არის, საიდანაც ყველაზე ნაკლებ მოელი. ბუნების ეშმაკობა.

— დაახლოებით ორი კვირის წინათ, ბატონო?

— დიახ, თქვა ბატონმა ბლუმმა.

ელოდა დახლთან, თან წამლების მძაფრ სუნს იყნოსავდა, ღრუბლისა და ლუფას მტვრიან მშრალ სუნს. რამდენი დრო მიაქვს ადამიანის სატკივრების ჩამოთვლას.

— ტკბილი ნუშის ზეთი და ნავთობ-ეთერის ნაყენი, თქვა ბატონმა ბლუმმა, და კიდევ ნარინჯის ყვავილის წყალი...

მოლის კანი მართლაც ცვილივით ნაზი და თეთრი გაუხდება ხოლმე.

— და თეთრი ცვილიც, თქვა მან.

უფრო მუქად გამოუჩენს თვალებს. მიყურებდა, თვალებამდე ზეწარაფარებული, ესპანელი, საკუთარ სხეულს ყნოსავდა, სანამ სამაჯურებს ვიკრავდი. ეს შინაური რეცეპტები ზოგჯერ საუკეთესოა: ხენდრო კბილებისათვის; ჭინჭარი და წვიმის წყალი; ამბობენ, დოში ჩამბალი დაფქვილი შვრიაო: კანის საკვები: მოხუცი დედოფლის ერთ-ერთ ვაჟს, მგონი, ოლბენის მთავარს, მხოლოდ ერთი კანი ჰქონდა. ჰო, ლეოპოლდს [1]. ჩვენ სამი გვაქვს. მეჭეჭები, კოჟრები და მუწუკები გვიფუჭებენ. სუნამოც ხომ გინდა. რა სუნამოს ხმაროობს თქვენი? Peau d'Espagne [2]. ნარინჯის ყვავილი. სუფთა დოს საპონი. წყალი ისეთი სასიამოვნო ხდება. მშვენიერი სუნი აქვს ამ საპნებს. დროა აბაზანა აქვე კუთხეში. ჰამამ. თურქული [3]. დაზელვა. ჭუჭყი აგიგორდება ჭიპზე. კარგია, კარგი გოგო რომ გიგორებს ჭუჭყს. ვფიქრობ, მე თვითონ. ჰო, მე. იმის გაკეთება აბაზანაში. უცნაური სურვილი. წყალი წყალს. საქმე და სიამოვნება ერთად. აფსუს, მასაჟის დრო არ არის. მთელი დღე ცოცხლად ხარ. დასაფლავება მოსაწყენი იქნება.

— დიახ, ბატონო, თქვა მეაფთიაქემ. ორი შილინგი და ცხრა პენსი. ბოთლი მოიტანეთ?

— არა, თქვა ბატონმა ბლუმმა. გამიმზადეთ, თუ შეიძლება, მოგვიანებით შემოვივლი. იმ საპონსაც ავიღებ. რა ღირს?

— ოთხი პენსი, ბატონო.

ბლუმმა საპნის ნაჭერი ნესტოებთან მიიტანა. სასიამოვნო ლიმონის ცვილი.

— ამას ავიღებ, თქვა მან. სულ სამი შილინგი და ერთი პენსი იქნება.

— დიახ, ბატონო, თქვა მეაფთიაქემ. შეგიძლიათ ერთად გადაიხადოთ, ბატონო, როცა შემოივლით.

— კეთილი, თქვა ბატონმა ბლუმმა.

აფთიაქიდან ნელი ნაბიჯით გამოვიდა, დახვეული გაზეთი იღლიაში ჰქონდა ამოჩრილი, ცივ ქაღალდში გახვეული საპონი მარცხენა ხელში ეჭირა.

მის იღლიასთან ბენტამ ლაიონზის ხმამ და ხელმა თქვა:

— ბლუმს გაუმარჯოს, რა ამბებია? დღევანდელია? ერთ წუთს გვაჩვენეთ.

---

[1] იგულისხმება დედოფალ ვიქტორიას უმცროსი შვილი ოლბენის მთავარი, რომელიც მეტად სუსტი აღნაგობისა ყოფილა.

[2] „ესპანური კანი" (ფრანგ).

[3] ჰამამის სასტუმრო და აბანო მაშინდელ სეკვილის (ახლანდელი ო'კონელის) ქუჩაზეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულვაშები ისევ მოუპარსავს, ღმერთო ჩემო! გრძელი, ცივი ზედა ტუჩი. უფრო ახალგაზრდა გამოვჩნდეო. შეოეკილს ჰგავს. ჩემზე ახალგაზრდაა.

ბენტამ ლაიონზის ყვითელმა შავფრჩხილებიანმა თითებმა გაზეთი გაშალეს. არც მაგას აწყენდა დაბანვა. ტურტლის მოშორება. დილა მშვიდობისა, პიერზის საპონი თუ იხმარეთ? მხრებზე ქერტლი აყრია. გოგრას გაპოხვა უნდა.

— მინდა ვნახო, რას წერენ ფრანგულ ცხენზე, დღეს რომ გამოდის, თქვა ბენტამ ლაიონზმა. სად ჯანდაბაშია?

დაჭმუჭვნილ ფურცლებს აშრიალებდა, თან მაღალ საყელოს ნიკაპს უხახუნებდა. ნაპარსის ქავილი. ვიწრო საყელო, თმა გასცვივა. აჯობებს გაზეთი დავუტოვო, თავიდან მოვიშორო.

— შეგიძლიათ დაიტოვოთ, თქვა ბატონმა ბლუმმა.

— ესკოტი. ოქროს თასი. მოიცათ. წაილუღლუღა ბენტამ ლაიონზმა. ნახევარი წუ... მაქსიმუმ ორი.

— აღარა მჭირდება, გადაგდებას ვაპირებდი, თქვა ბატონმა ბლუმმა.

ბენტან ლაიონზმა უცებ აიხედა და ოდნავ მოჭუტა თვალები.

— როგორ? თქვა მისმა მკვეთრმა ხმამ.

— შეგიძლიათ დაიტოვოთ-მეთქი, უპასუხა ბატონმა ბლუმმა. აღარა მჭირდება, სწორედ გადაგდებას ვაპირებდი [1].

ბენტამ ლაიონზი ერთ წამს შეყოყმანდა, თან თვალებს ჭუტავდა. შემდეგ გაშლილი ფურცლები ხელებზე დაუყარა ბატონ ბლუმს.

— გავრისკავ, თქვა მან. აიღეთ, გმადლობთ.

კონვეის კუთხისაკენ გაქანდა. თავქუდმოგლეჯილი.

ბატონმა ბლუმმა კვლავ მოხდენილად დაკეცა ფურცლები და შიგ საპონი ჩადო, ეღიმებოდა. სულელური ტუჩები აქვს ამ ყმაწვილს. სანაძლეო. ბოლო ხანებში რაღაც ავადმყოფობად იქცა. კურიერი ბიჭები ბაცაცობენ, რომ ექვსპენსიანი დადონ. სანაძლეოს დებენ დიდ ინდაურზე. ესეც საშობაო სადილი სამ პენსად. ჯეკ ფლემინგმა თამაშში ფული გაფლანგა და მერე ამერიკაში გაიპარა. ახლა სასტუმროს პატრონია. აღარასოდეს ბრუნდებიან. ხორცი ეგვიპტურ ქოთნებში [2].

ხალისიანად მიდიოდა აბანოების მეჩეთისაკენ. მეჩეთის წითლად გამომწვარ აგურებს გაგონებს, მინარეთებს. დღეს კოლეჯში სპორტული შეჯიბრებები ყოფილა. თვალი შეავლო ცხენის ნალის ფორმის აფიშას კოლეჯის პარკის ჭიშკარზე: ველოსიპედისტი ორად მოკაკვული, როგორც ქაშაყი ჯამში [3]. საშინელი რეკლამაა. აი მრგვალი რომ გაეკეთებინათ, ბორბალივით. მანების ადგილას კი: სპორტი, სპორტი, სპორტი: და დიდი მორგვი: კოლეჯი. კაცს თვალში რომ მოხვდეს.

აგერ ჰორნბლაუერი დგას დარაჯის ჯიხურთან. კარგი ურთიერთობა გქონდეს: შეუძლია თავის დაკვრით შეგიშვას. გამარჯობათ, ბატონო ჰორნბლაუერ! გაგიმარჯოთ, ბატონო!

მართლაც და დიდებული ამინდია. ცხოვრება სულ რომ ასეთი იყოს. კრი-

---

[1] ლაიონზს ჰგონია, რომ ბლუმი მას მიანიშნებს, „ჭალარაზე" (ცხენის სახელი) ლიოს თამაშიო. ეს გაუგებრობა უფრო გვიან გაიოკვევა. ბლუმი ფრაზაში „აღარა მჭირდება" სულაც არ მიანიშნებს ცხენის სახელს „ჭალარა".

[2] გამოსვლათა მოსესი, 16, 3 (იხ. „ხომლი", № 6, გვ. 165, შენიშვნა 12).

[3] სიმღერის სიტყვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეტის ამინდია. იჯექი საჩრდილობლის ქვეშ. ერთმანეთზე მიყოლებით აწოდებენ. აუტი. აქ კრიკეტს ვერ თამაშობენ. და მაინც კაპიტანმა ბულერმა ფანჯარა გატეხა კლუბში კილდერის ქუჩაზე უხეიროდ გასროლილი ბურთით. დონიბრუკის ბაზრობა უფროა მათთვის შესაფერისი. რა დავიდარაბა ატყდა, როცა მაკკართი კათედრაზე ავიდა [1]. სიცხის ტალღა. დიდხანს არ გასტანს. მეტად წარმავალია, ცხოვრების სრბოლა, რა არის ცხოვრების სრბოლაში ყველაზე უფრო ძვირფასი? [2]

ახლა კი ბანაობის განცხრომა: წყლის სუფთა აბაზანა, გრილი ემალი, საამო ნელთბილი დინება. ესე არს ხორცი ჩემი [3].

წინასწარ ხედავდა საკუთარ ფერმიხდილ სხეულს, გაშოტილს, შიშველს, სითბოს წიაღში, სურნელოვანი საპნის ქაფით დაზელილს, ნაზად განბანილს. ხედავდა საკუთარ ტანს და კიდურებს, წყალი რომ ლივლივით გადასდიოდა და ატივტივებდა, ქვემოდან ოდნავ აწვებოდა, მოყვითალო ლიმონისფერს. საკუთარ ჭიპს, ხორცის ბუტკოს [4]. და ხედავდა თავისი ბუჩქის ატივტივებულ შავ გადახლართულ კულულებს, მოტივტივე თმის ნაკადს ათასების დუნე მამის გარშემო, უსიცოცხლო მოტივტივე ყვავილს [5].

---

[1] ირლანდიური ბალადის სიტყვები.

[2] იმ დროს პოპულარული სენტიმენტალური ოპერეტის სიტყვები (ბლუმის კვაზი-ფილოსოფიური მსჯელობის ნიმუში).

[3] ლუკა, 22,19.

[4] იხ. „პროტეოსის“ ეპიზოდი („ხომლი“ № 6, 1971 წ., გვ. 160), სადაც სტივენ დედალოსი ფიქრებში იხსენებს მისტიკურ ექსტაზს: „გინდა ღმერთებს დაედარო? შენს საკუთარ ჭიპს დააშტერდი“. ბლუმი თითქოს „უსრულებს“ სტივენს ამ „მოთხოვნას“, რაც თავის მხრივ მისტიკოსი ბერების რიტუალს გულისხმობს და ამდენად ამ მეხუთე ეპიზოდის ძირითად სიმბოლოსაც („წმიდა ზიარება“) ეხმიანება.

[5] ბლუმის სომნაბულური არსებობისა თუ უნიათობის, მისი სულიერი და ხორციელი იმპოტენციის მისანიშნებლადაც ჯოისი მიმართავს სიმბოლოს, რომელსაც კონკრეტული სახე უძევს საფუძვლად: „ათასების მამა“ ანალოგიაა „ათასების დედის“, რასაც ინგლისსა და ირლანდიაში ეძახიან ნოტიო ადგილების დასაფარავ მცენარეს (Saxifraga stolonifera).